

114
1978/3



ԳՆԱՆՈՒԹՅՈՒՆ

10

1978



ენათობი

ბრუნდის
ნომერი 10

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე

№ 10

ოქტომბერი, 1978 წ.

საქართველოს საბავთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მემორიალი, ძმობა, სიყვარული — მოწინავე	3
მიხეილ სხატლოვი — ლემსი. თარგ. ი. ნონეშვილიძე	9
ლილი პროვინი — ლემსი. თარგ. ი. ნონეშვილიძე	9
სილვა კაპუტინიანი — დედის სიმღერა. ლექსი. თარგ. ი. ნონეშვილიძე	10
რამაზ ასაფი — ორი ლემსი. თარგ. ი. ნონეშვილიძე	10
ალექსანდრე მეთროპოლი — ლემსი. თარგ. ე. ჩხიკვაძე	12
ბელა ახმადუღინა — სიმღერები საქართველოში. ლექსები. თარგ. გ. მარტვილაძე	13
მეგობრივი ვინაობები — ლემსები. თარგ. ხ. ბერტულავაძე	15
კონსტანტინე ვანუბანიანი — ორი ლემსი. თარგ. ხ. ბერტულავაძე	16
იანის კობახიძე — ჩემი პირველი ტრეპი. ლექსი. თარგ. ხ. ბერტულავაძე	17
სულეიხან რუსთაფი — ვიამბოკები შინს მიწას. ლექსი. თარგ. ლ. ერეკლე	18
ჯაბიკ ნოვრუზი — ძმარ, ძმარებლო. ლექსი. თარგ. ლ. ერეკლე	19
ალბინა ბინათოლი — სიმღერა. ლექსი. თარგ. ლ. ერეკლე	20
მარგარეტ კობახიანი — სიმღერები მსახურები. თარგ. ა. დავითიანი	21
ჟანიფა ულიანი — დედა-მე. ლექსი. თარგ. რ. მარტვიანი	28
ალიზა კუროპიანი — ორი ლემსი. თარგ. შ. აშისუღიანი	30
ვილია ულანიანი — ლემსი. ლექსი. თარგ. ლ. ქავთაძე	32
მარტინო მარტინიანი — ლემსი. ლექსი. თარგ. ლ. ქავთაძე	32
ელზა მეთროპოლი — ჩემი და ბებუწი. ლექსი. თარგ. ლ. ქავთაძე	33
ვიტორია მარტინიანი — რასდღის პარადისი. მოთხრობა. თარგ. გ. მარტვიანი	34
კარლო კალაძე — ლემსები	42
ალექსანდრე კეთათაძე — ბავშვობის მემორიალი. მოგონება	46
რამაზ ჯანაშიანი — მინი ჯანაშიანი. რომანი. გაგრძელება	48
გონა არაბაძე — მოთხრობები	67
რამაზ კობიანი — ზვიგინის ფოთლები. რომანი. გაგრძელება	77
ირმინო მარტინიანი — მალმონდი. დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება	124

კრიტიკა და კვლევისტიკა

ალექსანდრე ბარბიანი — „მუხამედის წამების“ ხელნაწერი ბავშვის ბარბიანი	141
ნუზარ მარტვიანი — მოთხრობებისათვის და მსახურებისათვის კალი	146
გიორგი კობიანი — პირველი ძმარული სტაბილი	151
რამაზ კობიანი — ძმარული წამარტული კალმონარი. გაგრძელება	159

ჩვენი თუბილაკები

ჯანსუღ ზაკაშიანი — სანდრო შანშიაშვილი	176
დომბრი ალექსიძე — ქართული საბჭოთა დრამატურგიის პატრიარქი	177
სარგი ზილანია — „ისმ მხენი, ისმ ვლირალი“	179
ირაკლი აბაშიძე — ნიკოლოზ აბიაშვილი	184
ვიორგი ჯიბლაძე — ჩვენი ნიკა	185



ქიზნების მიმოხილვა

ბ. ნიბაური — ხიდი მშობრობისა	190
------------------------------	-----

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

საკრედიტო ქოლგები:

ბ. აბაშიძე, რ. აბაშვილი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუაშვილი, მ. გომიწვიშვილი, გ. დე-განიძე, ლ. მგელაშვილი, ა. სულაბაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგულაძე, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიძე, მ. ზილაძე, გ. ხარაწავლი, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტიქერედაქტორი რ. ზაკაშიანი.

გადაცემა ასაწეობად 4/X-78 წ., ხელმოწერა-ლია დასაბეჭდად 19/X-78 წ., ასაწეობის ზომა $7\frac{1}{4} \times 12$, ვალდის ფორმატი $70 \times 106\frac{1}{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, უკ 08928. ტირაჟი 15250. შეკვ. 2450.
რედაქტორის მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20. საქ. კვ ც-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ც-ის გამოცემლობა, 1978.

მეგობრობა, კობა, სიყვარული...

ორკეტრმა დაკრა „ინტერნაციონალი“ —
ეს ხმა არ არის მშვიდი და ნელი,
კოლოსალური, ძლიერი ხმა,
ეს ხმა ცხრაასწიდეშვიტა წელი.
წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ
მაღლა გეპიროთ წითელი დროშა,
ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით
გამარჯვებისა და პატივის დროსაც.

გულიდან წამოსული ფიცივით
ღერს მეოცე საუკუნის, ოქტომბრის
საუკუნის დიდი პოეტის — გალაკტიონ
ტაბიძის ეს სიტყვები. „ჩვენ კი ყო-
ველთვის თქვენთან ვიქნებით“, მი-
მართავს პოეტი მუშათა კლასს, ყველა
შრომელს, და ამ წმინდა ფიცის სა-
ზეიმო სიტყვებს გალაკტიონი წარმოს-
თქვამს პოეტების მთელი არმიის, სა-
ერთოდ პოეზიის სახელით. „დავდგეთ
იქ, სადაც ქარიშხალია“ და „ახალ
გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს“ —
ეს გალაკტიონის ფიციც არის, ანდერ-
ძიც... და არა მარტო გალაკტიონისა,
არამედ მთელი ქართული პოეზიისა,
რომელიც მუდამ ხალხთან იყო, იზი-
არებდა მის ჭირსა და ლხინს, მუდამ წინ
ეძახდა მას, აკაკის სიტყვებით რომ
ვთქვათ, მუდამ მისი დაფი და ნაღარა
იყო.

აკაკი წერეთელი იყო ქართული პო-
ეზიის სახელი და დიდება, საქართვე-
ლოს ერთ-ერთი უპირველესი მესაბუ-
ვეთაგანი, რომელმაც თავის ქმნილე-
ბებში ხორცი შეასხა უწმინდეს სა-
ხალხო იდეალებს, თავისუფლებისად-
მი ტრფიალს, მაღალკაცობრიულ პუ-
მანიზმის გრძნობებს. და რაოდენ
ღირსშესანიშნავი და საველისხმოა ის

ფაქტი, რომ „ინტერნაციონა-
ლის“ პირველი ქართული
თარგმანი აკაკი წერე-
თელს ეკუთვნის. ეს არის
შესანიშნავი და დაუვიწყარი ამბავი
არა მარტო ქართული ლიტერატურის
ისტორიის, არამედ მთელი ჩვენი ხალ-
ხის ისტორიისა, ეს არის რევოლუცი-
ური მოძრაობის მატანის ერთი სახე-
ლოვანი ფურცელთაგანი. აკაკის ინტერ-
ნაციონალიზმი საყოველთაოდ ცნობა-
ლია, ამ დიდებული მგოსნისათვის
უცხო იყო ნაციონალური განკერძოე-
ბულობისა და კარჩაკეტილობის გრძნო-
ბა. ის სიყვარულით ეფერებოდა მე-
ზობელ ხალხთა შვილებს, რადგან კარ-
გად იცოდა, რომ „ჩვენ ძმები ვართ
ერთმანეთისა“, რომ „ჩვენ ვართ შვი-
ლები ერთი მიწაწყლის, ერთ მიდამო-
სი და ერთი მთისა“. ეს არ უნდა დავ-
ვივიწყდეს, როცა აკაკის მსოფლმხედ-
ველობაზე ვლაპარაკობთ და მაშინ
ჩვენთვის უფრო გასაგები გაჩდება
პატრიოტიზმის ის წრფელი, უღრმესი
გრძნობა, რომელიც მის ყოველ სტრი-
ქონში წყაროს თვალივით ჩქეფს. მის-
თვის სამშობლო, საქართველო — ხა-
ტია, ხოლო სახატე — მთელი მსოფ-
ლია, თითონ კი ერთი სანთელია, რო-
მელიც ანთია იმ ხატის — საქართვე-
ლოს წინაშე და „დნება ვით მსხვერპლი
ღიადი, რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალუწვდომელი წყვილიადი“. რომე-
ლი ლექსი გინდათ გაიხსენოთ აკაკისა,
სადაც პოეტი არ იწვოდეს, არ იფერ-
ფლებოდეს ამ სიყვარულით; და სწო-
რედ ამ პატრიოტიზმმა მისცა ძალა

კ. მარქსის ს.ს. საჯ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოკ.
ბიბლიოთეკა

მის შთაგონებას ზიარებოდა ინტერნაციონალიზმის წმინდა იდეალებს.

არა მარტო ისტორიის, არამედ ჩვენი დღევანდლობის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის თვალსაზრისით იმდენად დიდმნიშვნელოვანია ეს ფაქტი, რომ არ შეიძლება მასზე უფრო დაწვრილებათ არ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. აკაკის თარგმანი გამოქვეყნდა 1906 წლის პირველ იანვარს, იმ დღეებში, როცა ჯერ არ დამცხრალიყო პირველი რევოლუციის ქარიშხალი, როცა დუბასოვის ზარბაზნებმა გაუგონარი ძალით გაარევოლუციონერეს ხალხის ახალი მასები; ზუსტად იმ დღეებში, 1906 წლის 4 იანვარს, გაზეთ „მოლოდაია როსიას“ ფურცლებზე ლენინი წერდა: „ტალღა ტალღას მისდევს. დედაქალაქს — პროვინცია. განაპირა მხარეებს — რუსეთის თვით შუაგული. პროლეტარიატს — ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. ქალაქს — სოფელი. რეაქციული მთავრობის ჩავარდნა მის უფართოეს ამოცანათა შესრულებაში აუცილებელია. რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი ფაზის შედეგი ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს მომზადებაზე 1906 წლის გაზაფხულისათვის“.

გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ეითარებაში „ინტერნაციონალის“ თარგმანის გამოქვეყნებას. რეაქციულმა მთავრობამ არ აბატია აკაკის ეს გაბედული ნაბიჯი. „პატარა გაზეთი“, სადაც თარგმანი დაიბეჭდა, დახურეს, ხოლო რედაქტორიც და მთარგმნელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. საინტერესოა ამ მხრივ საცენზურო კომიტეტის მართვა პროკურორისადმი:

„მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან, — ვკითხულობთ ამ მიმართებაში, — უმაღლესი სამხარეო ხელისუფლების ნებართვით თბილისში იწყო გამოსვლა ქართულ ენაზე ყოველდღიური გაზეთმა „პატარა გაზეთმა“, მისი გამომცემლის აზნაურ კონსტანტინე სიმონის-ძე მესხის რედაქტორობით.

აღნიშნული გაზეთის პირველ ნომერში, რომელიც პირველ იანვარს გამოვიდა, დაბეჭდილია აკაკის (თავადი აკაკი წერეთლის ლიტერატურული ფსევდონიმით) ლექსი სათაურით „ინტერნაციონალი“, რომელიც დაწერილია „მარსელეზას“ მოტივზე. ლექსის ავტორი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს აჯანყებისაკენ, მოძალადისა და უკანონოდ მომქმედის დასამარცხებლად და აცხადებს, რომ ეს იქნება უკანასკნელი შეტევა, სასტიკი ბრძოლა. მუშებს ეს-ლა დარჩენიათ, ამით ფიქრობენ ისინი თავის განთავისუფლებას. ღმერთი-მეფე-გმირი, — ყველაფერი ეს სიცრუეა, ძალა მხოლოდ ერთობაშია, დიადი საქმე მსხვერპლს მოითხოვსო. კავკასიის საცენზურო კომიტეტმა დაადგინა: თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის საშუალებით აღძრულ იქნას სისხლის სამართლის საქმე ლექს „ინტერნაციონალის“ ავტორის აკაკი წერეთლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დებულების მე-126 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით და „პატარა გაზეთის“ რედაქტორ გამომცემლის აზნაურ კონსტანტინე სიმონის-ძე მესხის წინააღმდეგ ზემოაღნიშნული ლექსისათვის“.

როგორც ხედავთ, რეაქციის მსახურნი იმდენად უმეცრები იყვნენ, რომ ისიც კი არ იცოდნენ — აკაკი წერეთელი ავტორი კი არა, მთარგმნელი იყო საერთაშორისო მუშათა კლასის დიდებული პიმნის — „ინტერნაციონალისა“; ეყენ პოტიეს ლექსის ქართული თარგმანი კი აკეთებდა თავის დიდებულ საქმეს — რაზმავდა საქართველოს მუშათა კლასს, უნერგავდა მას ნათელი მომავლის ღრმა რწმუნას.

საუკუნეთა მანძილზე ჭეშმარიტი პოეზია თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის მუდამ ბასრი იარაღი იყო. იგი გამოხატავდა სულისკვეთებას მთელი ხალხისა, მის მისწრაფებებსა და ლტოლვას, მასში ასახული იყო ის წმინდათა წმინდა, ის დიადი აზ-

რი და გრძნობა, რომელიც წააწერეს პირველსავე დროსაზე, ოდესღაც თავისუფლებამონატრული კაცის სელმა მალა აღმართა. ნატვრა თავისუფლებისა კი ნათელ ზოლად გასდევს კაცობრიობის მთელ ისტორიას. ხალხთა რაოდენ ნატვრას, რამდენ ოცნებას, რამდენ დაუცხრომელ მისწრაფებას ფრთა შეასხა, სინამდვილედ აქცია დიდმა ოქტომბერმა, ლენინის ეპოქამ. ამ მისწრაფებათა და საუკუნოვან ოცნებათა შორის ერთი მთავარი ხალხების ძმობა იყო.

დღეს, ოქტომბრის ამ ნათელ დღეებში, როცა საქართველოს მიწა-წყალზე თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის პოტენცია, ყველა სოციალისტური ერის წარმომადგენლებმა, რათა კვლავ და კვლავ დაუდასტურონ ერთი-მეორეს ძმობა და ურთიერთ სიყვარული, უნებურად გებადება კაცს დაუძლეველი სურვილი გადახედო ისტორიას. მეგობრობა, ძმობა, სიყვარული, — ეს იყო ოცნება ადამიანებისა, ხალხებისა, მთელი კაცობრიობისა. ორი ათას სამასი წლის წინ თქვა ანტიკური ეპოქის პოეტმა — ჰელნიკოსმა ის, ვისაც ნამდვილი მეგობრის ჩრდილი მაინც უნახავსო. ზოლო ძველ ქართულ თქმულებაში ნათქვამია — მეზობელი ამომავალი მზეა, მეგობარი ნახე რა იქნებაო.

ძმობა და მეგობრობა ხალხებისა — ეს იყო ოცნება, ეს იყო ნატვრა, სურვილი ადამიანებისა და ხალხებისა, და მას აღბეჭდადნენ საუკუნეთა მანძილზე ლექსებშიც, თქმულებებშიც, ტრაქტატებშიც; გვახსოვს დიდი მეოცნებენი კაცობრიობის ნათელ მომავალზე, ჟან ჟაკ რუსოს მსგავსად, მომავლის კონსტიტუციებს რომ წერდნენ, ქართველებს რომ ადგენდნენ ხალხთა ძმობასა და სიყვარულზე, მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ ოცნება იყო, მიუწვდომელი და განუხორციელებელი.

ერთი სიტყვით, ამ გრძნობას, ამ იდეალს, ამ მისწრაფებას შორს, საუკუნეების სიღრმეში წასული ფესვები

აქვს. ეს ფესვები, ცხადია, ჩანს ქართული ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიაშიც და ამას ადასტურებს ერთი ძველი ქართული ხალხური ლექსა. აქ წინასწარ მინდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო რამ: მკითხველმა რომ არ იცოდეს, რომ ეს ლექსი ძველია, რევოლუციამდე თქმული თუ ნათქვამი, დღეს დაწერილი ეგონებოდა. მასში ხალხი გამოსთქვამს თავის ისტორიის ფილოსოფიას და თავის ზღვარდაუდებელ ინტერნაციონალიზმს; აი ეს ლექსიც: „წუთისოფელი რა არი? — ავორებული ქვა არი; რა წამს კი დაეიბადებთ, იქვე საფლავი მზა არი. საცა სოფელში მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არი, შუაში არი ხმელეთი, გარშემო დიდი ზღვა არი. ყველა ადამის ძენი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არა, ჩვენსა და სომხების შუა განყოფილება რა არი? თუ ქალი გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არი, აგრეთი გქონდეს გუნება, რო მოწმენდილი ცა არი, თუ არ იწამებ ამასა, ადამიანი რა არა!“

ლექსი კი არა მთელი ფილოსოფიაა, მორალური ტრაქტატია. ყური დაუვადეთ რას ამბობს ეს ბრძენი მოლექსე, ეს სახალხო მოქმელი. მან კარგად იცის, რომ წუთისოფელი მოკლეა და მთიდან დაღმართში დაგორებული ქვასავით სწრაფად ჩაგირბენს გვერდით. მაგრამ შენ არ უნდა შედრკე, რომელ სოფელშიც უნდა მიხვიდე, სადაც უნდა იყვე, ყველგან ორი გზა დაგზვდება: — ერთი — კეთილისა, მეორე — ბოროტისა. შენ აირჩიე გზა სიკეთისა და მადლისა იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი: ქართველებიც, თათრებიც, სომხებიც, რუსებიც, ყველანი ადამის ძენი ვართ, მაშასადამე, ყველანი დები და ძმები ვართ ერთი-მეორისა და იმიტომაც სულიც ისე სუფთა უნდა გქონდეს, როგორც მოწმენდილი ლურჯი ზეცა არის და თუ ამას ვერ ხედები, მაშინ ღირსი არა ხარ ადამიანი გერქვასო, აი რას ამბობს ქართველი ხალხი ამ მოლექსის პირით. მართლაც საოცარია ის მაღალი ჰუმანიზმი, რომელიც მასშია

გამოხატული; კარგად მოგეხსენებათ რაოდენ უძლეველი და სამარადისოა ხალხში დედამამიშვილობის და დამშობის გრძნობა, მაგრამ ეს მოლექსე სისხლით ნათესაობაზე, ღვიძლ ნათესაობაზე მაღლა აყენებს მძაღ თუ დად გაფიცულთა ერთობას და სიყვარულს: „თუ ქალი გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არისო“ — ნათქვამია ამ მართლაც საოცარ ლექსში.

მოწმენდილი ცასავით სუფთა იყო მუდამ გული ხალხისა და რას არ ჩადიოდნენ მძლავრნი ამა ქვეყნისანი, თავკერძა ფეოდალები თუ მათ კვალზე მოსული ბურჟუები, ოქროზე რომ იწერდნენ პირჭვარს, რას არ ჩადიოდნენ, რა ხრიკებს არ აწყობდნენ, რა ხლართებს არ აბამდნენ, რა ომებსა და პროვოკაციებს, რომ ძმები წაეციდებინათ ერთმანეთისათვის, ამოეწყვეტინებინათ ერთი-მეორე, გაეთიშათ, სამტროდ და სიძულვილისათვის აღეგზნოთ, მაგრამ რაღაც უკედავი ძალა ჰქონდა იმ სიყვარულს და ხან აქ, ხან იქ წყაროსავით ამოხეთქავდა ხოლმე.

სწორედ ასე, წყაროსავით ამოხეთქა ამ საკაცობრიო სიკეთის გრძნობამ უკედავი რუსთაველის სტრიქონებში, სადაც აეთანდილის სიმღერის ხმაზე მთელი მსოფლიოს ხალხები თავს იყრიან, უსმენენ მის ტკბილ ხმას, „ისმენდიან, ვაკვირდიან, რა ატარდის, ატირდიან“; და პატარა როდია მისი ასპარეზი, მთელ პლანეტას მოიცავს, მოსულან აქ „ინდო-არაბ-საბერძნეთით მასრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

ეს ხომ მთელი ინტერნაციონალის კონგრესია თავისი მალრიბ-მასრიყით ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავისი უზარმაზარი რუსეთით, საფრანგეთით, რომლის სახელი რუსთაველის დროს მთელ ევროპას ერქვა, — ფრანგი, ან ფრანკი — ევროპელს ნიშნავდა, და ამას გარდა, აქ არც აზია და აფრიკაა დავიწყებული, — სპარსნი და

მისრეთით მეგვიპტელნიც მოვიდნენო.

მეგვიპტელნი

სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პარტიოტიზმი, რა თქმა უნდა, ჩვენი საუკუნის, ჩვენი დროის, სოციალისტური რევოლუციების ეპოქის, ოქტომბრის საუკუნის იდეოლოგიაა, და თუ ჩვენ აქ წარსულ საუკუნეებს ვადაევვდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ინტერნაციონალიზმის შორეული საწყისები, ხალხური და დემოკრატიული ფესვები და ტრადიციები გვეჩვენებინა. ეს საწყისი კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხალხში მუდამ ძლიერი იყო, იქამდე ძლიერი, რომ ის არა მარტო პოეზიაში, ოფიციალურ მითიანშიც შეაღწევდა ხოლმე — ასე, მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ ლაპარაკია საქმის მართლად აღმოჩენლ და ვითარებისა მცნობელ კაცზე, რომელიც ოცნებობს შემოიკრიბოს „ერნი, ტომნი და ენანი... ოსეთისა და ყრვჩაღეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“...

ასე წერდნენ, ასე ოცნებობდნენ წინაპრები, შორეულნიცა და ახლობლებიც — გადიოდა საუკუნეები, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ, სისხლსგან იცლებოდნენ ხალხები, ვიდრე დადგებოდა დღე, როცა დაიწერებოდა და დაიდებოდა ყველაზე დიდი ისტორიული ფიცი, ხალხთა ძმობას — ისტორიის კანონად რომ აქცევდა. ეს იყო დღე, როცა შეიქმნა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი. ეს ფიცი დაიდო ამ ექვსი ათეული წლის წინ, ლენინმა და ლენინის პარტიამ დააფიცეს ხალხები ძმობაზე და ეს ძაღმუფიცევა იყო თუ უძლეველი გამოდგა, რომ მან გაუძლო ყველაზე დიდსა და საშინელ ქართველებს, ყველაზე ძლიერი მტრების შემოსევებს.

დიახ, ჩვენმა სამშობლომ ისტორიაში უმაგალითო განსაცდელებს გაუძლო. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდენტის თავმჯდომარე ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრევენევი აღნიშნავს, „ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არ ახსოვს, — ეს არის უკრიზისო, მუდამ მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის, ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ეს არის მომავლის მტკიცე რწმენის, ნათელი კომუნისტური პერსპექტივების საზოგადოება. მის წინაშე გადაშლილია შემდგომი ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო სივრცეები“.

ღრმად შინაარსიანი და წარმტაცია ცხოვრება ხალხთა ამ დიდი ოჯახისა. აქ ერთი ძმის სიმდიდრე — მეორის სიმდიდრე არის, ერთის სიღამაზე — მეორესაც შუქს აყენებს, ერთის სიბრძნე — მეორესაც მაღლა სწევს, ერთის ლექსი — მეორესაც გულს უთრთოლებს. ერთის დედა ენას — მეორეც პატივსაც სცემს... საბჭოთა ქვეყანა მტკიცე და ურღვევია იმიტომ, რომ მის საფუძვლად ხალხების ერთი-მეორისადმი სიყვარული და პატივისცემა უძვეეს. უზბეკმა მწერალმა ეშრეფ შემინაღდემ თბილისში, ბარათაშვილის იუბილზე თქვა — ტაშკენტში ყველაზე ლამაზია ის პროსპექტი, რომელსაც რუსთაველის სახელი პქვია. ამ პროსპექტზე არის ხალხთა ძმობის ობელისკი, რომლის ძირში თხუთმეტი წყარო ვაშლისჩქეფს — თხუთმეტი მოძმე ხალხის სიმბოლო. თანამედროვე საბჭოთა მწერლისა და ხელოვნების მუშაკისათვის რა უნდა იყოს წარმტაცი ამოცანა ვიდრე ის, რომ აღვივებდე ამ წმინდა აზრსა და გრძნობას.

დღევანდელი საბჭოთა მწერლობის სასახლოდ, სიამაყის გრძნობით უნდა ვთქვათ, რომ ამ თემაზე, ხალხთა ძმობის თემაზე, წლების მანძილზე მართლაც სანაქებოდ იმუშავეს ჩვენმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა; ყველაფრის

ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. ამ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები მართო ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, არამედ მთლიანი საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიაში მუდამ დაიჭრენ შესაფერ ადგილს, მუდამ მოხსენებული იქნებიან წარმატებათა აღმსუსხველი მატთანის ფურცლებზე; და როცა ჩვენ ვკითხულობთ ამ დიდებულ პოეტურ მატთანეს, ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდებულ ისტორიულ პანორამას რომ შლის ჩვენს თვალწინ, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ ისტორიულ ეპოქის შექმნა-დაფუძნებაში, ხალხის იდეურ-მორალურ აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა მწერლობამ და ეს არის მისი ისტორიული დამსახურება პარტიის, ხალხის, კაცობრიობის წინაშე.

დღემდა საბჭოთა პოეზიამ აღსუსხა ყველაფერი, რითაც ჩვენ ვამაყობთ, რაც ჩვენი ხელით შევქმენით, თუ წინაპრებმა გადმოგვცეს; მასში აღსუსხულია ჩვენი კულტურის ზეადამავალი განვითარება.

ასი ენა გვაქვს ძმებო, მეგობრო,
 ასი ხალხნი ვართ ავსებულნი,
 ას ტყბილ ენაზე ერთად ვოცნებობთ
 ჩვენ ერთი მიზნით ვატყებულნი;
 ასი ენა გვაქვს ხატად, საფიცრად,
 სულში, სხეულში ფესვებგადგმული.
 თავისუფლება მყარდით დაიცვათ —
 ას ენაზე გვაქვს ერთად დათქმული.

ასე სწერს ირაკლი აბაშიძე ლექსში „აღმოსავლეთის პოეტებს“ და ეს ჰემამარიტი სურათია ხალხთა დიდი ერთიანობისა. ინტერნაციონალიზმის შექვი, როგორც მზის სხივი აღაღანებულ ყანას, ისე დაპნათის ასსავე დედა ენას, რომ არც ერთ თავთავს თავისი კუთვნილი სხივი არ დააკლოს, არცერთი არ დაქანეს, ფესვი არ გაუხმეს, ყველა მათგანმა იზაროს და იდღეგრძელოს.

კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები მუდამ იდგა პარტიის ყურადღების ცენტრში; ეს თვით ჩვენმა ღრმ მოითხოვა, ეს მოითხოვა თვით კულტურის ცნების ლენინურმა გაგებამ. ახალი სოციალისტურა

კულტურა მოიცავს მთელს ჩვენს ცხოვრებას, ვინაიდან ჩვენს დროში, ისტორიაში, პირველად, კულტურა შეიქმნა ადამიანის შრომითი საქმიანობის ყველა სფეროში, ის ამოიზარდა ხალხის წიაღიდან და დაუბრუნდა მასვე. ჩვენს დროში პირველად გაჩნდა ცნება — ესთეტიკა წარმოებაში: ფაბრიკაში ინჟინერს გვერდით დაუდგა მხატვარი, რომელიც თანაბრად აგებს პასუხს პროდუქციის ხარისხზე, ვინაიდან კარგი და მალახვარისხოვანი თავისთავად გულისხმობს ლამაზსაც. ამ გზით ესთეტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა და გადაეწვნა წარმოებას. ამას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეთავე ხუთწლეულში, რომელსაც პარტიამ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი უწოდა.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ საბჭოთა ხალხმა შექმნა მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნება, დაფუძნებული ლენინის პრინციპებზე, ლენინურ მოძღვრებაზე ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ. ამ ხელოვნებას წამყვან პრინციპად ხალხურობა უდევს როგორც თავისი შინაარსის გამო, იმის გამო, რომ მასში ასახულია ხალხის სული, მისი მიწრაფებანი, ასევე თავისი ფართოდ გავრცელების თვალსაზრისით. იგი როდია ჩაკეტილი წიგნებში, სამხატვრო გალერეებში, საკონცერტო დარბაზებში, არამედ ჩანს, მოქმედებს ყველგან — ქალაქად, სოფლად, მუშის, გლეხის, ინტელიგენტის ოჯახში, ჩანს იმაში, თუ როგორ მუშაობს ჩარხისმჭრელა თუ მექანიზატორი, როგორ ისვენებს, რას კითხულობს. ხელოვნება და ლიტერატურა ნამდვილად ეკუთვნის ხალხს და ლენინის ამ ბრძნულმა ურ-

ამ ჰუმანიტად ზორცი შეისხა. ხელოვნება და ლიტერატურა ნამდვილად ხალხის ყოფაში, მის სტრუქტურულ ელემენტებში, პირველ მოთხოვნილებებში; ჩვენს სოფელს აღარ შეუძლიათ იცხოვროს კულტურის სახლებისა და სახალეების გარეშე, რომელთაგან ზოგი მოწყობილია ისე, რომ აკადემიური თეატრის სპექტაკლის მსვლელობას ტექნიკურად არაფერი შეუშლის ხელს. სოფელი დღეს წარმოუდგენელია ტელევიზორის გარეშე, რომელიც ნამდვილად გახდა ფართო ფანჯარა, საიდანაც შეგიძლია გახედო მთელ მსოფლიოს, იქნე საღაცე, მთაში და იმავე დროს, უცქირო სპექტაკლს მოსკოვისა თუ ტამპენის სცენაზე. მზის შუქივით მოეფინა კულტურა მთასაც და ბარსაც, ყველგან შეიხედა, ყველა სოფელში, ყველა ხეობაში, ყველა მთასა და მინდორში. ის სახალხო გახდა, საყოველთაო გახდა. სწორედ ეს არის ბრწყინვალე დადასტურება ლენინური წინასწარდასახულობისა — ხელოვნება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს.

ღიან, ის ნამდვილად ეკუთვნის ხალხს, ყველა ხალხს, ყველა ერს ჩვენი დიდი სამშობლოსი, რომელმაც პირველად ისტორიაში განახორციელა კაცობრიობის ყველაზე საუკეთესო შეილთა ოცნება — შექმნა თავისუფალი ერების ძმური, ურღვევი კავშირი.

ქართველი ხალხი, სულითა და გულით მიესალმება ძვირფას სტუმრებს — მოძმე ხალხთა პოეტებს. ქართველი ხალხი მუდამ გულითადად, ხელ-გულგაშლილი ეგებებოდა საყვარელ ძმებს, ვინაიდან ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ასეთებად გაგზარდა პარტიამ, ასეთთა ჩვენი ტრადიციაც და დღევანდელი დღეც.

მიხეილ სვაბლოვი

რუსეთი

* * *

რომ არ წაშალოს დრომ შენი კვალი,
ღიმილი შენი მტვერში არ წახდეს,
შე აგამალღე, ძვირფასო, კრძალვით
და დაგაბრძანე ღრუბლების ტახტზე.

როცა ზეციდან მოავლო თვალი
ჭემი ოცნების ფრთავაშლილ მერანს,

გადმოიხარე და ერთი წამით
გადმომაფინე ღვთიური მზერა.

ამ ქვეყნად ერთი რაინდი მეც ვარ,
მეც შენთა თვალთა ნათელი ვეოცნე...
და თუ დღეს მხოლოდ გაჩუქე ზეცა,
ხვალ მთელ სამყაროს საჩუქრად მოგცემ.

ლილი კრომები

ესტონეთი

* * *

გიგი ხომ არ ხარ...

სურვილით დიდით

ასე უწყალოდ თავს რად იწვალე...
გსურს გააშენო სემირამიდის

ბაღი ამ მლაშე,

ეწერ მიწაზე?!

გიგი ხომ არ ხარ...

მაშ რატომ წვალობ,

რომ დაეწაფო მირაეის წყაროს?...

ან უკაცრიელ

ყინულის ველზე

ალისფერ ტიტას

ნეტავ რად ეძებ?..

გიგი ხომ არ ხარ?..

დედის სიმღერა

შენ ხარ მომავლის შორი ცა,
ჩემი წარსულის ფესვიც...
ხმაური სამყაროისა
შენი ხმის ვქოდ მესმის.

რაც გაჰყვა ხეთა შარი-შურს,
რაც შორს მეგულების ასლა,
მე შენმა სიცილ-თამაშმა
ხელახლა განმიახლა.

ჩემთვისაც იყო ერთი დრო,
მეც ბურთის დავდევი მარდად,
დღეს შენ ტოლებში ერთობი,
დღეს შენი ჯერი დადგა...

ეზოში, თოვლში თამაშობ,
ციგა და გუნდა გართობს
და ვერც გრძნობ, შვილო, დედაშენს
წლები თოვლივით ათოვს.

ნურც იგრძნობ, ჩემო სიცოცხლე,
როგორ თეთრდება დედა.
რაა სიბერე არ ვიცი
როცა ჩემს გვერდით გხედავ.

...მე მინდა ისე გიმღერო,
როგორც არასდროს დედებს
არ უმღერიათ შვილისთვის
თასბამიდან დღემდე.

მაგრამ სურვილი ალალი
საკუწუნებს ჰფარავს,
გულიდან მოჰქრის ფრთამალი,
დაჰქრის კარიდან-კარად,
ძველია, ძლიერ ძველია
და ასალია მარად.

რამზაზ ასაპივი

სამხრეთ ოსეთი

გ ზ ა ზ ე

ალტაის მინდვრები,
მთები და ველები.
სამნი ვართ...

ჩვენ ჩემალს — მთის კურორტს
— ვეებთ.

გაბმულან მავთულნი,
ვით ცისარტყელები,
ბოძიდან ბოძებზე, მთებიდან მთებზე.

ჩვენს ირგვლივ ტყე არის,
ახო და ვწერი,
ფრინველთა ჭივჭივით ივსება ჭალა.

სუთწყება მავთულზე ნამგალა მერცხლები
ჭალალდე დაწერილ ნოტებად ჩანან.

და ჭღერენ მავთულები
დო

რე

მი

ფა

სო

ლა

სი...

და უცხო სიმღერები
ისმინ ქარის ქროლაში.



ქღერენ მავთულები ფანდურის ლარებად,
(ნართი აცამაზი თუ მღერის მთაში).
ამ უცხო სიმღერას ხედებიან ალგები
ტოტების შრიალით, ფოთლების ტაშით.

სამნი ვართ...

ბედნიერ წყვილს წყნარად მივყვები;
შეგნატრი მათ დიმილს, მათ გულის
ძახილს,
და მზესუზირებიც, ცნობისმოყვარენი,
მოგვდევენ, გვიმზერენ ღაღლაჭა სახით.

სვია

შესვვია

ხეებს ტანკენარებს,
თითქოს ახვევია თითისტარს ძაფი.

ირგვლივ მოშრიალე,

ჭოჩორა ტყე არის,

ხავსის და ხვიარის სურნელი მშაფრი

ო, სვიაგ, დრო არის... დამწიფდე უნდა,
ვინ იცის რამდენი ჭალ-ვაჭი გელის,
დროა საქორწილო ლუდი აადულო,
რამდენი ხანია გაიჭრა ქერიც.

სვიაგ, მართლაც სვიანი,
ლუდი ნაპერწკლიანი
უშენოდ არ იქნება.
შენ უნდა აადულო,
როგორც გული სატრფოზე,
სიყვარულზე ფიქრებმა.

ფ ი ქ რ ი

ჩაუქრობელი მწამდა არ არის,
რაც იწუის —

ცეცხლი სახელად ჰქვია.

მაგრამ მე შენთა

თვალთა ხანძარი

ძვირფასო, დღემდე ვერ ჩამიქვრია.

ხარ ჩემი გულის მალამოც, შხამიც...

გეტყვი:

შენს მეტი

არა დამჩარა.

როდის იქნება

სულ ერთი წამით

ჩემს შესახვედრად გახსნა ფანჯარა...


მაგრამ იქნება ეცდები ამ ნატვრით,

იმ წუთს იმედით ამაოდ ვუმზერ...

ვაპთუ შემხვედ და დამისხა ნავთი

შენგან ისედაც ანთებულ გულზე.

თარგმნა იოსებ ნონაშვილმა



ალექსანდრე მიხეიროვი

რუსეთი

• • •

მსურს გაგახსენო უბრალო, მაგრამ
მივიწყებული ჭეშმარიტება,
რომლის მოსმენაც არ შევიძლია,
თუმცა კი იცი ასე იქნება:

მოვა სიცივე.

საცარიელე დაისადგურებს მყუდრო ბინაში,
წარხოცავს მტვერა ჩემს ნაფეხურებს —
ოთახებს ვინდა გააჩირადნებს.

და მოვაკლდები საყვარელ კედლებს,
(დრო მოვა სულმა უნდა იალოს),
სხვა მარტოხელა სახლების ხვედრი
ამ სახლმაც უნდა გაიზიაროს.

მოვა სიცივე — ხორკლები კანზე.
მოვა ივლისი — დასიცხულ ჩრდილებს
ცარიელ სახლში ღამფის სინათლე
აბორიალებს და აცოდვინებს.

მოვა ქაოსი...

ხე მას გაუნდევნი
და ბედნიერი ვიქნები, მაგრამ
შენ რაღას იზამ, როცა ფოთლები
კვლავ დაიწყებენ მოსაწყენ ფარტატს.

მოვეკვდები.

უხმო სვედით შევხედავ
მკერდზე გადავლილ სიცოცხლის
ბორბლებს.

ეგ ხმა გამყვება, ბოლო ბრძოლაშიც
ჩემთან იქნება და მიმეგობრებს.
იქნება გზა და გზაზე ნაცნობი
უკანასკნელი შრიალი ფოთლის.
იქნება ხალხი, ალბათ კამათიც
და იტორტმანებს ნევაზე ორთქლი...

მოვა ქაოსი...

და ჩემს თვალებში
შემოიხედავს შუშლილი ღამე.
მე ბედნიერი ვიქნები, მაგრამ
შენ რაღას იზამ?.. მითხარი რამე.

მე, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ ვოქეი
რაც მსურდა...

იცდის ბოლო სადგური
გაბეზრებული უამინდობით,
ოფლის სუნით და ხალხის ლაყაფით..
ოღონდაც შენ არ გამომეთხოვო

მაშინ დაწყველილ სიტყვა
„მშვიდობით“ —
მხოლოდ — ნახევადის!

ბელა ახმადულინა
რუსეთი

სიზმრები საქართველოზე

სიხარულო — საქართველოვ,
სიზმრად გხედავ მშვენიერს!
რასაც ცხადში წამართმევენ —
შენ მიბრუნებ შენმიერს.

მზე რომ რიჟრახს გადაჭურცლავს,
უბინდოს თუ ბინდიანს —
ბაგებზე შენი ყურძნის
სურნელება მინთია.

მკურნავ ვნებადაუცხოველს,
დარდიც ნიავს გაგანდე,
ვეახლები სვეტიცხოველს
და იქ სანთელს ავანთებ.

• • •

მახსოვს და ვხედავ — გუგებს დავბინდავ,
ქუთუთოებით, რომ გადავთელო
ჟამი და სივრცე... და ჰა, ალტყინდა
და გრგვინავს ჩემში ხმა: საქართველო!

უცხო სასწაულს — ქართველთა ენას —
თერგად მივუსვებ ხორხის დარიალს .
მამ რატომ ვდუმვარ, რად მელტვის
ლხენა,
ალბათ მაკლია ის აღმადრენა,
რაც მუდამ ძველთა ნაბოძვარია...

აქ, მცხეთაში, მცირე კენჭსაც
ვუძღვნი ჭება-დიდებას...
ღმერთო ჩემო, ოღონდ შემრჩეს
მე ეს ავლადიდება!

ნურასდროს ნუ ამარიდებ
ამ სიხარულს წამიერს,
დე, ეს განცდა სამარცმდე
გამყვეს მრავალჯამიერ!

დე, მეღირსოს განკაცებულს
ხვედრი უნეტარესი —
ჩემი ქვეყნის სიმკაცრე და
საქართველოს ალერსი!

შოთაე და უაჟაე! დამიგვიანდა
რომ წინაპრებში ვძებნოთ და გნახოთ,
მაგრამ ჩემში ხართ და თუ ნიადაგს
მიაგნო ნერგმა — მოისხამს ნაყოფს.

დადუმდნენ ჩემნი ბაგენი... ვინ მყავს
ნეგზური, რომ ხმა გამინაფარდოს?
ტყე მესახის თუ მდინარე მისმობს —
მათი ქართული ნწამს და მათ მიღმაც
მელის ქართული საიაფარდო.

ო, როგორ მზიბლავს, სლავს და მიამიტს,
 ის სხაპასხუპით ნათქვამი — გახსოვს —
 „წყალში ყოყინებს“?.. ო, რა სიამით
 ვაწამე ყელი, წარვეკეთე სასო,
 თითქოსდა მსურდა მეთქვა მე ამით,
 რომ დავძლევ სიტყვას მყინვარწვერიანს,
 რომ გულქვა, უშბაც მეგულვის ქველი...

• • •

გ. მ-ს

შეკვდარიც ვყოფილვარ და არაერთხელ,
 ანდა მეგონა, რომ უკვე ვკვდები,
 რომ სპეტაკ ჭაღალდს ვჯღაბნი,
 ვმკრეხელობ
 და ვჯიჯგნი ურჯუკ სულისკვეთებით.

ეჭვით მშანთავდა უღვთო სვებედი —
 ვაითუ წახდა ჩემი მარჯვენა,
 მაგრამ მარად და ყველგან მწუდებოდა
 მე საქართველო — გადასარჩენად.
 რაღაც იდუმალ მიზეზთა გამო,
 ო, რომ იცოდეთ, როგორ ვუყვარდი
 იმ ხალხს, იმ კუთხეს, იმ კარ-მიდამოს,
 როგორ მკურნავდა მისი ლაყვარდი!

მომხედე, ღმერთო, ლოცვა-მწერიანს,
 ო, ნუთუ ბედი არ მიწერიდა
 გამოვთქვა ენით გამოუთქმელი!


და მხოლოდ ძილში... ძილნეტარ ღამით
 ვიტკბობ ბაგეებს შვეებით და ღებნით,
 რომ განვიკურნო წყლულთა ბაღღამი
 იმ ტკბილქართულით, იმ ქართულ ენით...

ჩემო თბილისო! დღესაც არ ვიცი,
 რად შემივრდომე ბაღლი უმწყო?
 ობლად მიგდებულს ხვეენა-ალერსი
 რად დამახვავე? დილა უმწყო
 რად გამინათე? უცხოფუძეულს
 რად ამომივსე ბედის ხარვეზი?

მითხარ თბილისო, და ამიხსენი,
 რამ შთაგაგონა ეგ თავმდაბლობა,
 რისთვის გამილე კარიბჭე შენი
 და კდემით მევე მკადრე „მადლობა“?

მე კი დღეიდან, კიდევ რომ ვიწყო
 სამადლო გზების აებნა-მიგნება
 და საპასუნო სიკეთეც გიზლო —
 სულ ამო და მცირე იქნება.

თარგმნა ზია მარკვილაშვილმა



* * *

მხატვარო, უნდა ასწავლო შეგირდს,
არ დაიშურო ძალღონე მისთვის.
დაე, შენს ხელებს იმისი ხელი
გაპყვეს რვეულის ხაზებზე თრთოლვით.
დაე, მალღიდან გიმშერდეს იგი,
წარმოიდგინოს გულთმისნად თავი...

მხატვარო, გულით ასწავლე შეგირდს,
რათა მისგანვე ისწავლო შემდეგ.

ი ს

სუფრას რომ გამიშლის, შეეყურებ შემკრთალი.
„ჭამეო!“ მიყვირის. ვნებდები მყის.
ჭვბ-ჭოთნებს ჩხარუნით დაათრევეს ღმერთქალი,
კითხულობს წიგნსა და იატაკს გვის.

ჩემს პიჯაკს ჩაიცვამს, წყებებით შიშველით
დადის, დაბაჩუნობს, შეხხარის მზეს.
მიყვარსო? ო, არა! ვერაინ მიშველის
უმისოდ. წავა და — მოგვედები მეც.

დამნაშავე ვარ

მე მაპატიე, თუ შენ ასე გადაგავიწყდი...
ზოგჯერ სამოთხეს ვეწეოდი, ჯოჯოხეთს ხანაც.
რაც იყო, იყო!
რალა შეთქმის, აღარ განვიცდი.
რომ თვითონა ვარ დამნაშავე, არა ვგრძნობ განა?

შენ სთქვი და მოსკერ... ჩემს პასუხს და თავისმართლებას
 არა აქვს ფასი, არ აქვს წონა. არც არას გერჩი.
 რაც იყო, იყო!

რაღა მეთქმის. რაც მემართება
 ახია ჩემზე. დამნაშავე ვარ ყველაფერში.

შევცდი და სწორედ ამ შეცდომამ მომიღო ბოლო.
 ამ განშორების ანგარიში გრძელია... მკრთალი...
 რაც იყო, იყო!

რაღა მეთქმის. მხოლოდ და მხოლოდ,
 რომ ყველაფერში, რა თქმა უნდა, მე მადევს ბრალი.

კონსტანტინე ვანუშვილი

რუსეთი

ახალი თაობა

მე ძლიერ მიყვარს თაობა ესე,
 რომ არ უხილავს შავი მორევი.
 ამ გრძნობის მიზეზს როდესაც ვეძებ,
 მაგონდებიან ჩემი სწორები.

ვარ კმაყოფილი და ბედნიერი,
 რომ არც კი იცის გზა უმკაცრესი,
 რომ არ ყოფილა წამით მშვიერი,
 არ გაუვლია ომის საცერში.

დაე გაუსწროს სიბრძნით და გულით
 ყველას, მზისაკენ ლალად გაფრენილს,
 რახანი გვიდგას მშვიდობა სრული
 და ხელს არ უშლის მას არაფერი.

არა წოლილა ტყვიისქვეშ იგი,
 მაგრამ სახელს და დიდებას ელის,
 და ბორგავს, მღერის ამ სარკმელს იქით
 უდანაკლისოდ თაობა მთელი.

ეს მართალია

ეს მართალია, მოგვაკლდა ბევრი,
 გვლევწეს, გვამსხვრიეს აედარში, დარში,
 მაგრამ რიცხვს ჩვენსას დაითვლის ვერვინ,
 ჩვენ მაინც ვცხოვრობთ, ჩვენ მაინც დავრჩით.

ეს მართალია, ბევრი როდი ვართ
 იმ ცოცხალ ძალას რომ შეადარო,
 ხშირ ბალახებში რაც ამოვიდა
 და განაცვიფრა მწვანე სამყარო...

ჩემო პირველო ტრფიალო

ჩემს უკანასკნელ ღამეში
 შუბლს ხომ წუხილი დაღარავს?
 როგორც ჭაბუკი გიყვარდი,
 თუ გეყვარები ჭაღარა?
 ჰა ჩვენი კოცნა პირველი,
 სადღაც აქ ბოლო გზაც არი.
 მათ შუა მიედინება
 ცხოვრება, თითქოს დამცხრალი!
 ცხოვრებას განა გაიგებ,
 წინასწარ პასუხს ვინ მოგცემს,
 როდესაც ახსნა არა აქვს
 სიყვარულსა და სიცოცხლეს!
 არა მწადს გულმა ისწრაფოს
 იქითკენ, სადაც იწყება
 ხან გაცივება გრძნობისა,
 ხან მართლა თავდავიწყება...
 მაგრამ მაუწყე, გუთავა,
 როცა სამშუოს დავტოვებ,
 გამაცილებ და მიტირებ,
 თუ ხელს ჩაიქნევ მართოდენ?

შესძლებ, რაცა ვქმენ კეთილი,
 შეიღმა შენვანვე გაიგოს,
 ზიხვდები მაინც, შაზუში
 ჩემი სისუსტის რა იყო?
 მქონია ნიჭი თუ არა,
 თუ დავედიოდა შემცდარი?
 ...როგორ წაგვივა ცხოვრება, —
 ახლა მთავარი ეს არი!
 კმარა... დალაზვროს ეშმაკმა...
 რამდენ ნაბიჯსაც გავიარ,
 იმდენა გამოუცნობი
 საფიქრალ-საზრუნავია...
 განა ცოტაა ან მეტირე,
 რომ ერთადა ვართ, დიდგულო,
 და შენს თვალებში სიხარულს
 ასე იოლად ვკითხულობ.
 მზად არი წუთი ყოველი,
 მტვრად რომ აქციოს სიწყნარე.
 მეტი არ ძალმიძს. ხომ გესმის,
 იჩქარე, ქალავ, იჩქარე!

თარგმნა ხუბა ბარულავამ.



სულიან რუსთაში
აზერბაიჯანი

ვეამბორები შენს მიწას

მიყვარს შენი ზვრები და
ცად აწვდილი გორები,
შენს მადლიან მიწა-წყალს
გულით ვეამბორები!

მომხდურთ ერთად ებრძოდნენ
ჩვენი მამა-პაპანი,
ერთად სწიეს იმ ძველი,
მძიმე ყოფის ჭაპანი.

ერთგულება ჩვენს შამებს
პურზე დაუფიციათ,
ჩვენი,
თქვენი ღირსება
ასლა ყველგან იცინ.

ლამაზი ხარ,
თბილისო,
ქალაქი ხარ
ედემის,
ითელი საუკუნეებს
და მაინც არ ბერდები.

ჩვენი დიდი ვაგიფი,
ჩვენი მირზა ფათალი,
ეზიარნენ შენს მიწას,
გკადრეს სიტყვა მართალი.

ჩემო ტკბილო ქალაქო,
გმოსავს სხივი უჩვევი,
აუ, როგორ გაზრდილან
შენი ვიწრო ქუჩები!..

ძმებო,
ყველა ქართველი
ჩემი შეგობაა,
ყველა ჩემი ოჯახის,
ჩემი სუფრის თვალია.

თქვენთვის გული ღია მაქვს,
აბა, რას დავიშურებ,
კარის მესობლები ვართ,
ზელს არ გვიშლის სიშორე.

გული თქვენკენ მომიწევს,
სიხარულით მოვდივარ,
ჩემს მეორე ქალაქში —
მე სტუმარი როდი ვარ!

ძმებო,
თქვენი გულსთვის
გწამდეთ,
ცეცხლში ჩადგები,
ჩემი წრფელი ლექსები
იყოს ამის თავლები.



• • •
 მიყვარს შენი ზერები და
 ცად აწვდილი გორები,
 აყვავებულ გურჯისტანს
 გულით ვვამბორები!

ჯაბიბ ნოზრუზი
 აზერბაიჯანი

ძმაო, ქართველო

ძმაო, ქართველო, შენც ხომ იცი
 გინა ვარ, რა ვარ, —
 მე ძმა ვარ შენი,
 სიყვარული ძმის წილად დამაქვს,
 ღვიძლი ვარ შენი,
 შენი ნატვრის სურვილით დავალ,
 ძმას რას ვუსურვებ? —
 სიკეთეს და სიხარულს მრავალს.

შეგეგებები სიყვარულით,
 საზით,
 დაირით,

არ მეყოლება შენი ფასი
 ვინმე სტუმარი,
 ჭირის და ლხინის მოზიარე,
 ძმაო ქართველო!

გულში ვიბუტებ
 შენი მიწის
 გოჯსა და მტკაველს,
 გულით ვესხვი ყოველ ქართველს —
 დიდს თუ პატარას,
 და შენთან ერთად მეც შეგხარი
 შენს ლამაზ მთა-ველს,
 ძმაო, ქართველო,
 გემარჯვება მოძმის გატანა!

და ძირს გაგიფენ
 ცისარტყელის ფერებს უნაზესს,
 შევძრავ ქვეყანას
 მე ქორ-ოღლის ჩანგის სიმებით,
 და ჩიტის რძესაც კი გაეაჩნენ
 ძმობის სუფრაზე,
 დაგადგამ გვირგვინს
 უნატიფეს ლურჯი იების.
 ჭირის და ლხინის მოზიარე,
 ძმაო, ქართველო!

პოეტურ სიტყვით
 მე შევამკობ ქართველ ლამაზებს,
 ყველას გიმღერებთ
 ქამანჩაზე,
 საზზე ხალხით,
 ნელი დუდუნით ამყვებიან
 მტკვარი,
 არაზი,
 ძმაო, ქართველო,
 შორს განთქმული სიდარბაისლით.

ხელში ავიღებ
 სიყვარულით საესე ფიალას,
 ერს გიდღეგრძელებ,
 ეცნობ, რომელსაც დიდების ღირსად,
 და რომ შემეძლოს
 მართო ლიტონ სიტყვით კი არა,
 მკერდს გადაეხსნიდი,
 გულს მოგცემდი ამ ძმობის ნიშნად,
 ჭირის და ლხინის მოზიარე,
 ძმაო ქართველო!

მოგიწვევ მე ჩემს ბაირამზე,
 ველზე მულანის,

ალიხან ბინათოღლი

აზერბაიჯანი



ს ი მ ლ ე რ ა

ეს გული ერთ ტკბილ სიმღერას

მღერის,

„ქერიშია“ თუ

„სულიკო“ ნეტავ? —

ორი სამშობლო და

ორი ერი,

ორივე ძვირფასი,

ვით ღვიძლი დედა!

სიმღერა ჩემს სულს ეალერსება,

სიმღერა მშობის წყურვილით სავსე,

სიყვარული აქვს უდრეკ ფესვებად,

შარბათით სავსე ფილას გვასმევს.

ამღერებულა ოცნების ვნებით

დიდი რუსთველის,

დიდი ნიჟამის,

და მოსჩქეფს ორი მეგობარ ქვეყნის
ანკარა წყარო სიკეთისანი.

ეს სიმღერაა ჩვენი ვაგიფის,

საიათნოვას,

ბესიკის წიანგთა,

შიგ გამოსჭვავივის გრძნობა ნატიფი,

რომელიც მრავალ ასწლეულს გასცდა.

ეს გული ამ ტკბილ სიმღერას მღერის,

„ქერიშია“ თუ

„სულიკო“ ნეტავ?

სიმღერა ორი მოყვარე ერის,

ორივე ძვირფასი, ვით ღვიძლი დედა!

თარგმნა ლეილა მარაქაძე





სომხური ესკიზები

სევანს კარგა ხანია მიუტოვებია სალუკლდეები, გაშორებია მათ და ახლა ამ კლდეებს უცხოდ ეჩვენებათ წყლიდან განთავისუფლებული ქვიშიანი ვაკე. ერთ-ერთი კლდის გლუვ შიშველ კედელს ურარტუს დროინდელი ლურსმული წარწერა ამჩნევია: „რუსა პირველმა მეფემ, დაიპყრო ოთხი ქვეყანა ზღვის აქეთა მხარეს, ცხრამეტი — ზღვის იქით, თავის სამეფოს შემოუერთა და ნიშნად ამისა აავო თეიშუბანის ღვთის ტაძარი“.

გასაგები მიზეზების გამო ტაძარი რათქმა უნდა, აღარ არის, ხოლო ლურსმული წარწერა ეპითასვლაში გვარინად გაცვეთილა ქარისა, წვიმებისა და სევანის ტალღებისაგან; არც თუ დიდი ხნის წინათ ტაძარი მდგარა შემალღებულ ადგილზე და გარშემორტყმული ყოფილა კედლებით, რომელთა კვალი დღესაც დარჩენილა. სალი კლდეების გაყოლებით, წყლებისაგან მიტოვებული ვაკე თანდათან იფარება ახალი შენობებით.

ქვიშნარში გამოტილა და უღიმღამო შესახედავია ერთი გრძელი ავტობუსი — ბორბლები მოუხსნიათ და ფეხებ მოჭრილ ჭაგლაგს მგავს. ყოფილი ავტობუსი მშენებელთა სასაუზმეა; ალბათ, ერთი

იმთვანის ხელს წაუწერია წითელი საღებავით ავტობუსის შუბლზე — ყავახანა „ურარტუ“. მე ხან რუსა პირველის დროინდელ ლურსმულ წარწერას ვუყურებ, ხანაც ავტობუსს და ჯავრიანად მელიმება ეპითაცვლის ამ კოქტიელზე — ერთ კვადრატულ კილომეტრზე სხვადასხვა საუკუნეები ხედებიან ერთი-მეორეს: — ერთ მხარეს მეფეა, მეორე მხარეს, ალბათ შოფერი აფსუს, რომ ავტობუსს დიდხანს არ დასტოვებენ აქ, დღეს თუ ზვალ ბორბლებს მოარგებენ და სხვაგან წაიღებენ, სადაც უფრო საჭირო იქნება. ხოლო ამ ადგილზე, რუსა პირველი მეფის ლურსმულ წარწერასთან, წყალსადენით მდინარე არფა სევანს შეუერთდება. კიდევ ორი წელი და გრძელი გვირაბის ღრმულეში გამოვლილი არფას გადარეული წყლები აქედან შეიჭრებიან ტბაში. „ალბათ, რუსა პირველმა იცოდა აქ გვირაბს გამოიყვანერო, — ოხუნჯობს ერთი ჩვენგანი, — ვინ იცის, იქნებ პირველი პროექტის ავტორიც ის არის?“ მე კი საღ კლდეებზე ამოკვეთილი სხვა წარწერების ასავალ-დასავალზე ვფიქრობ, იმ წარწერების შესახებ, რომლებიც ცოტა ხნის წინ ვნახე არფა-სევანის მესამე უბნის ღრმულეებში; იგი 2700 მეტრის სიმაღლეზეა. ლიფტმა 668 მეტრ სიღრმეში ჩავვიყვანა თუ არა მიწის ქვეშ, იქა ვნახე ევ წარ-

* რამდენიმე თავი წიგნიდან, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს „მერანი“.

წერები. სანგრევის მარჯვნივ მეშვიდე გვირაბდამდე, მარცხნივ — მერვე. მეშვიდე გვირაბდამდელის სალი კლდეების მაღალი კედლები აჭრელებული იყო სახელებით, გვარებით, წინადადებებით.

— რა წარწერებია?

— ბიჭების ახორებაა, რაც მოეპრიალებათ, მიაწერენ ხოლმე, — მითხრა უბნის უფროსმა.

წარწერებში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა გასაოცარმა სტრიქონმა: „მე შენ გელოდები, არფა!“. ქვეშ ხელმოწერაა — სევანი; მამასადაძე, სევანსაც „დაუწერია“ თურმე. ელექტრომატარებელმა გვირაბის ღრმულში გაგვაქანა. ჩვენ ისე ვიყავით გამოწყობილი, როგორც სიცხის დროს საბანაოდ. დამატებით მხოლოდ ჩაჩქანი გვეხურა და რეზინის ფეხსაცმელები გვეცვა; დაბლა ცხელო, — ზემოთ გაგვაფრთხილა უბნის უფროსმა იური მკრტიჩიანმა. მივხვდი, არ ხუმრობდა, გუშინ საღამოს თათბირზე დავრწმუნდი, რომ ის სულაც არ იყო ხუმრობის ხასიათზე, როცა ლამის ზურგზე ბოლი აღინეს მერვე გვირაბდამდელის უფროსს ოვანეს აბელიანს — გინდა თუ არ გინდა, შენმა ბრიგადამ თვეში 150 მეტრი გვირაბი უნდა გათხაროსო.

— არ შემოძლია, — უარობდა დიდი არტიტის ოვანეს აბელიანის სეხნია, — ადამიანს ჯერ ჰაერი უნდა მისცე, რომ ისუნთქოს, მერე კი საქმე მოსთხოვო. მე სხვა არაფერს ვთხოულობ, ჰაერი მინდა, ჰაერი...

— ვისგან თხოულობ? — გაუბრაზდა უბნის უფროსი, — ვისგან მოითხოვ ჰაერს?

— შენგან. ჩვენს სანგრევში 40 გრადუსზე აღის სიცხე. ოცი წლის ბიჭებიც ვერ უძლებენ, მე კი ოცდაშვიდი წელია მიწის ქვეშა ვარ.

— ჰაერს ერევნიდან ფოსტით ვერ გამოგიგზავნიან. ჰაერი თვითონ უნდა შეგქმნათ. არ ვიცი არაფერი, თვეში 150 მეტრი უნდა გათხაროთ. მართალია, ძნელია, მაგრამ მაინც უნდა გა-

ეაკეთოთ... სევანა მეტს ვერ დაიტანს.

— ეგ მეც ვიცი, ვერ დაიტანს!

ჰაერი, ჰაერი, ჰაერი! — სანგრევის თათბირზე ამ არსებით სახელს აბრუნებდნენ წალმა-უკულმა. მე მექანიკურად ვინიშნავდი ჩემთვის, რასაც ლაპარაკობდნენ და მხოლოდ გვირაბდამდელში მივხვდი მათ გასაკვირს. ორი კილომეტრი არა გვექონდა გავლილი, სუნთქვა გაძნელდა, თითქოს უჰაერო სივრცეში შევდიოდით. წურწურით ჩამოგვდიოდა ოფლი.

— აქ 36-37 გრადუსია!

რა იქნება ორმოცზე? — ვფიქრობდი მე. მარჯვნივ, მარცხნივ, მაღლა, დაბლა გვირაბი ლეგენდარული ზომის ერთი მთლიანი ლოდის ღრმულში მიემართება. ერთი პეშვი მიწა რა არის, — ესეც არ არის, არც წყლის ნახახია. მხოლოდ ქვა, ქვა და ადამიანები, რომლებიც ხვრეტენ, აფეთქებენ და წინ მიიწევენ მილიმეტრობით. დიახ — მილიმეტრობით.

მიწისქვეშა წყლებსაც კი უკან დაუხვევიათ, სალი კლდეების ნაპრალებში ვერ შეუღწევიათ, თორემ ცოტა სისველესა და ჰაერს შეიტანდნენ. ... აჰა, ესეც დასასრული! წინ სალი კლდის ყრუ კედელია. საშინელი ქვა არ ნებდება, მილიმეტრსაც არ თმობს, თითქოს გამომწვევად ამბობს: ადამიანო, თუ ძალა შეგწევს, აგერ ვარ, ბიჭი ხარ დამამსხვრიეო. ქვისებრი ნაოქებით დაღარულ კედელთან მუშა დგას. მიქელ ანჯელოს დავითს ვამსგავსებ, ფლორენციაში რომ მინახავს. „დავითი“ ხელს მიწვდის — „არიუწიკი ვარო, — მეუბნება და სახეზე გაკვირება რომ შემამჩნია, დაუმატა: — არიუწიკი მარქარიანი. ცოტა ხნის შემდეგ, ნათელ ქვეყანაში რომ ავედით, მე ვნახე ყველაზე გასაოცარი სკოლა — ერთი კლასი, სადაც რვა ბავშვი სწავლობს, ოთხი სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის იყო ქორფლიანი პატარა ირინა. ჩემს შეკითხვაზე მამაშენს რა ჰქვია-მეთქი, მან

მომიგო: „აილუწიკი“. არიუწიკის გვერდით იდგა ვლადიმერ პერშაკოვი.

— აქ ერთმა ჩვენმა სომეხმა ბიჭმა დავთრები აურიო ჩემს გოგოს. შვილი-შვილი სომეხი იქნება, — მითხრა პერშაკოვმა და ღია ცისფერ თვალებში ღიმილი გამოუკრთა, — დონბასელი ვარ, მეშვიდე წელია აქ ვმუშაობ, მერე ერევნის მეტროს გავიყვანთ.

წარმოგიდგენიათ? პერშაკოვის შვილი-შვილი სომეხია!...

სხვა ბიჭებიც გავიცანი, გულდასმით დავათვალიერე გვირაბდამუშავები, ჰაერის კი არა, სიტყვების მოძებნაც გამოვიკრდა, პატიოსანი სიტყვების, რომლებიც არც ფერად-ფერადი ბუშტები იქნება და არც გასუნებული ძველმანები: „მართალია, ძნელია, მაგრამ მაინც უნდა გავაკეთოთ, სევანი მეტს ვერ დაიციდის“. ერთი ჭაბუკიც გავიცანი. ჩაჩქანი არ უჩერდებოდა თავზე, ისეთი-სქელი თმა ჰქონდა. ფერმკრთალი იყო, მევიოლინე მეგონებოდა, მზის სინათლეზე რომ შესხვედროდა, ანდა თამბაქოს ბოლით დაბინდულ ყავახანაში. ნეტა იმის სახელიც ეწერა კლდეების კედლებზე? ლორღის შემგროვებელი მანქანა ზღაპრის კლდეები დედაკაცივით აქნევდა ფოლადის ხელებს, დახარბებული აგროვებდა ქვების ნამსხვრევებს; ბიჭებს მანქანისათვის მექრთამე შეურქმევიათ. ეგ რომ არ იყოს, დავიღუპებოდი, სასწაული მანქანააო, — ამბობდნენ მუშები. ჰაერი, მართლაც, არ იყო, სიცხეს იმდენად არ შევეუწუხებოვარ, რამდენადაც ყანგბადის უკმარისობას. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჰაერგამოთიშული ზარის ქვეშ ვიმყოფებოდი. „სცადეთ, აანთეთ ასანთი, არ აინთებაო“, — მეუბნებოდნენ ბიჭები. ჰაერის მწმენდავი მილები მუშაობდნენ, მაგრამ ვერ ასწრებდნენ ყანგბადის მომარაგებას. ერთი მიზეზიც ეს არის, ნორმალური მუშაობის ხელის შემშლელი. მაგრამ მთავარი მაინც ქვა, მისი სიჭიქტე, ჯიქობა და ურჩობაა.

— ...მერე საქმე გაადვილდება, —

მითხრა უბნის უფროსმა, — ბეტონით რომ არც შევეკრათ, გვირაბი მაინც უნდა იქნება, აბა შეხედეთ, ზხარის ნასასხარეც არ ატყვია კედლებსო.

მართლაც, კედლები ისეთი გლუვი იყო. გვირაბი ბაზალტის სიღრმეში ზღაპრული მანქანის მიერ გახვრეტილი მეგონა. ჰაერი არ იყო, მაგრამ სევანს მეტი დაცდა არ შეუძლია. ამიტომაც ერთკინებიან გასაოცარი ბიჭები — რუსი, სომეხი, უკრაინელი, ბელორუსი — სალი კლდეების ჯავშანს, მცირეოდენი ჰაერით მიდიან იოლას, თითქოს რიგრიგობით სუნთქავენ ყანგბადს. მერე ოვა, ნეს აბელიანიც ვნახე, გუშინ საღამოს რომ ამბობდა, „არ შეგვიძლიაო“. ჩაჩქანი ეხურა, ნახევრად შიშველი იყო და ისე უტრედა სალ კლდეს, არც კი მჯეროდა, გუშინდამ უჰაერობას რომ უჩიოდა. სევანს არ შეუძლია დაცვა, მაგრამ ადამიანმა ყველაფერი უნდა შეიძლოს... რაკი ის ადამიანია, მამსაადამე, ქვაზეც მაგარია და ასეც არის — სალი კლდე უკან იხვეს მისი ძალის წინაშე, მართალია, მილიმეტრობით უთმობს გზას, მაგრამ უკან იხვეს. ოვანეს აბელიანთან საუბარში შევიტყვე, რომ ის მართო არ მოსულა არფა-სევანში, თან მოუყვანია დედა, ძმა, სამი და ქმრებითურთ და ერთი სიძის მამაც, ზოლო ის ჭაბუკი, მევიოლინეს რომ მივამსგავსე, მისი დისწული ყოფილა. ელექტრო-მატარებელს უკან რომ მივყავდი, ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი კედლებზე დაწერილ სახელებს და ახლა ვნანობ, არ გადმოვიწერე, მით უფრო რომ, როგორც კი არფას წყალი სევანისაკენ გაიჭრება, იმ სახელებს ყველას ჩამორეცხავს...

„... რუსა პირველმა... დაიპყრო... შემოიერთა...“ ამას მე მიჩვენებია მოინახოს გოლიათი კლდე და მის ქიმზე ამოიკვეთოს ანბანის მიხედვით გვირაბის გამყვანთა სახელები და გვარები, აგრეთვე, ბავშვებისა, მოანგარიშებისა, ფოსტალიონისა ასეთი წარწერით: „ჩვენ

მოვედით, ძმურად შევიკრიბეთ, ჩავედით მიწის ქვეშეთში, დავიპყართ ულმობელი ქვიანეთი და მდინარე არფა შევეურთეთ ტბას, რათა ჩვენი დასმარებით მოძმე სომეხმა დაიბრუნოს სევანის სილამაზე“.

შორეულთა თვეკრძა მეფევე, რუსა პირველო, არგიშიტის ძევე და მენუას შეილიშვილო! სხეებმა იბრძოლეს და შენ დაიპყარი, სხეებმა სისხლი დაღვარეს და შენ შეიერთე, თანაც შენი დიდების ამბავი ლურსმული წარწერით დაგვიტოვე, რომ მას ვერაფერი დააკლოს დროემამა და დავიწყების ქარბორბალამ! — და მაინც, მკვდრეთით რომ აღსდგე 4000 წლის შორეთიდან და გინდაც მესამე უბნის გვირაბლრულეებში ჩასვლა რომ შეიძლო, მერე იქიდან ამოსულმა არიუქითან, ვლადიმერთან და ოვანესთან ერთად „ურარტუს“ სახელობის ავტობუს-საყავეში რომ შეხვდებ, იქ ლუდი და არაყი მიირთვა, და შექვიფიანებულმა მერე შენს ლურსმულ წარწერაზე — „დავიპყარი, შემოვიერთე“ — რომ შეგახვდა, მერწმუნე, უთუოდ გაგეციანება...

შენ კი არა, — ამით დაიპყრეს! ამით ხელი შეაერთებს სევანთან არფას წყალს! დიას, არფას წყალი წაშლის ამით სახელებს კლდეზე, მაგრამ მაშინაც მათ უწყინრად გაელიმებათ.

* * *

1968 წელი, დეკემბერი. საფრანგეთის ქალაქ შარტრში ვართ.

სამგლოვიარო პროცესია ტაძართან გაჩერდა.

— მოვიცადოთ, ვუყუროთ საინტერესოა, — ვთქვი მე.

ჩვენები წავიდნენ, ოთხნი დავრჩით. ტაძრის კარებთან ჩამწკრივდნენ ძაძებშემოსილი ქალიშვილები და ჭაბუკები. გამველელ-გამომველენი გაჩერდნენ. მოიხადეს ჭულები. შავსამოსიანმა ოთხმა ყმაწვილყაცმა შავი მანქანიდან გადმოასვენა თავდახურული კუბო, მხრებზე შეიდგეს და ტაძარში შეიტანეს.

კნობისმოყვარეობამ წაგვძლია, ხალხში გავერით, ჭირისუფლებს უკან აღმოვჩნდით, ანაზღად შათთან ერთად შევედით შიგნით, სადაც მაღალ კუარცხლებზე ესვენა კუბო და ჭირისუფლების გვერდით დავსხედით. მოველოდი, რომ აქ მაინც დავინახავდი მიცვალებულს, მაგრამ ამაოდ — სახურავი არ გადახადეს. საიდანღაც მოისმა ორღანის ხმა, აინთო სანთელის მსგავსი ელექტრონათურები, ფრანგი პასტორი მივიდა მიჯროფონთან და დაიწყო პანაშვიდი. ტაძარში მყოფნი ჩუმად უსმენდნენ, დროდადრო წამოდგებოდნენ, პირჯვარს იწერდნენ და ისევ სხდებოდნენ. პანაშვიდი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა და ამ ერთ საათში ჩვენ მხოლოდ მიცვალებულის სახელს მოვკარით ყური — მადამ გოთიე. იგი, როგორც ჩანდა, დიდი საგვარეულოს დედაბოძი იყო. პირველ რიგში დამსხდარ ჭირისუფლებში მე გუმანით შევიცანი შეილები, შეილიშვილები, რძლები და ახლა ვცდილობდი გამომეცნო მეუღლე. ორღანი ხმადაბლა ბუბუნებდა, მაგრამ დიდებულად. დროდადრო იმ კუთხიდან, სადაც ორღანო იდგა, ვიღაცა ესმიანებოდა პასტორს, აგრძელებდა საგალობელს. (მე კი ირგვლივ შემოკრებილ ფრანგებს ვუყურებდი. მწუხარების დროს აღამიანები ერთმანეთს როგორ ჰგვანან-მეთქი, გავიფიქრე და უეცრად ეჩმიაძინში წარმოვიდგინე თავი სომეხი დედაბრის პანაშვილზე). ძალზე უცნაური იყო საგალობელი. პასტორი თითქოს ელაპარაკებოდა მადამ გოთიეს სულს, რომელსაც ამიერიდან არაფერი ესაქმებოდა ამ რთულ, უთავბოლო და უაზრო სამყაროსთან.

ბოლოს პასტორი გაჩუმდა და საცეცხლურით ჯვარი გადასახა განსვენებულის კუბოს. მერე მივიდა პირველ რიგში ჩამწკრივებულ ჭირისუფლებთან და საცეცხლური გადასცა სასიამოვნო სახის დამწუხრებულ მოხუცს. როგორც ეტყობა, ბატონ გოთიეს, ყველანი წამოდგნენ და თავდახრილი გაჩერდნენ.

პატონმა გოთიემაც საცეცხლურით ჭვარი გადასახა კუბოს და იგი გადასცა გვერდით მდგარ ორმოცდახუთიოდე წლის მამაკაცს. ჩემი ვარაუდით, უფროს შვილს, მან — მეორეს, მეორემ — მესამეს და წავიდა საცეცხლური ხელიდან ხელში. ყველა იქ მყოფი საცეცხლურით ჭვარს სახავდა კუბოს, მის მახლობლად ვერცხლის ლანგარზე რამდენიმე გროშს დებდა და მერე განსვენებულის ჭირისუფლებს ხელს ჩამოართმევდა ხოლმე. სხვა გზა არ იყო, ჩვენც ვადავსახეთ საცეცხლურით ჭვარი, წერილი ფული დაეყარეთ ლანგარზე და მიუსამძიმრეთ ჭირისუფლებს.

თავიანთი დიდი მწუხარების მიუხედავად, მათ მაინც ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ — ყურადღებით შემოგვხედეს, მით უფრო, რომ ჩვენ ნამდვილი ტურისტის გარეგნობა გვქონდა (ამის დასტურად მარტო ფოტოაპარატები რად ღირდა!) და მუნჯებით ვიყავით; როცა ხელს ვართმევდით ბნ გოთიეს, ახლოდან დავინახე, რომ მას ღია ცისფერი თვალები ჰქონდა, „მერსი, მუსიო“, — მითხრა მან და მაგრად ჩამომართვა ხელი. იგივე გაიმეორეს სხვა ჭირისუფლებმაც. არ ვიცი მომეჩვენა თუ მართლაც ისე იყო, ყოველი მათგანი ჩვენ ხელს გვართმევდა გამორჩეული სითბოთი, ისინი მაღლობელი იყვნენ, რომ ჩვენ, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა ადამიანებმა, გავიზარეთ მათი მწუხარება. იქნებ მე ვცდები, მაგრამ იმ წუთებში ასე მეგონა და ასეც იყო...

ტაბრიდან რომ გამოვედი, ერთმა ჩვენგანმა, ვანელი სომეხის შთამომავალმა, პოეტმა, წაიფილოსოფოსა...

— სომეხთა ბედისწერა ეს არის, რალა მაინცდამაინც პანაშვიდს უნდა დაესწრებოდითო...

ბედისწერა აქ არაფერ შუაშია. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი, პარიზის ერთ-ერთ ეკლესიაში ჩვენ საქორწინო ცერემონიალსაც დავესწარით. მაგრამ მე მაინც მაღამ გოთიეს პანაშვიდი ჩა-

მრჩა მესხიერებაში, მისი ნათესავების სევდიანი თვალები დამამახსოვრდა და განსაკუთრებით მათი თბილი ხელის ჩამორთმევა. (ცოტა ზემოთ კი მე ვამტიკებდი, მწუხარების გაზიარება შეუძლებელია-მეთქი).

* * *

„ესკიზების“ ამ ნაწილს წერილის ფორმით ვწერ. მისამართი: კანადა; მონრეალი, ალბერ მარტიკიანს. ასლი — ქვეყნიერების ოთხივე მხარეში მცხოვრებ ყველა სომეხს.

ძვირფასო ალბერ!

ჩვენი შეხვედრის დღიდან წელიწადი შესრულდა და, სამწუხაროდ, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. თოვლის გუნდასავეთ ნელ-ნელა დნება და იკარგება სხვა მოგონებებიც. მაგრამ არ დამეიწყებია და არასოდეს არ დამეიწყდება ის დღე, თვალები სევდიანი რომ გაგიხდა და ხმას ვერ იღებდა. იმ წუთებში ჩვენ ორივეს გაგვიძნელდა კრინტის დაღვრა. მე დღემდე განვიცილი იმ ღღის სიმწარეს და არც შენ დაგავიწყდებოდა ალბათ. მაშინ ჩვენ შენი სახლისკენ მივქროდით, კარგ გუნებაზე ვიყავით, საშობლოზე, ჩვენი ხალხის ტკივილებზე ესაუბრობდით. უკანა სავარძელზე შენი მეგობრის შვილს ეძინა, ძალზე დაქანცული იყო საკვირაო სომხურ სკოლაში მეცადინეობისაგან; ამიტომ ჩვენ ხმადაბლა ვლაპარაკობდით. უეცრად დიდი სიჩქარით ჩაგვექროლა სხვა მანქანამ და ოდნავ გვერდი გაჰკრა შენსას. შენ უშალ გადახედი და შეამოწმე — მარცხენა ფრთაზე გვარიანი დადი ემჩნეოდა.

— ხედავ? არც გააჩერა, — სთქვი შენ, ჯავრიანი მიუჭექი საქვს, სიჩქარე ჩართე, სამ წუთში დავეწიეთ იმ მანქანას, აიძულე განჩრებულიყო. ორი მძღოლი პირისპირ დადგა და დაიწყო... მსგავსი შემთხვევის დროს მთელ მსოფლიოში — რომში, ჩვენს არტიქში, ამერიკის ანდა ინდოეთის გზებზე — ცნობილი პაექრობის სცენა: ორივე ერთმა-

ნეთს ლანძღავდათ ფრანგულ ენაზე, ერთმანეთს ამკობდით უწმაწური სიტყვებით. და ჩემთვის ნათელი იყო თქვენი დავის ასავალ-დასავალი. ათი წუთის კამათის შემდეგ ორივემ მიიბრინეთ საგზაო ტაქსაფონთან და პოლიციაში დარჩევთ. უმალ გაჩნდა მოყვითალო შავი მანქანა. პოლიციის წინაშე ისევ განაახლეთ კამათი საზიარო ბრალდებებით, მაგრამ — აღრინდელთან შედარებით — წყნარად. მერე თქვენ ჩასხედით პოლიციის მანქანაში და მგონი ახსნა-განმარტება დასწერეთ. ათი წუთის შემდეგ პოლიციელები წავიდნენ, ის მანქანაც გზას გაუყვა, შენ კი ნელი ნაბიჯით დაბრუნდი, და საჭეს მიუჭექი. გაფითრებული იყავი, სახის ნაკეთები დამაბული გქონდა, თვალებში მოუსვენრობა გეტყობოდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — შეგეკითხე მე.

— ის სომეხი გამოდგა, — სთქვი შენ და გზას გახედე — საბუთებში მოკარი თვალი მის გვარს, მანუკიანი იყო, სახელის ამოკითხვა ვერ მოვასწარი...

— სომეხი? — იქით შეგეკითხე და უმალ მივხედი, რომ კითხვა უადგილო იყო, რადგან შენ სიტყვებში „სომეხი“ სევედასავით გაისმა, მეტიც, თან ისე იღუმალად ამოიხორცე, თითქოს კიდევ რალაც გინდოდა გეთქვა...

მაშასადამე, მსოფლიოს გზაზე შეხვდა ორი თანამემამულე, ერთმანეთი ავიწყნეს უცხო ენაზე და გაბოროტებული ვაშორდნენ ისე, არც შეიტყვეს, რომ ერთი მიწაწყლისანი ყოფილან, ერთი და იმავე ტალღით ერთ ნაპირზე გამოიყვლი. რას გაიგებ, იქნებ მათი მამები ერთსად იმავე მთებში დაიბადნენ, იქნებ ერთად იარეს ლტოლვილების ეკლიან გზებზე, ძმურად გაიყვეს ერთი ყლუპი წყალი! ანდა — იქნებ სხვადასხვა ყოფილა მათი გზები? მერედა ამით განა რაიმე შეიცვლება, თუკი ორივეს წინ მუდამ იდგა ერთიდაიგივე სფინქსი — სომეხთა ბედისწერა?.. იმ ფრანგული შეძახილების ეჭო დღესაც ხშიანობს

ჩემს ყურებში და, როგორც მაშინ, ახლაც დარდიანად ვფიქრობ: რაკ დრო გაივლის, მით უფრო განმარტება მსგავსი შეხვედრები უცხო ნაპირებზე, სულ უფრო ხშირად დადგებიან პირისპირ თანამემამულეები, შეხვედრისას შეიძლება კიდევ გალანძლონ ერთმანეთი უცხო ენაზე და მერე დაშორდნენ.

გზა რომ განვაგრძეთ, ორივე ვეღუბდით, ძვირფასო ალბერ, შენი სევდა მეც გადმომედო და მერე ვერც ღვიწრომ გადამყარა გულიდან, ვერც ფირზე ჩაწერილმა სომხურმა მელოდიებმა. მით უკეთესი! სწორედ ასეთი სევდით იღვენება გულიდან სიცარიელე, ამ სევდით განსხვავდება ადამიანი გონიერი მანქანებისაგან, რომლებიც მილიონობით რიცხვებს იხსომებენ და წამში ასობით გაანგარიშების უნარი შესწევთ.

მიყვარს მსოფლიო გზები, იმათ, ბოლოსდაბოლოს, ისევ სამშობლოში მივეყვარ. მაგრამ რომ არ ყოფილიყო რამდენიმე ასეული კილომეტრი გზა ჩემი მშობლიური ქვეყნისა, მსოფლიო კილომეტრები ვერსადაც ვერ წამიყვანდნენ. დიახ, ვერსად, მე ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ ამ ყველაფერს გონა გახსენება უნდა?

* * *

ჩემი ბებო...

უკვე ასი წლისაა მგონი, მაგრამ არ გვიმხელს. სამმა წელმა რა ხანია გაიარა, ის კი ოთხმოცდაათექვსმეტისა ვარო. ზოგჯერ ეახერხებ საუბარში გამოწვევას.

„ახალი პატარძალი რო ვიყავ, მე და მეზობლების რძლები სახლის წინ ვსდებოდით ხოლმე. ერთხელაც ვხედავთ, ერთი ცხენოსანი მოდის, უკან სხვა ცხენოსნები მოჰყვებიან. წინა ცხენოსანს წვერულვაში ჰქონდა, მკერდზე ჭვარი ეკეთა, ცოტაზე წელში იყო მოხრილი. მერე გავიგე, ხრიმიან პაირიკი ყოფილა.“¹

¹ კათოლიკოსი ხრიმიანი.

ბებოს ძმა მაღალი სასულიერო პირი იყო. 1915 წელს გარდაცვლილა ეჩმიაძინში. იმ დღეებში ქალაქი დასწვრივული ლტოლვილებით ყოფილა სავსე, ისინი ბუზებივით იხოცებოდნენ თურმე, ამიტომაც დიდი სასულიერო პირის სიკვდილსაც შეუმჩნევლად ჩაუვლია, დღეს საფლავის მონახვაც კი ჭირს.

ბებოს ნაამბობია:

„იმისი სახლის კარები დაღუქეს, დიდი ბოქლომი დაადეს. ყველაფერი მონასტერს რჩებოდა. მაშინ გამახსენდა, ჩემი ვერცხლის ქამარი იქ იყო. არ ვიცოდი ვისთვის შემეჩვილა. ბოლოს გავბედე. ერთ თეთრწვერებიან კაცს მივაკითხე. გულისყურით მომისმინა, დარდიანად გაიღიმა, მერე ერთ ტერტერას დაუძახა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ლექა ახსნეს, ქამარი წამოვიღე. მერე გავიგე, ის კაცი, სახე წმინდანს რო უგავდა, ოვანეს თუმანიანი ყოფილა“.

ბებოს ვეკითხები.

— მხედართმთავარი ანდრანიკის ძეგლი თუ გინახავს, აი ის, უჭარციანელებმა რომ დაუდგეს-მეთქი.

— შე სარდარი მინახავს, ჩემი თვალებით მინახავს.

— როდის?

— გეტყვი. დედაშენი რომ გვათხოვეთო, — (შე ჩუმად ვითვლი და ვვარაუდობ, ალბათ 1915-1916 წლებში იქნებოდა.) — ჰო, ღამე მოვიდა და ღამევე წაივდა. მთელი სოფელი გაჩირადნებული იყო, — (ესე იგი, ყველა სახლში ნავთის ლამპები და სანთლები ყოფილა ანთებული) — წმინდა მარიანეს საყდრის ზარები ირეკებოდა. ერთი ზორბა კაცი იყო, ველარ მომიგონებია, რა ერქვა, მგონი ეფრემა. ჰოდა, ეფრემას სარდალი მხარზე გაედო და ისე მოჰყავდა. ახლოდან ვნახე, ფეხსაცემელზე ხელი შევახე. ეხლა ავიზირებია, ძეგლიო... ძეგლი თქვენ ნახეთ“.

მახსოვს, ბებო რამდენიმე წლის წინათ ამბობდა:

— აი ერთი ესეც დაეპოვნინოთ და მერე მოგვცდებიო.

„ერთი ესეც“ მე ვიყავი ^{ბებო, როცა} ჩემი გოგო მეოთხე კლასშია, ამბობს:

— ბარემ ლევონის ქორწილსაც მოვესწრო და მერე დაე...

ლევონი ბიძაჩემის შვილია, ჯერ 14 წლისაა.

ჩემი ბებო...

იგი ახლა „ვორსკან ახერს“ ლიღებს ხოლმე. ჩემზე ნაწყენია, რომ არც ერთი ჩემი დაწერილი წიგნი არ მიჩუქებია.

— ბებო-ჯან, რად მოგცე სულ ერთია, ვერ წაიკითხავ.

— კამოდზე დადებ. ამდენი მომსვლელ-წამსვლელია. დაე ნახონ, რო ბებოს არ ივიწყებო...

ამ ბოლო დროს ზოგჯერ მოიწყენს ხოლმე, ანაზღად აგონდება ახლობლები, რომლებიც კარგა ხანია იმ ქვეყნად არიან. ამბობს, მალე მოგვცდებიო. ამას ისე მშვიდად იტყვის ხოლმე, თითქოს ოშაკანში გათხოვილ ქალთან აპირებდეს წასვლას.

— მწიფე ქერამია მოხუცებული ადამიანი, — იტყვის ხოლმე. — ან დღეს ჩამოვარდება ან ხვალე.

მხოლოდ ერთხელ შევესწარი, ძალიან ნაწყენი იყო რატომღაც და ბოღმიანად ამბობდა:

— ეს ოხერი, ნეტა სიკვდილიც ფულით ყოფილიყო, როცა გინდა იყიდო, მორჩე და მოისვენო, თორემ...

ჩემო ბებო, ჩემო სომეხო ბებებო!...

თქვენ რომ არა, ვინლა მოგვითხრობდა ჩვენი ყრმობის ლურჯთვალა ზღაპრებს? ვინლა მოგვცემდა სიკეთისა და ქველბობის პირველ გაკვეთილებს? ვინლა დაგვიფარავდა ჩვენ ყურების ასაწყევად გამოწვდილი დედის ხელებისაგან? ვინ?...

შაინის ხულივი

ყაზარდო-ბალყარეთი

დედა-ენა

შენში ჩამდნარა დედის ძუძუს სიტკბო ნელ-თბილი
და მშობლიური ბალახების ნაზი სურნელი,
შენს სიტყვებშია გადღევილი ნაძვის ზეფირი,
როგორც რძე მსუყე, სასიამო და სასურველი.

გამომცხვარ პურის სურნელემა შენს ბგერებს ასდის,
დედის კეთილი გამოხედვა სიტყვას ანაზებს,
შენში გამჯდარა ჩაუქრობელ კერიის მადლი,
მაისის ცისკრის სიხასხასე და სილამაზე.

შენში გრუხუნებს ავი ზევაი, კლდეებს მომწყდარი,
ისმის მთებს იქით გატყორცნილი ისრის წივილი,
ჯიხეთა კიდილის ჯახა-ჯუხი გასაოცარი,
არწივთა ფრთების ტლამუნი და ცივი ყივილი.

შენში ჩქრიალებს წმინდა წყარო და ჰქრის ნიავი,
მზის ხვატი სუნთქავს, იზმორება მწველი აღმური.
განსაცდელის ეამს ხმა მოისმის ქარიშხლიანი
და მშვიდობის ეამს — უტკბილესი ხმა სალამურის.

უბედობის ეამს შენ კარგი ხარ, მძლავრი კვერთხივით,
ლხინში კი მღერი, ზურნასავით ზეცას შეპყვი.
შენ დედა ენავ, სიტაბუკის ენავ, გალალდი
და ერთგულების ენად დარჩი აწ და მარადის.



* * *

შორით თოვლია, თოვლი ნისლით გადაფარულა
და მთაც მოზრილა, ტვირთს ძლივს უძლებს ახლად დანათოვს.
დიდი ცხელი მზე ბაჭყალს იჭით რომ მიმალულა,
წითლდება ისე, ვით გაჭრილი მწიფე საზამთრო.

ორი ქვისმთლელო, განუყრელი, ორი ყონალი —
სიკვდილ-სიცოცხლის საოცრების გამოშწარხავი.
ერთს უნდა სუფთად გამოთალოს სწრაფი დოლაბი
და მეორეს კი სამარის ქვა, ლოდი საფლავის.

გრანიტი მძლავრობს, ნაპერწკლებს კყრის, უფრო ფიცხდება...
დაულალავად ქვას კკოდავენ მრავლია მომსწრენი.
ორივემ იცის: დაპურდები, გარდაიცვლები,
პატივისცემას მოგიზღავენ შემდეგ ცოცხლები.

ორივემ იცის, რომ დოლაბი ცოცხლებს სჭირდებათ,
გატყვხონ პური არსობისა, დაუძრახველი.
სამარის ლოდი — გარდაცვლილთა არ დავიწყებად,
შემოუნახონ შთამომავალთ მათი სახელი.

ეს ორი ლოდი, ერთი კლდიდან ჩამონათალი,
გასაოცარი ამ კავშირის არის დასტური
და ისე როგორც გაზაფხულს წინ უძღვის ზამთარი,
სიკვდილთან თურმე სიცოცხლეა გადალასტული.

ბრუნავს ტირილში, სიხარულში ეს დედამიწა,
სიკვდილს სიცოცხლე არ სცილდება თურმე არასდროს.
მზე კი ამოდის, ლამის არის თოვლი დამიწვას,
წითლდება ისე, ვით გაჭრილი მწიფე საზამთრო.

თარგმნა რევაზ მარანიანი



ალის კაზოკოვი

ვახარდო-ხალყარეთი

ორი ლექსი მეურმის სიმღერა

მთები, მთები და — კვლავ მთები,
 ხარების მძიმე ნაბიჯი;
 ურემი, ურმის კოფოზე
 მეურმე ბიჭი ხმადინჯი...
 ის ბიჭი მე ვარ, ხარები
 რქებზე მუქარას იხვევენ;
 სახრე მიჭირავს ჯაგისა,
 გულში ვიგროვებ სიმხნევეს...
 მარჯვნივ მიმავალს მარჯვენა
 რქის ძირში დავეკრავ სახრეს და
 გზა იქით ექაჩებოდეს,
 მარცხნივ იბრუნებს სახესა...
 ზამთარში ფრთხილად შიველალავ
 მკერდყინულიან კლდის გასწვრივ;
 ვცდილობ, ფეხი არ დაუსხლტეთ,
 ძინს უფსკრულია ცის მსგავსი...
 ნაპირს თუ მოვწყდით, გათავდა,
 ზელს ღმერთიც ვეღარ ჩაგვჭიდებს;

ვინდა იპოვნის ჩვენს ძვლებს და
 ურმის ლარტყეებს და ჭანჭიკებს...
 მარცხნივ მიმავალს მარცხენა
 რქის ძირში დავეკრავ სახრეს და —
 გზა მარჯვნივ ექაჩებოდეს,
 მარცხნივ იბრუნებს სახესა...
 და შეჩვენება რქებშორის
 ქარ-ბუქის ორომტრიალი;
 ორომტრიალში კერძის
 შინდისფერ ალთა ბრიალი...
 შინ მივალ შინდა სარებით,
 ხარებით ნაჯაფარებით;
 ჯერ მათ მივხედავ, სუფრისკენ
 არ გამეჭვება თვალები.
 ფურქის დავუყან, მერე კი
 გადავაბიჯებ დირესა;
 შევეძახებ მე ჩემს პირიმზეს,
 როგორც ირემი ირემსა...

კვიცები და ფაშატები

იმ ხალამოს რა საამო დარი იღვა სოფლად,
 თვითონ ბინდსაც არ უნდოდა უსინათლოდ ყოფნა;
 ღობე-ღობე, შუკა-შუკა დადიოდა ჩოქით,
 გასაყიდად რომ გარეკვს ფაშატების ჯოგი,

კვიცები რომ გააჯაფრეს ერთმანეთის მჯობნი...

და როდესაც ფოთოლ-ფოთოლ

წამოენთო ცვარი,

წამოენთო, აღმასებად აბრიალდა მერე,
მეჯინიბემ საჯინიბოს გახსნა რკინის კარი —
ფაშატების ნაშეირნი მოჰფენოდნენ ველებს,
ეძოეთ და ეჭმუნათ ჟრუანტელის მგვრელებს...
მაგრამ გეზი იცვალეს და

შეტრიალდნენ სხვა მხრივ,

გზას უთმობდა სადგურიდან მომავალი ხალხი.
გზას უთმობდა და ისინიც მიიწევდნენ სწრაფად,
ერთხელ კიდევ შესწრებოდნენ ქაფჭაფა რძის ჩქაფანს,
ვიდრე, ვიდრე ეშელონი დასტოვებდა ბაქანს...
ეშელონის დარაბები

ღია იყო ისევ,

ფაშატები კვიცებისკენ იგრძელებდნენ კისრებს.
ირყვოდა ბაქანი და რიკულები რკინის,
ჭიხვინითლა იყუჩებდნენ განშორების ტკივილს...
ჯახთამრიდის ჯახი მოჰყვა ორთქლმავალის კივილს
და ბაქანზე რძის შხეფების სუნი დარჩა ტკბილი...

თარგმნა ზალვა ამისულაზვილა



ვილია ზულცაიტა

ლიტვა

ლ ე ნ ი ნ ს

თვალუწვდენელი,
მანათობელი
ჩირალდანი ანთია ქვეყნად,
მე ხელეებს ვიწვდა
ამ ჩირალდნიხევენ,
მინდა რომ გზები გაკინათო
და სიხარულის ძახილი ისმის
დედამიწაზე:
— ლენინი..

მერე, მინდა რომ დავუჩოქო
შორ მავსოლეუმს,
ჩვენი სიცოცხლის მდინარენი
საითკენაც სულ შიალტვიან
და სიცოცხლემ,

სიცოცხლე ჩემი.
მინდა შევძახო
მთრთოლვარე ხმით,
მთელი გული თან რომ მოქყვება...
Ave vita! Ave vita!
ხმაურა ქუჩებს, ავსებულ ქუჩებს
Ave vita!
კაცობრიობის სიყვარულს ნათელს
Ave vita!
გმადლობ,
ქებნათა ბედნიერებას რომ მაზიარე!
გმადლობ ამ დიდი სიხარულისთვის
ამ ქვეყანაზე.

* საღამო სიცოცხლეს! (ლათინ).

მარცაელიუს მარტინაიტი

ლიტვა

ზ ლ უ რ ბ ლ ი

იქ საგნები ბრწყინავენ, ცისფერია ტინი,
საგანთ თიხის სიგრილის სურნელი სდით მძაფრი,
მიბუტბუტებს მდინარე და თითქოსდა ტირის —
მიირხევა ჭალაში ვერცხლისფერი ძაფა.
მიირხევა ჭალაში, თითქოს იყოს მწყვრალი,
ღამესავით ღრმა არის იმ მდინარის წყალი.



იქ მოწყენილ დედაჩემს ვხედავ, თეთრს და კეთილს,
 თავსაფარი უფარავს მდუმარს ფერმკრთალ სახეს,
 თბილ და ჩუმ სამყოფელში მელის ერთი ქალი,
 ო, რამდენი ხანია, რაც მე ვეღარ ვნახე,
 იქ ზღურბლი ჰყოფთ ბინადართ, პატარა და მკრთალი
 და ბავშვები ტირიან სიჩუმისგან ღამით.


ჩაქრებიან ტყეები, ისე ღრმაა ძილი,
 თითქოს გძინავს მიწაში, მიგინაბავს თვალი,
 გადაირბენს ჭალაზე სიო ნაზი, ფრთხილი
 და დედის თავს შევერცხლილს ჩუმიდ არწევს წყალი.

ედუარდს მუხომანიძისი
 ლატვა

ჩაფხუტი და ბაბუაწვერა

მდუმარე ველზე ძირკვი ფუტურო
 ჩანს სიმშვიდეში, წმიდა და წყნარი,
 იქვე — ჩაფხუტი მიტოვებული,
 ჩაუდის გვერდით მდინარის წყალი.
 ყველგან დამდნარა ყინული უკვე,
 მოჩანს პეპელა მოციხფრო, ნაზი
 და ფრთხილი სიო ფერად ფრთებს ურბევს
 ბაბუაწვერის სურნელთ საფე.
 მაღლა, გირჩაზე, სხივი რომ ხედება,
 მიძვრება ჭია, ჭრელი და მშვიდი
 და ცისფერ ცაში ოქროსფერფრთება,
 დაბრუნებული ელურტულეებს ჩიტი.
 ხოლო ჩაფხუტი ძალიან ძველი
 ფუტურო ძირკვთან კვლავ გდია შავი
 და ჩაფხუტიდან ოეთრი და სველი,
 გამოუყვია გვირილას თავი.
 შენ მოეფერე — როცა ჩაივლი,
 და მოგანათებს სახე მზიური,
 შენ მოეფერე — ო ეგ ყვავილი
 ცოცხალია და მარადიული.

თარგმნა ლია მამუკაძემ



პიტაშტას მარტინაუსი

ლიტვა

რასელის პარადოქსი

მოთხრობა

სიტყვა გაგარდეს, ჯამში ჩავარდესო, იტყოდნენ ხოლმე ჩემს სოფელში, ესე იგი, იქ, სადაც დავიბადე, როცა ვინმე ლაპარაკის დაწყებისთანავე პირში წყალს ჩაიგუბებდა... მაგრამ აბა რას იზამ, რას, ადამიანი ყვირილით იბადება და უჩუმრად კვდება. იმასაც თუ დავსძენ, რომ ამქვეყნად ცარიელ-ტარიელი დავდივარ. მაშინ ჩემი საუბარი, ეტყობა, მევე უნდა მოვისმინო, სხვა რაღა დამჩენია. პოდა, ძალიანაც კარგი, რომ ასეა, რადგან — გამხელისა მრცხვენია: ვერა და ვერ ვისწავლე ლაპარაკი. ცუდია ეს, პროფესორო! მოსაწონი იქნება მართლაც ვერ იყოს, სამაგიეროდ ჯერ არავის უფათურებია ხელი ჩემს სულში, არავის ყოველი ჭეშმარიტება თავად მოვლენაშია ჩამარბული და სულ ერთია, რა არის ის — ქვა თუ ადამიანი; და კიდევ ვინ იცის, გადავურჩებოდი თუ არა იმას, რაც უნდა მომხდარიყო, ვაი-ვიმს რომ მოეყოლოდი და გარე-გარე რჩევა-დარჩება მეძებნა. მით უმეტეს, რომ ჩემსა და სტასეს შორის ხახა დაელო თვალჩაუდგამ უფსკრულს, რომელსაც ვერ გადაახტებოდი და ვერც ამოავსებდი. დიდი ხანია, ამას რომ ჩავხვდი. უფრო ძნელია ვაღიარო, ამ უფსკრულს თვითონვე ვითხრიდი-მეთქი. აქნებ, იუარო კიდევაც! მხოლოდ იმას უნდა იქმოდე, რაც უთუო და აუცილებელია, ობერლეიტენანტო შტოფ! სისულელეა და მეტი არაფერი... ვერც კი მოასწრებდი ხას-

როლის ამოდებას, რომ მთელ მჭიდეს დაგახლიდნენ მუცელში. კიდევ კარგი, ველარიპოვე... შენ და სტასეს საბედნიეროდ. ჩემდა საბედნიეროდ? პო, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ გულითაც რომ გინდოდეს, ამას ვერ მიხედვები... მწყუროდა შტოფის მოკვლა, რადგან ჩემი სტასე ამქვეყნად აღარ იყო. პატარა ვიყავი, როცა ხისჯან გამოთლილი ზმლით მარტო იმისათვის აკუწე ორი მაისის ხოჭო, რომ მომეჩვენა, ავად მიცქერენ-მეთქი. ბიძაჩემმა იოკუბასმა, ვისაც ჩემი მსხვერპლი ვაჩვენე, აღარ გაათავა, ეს რა სისხლს მოწყურებული და უკეთური გული გჭონიაო...

არა, შტოფს ვერ შევიცოდებდი. იგი უნდა მომეკლა — სტასეს გასისხლიანებული თმებისათვის. მისი სახე თან დამდევდა ყველგან, მისი სახე ჩრდილაედა ირგვლივ ყველაფერს. ავდექი და შტოფის საძებრად წავედი. მისი ნახვა არ გამიძნელებოდა: იგი იმ ბინაში ცხოვრობდა, სადაც მე და სტასემ — ომი ახალატებილი იყო — ყველაზე მძიმე და დაახლოების ყველაზე ბედნიერი წუთები გადაატარეთ. მაშინ, მეოთხედი საუკუნის წინათ, ამ ბინაში ყველა მინა ჩაღეწილი იყო, ფანჯრებზე საბნები ჩამოვაფარეთ. სახლში აღარ შემოდითა მანქანების ხმაური, არც სროლის ხმა; პო, დრამა ამ ოთახში, იმ დღემდე რამდენიმე თვით ადრე გათამაშდა, როცა მალვა-პარვით კართან მივცოცდი. მაშინ მე და სტასე —

ჩვენს დაუჯერებელ და არარეალურ ტყვეობაში — სულ ვისხედით ან ვიწვევით, ერთმანეთს თვალში თვალს გავუყრიდით და ვცდილობდით მზერაში თუ ღუმილის წიაღ მაინც გვეპოვა იმედის ნაპერწკალი; დაბამული საბანჩამოფარებული ფანჯრებისა და სქელი ქვის კედლების იქით ილანდებოდა ოკუპაციის აჩრდილი, პედანტური თანმიმდევრობით რომ დაღაჟდა გამვლელ-გამომვლელთა სახეს, სახლების ფასადებს, ქვაფენილსა და ხეთა რტოებს.

ცხადია, იგი არც უნივერსიტეტის ეზოს აუკლიდა გვერდს, სადაც ისევ თავაკაცობდნენ თეოლოგიის კორიფეები, ერთბაშად საოცრად მოხერხებულ და ყოვლისმცოდნეებად რომ იქცნენ; უმჯველია, ვიღაცას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ის ბინა, სადაც ანისტენტი ტუმენასი ცხოვრობდა, ერთი ცნობილი, მაგრამ ორმოც წელს რეპრესირებული პროფესორის სახლი იყო; გაკვირვებას იწვევდა ისიც, რომ ოცდაათი წლის ყმაწვილი კაცი ფრონტზე კი არ იბრძოდა, ან სხვა რამ სასარგებლო საქმეს ადგა, არამედ კანტორისეული სიმრავლის თურიას სწავლობდა; არა, მე არაფერი მითქვამს სტასესთვის, მან თავად იგრძნო უბედურების მოახლოება, შესაძლოა მისი აჩრდილი.

მე კი სულ უფრო და უფრო იშვიათად ვბრუნდებოდი ვაიფანტასის ქუჩაზე ჩადგმულ ორსართულიან სახლში... დამესადა ვათევი? სადაც მომიხდებოდა: ლაბორატორიებში, აუდიტორიებშიც მიძინია. ხანდახან პრივატ-დოცენტს შიმულისკისს შევეუვლიდი ხოლმე. მის მეუღლეს მუსიკა, განსაკუთრებით შოპენი უყვარდა, ერთ-თავად პოლონეზებსა და მანურკებს უკრავდა; მე წიგნის კარადასთან შორიახლო რბილ სავარძელში ჩავეშვებოდი, ჩურჩულით ვპასუხობდი პრივატ-დოცენტს კითხვებზე, რადგან ვგრძნობდი, რომ არც გილბერტი, არც გიოდელი და არც შურდენი არ ჰფერობდნენ ამ საზეიმო მუსიკას; და მხოლოდ ერთხელ, როცა ბურალი-ფორტის პარადოქსზე ვლაპარაკობდით, სალომეამ შემოგვთავაზა, აბა თუ გამოიცნობთ იმ ნოქტიურნს, რომელსაც ახლა დავუკრავო. მაგრამ ვერც ერთმა

ვერ გამოვიცანით; მე კი თრთოლვამ ამიტანა, მუსიკის ხმამ ჩამოქნა და მოულოდნელი აზრი მაწვია: გამახსენდა სტასეს ვინც არასოდეს არ იცის, დავბრუნდები თუ არა შინ; ბრძანებებით ატყრელბულ ქუჩებში სიკვდილისა და თოფის ზეთის სუნი ტრიალებს.

უცებ მომიინდა ზეზე წამოხტომა და ცარიელ ოთახში შესვლა; სალომეა ჩვენსკენ შემობრუნდა: „ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთისოფლის როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული...“ იგი არ იყო გამოჩენილი მსახიობი, მაგრამ თავისთავად გაცოცხლდა შექსპირის სიტყვები, მათი ცხოველი აზრი სულსა და გულზე მოგვესაღბუნა. მე მიიხვდი, თუ რა საშინელი და ეგოისტურია, აი ასე იმალებოდე და თრთოდე, რა უბადრუკია თავის გადარჩენის სურვილი... რა ვარ მე უსტასეოდ? რა არის ჩემთვის მათემატიკა, უსასრულობაზე მსჯელობა, თუ ერთი ტრილიონი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შემიძლია — საუკუნეში სულ ხომ ოთხი მილიარდი წამია... მაშინვე როჭ წამომდგარყავი და გზას დავდგომოდი, შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო; მაგრამ სალომეა ისევ რთი-ალს მიუბრუნდა, დაუკრა და მეც ყური მივეუბდე. მგონია, ისევ იმ ნოქტიურნს უკრავდა, მაგრამ ახლა სხვა ლაიტმოტივი ეღერდა და ამ ლაიტმოტივში ერთმანეთს ერწყმოდა ნეგემი და სასოება, შერკვება და აუმიღვრეველი სიმშვიდე... მე კვლავ სავარძელში ვიჯექი. ანისტენტმა ტუმენასმა კიდევ ერთი დამე იცოცხლა; ჩემთვის კი, სჯობდა, დილამდე აღარ მიმეწია; კაცმა რომ თქვას, ისეთი ჯერ არაფერი მომხდარიყო, თითქმის არაფერი. ასე, შუადღისას, ჩვენს მთაზე აცოცებულმა, სახლთან ორ ჯარისკაცს მოვკარი თვალთ; თავდაპირველად არ მეჯერებოდა, რომ ეს ის გერმანელები იყვნენ, ვინც აქამდე დააბოჯებდნენ ქუჩებში, საათობით იდგნენ მოედნებზე, ერთი სიტყვით, იმ თამაშს თამაშობდნენ, რასაც ტოლი არ მოეძეებოდა კაცობრიობის ეამსაბრუნავში; ეს ორნი კი, რომელთაც, ვინ უწყის, ავტომატები სად მიეტოვებინათ, ჩემი ბინის

ფანჯრებთან ცოდვალბდნენ რაღაცას; საბნები ჩამოეხსნათ, ოთახში კვლავ შეატანა დღის სინათლემ...

დიდხანს ვიდექი ასე, ვერ ვებდავდი ახლოს მისვლას, რომ რამე მეეითხა ჯარისკაცებისათვის... აბა, რა უნდა მგეითხა! მე ვარ ამ ბინის პატრონი და მადლობას ვიხდით მზრუნველობისათვის — ფანჯრებში მინა რომ ჩაგიდგამთ-მეთქი? არა, არც ისე მიამიტი გახლდით, მგონებოდა, თითქოს ჩემთვის იკლავდნენ თავს; აქვთ კიდევ, გერმანულს ძლივს ვამტვრევდი.

ის, რაც იმ დღეს გარიჟრაჟზე მოხდა, ბრონიუს კუნდროტასმა მიაშმო; ბრონიუსს ლათინურს ვასწავლიდი; იგი ქუჩის გადღმა ცხოვრობდა ჩვენს პირდაპირ. ისე, კაცმა რომ თქვას, არც მან იცოდა ბევრი რამ: მოგრიალდა თურმე ჯარისკაცებით გატენილი მანქანა და ჯგუფს მეთაური ჩვენი სახლისაკენ წაუძღვა. მალევე დაბრუნდნენ უკან. სტასემ მხოლოდ მსუბუქი ხილაბანი გამოიტანა, ცისფერი კაბა ემოსა. ამან დააფეჭა თურმე ბრონიუსი — აკი ხშირად უნახავს, რამდენი რამ ეცვა იმას, ვისაც სჯეროდა ბენდიერი ვარსკვლავისა, სჯეროდა; რომ „ქვეყანა დიდია და ადამიანებით არის დასახლებული“. სტასე კი ისე გამოვიდა გარეთ, თითქოს აგერ — აჟუოლინასში აპირებს გასეირნებასო. ბრონიუსს ურთი პირობა მოეჩვენა, რომ სტასემ ხელი დაუქნია, მაგრამ შესაძლოა შეცდა კიდევაც, ქალი სწორედ იმწამს მანქანას გაუსწორდა... ყველაფერი მაშინ მოხდა, როცა მზე ამოდიოდა ანდა უკვე ამოსული იყო; ცხრა საათზე კი სახლთან ისევ მოხრიგინდა სატვირთო მანქანა. მანქანიდან ის ორი ჯარისკაცი გადმოვიდა და ფანჯარაზე ჩამოფარებული დაბამბული საბნები ჩამოხსნეს. ბრონიუსმა მეტი არა იცოდა რა.

მე ნელ-ნელა გავყვი ქუჩას, იმ ქუჩისა არ იყოს, ვინც თვალყურს ადევნებს თავისი ხელების მარჯვე და ნატიფ მოძრაობას, მინის მიწვანარე ნატყებები რომ ჩაუბღუჯავს. საით წავიდე? რა გქნა? იქნება სტასე დაბრუნდეს, როგორც ბრუნდება ხოლმე ყოველ დღით მზის სხივები? მჯეროდა სიკეთის ძლევამოსილები, მაგრამ ვეღვაფერი კარგად დამთავრდება-მეთქი. მაგრამ გულს უკვე მიღრღინდა ეჭვის ჭია: სადაც რაღაც შემეშალა, ისიც კი ვიცოდი, რა შემეშალა, მაგრამ აღიარებისა შემინოდა; დაბინდულ ოთახებში ჩვენს მიერ გატარებული საათები შეფურადდა რაღაცნაირი ფატალური არარეალობით, ახლა შემოძლია ვთქვა, გავებდავ ვთქვა — ჩემი ლალატის წინათგრძნობით-მეთქი; თითებით შევიგრძნე სტასეს სხეულის სიმძიმე, — ხელში ატატეზულს დავატარებდი დაცარიელებულ ოთახში, ვკოცნიდი; ღმერთო, როგორ იცვლება ადამიანური ვნებები რაღაც წამების მანძილზე; გუნდ-გუნდად გაქრა განყენებული აზრები, მიწყდა ქუჩებში გერმანულად რატრატი და მხოლოდ ესღა დარჩა: სტასეს სხეულის სიმძიმე, და კიდევ ჩუმი ფშვინვა, სიგრილე თმებისა; მის მშერას ისე ახლოს ვგრძნობდი, რომ ვეღარ გავუძლულ და თვალი დავსუჭე, ვაითუ დამენახა ის რაღაც...

იქნებ იმისაც შემინოდა, მოღალატე არ ვეგონო-მეთქი! თუმცა არა, იგი ხომ აქვთ შემეხვეწა, სახლში ღამე აღარ გამეთია. დიას, აქვთ შემეხვეწა. აბა, საიდან მიხვდებოდა, რომ შიშს ვყავდი ატანილი. იქნებ მიხეუდრილიც იყო და იმად შემეხვეწა?.. ადგილი ვერ მეპოვა და უნივერსიტეტის დერეფნებში დავბორილობდი თავჯაბანეული. მალულად გათეული ღამეები არყოფნის სუბსტანციად გადამეცა, რაც თავად ჩემს არსებში იყო ჩასახლებული, — უსასრულობის დამთრგუნველი შეგრძნება... ამას მტერსაც კი არ ვუსურვებ. სხვებმა შეიძლება თქვან — დანაშაულის შეგრძნებაა, სინდისის ქენჯნაო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ასე არ არის. განა დამნაშავეა გზაზე ამოსული ბალახი, სადაც იგი დასაღუპავადა განწყირული? ჰოდა, ყველაფერი ეპატიება ამ ბალახს — ბზარში თუ ნაპრალში დამალვა, ოღონდ კი გადარჩეს! და მერე როცა ყველა ფოთოლი დასცვივა, ფესვებითღა ჩაეჭიდოს გადაქელილ მიწას, იპოვოს ის რაღაც, რაც სიმწვანით შემო-

სავსე. ლმერთო რა სულელი ვიყავი! საკუთარ თავს, ადამიანს, ბუნებას ვუტოლებდი. ხელსაც ვიბანდი და თან შურისძიებაზე ვფიქრობდი. ტანში მდუღარე მივლიდა, როცა გავცქეროდი დაცარიელებულ ქუჩებს, უცნობ ადამიანებს, შეყვითლებულ ხეებს. სიცოცხლე მწყუროდა და ამაოდ ვცოდვილობდი, დამეცხრო ეს უამური თრთოლვა — თრთოლვა უშიშობისა.

გამახსენდა სტასე, გამახსენდა ის მზე-რა, გუშინ რომ მაცილებდა. ახალა მივხვდი, რაც იმ მზერანში გამოსჭვიოდა. არც რამ ბალახი ყოფილა და არც თელილი გზა, ეს მე, შეშინებულმა თვითონვე უარი ვთქვი ბრძოლაზე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ამქვეყნად არ არსებობს სასჯელი, რომლითაც შეიძლება დეზერტირობის გამოსყიდვა და არც საათი, დღე, წელიწადი არსებობს. რითაც წამიერ სასუსტეს გამოსყიდვდი. ობერლეიტენანტი შტოფი იმწამსვე მიხვდა ამას. სტყუი, არაფერსაც არ მიმხვდარა, პროფესორ! ასისტენტი ჯერ აცახცახდა, მერე კვლავ აფროთხდა მთაზე, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიაბიჯებდა ორსართულიანი სახლისკენ, ფანჯრის მიწები რომ უელავდა: ჩვეული მოძრაობით შეაღო კუტიკარი... ახალგაზრდა, ასე ჩემი კბილა ქერა გერმანელი იჯდა სავარძელში, აი იქ, იმ ფანჯარასთან და თითქოს მე მელოდებოდა. „მელოდებოდა“ მეთქი, რადგანაც იცოდა ჩემი სახელი, იცოდა, რომ მოვიდოდი, იცოდა, რას ვკითხვოდი. სკობს ვთქვა, მე კი არა, იგი მეკითხებოდა — შტოფი, ვისაც ასე გაემალა მხრები ჩემი და სტასეს ბინაზე. ჯერ ერთმანეთს შევეურებდით და უსიტყვოდ ვეწვოდით თუთუნს. წიგნის კარადიდან ვიღაცას არისტოტელეს „ორგანონი“ გამოიღო და ფანჯრის რაფაზე დაედო; შტოფი თითებს ათამაშებდა წიგნზე. პო, უტყობა, ორთავეს კამათის წესების ცოდნა გვიშლიდა ხელს; ასეთ შემთხვევებში კი ის იმარჯვებს, ვინც საბუთებს კი არა, დასკვნებს იყენებს. შტოფისათვის უფრო ადვილად გასაკვები უნდა ყოფილიყო ჩემი დასკვნები. ისევ ცახცახი შემიდგა მთელ ტანში, ცხოველური

ინსტინქტი მიშლიდა გულისყურის მოკრებას. ასე მეგონა, შტოფი წიგნზე თბებს რომ არ ათამაშებდეს ვეველაფერს მეცოდინებოდა-მეთქი — საით წაიყვანეს სტასე? ასე ნებიერად რად გადაწოლილა შტოფი სავარძელში? რატომ იქვეება ჩემს წიგნებში? მე ხომ არ მელოდება? დიდხანს არ მესმოდა შტოფის არც ერთი სიტყვა, თუმცა იგი გვარიანად ლაპარაკობდა რუსულს. სათნობა? რა სათნობა, ვისი სათნობა, უპ, რა ბედენაა — მხოლოდ ერთი რასის ბატონობა! მარტო უმაღლეს რასას ძალუძს ბატონობა ო! გამახსენდა ნიცშე. ობერლეიტენანტი თავი დამიქნია. რაო, ბატონ ტუმენასს წაუკითხავს ნიცშე? მამ, ზარატუსტრას ბრძნული სიტყვებიც ვეცოდინება: „დროით განუტყვევ სული“. ომში ადამიანი თავის თავს პოულობს. ნაგავი იწყის, ფერფლიდან სიკეთე იშობა. ობერლეიტენანტი მოწყალედ უღიმის ბატონ ტუმენასს. როზენბერგმა საფუძვლიანად დაამტკიცა... ბატონი ტუმენასი თუ ინდომებდა... მათემატიკოსმა გულისყური უნდა გამოიჩინოს საზოგადოების მომავლისადმი.

რაღაც გამეჩხირა ყელში. ერთი სული მქონდა მეკითხა: სტასე ნაგავია, ხომ? ჩვენც ყველანი ნაგავი ვართ? (ჯანდაბას, დასაბუთება არაფრის მაქნისია, მთავარი ისაა, საით უქცევს შტოფი!). ფიურერს თვითონ კი არ განუდიდებია თავი, თქვენ თავად შექმენით ფიურერი. სწორედ რომ ბედნიერი შემთხვევაა: მას უყვარდა სიტყვის წარმოთქმა სალუდეებში, თქვენ კი პირდაღებული უსმენდით... ესე იგი, ბატონო ობერლეიტენანტო, თქვენ მხოლოდ იმიტომ ვერ გახდით ფიურერი, ამ სიტყვებს რომ ისმენდით? უკაცრავად, ბატონო ტუმენას, უბადრუკი აზრი ყველაფერზე უარესია, მაგრამ მე თქვენ შეგინდობთ. ჩვენ, რჩეული რასის ადამიანები, მხოლოდ ჩვენსავე თავს არ ვაპატიებთ არაფერს. ჩვენ გაბედული და მომთხოვნი უნდა ვიყოთ. ჩვენ კოლეგები ვართ, ბატონო ტუმენას. ომამდე მათემატიკას ვსწავლობდი და მესმის თქვენი უშეუბოა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. მივხვდი თუ არა, მათემატიკა

ყოვლისშემძლე არ არის მეთქი, მაშინვე ეს მუნდირი ჩავიცვი. შტოფმა სული შეუბერა სახელოში ვითომდა ჩამჯდარ მტერს და მუდის მუნდირზე ხელი ჩამოისვა. და მე არ შევმცდარვარ, ბატონო ტუმენას. ახლა უკვე ვიცი, რომ კაცი, ვინც საკუთარ თავს სძლია, ყოვლისშემძლე ამქვეყნად. გადაუტრელი შეტაფი-ზიკური პრობლემები, წინააღმდეგობანი, პარადოქსები — თუ დამიჯერებთ, ყველაფერი ტყუილია. პრაქტიკული გერმანული ჭკუა-გონება ყოველთვის ვერ ესადაგება თეორიულ შეგნებას — ეს რომ არა, მარქსი ვერ შექმნიდა თავის მოძღვრებას, მაგრამ ერთი კი ცხადია: მხოლოდ პრაქტიკაა ქემშმარტი.

თქვენ ცუდად წაგიკითხავთ მარქსი, ბატონო ობერლეიტენანტო. არც მე ვიცი მას ძალან კარგად, მაგრამ ჯერ კიდევ ჰგეღვმა გენიალურად შენიშნა, წინააღმდეგობრიობათა შედეგი ნულს როდი უდრისო. პირიქით, სწორედ წინააღმდეგობათა თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტის გზით მივყავსლებით მოვლენათა არსს.

ლიტონი სიტყვებია, ბატონო ტუმენას, — თეორემებია, რომლებიც იმ პოსტულატებს ეფუძნება, თვითონ რომ მოითხოვენ მტკიცებას. პიპოტუზები და მონაგონია... შეცნიერებას არ ძალუძს ცხოვრებისეულ პრობლემათა გადაწყვეტა, თუ თავისი თავის ერთგული დარჩა. თქვენ მათემატიკოსი ხართ და უნდა გახსოვდეთ რასელის იგავი ერთ დალაქზე, რომელიც მხოლოდ იმით პარსავს წვერს, ვინც თვითონ არ იპარსავს. ბევრმა ბრძენმა და მახვილი გონების კაცმა იმტვრია თავი იმაზე, თუ რა უნდა ექნა თავისი წვერისთვის, მაგრამ პასუხი ვერა და ვერ იპოვეს. თუ იგი მოიპარსავს წვერს, მაშინ თავი სოფლელ ბერიკაცებს უნდა მიათვალოს თავისით რომ იპარსავენ წვერს; არ მოიპარსავს და ერთი იმათგანი ხდება, ვისაც წვერს სხვები პარსავენ... დიდ გამჭირა-ხოზს არ დავიჩემებ, ბატონო ტუმენას, მაგრამ მე ამოვხსენი ეს პარადოქსი. ომმა

გაათავისუფლა ჩემი გონება. ეს ამბავი, როგორც ყველა გენიალური ასაკის სულ უბრალოდ წყდება: დალაქი ქალი უნდა იყოს! ამას მაშინ მივხვდი, როცა ერთი პოლონელი ქალის გვამს დავაცქერდი. პირისახე თოვლზე უფრო გათეთრებულია — ბატონი მათემატიკოსი, ალბათ, მომიტყეებს ამ გაცვეთილ შედარებას. იმ ქალის გვამთან მივედი და ნიკაპზე ხელი შევასე საოცრად ნაზი კანი ჰქონდა, ბატონო ტუმენას... დასკვნები... რა დასკვნები გამოვიტანე? გონებამ ყოველთვის უნდა სძლიოს თავის თავს-მეთქი, ვთქვი ჩემთვის; არ დავიფიქო ეს ქალი! თქვენი მეუღლის პირისკანი უფრო მუქია, მაგრამ ისევე გადატყვეილია. ეს მსგავსება უმაღლესი მენიშნა, ბატონო ტუმენას. მერე ისიც გაეფიქრე: ნეტა რას უნამს გერმანია თქვენისთანებს, ვისი გონებაც ასე შერყვნილია მათემატიკური აბსტრაქციებით? გინდა დავიფიქვებ, რომ თქვენ ვერაფერს ვერ მოიფიქრებდით იმ მკვდარი ქალის შემყურე; და მე თქვენ კი არა, თქვენი ცოლი ავიჩიო. ისე მართალი თუ გინდათ, მამამისის სახელი დიდად არ მომწონებია: იოსიფ — ულამაზოდ ჟღერს, მაგრამ გარეგნულად თქვენი მეუღლე ნამდვილი არიელია. ჩვენ მას პასპორტი გამოვუცვალეთ. ახლა იგი იოსიფის კი არა, კურტის ასულია და მამაჩემის სადალაქოში მუშაობს. მამა უკვე დაბერდა და გამოადგება გამოცდილი თანამშემწე. თქვენ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეთ, ბატონო ტუმენას. ყველას როდი ძალუძს ღირსეული მეუღლის არჩევა. თქვენ მიტკლისფერი დაგედოთ, ბატონო ტუმენას! ალბათ, გული გაწუხებთ! „მინდოდა კვლავ მიწად ვქცეულიყავ, რათა იქ, სადაც ვიშვი, მეპოვა სულის სიმშვიდე“. მე თქვენ სიცოცხლე გარუქეთ: მამაკაცები ძნელად იტანენ ხოლმე ხანგრძლივ ტანჯვას; მაგრამ ნამდვილმა მამაკაცმა მარად უნდა ეძიოს ტანჯვა და შრალი. ვაი, რომ უსიამო სიაში მოხვდით, ბატონო ტუმენას... იცოდეთ, მხოლოდ ჩემი თქვენდამი უდიდესი სიმპათიის გამო თუ დავიფიქვებ ამ საუბარს...

ობერლეიტენანტი შტოფი წამოდგა. აი, დადგა ნანატრი წამიც, მაგრამ იგი ხელიდან გავედო. რა უნდა მექნა? ცარიული ხელებით შტოფს ვერ მოვერეოდა. უსოში ჯარისკაცები იდგნენ. ერთი გახმურება და იმწამსვე გამოკრავდნენ... სალომეა ქუჩაში დამხვდა, სახლის წინ იდგა. ეტყობა, დიდი ხანია მელოდებოდა, ფლიქენებდა და თან ცრემლს იწმენდდა. პრიატ-დოცენტი დაუკითხავთ, ჩემზე ულაპარაკიათ. გერმანელებით გაჭედვით ერთი მანქანა მოსულა. სალომეა დიდად პატივს სცემს ანისტენტი ტუმენასს, გულით უთანაგრძობს, მაგრამ ახლა სხვა დროა! — ღმერთმა ნუ ქნას და განა უფრო საიმედო არ იქნება, თუ ბატონი ტუმენასი სხვაგან მოძებნის ღამის გასათევს?

ნუთუ ჩემს წინაშე ის ქალია, ვინც გუშინ შოპენის ნოქტიურნს უკრავდა და ჰამლეტის მონოლოგს კითხულობდა? არა, იქნებ თავისთვის არ წუხს? მაგრამ მე ხომ არც დამნაშავე ვარ, არც ებრაელი და არც პარტიზანი. უბრალოდ, იმ ბინავცხოვრობ, სადაც წინათ ცნობილი პროფესორი ცხოვრობდა... მოვძებნე ღამის გასათევი... დიდი ვერაფერიშვილია, მაგრამ სამაგიეროდ, საიმედოა. პროფესორმა სტულგისმა შემოფარა; ისიც არ ათედა ღამეს შინ და ღამდამობით იმ სახლში იკეტებოდა, რომელსაც მედიკოსების გარდა ყველა სირბილით ჩაუვლიდა. პირდაპირ მაგიდებზე გაეშალეთ ლოკინი, სადაც დღისით სტუდენტების ხელით პრეპარირებული გვამები ეწყო. სტულგისი აქ შინაურულად გრძნობდა თავს, მე კი ტანში მამტვრედა. რაღაცნაირ სიცივეს ვგრძნობდი, ქვის მაგიდიდან რომ შემოდოდა ჩემს სხეულში, ცხვირში მიღიტინებდა ფორმალინისა და ფორმალდეჰიდის სუნი! და თვალზე ძილი დიდხანს არ მეკარებოდა. მერე საშინელება მესიზმრა. სტასეს თეთრი ხალათი აცვია, სურნელოვანი ხელებით პარსავს წვერს ობერლეიტენანტს; საპნის ჭაფის ნაფლეთები აცვივა სტასეს ხალათზე, აცვივა მწვანე იატაკს; სულმთლად გაჭადარავებული ბერიკაცი არ მეცნობა, მაგრამ

შტოფის მამა უნდა იყოს — ვერცხლის ჩაქურით ამტვრევს თხილს და გერმანელებით ღვინავს, აქანებს უკბილო ცხენებს და თხილის ნაჭუჭს ერთად აქურებს. ეამი-ეამ თხილს ესერის სტასეს, მაგრამ აი, ხელი აუთრთოლდა და თხილი შტოფს მოხვდა. იგი წამოხტა, სტასეს ხელიდან გამოსტაცა სამართებული და მოუღერა.

თავზარდაცემულს გამომეღვიძა, მაგრამ, ეტყობა, დავისსომე, როგორ შეულება სისხლმა თმა სტასეს. პოდა, იმ ღამეს, ცხე-დარივით უსიცოცხლო გულისგულში ამოვიჭერი შტოფის მოკვლა. განთიადისას კიდევ უფრო გამომტკიცდა გადაწყვეტილება. სტულგისი შეაშინა ჩემმა მკედრისფერმა სახემ, მაგრამ, ალბათ, ყველაფერი „ურვეულო გარემოს“ დააბრალა. რაღაცას ბუტბუტებდა; ჩვენი წინაპრები ბრძნულად იქცეოდნენ, როცა სიკვდილი გადახრწეული დედაბრის კი არა, სანდომიანი ტაბუკის სახით წარმოედგინათო; ჭკუით გვეკობნიდნენო, რადგან ჩვენი სული პატარაობიდანვე გამსჭვალულია სიკვდილისა და მიცვალებულის შიშით, აარაობის წყვედი-ადის შიშითო — ასე გამისტუმრა. შემოდგომის მზიანი დღე იდგა. რიცხვი? სექტემბრის უკანასკნელი დღე თუ პირველი ოქტომბერი, მგონია, ხუთშაბათი იყო, იმ წლის კალენდარი რომ გადავშალე... თუმცა რა აზრი აქვს? აუხდენელი იმედები, განუხორციელებელი მიზნები სიბერეში სინარულს ვერ მოგანიჭებს; აღიარე, პროფესორო: არ ნანობ, რომ ასისტენტმა ტუმენასმა ვერ ნახა ობერლეიტენანტი. ის დღე მაშინ ხომ უკანასკნელი იქნებოდა... არც პატარა სტასე გეყოლებოდა... პირველად მხოლოდ ქალს მოვყარი თვალი, თავზე ნაცრისფერი სახოცი რომ წავერა. ქალს რაღაც მოჰქონდა მკერდსმიდებული, მაგრამ არ ვიცი რა მოჰქონდა. ისიც გაუგებარი იყო, რომ ჩემი ბინის კარი არავინ გამოიღო, თუმცა დიდხანს მაგრად ვაბრახუნე, ნეტა რისი მოიმედე ვიყავი, როცა ჯიბიდან გასაღები ამოვიღე? შტოფი, ცხადია, გამოცვლევინებდა კლიტეს. მაგრამ კარს იგივე კლიტე ეღო. უფრო იმან გამაოცა, რომ გასაღები არც კი დამჭირებოდა, კარი ღია იყო. ოთახში შევედი, სადაც ჯერ კი-

დეე გუშინ ველაბარაკებოდი შტოფს. „ორგანონის“ გვერდით ჰაინეს რუსულად ნათარგმნი ლექსების ტომი იდო, საწერ მაგიდაზე — რამდენიმე ფოტოსურათი და დაცარიელებული მათარა. ესე იგი, შტოფი დაბრუნდება: ფანჯარაში კვლავ მოგვარი თვალი იმ ქალს და მე შემადარწუნა მისმა დანახვამ: ნაცრისფერი სახე, მრუმე ფოსოები თვალებისა და ლოყების ნაცვლად... მკერდში რაღაც ფუთას იხუტებდა, თითქოს ჩვილის ტირილი მოწვდა ჩემს სმენას. რაც მერე ჰქენი, იქნებ ისიც საჭირო იყო, ასისტენტი ტუმენას! ჰო, შტოფი — გასაგებია, მაგრამ ქალი?...

დიახ, პროფესორო, საჭირო იყო. სხვაფრივ, როგორც ვთქვი, არ გვეყოლებოდა პატარა სტასე. ჩანს, ქალმა გაიგო ლიტურად ნათქვამი შემოდი-მეთქი და თავი დამიქნია, მაგრამ როცა ბავშვის გამორთმევა დავაპირე, რუსულად მითხრა, არ არის საჭიროო; იგი საგარძელში ჩაეშვა, სადაც გუშინ შტოფი იჯდა. სახეზე ვუყურებდი ქალს, არა, შიში კი არ ეხატებოდა, არამედ ნაღველნარევი ზრუნვა, რასაც სიტყვით ვერ აღწერ. მაშინვე თავში გამიელვა, ქალი ყოველწამს შეიძლება მოკვდეს-მეთქი, ისე იყო შიმშილისაგან დაოსებული; მერე დაბრუნდება შტოფი და მე მოვკვავ მას; მე და სტასეს სახლში სიცარიელე ჩამოდგება, არა — ომის აჩრდილი, რომელიც დიდი ხანია დაეხეტებოდა ქალაქის ქუჩებში, აეკვრებოდა ფანჯრებს, რომელთაც დაბამებული საბნები ჰქონდათ ჩამოფარებული; შემდეგ მოვლენ გესტაპოელები — შტოფი ხომ მათი ობერლეიტენანტია — და წამიყვანენ ისევ, როგორც სტასე წაიყვანეს, და ჩვენ ველარასოდეს ვნახავთ ერთმანეთს, რადგან მე თვითონ მოვაწერე ხელი ჩვენსავე სასიკვდილო განაჩენზე; დივანზე კი დარჩება პაწია პრსება, რომელშიც სიცოცხლე ფეთქავს...

ერთობ გულის ამარუყვებელია, ასისტენტი, არა, უფრო ფატალურსა ჰკავს, პროფესორო. ბავშვის სახეზე ვერ ვხედავდი სიკვდილის ნიშანს. იცოცხლებს, ვუთხარი დედას, უთუოდ იცოცხლებს; მოაწოვეთ ბავშვს ძუძუ, მე კი ამასობაში

რამეს გავაჩენ. თავი დამიქნია მივხვდიოდა კოფთა შეიხსნა. სამზარეულოდან ქალს, თითქოს მთელი ქვეყნის სიჭრბო, ერთი ნაჭერი ყველი და პურის ნატეხი მივუტანე; ბავშვი ძუძუს სწოვდა... მეზობელ ოთახში გავედი, ყოფილ საძინებელში, სადაც ახლა სასტუმროა, დერეფნის კარი შევადე და ობერლეიტენანტს დაველოდე, მაგრამ ჩანაფიქრს აღსრულება არ ეწერა...

მოსაღამოვდა; ბნელში ჩაფუთნულ ნივთები კვლავ და კვლავ მახსენებდნენ სტასეს, მაგრამ მასზე ახლა უფრო დამწვიდებით, ნაღველგაურევლად ვფიქრობდი; თითქოსდა ეს უხილავი განაჩენი გვათანასწორებსო. შტოფი კი არ ჩანდა და არა...

ალიონზე ჩაძინებულს მოგვიანებით გამომეღვიძა. მზე უკვე შუბისტარზე იდგა. ალბათ, მოტოციკლის რახრახმა გამიფრთხო ძილი. ჩემს წინაშე ერთნაირ ფორმაში გამოწყობილი ორი კაცი იდგა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო შტოფი... ბედი ხანდახან მწარედ დაგცინებს ხოლმე; როცა გგონია, ხარს რქებში ვწვდიო, უეცრად შეხი გაეარდება. მე კიდევ არ ვიცოდი, რა დავმართა ობერლეიტენანტს, მაგრამ ერთი რამ არ მეჭვჭვებოდა: აქ იგი აღარასოდეს მოდგამდა ფეხს, ვერც ფოტოსურათები, ვერც მათარა და ვერც ძვირფასი ტყავის ჩემოდანი იხილავდნენ თავის პატრონს. ამას მანამდე მივხვდი, სანამ ოფიცრები სახლში შემოვიდოდნენ. როგორ, რანაირად მივხვდი? და ის საიდან ვიცოდი, რომ ბავშვი გადარჩებოდა, დედა კი მოკვდებოდა? ვიდრე გერმანელები საბუთებს მისინჯავდნენ, ჩემი ფიჭრი სულ მეორე ოთახში შეხიზნულ დედა-შვილს დასტრიალებდა. სასწაულისა არაფერი მწამდა, მაგრამ სასწაული მაინც მოხდა. გესტაპოელებს ეჩქარებოდათ... მიბრძანეს, შტოფის ნივთები ერთად შეკარი და სახლიდან ფეხი არ მოიცივალოო. არახრახდა მოტიციკლი...

დიახ, პროფესორო, ასისტენტი ტუმენასს ბედმა გაუღიმა. ვტყობა, არსებობს რაღაცნაირი წინასწორობა უბედურებასა და ბედნიერებას შორის, სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ის ქალი მეზობელ ოთახში

უკვე აღარ სუნთქავდა, გახევებოდა სახე და თვალები... კიდევ ერთი უსულო გვამი... მეორეჯერ... მე ბედნიერი ქალაქი მხვდა წილად: ოთხი სიკვდილის ნაცვლად მხოლოდ ორი სიკვდილი! უკვე აღარ მივუკვებოდა, რომ შტოფი ცოცხალი აღარ იყო და სულაც არ მაწუხებდა, როგორ მოხდა ეს სად, როდის? იმ ქალისა და ობერ-ლეიტენანტის სიკვდილმა, თითქოს ერთმანეთს გაუთანაბრა ისინი და მე ვერაფერ ვერძნობდი შვების გარდა; მსხვილი რკინის კაევი, რითაც შტოფი უნდა მომკვლა, სამზარეულოში ღუმელთან მივაყუდე, თითქოს ცეცხლის საჩხრეკიას, და მხოლოდ ამის შემდეგ შევედი ოთახში.

ოცდაორი წელიწადი იცხოვრა აქ ჩემმა ქალიშვილმა... არა, ქალიშვილმა კი არა, სტასემ. ოცდაორი წელიწადი იხედებოდა იგი იმ ფანჯარაში, რომელსაც დედამისმა დაბინდული მშურა ესროლა. ამ მშურამ ნუკვეში მომგვარა მე, ან შესაძლოა ბედნიერებაც კი... მე ხომ ომის დამთავრებამდე აღარავის ვუკითხავარ, თუ მცალა მრავალი ღამე თვალზე რული არ მომკარებია, ავისმომასწავებელ სიჩუნეში ყურგაციქინებული ველოდებოდა მზის ამოსვლას, პატარა სტასე ხელში მყავდა ატატებული და ოთახში ბოლთას ვცემდი.

განუყრელია ადამიანი და ავადმყოფობა. ჩვენ მაინც გავიტანეთ სული. შენ ჩემთვის ქალიშვილზე მეტი იყავი, სტასე. ხანდახან მესიზმრებოდა უცნაური სიზმრები: მოჭადრაკულ იატაკზე წევხარ და ქმრათმებზე სისხლი მოგჩქეფს. არ მესმის, ვერ აგისხნი რატომ, მაგრამ ცხადლოვ მკისიზმრა: იატაკზე წევხარ, თანდათან გამჭვირვალე ხდება შენი კულულები და თრთვილით იფარება... ისეთი თრთვილით კი არა, გამოზაფხულზე რომ მოუდება მინდორ-ველს... თვალს ვახელდი და ვიმოურებდი, ეს შენ არა ხარ-მეთქი. შენს წინაშე ბრალი არ მიმიძღვის. დაგიმალე, ვან

იყო დედაშენი, მაგრამ მე ხომ სახელიც კი არ ვიცოდი მისი. ჰოდა, აბა რა უმეტესე, სტასეზე კი, იმ სტასეზე საათობრში (განმზობა) ბდი, საათობით. შეიძლება ძალიან მკაცრი მამა ვიყავი? არა, პირიქით. თუმცაღა ერთხელ მოთმინებამ მიღალატა, თავი ვერ შევიკავე და აწვევტილ ძაღლივით დავუყვირე, წადი აქედან-მეთქი. მაგრამ შენ ხომ იცი ჩემი გულის ამბავი. სიყვარულს ნუ ესუშრები, სიყვარული არ დადის მრავალთაგან თელილ ბილიკზე, სადაც ბალახის სახსენებელიც კი გამწყვდარა, ფესვები თულა ჩასჭიდებია მიწას.

იმ გაბრაზებამ დიდი ხანია გამიარა, ხანდახან თუ შემახსენებს თავს შორეული, ომიანობისდროინდელი თრთოლვა დაძილს გამიკრთობს, ფიქრებს დამიბურდავს. იქნებ იმიტომაც შემათრთოლებს, რომ მარტო დამარჩინე; არადა, სულ ორა სიტყვა გითხარი, მწარე, მაგრამ მართალი სიტყვა. მე ხომ ძალიან კარგად ვიცი: იქ, სადაც მრავალი დადის, ბალახის ძირებია და რჩება, გათელილ ფოთლებზე, გარდასულ სიმწვანეზე რომ სწუხან. იმ გაბრაზებამ უკვე გამიარა და მე დაველოდები შენა დაბრუნებას. ვიცი, კვლავ დაბრუნდება. შენ ხომ ყველაფერი არ წაგიღია; აი, იქ დევს კაბა, სკოლის დამთავრების დღეს რომ ჩაიცვი, არ გჭირდება და დატოვე. იმ კაბას საწერ მაგიდაში შევინახავ, სადაც სტასეს საათი და დედაშენის ნაცრისფერი ცხვირსახოცი ინახება. ღმერთმანი, შტოფი სწორი იყო: ქალის გვამის შემყურე მე ხომ მართლაც ვერაფერს ვერ მოვიფიქრებდი. რა სისულელეა! არა, ყველაზე უბედურება მაინც ისაა, რომ შენ, ასისტენტო ტუმენას, ამ ცხოვრებისა ვერაფერი გაგიგია; უკვე ორი ცხოვრებისა, პროფესორო. წვერი კაცს ქალმა უნდა მობარსოს, კოლეგა ტუმენას!

პარლო კალამი

ბეშტაუ. ლერმონტოვის დღე. მიტინგი. სიტყვას ამბობს ვაჟა.

ათასში ერთხელ ხომ ასეც ხდება,
თუ გულით გინდა:
ჩამჭრალ სიცოცხლეს იხსენებს ცეცხლი
გამართულ ლხინთა.

შენ ხარ ბეშტაუ, შენ დგასარ ჩუმად,
სული განაბე.
შენ უკვე სიტყვით მოგმართავს ვაჟა,
ვაჟა. განა მე!

ღვივის ბრწყინვალე დღე ზეიმ-ზარის,
დღე ვარდობისა.
ბნელშიც აჩნიათ მთებს გაელვება
ლერმონტოვისა.

— ის იყო თვითონ ტყვე კავკასიის...
და ეს მას სწამდა.
ჩასაქოლ დღეს კი ცხენის ჭენებრთ
ეძებდა მათ-მთა.

და ტყვე კი არა — მსგავსად პირშეთქმულ
რაინდებისა,
ერთიც ის იყო ამჯანყებელი
კაცი მთებისა!

და აი, ბოლოს: მკერდით მიწაზე
აქ დაცემულიც —
თმობდა სიცოცხლეს სიცოცხლის ქინით
-ღტაცებულად.

დიდებით ვინც არ მოიხსენიებს
მას, აკვაცია!
მისი მღელვარე სიტყვით იმაღლებს
ხმას კავკასია...

მთელი არსებით თანამგრძობელი
თურგის, არაგვის —
ის თვითონ იყო გმინვა მძვინვარე
ტალღის, არა ქვის! —

არა ქვის, აქვე დემონის ცრემლით
გულ-განწვრტილის
არამედ: გმინვა ქვებში მომწყვდეულ
სულის, კეთილის...

და აჰა: მთების ღია გულ-მკერდი,
მკლავი გაშლილი:
ისე ვით სტუმარს, ვმასპინძლობ ვაჟა
რაზიკაშვილი —

და ქედ-გადმოღმა თურგს ესმის ღელვა
არაგვიანთა.
ჩვენ, — (ამბობს ვაჟა), ამის თქმა განა
დაგვაგვიანდა —

ჩვენი კაი-ყმა და ჩვენი ღვიძლი
ხარ უცქველად.
შენს მუდგარ მწირსაც, ვეფხვთან
მებრძოლს,
მივიჩნევთ ჩვენად.



მაგრამ დემონი!? ძმავ, დარიალში
დემონს რა უნდა!
მოლანდებაა თერგის ტალღების
აურ-ზაურთა!

არა. აქ ვსახლობ და უკრობ ცეცხლის
კერა მინთია.
აქვე ჩემს გვერდით ცხოვრობს ჩემი ძმა,
ცხოვრობს მინდია —

მესაიდუმლე მთის ლალ ბუნების
ზნისა და ენის,
ყოველ შეფოთლილ სტრიქონისაგან
სიმღერას ელის!

შენივ სიცოცხლით აღსდგე მხედარო
და გაიზარე!
აღსდგე კეთილო, სიჩუმით იქნებ
გადილაღე!

შენ კი ბეშტაუ, ძმავ იალბუზის,
უშბის, მყინვარის,
გამიგე სიტყვა, ჩემი სიმართლე
შენს თვალწინ არის!

სული დემონის, კლდეებს შებლილი
ლამის ბინდია.
გმირი ამ ღია დარიალების
არის — მინდია!

მ თ ე ბ ი

ახლა დაეხედოთ, ყაისინ, თუნდაც ჩვენს გაშლილ
ხელისგულს:
არ უწერია ასეთი სილაღე ბედით შერისხულს!

სულს გაცეცხლებულს, უეცრად რომ გაცოცხლება ეგემბა
სახეზე შემოგვასხურა აღმასის წყალი ჩეგემბა.

ფარ-ხმლით ნაკენჭნი კლდეები ჩვენს ბაასს ჩამოსცქერიან! —
მალა ჩეგემის ცა არის, დაბლა — ჩეგემის ფსკერია!

როცა შენ მომენატრები — აქ გადმოვდივარ ყოველთვის,
უფსკრულშიც ვხედავ ჩანჩქერთა შუქს შუქისფრქვევა რომ
ერთვის.

და ვერ დაგასწრებ მკლავ-გაშლას, ვიტყვი-ღა: — რაა,
რა მოხდა,
თითქოს დარაბტულ ცხენიდან, ეს არის, ახლა ჩამოხტა!

მეც, თითქოს მომყვა სადავით სამი მთა — სამი ფერისა:
ერთი რომ ვაჟას ლურჯაა, ორია რუსთაველისა!

და რა ბაასი გვექნება მამ, როგორც მთიელ ცხენოსნებს —
მზე უნაგირზე დაკრული კვლავ თუ არ გაისხიფოსნებს...

რა ომიც იყო — გადაგვხვდა, სხვა ომზე არა ნაკლები,
ძველები ამბად იტყვიან, გაიგონებენ ახლები...



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის გამომცემი

მიწის ბელტს, დახნულს, დათოვლილს, ბედად ყვავთა და
საკორტნი ძვალცი არ დარჩა, აქ ავად მოსაგონართს

მიდიან დრონი, მიდიან, მიდიან ლეგა ღრუბლები...
დღეო, რა კარგი რამა ხარ, დგებარ და გესაუბრები!

მიდიან, წყალნიც მიდიან — თერგის, ჩვეემის, რიონის...
ფეხს არ იცვლიან კლდეები, კლდეები კავკასიონის!

მათი ერთობა ვინ გაძყო, ვინ რა მშვილდ-ისრით დაისრა, —
სიკეთე რჩება სიკეთედ, სიავე არა არის-რა!

ზედ შენი სოფლის გულში დგას ქვათეთრი კოშკი სვანური,
შენთვის კი ასი გზა არის აქედან გადაკვალული.

ყაბარდოელებს, ყაისინ, მხრების მიმოხვრით მისწვდები,
მოიხმე კაცი ჩერქეზთა, მოინახულე ქისტები!

დიდება მაღალ იალბუზს, დიდება, კვლავაც გულზეიად
მთიელებს! — მათი დაპყრობა მუდამ ამოოდ უცდიათ!

ბალყარეთამდე მთა და მთა გადმოსაფრენი ცა რაა —
ფრთასა შლის შენი ნაბადი და ერთი გაშლაც არაა...

აპა რქა! აპა, ყაისინ, ღვთით დალოცვილი ზედაშე,
ცხვარი დავეკლათ წინაპრებს შეგვფერის კიდევ მე და შენ!

ზედ შეველწუნენ ჭენებით ქედს მკაცრი განაჩენები.
დგანან და დგანან კლდეები, დგანან ვით ცათამბჯენები.

და ესმის, ესმის ქვესკნელშიც, მთიდან მთის გადაძახება —
ვინც ჩვენი მტრობა იფიქრა, იფიქრა მთების აღება.

ნეკერჩხლები ძაუგ-ბეშთაუს გზაზე

ნეკერჩხლებო, ნეტავ, რამ აგანთოთ ასე
ჩრდილოეთის სველ და მიყურებულ გზაზე!..

წლიდან წლამდე უთქმელ სიტყვად მომჩვენა
თქვენი ფოთოლთშლა და თქვენი ფოთოლთცვენა!

ნეკერჩხლებო, აპა, სიჭარმაგის სვედრი:
განა ღრუბლებს — მთებსაც შერევიათ თეთრი!

სიჭაბუკეც ჩემი რომ არ შევევრცხლათ —
ვერ ვიგრძნობდი, ტოტებს რა მოედო ცეცხლად.

არც სილურჯე ცის და არც სიმწვანე წიწვის, —
შეაწყდებოდა ფოთოლს ფოთოლი და იწვის...

აღში ნაწრთობ სულის ელვარება წრფელი,
ნეკერჩხლებო, არის თქვენი ცეცხლის ფერი!

მხრების რხევით, ჭარში ჯავრს თუ ასე იჭრობთ, —
მე რას მეტყვით, გამელელს, ჩემზე რაღას ფიჭრობთ!

არა, ჯავრი ჩემი მე არ შემეტყობა —
თუმც მეტადრე იწვის ჩემი შემოდგომა.



გაუბზარავი მეგობრობა

გიორგი მთაბრაშვილი

საბჭოთა კავშირში შემავალი ერების მრავალ მწერალს ვიცნობ, ვიცნობდი და ბევრ მათგანს ვმეგობრობდი კიდევ. დაეასახელებ მათ შორის ავტიკ ისააკიანს, ნაირი ზარიანს, სამედ ვურგუნს, მამედ რაგიმს, ალექსეი ტოლსტოის. 1935 წელს ალ. ტოლსტოი და მე ჩემმა ძმამ — გიორგიმ წყალტუბოდან ჩვენს დედულში — ბაღდათის რაიონის სოფელ რიკოთშიც კი მოვიპატიუეთ ცოლ-შვილითურთ. ეს ფაქტი აღწერილი აქვს ტიციან ტაბიძის მეუღლეს ნინოს თავის მოგონებაში, რომელიც «ლიტერატურულ გაზეთში» დაიბეჭდა. ალექსანდრე ფადეევი ჩემს ბინაზეც კი ცხოვრობდა ერთხანს. ჩვენი მეგობრობა და მიწერ-მოწერა ცნობილია. ჩემთვის უაღრესად საყვარელი სახელებია პავლო ტიჩინა, მიკოლა ბაქანი, იანკა კუპალა, იაკუბ კოლასი, პეტრუს ბროვკა, მიხას ლინკოვი, ივანე მელეევი და სხვანი. მიკოლა ბაქანმა თარგმნა ჩემი „ჩალვადრები“ და სხვა ლექსები, ხოლო პეტრუს ბროვკამ — ჩემი რომანი „პირისპირ“.

მაგრამ არავისთან ისეთი მეგობრული და საქმიანი კავშირი არა მქონია, როგორც საქვეყნოდ ცნობილ ჩვენს დიდებულ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან — ნიკოლოზ ტიხონოვთან. ჩვენი პირველი შეხვედრა მოხდა 1934 წელს, როდესაც მაქსიმ გორკის თაოს-

ნობით, ჩვენი რესპუბლიკის გასაცნობად საქართველოში რუსი მწერლების ჯგუფი ჩამოვიდა. ამ ჯგუფში ნიკოლოზ ტიხონოვიც იყო. იმჟამად მას იცნობდნენ, როგორც უკვე გამოჩენილ პოეტს. იგი შუა აზიისა და კავკასიის ბუნებითა და მთებით მოჭადოებული, ვატიცებული მოგზაური და მთამსვლელი იყო. მას ნაცრისფერი პიჯაკი, შარვალი — გალიფე ეცვა და ბოტფორდები გაეკეთებია, საშუალო ტანის მქონე, ჯანლონით სავსე ბრგე ვაჟაკი თავისი ცისფერი თვალებითა და ფართო ენერგიული ნიკაპის გამო შვედი ან ნორვეგიელი გეგონებოდა, მაგრამ თუშური ქული ყველას აბნევდა.

ნ. ტიხონოვი საქართველოში სამუშაოდ ჩამოვიდა: ქართველი პოეტების ლექსები უნდა ეთარგმნა. მახლობელი მეგობრის — სანდრო შანშიაშვილის რჩევით მან სამუშაოდ ადგილად კახეთი აირჩია, კერძოდ — წინანდალი. იგი და მისი მეუღლე მე და ტიციან ტაბიძემ, ჩემი ძმის მანქანით, წინანდალში ჩავიყვანეთ. წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მთავრობის წერილი ჩავაბარეთ. ქართველი მწერლები ხშირად ჩავდიოდით ნიკოლოზ ტიხონოვის სანახავედ წინანდალში და მასთან ერთად წინანდლის დიდებული სასახლის, დეკორატიული ბაღის, ზერებისა და საერთოდ, იჭაური მიღ-

მოების დათვლიერებით ვტკებოდით. ტიხონოვმა წინანდალში ბევრი ქართველი პოეტის ლექსები თარგმნა, მათ შორის, სვანეთში 1926 წელს ჩემი მოგზაურობის შედეგად დაწერილი ბალადა: „ჩალვადრები“, „ალისმერეთი“, „თბილისის დილა“. „ჩალვადრები“ მან გაზეთ „იზვესტიაში“ დაბეჭდა. მერმე კი იგი, „ალისმერეთი“ და „თბილისის დილა“ თავის საკუთარ წიგნში შეიტანა. მადლობის ნიშნად, ტიხონოვზე ლექსების ციკლი „შეხვედრები“ გამოვაქვეყნე, სადაც ავწერე ლენინგრადში ჩემი ცხოვრება, ტიხონოვთან და მის მეუღლესთან ერთად, ქალაქ ორჯონიკიძემდე ჩვენი მგზავრობა, ჩრდილო ოსეთში, ოსი მეგზურის ცხენებით ტიხონოვისა და ჩემი ექსკურსია. ჩვენ მაშინ ვნახეთ დარგათის ხეობა, ულამაზესი ტბა, მთა — „ადაი-პოხი“, ოსების უძველესი ძვალთშესალაგი, შიფერით გადახურული კოშკები, რომელშიც ჩოხიანი, იარაღსხმული ოსი მამაკაცების გვამები დგანან. ზოგის დაშლილი ჩონჩხი წაქცეულია. მე და ტიხონოვი რკინის ცხრილიანი საარკმელიდან გავცქეროდით ზეზეულად მღვარი, ჩოხიანი ვაჟაკების ჩონჩხებს და მისტიკური განცდა გვეუფლებოდა. იქვე იმ კოშკებთან ცხვრები მშვიდად სძოვდნენ ალპიურ ბალახს. როგორც უკვე ითქვა, მწერლები ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვანი ხშირად ჩავდიოდით ტიხონოვის სანახავად წინანდალში და იქაურ საბჭოთა მეურნე-

ობის დირექტორს ვემუდარებოდით ყურადღება არ მიეკლო დიდებული სტუმრებისათვის. დირექტორი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა სასუკვარი სტუმრის მიმართ. იგი ნიკოლოზ ტიხონოვსა და მის მეუღლეს, რომ იტყვიან, ჩიტის რძესაც კი არ აკლებდა. ტიხონოვმა სწორედ აქ დასწერა შესანიშნავი თავისი ლექსები კახეთზე.

მე და ტიხონოვი წინანდალში სამუდამოდ დავმეგობრდით. ჩვენს შორის განუწყვეტელი მიწერ-მოწერა გაჩაღდა, რომელიც დღემდე არ შეწყვეტილა.

ტიხონოვისა და ჩემი მეგობრობის ნიმუშად ამა წლის საპირველმისო მოლოცვას შემოკლებით მოვიტან:

„ჩემს ძვირფას ძველ მეგობარს ალექსანდრეს სულითა და გულით ვულოცავ პირველ მაისს... ვიგონებ მზიურ თბილისს და წარსულის ბედნიერ დღეებს... ვიმედოვნებ ავადმყოფობა გამივლის და ისევ ვინახულებ საქართველოს სრულიად ჯანსაღი... მეგობრულად, ძველებურად გეხვევი... ნიკოლოზ ტიხონოვი“.

ამ წერილის — მოლოცვის პასუხად ნიკოლოზ ტიხონოვს ბარათი გავუგზავნე და გამოჯანსაღების შემდეგ საქართველოში, სანდრო შანშიაშვილის იუბილეზე ჩამოსვლა და მერე, დამტკბარი შემოდგომისას, კახეთში, იმავ წარმტაც წინანდალში დასვენება ვურჩიე.



რედაქცია ჯაფარიძე

მეიმა ჯვარი

რომანი ოთხ წიგნად

წიგნი მესამე

თავი XXXVIII

მრავალი ჭირისა და ლხინის, დაკე-
 მისა და აღზევების გადამტანმა ოტია
 დადიანმა სამუდამო განსასვენებელი ბე-
 დიის ტაძარში ჰპოვა, ლევან მეორე
 დადიანის მეზობლად. აქვე იყო დაე-
 რძალული გეგუთში ოსმალთა ვერაკო-
 ბით მოკლული მისი მამა ბეჟან დადი-
 ანიც. საფლავი რომ გათხარეს, მიწას
 ვიღაც უცნობი ახოვანი ვაჟკაცის
 ძვლები და კეფაჩაღეწილი თავისქალა
 ამოჰყვა. იქნებ სწორედ ეს იყო უბე-
 ღური ბეჟანი, შოშიტა რაჭის ერისთა-
 ვთან ერთად ოსმალებმა გეგუთს რომ
 დაიბარეს, მოტყუებით კარავში შეი-
 ყვანეს, იქ ღალატით მოჰკლეს და შეჰ-
 დევ ყოველივე მეფე ალექსანდოეს
 დაბრალდა? მესაფლავეებს რაღაც შე-
 ეშალათ, უთუოდ იქ არ თხრიდნენ, სა-
 დაც უნდა გაეთხარათ, მაგრამ შეშინე-
 ბულებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, კნას
 კბილი დაეპიროთო, ძვლებსა და თავის
 ქალას მიწა წააყარეს და აკლდამიც
 ამოშენებას შეუდგნენ.

გამოსათხოვარი წირვა უწმიდესმა

კათალიკოსმა ბესარიონმა გადაიხადა.
 აქვე ტრიალებდა ოდიშისა და აფხაზე-
 თის სამღვდლოებაც და მიცვალებულ
 მთავარს სძლისპირებს უკითხავდა. გუ-
 ნდი „წმინდათა თანა განუსვენეს“ გა-
 ლობდა. ბოლოს წირვა კათალიკე პა-
 ტრებმაც გადაიხადეს. განსვენებული
 მთავარი მათი გულმხურვალე შემწე
 და მფარველი იყო, პატრებს გვერდი-
 დან არ იშორებდა და უხვად ასაჩუქ-
 რებდა. პატრებიც ჭეროვნად აფასებ-
 დნენ ამ პატივისცემას, საპატიო ად-
 გილს უთმობდნენ თავიანთ ლოცვებ-
 ში. ქუთაისის მთელი მისიონი ოდიშს
 მოვიდა პრეფექტ ქლაუდიო დე რეჯი-
 ელის მეთაურობით და ძვირფას ცხე-
 დარს წრფელი ცრემლები დააფრქვია.

დასაფლავებაზე თუმცა დიდძალი
 ხალხი შეიკრიბა ყველა წოდებისა, ეს
 ყველაფერი მაინც ნაჩქარევად და სა-
 პაიპაროდ მოწყობილს შიავავდა. მი-
 ცვალებულთან გამოსათხოვებლად ვერ
 მობრძანდა ვერც მეფე, ვერც გურიის
 მთავარი მამია და ვერც იმერეთის ბევრი
 სხვა წარჩინებული პირი, მღვდელმ-

თავარი თუ ერისკაცია. სოლომონი იქუ-
ლებული ვახდა, როგორც კი თანავეც-
ხედრე სატირალში ვაისტუმრა, გურ-
ელისა და თავდგირიძისათვის ზემო-
მხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთე-
ლიც მიეშველებინა და თავადაც გუ-
რიაში წასულიყო. არავინ იცოდა, მა-
რთლა საქმე მოითხოვდა ამას, თუ და-
დიანის გვირგვინოსანმა სიძემ მარჯვე
შემთხვევა გამოიყენა და არეულ დროს
ოდიშიში წასვლას თავი აარიდა.

ოსმალებს ფრიად დიდი ზარალა
მოუვიდათ. ქაიხოსრო აგიაშვილმა მათს
მარცხენა ფრთას შეუტრია, იგი კიდევაც
გადაქელა, ზურგშიაც გააღწია და მტერს
ნაძარცვით დატვირთული ადალი წაარ-
თვა. ამით ისარგებლეს ბრძოლაში შე-
თხელებულმა გურულებმა, ხევს გაღმა
უშიშრად გავიდნენ და თავად მაჭუტა-
ძის სარდლობით ურჩულოს ხმალდა-
ხმალ მიუხტნენ. საშინელი ჩეხვა და
ხოცვა-ყლეტა გაჩაღდა. გურულებს გა-
უმართლათ, მტერმა უკანდახევა იქყო,
მაგრამ იქიდან აგიაშვილი აწვებოდა
და სიკვდილს თესავდა. დაღამებისას,
მეფემ და ქაიხოსრო წერეთელმა რომ
მოაღწიეს, აქ, შეიძლება ითქვას, სვე-
თაფერი უკვე მოთავებული იყო. ზე-
ვში საფლავებს თხრადნენ და გროვა-
გროვა დაყრილ მკვდრებს მარხავდნენ,
ჩვეუ-ჩვეუდ თავმყრილი ტყვეები
კი, ვინც ჰქუთა იხმარა და იარაღი ნე-
ბით დაჰყარა, მეთოფეთა მრავალრიც-
ხოვან ბადრავს ოზურგეთს მიჰყავდა.
დილას აქეთ მზეზე ნაგდები ბევრი
გვამი ყვავუორანს გაეფუქებინა. ყვავე-
ბი თავზე დაჰყრანტალეზდნენ. ნახარ
ბრძოლის ველს და ხან აქ დაეშვებო-
დნენ ტყვისასვით და ხან იქ. ტახტის
მაძიებელ თეიმურაზ ბატონიშვილს
და მოლა აბდულა-ფაშას მნახველი
არავინ აღმოჩნდა. მათ, ეტყობა, მანამ
უშველეს თავს, სანამ სოფელ მუზაგის-
ტატეს მიდამოებში გადამწყვეტ ბრძო-
ლას წააგებდნენ და თავიანთ მხედრო-
ბას, აქეთ რომ რიხით მოაბიჯებდა, თი-
თქმის მთლიანად დაჰყარავდნენ. სო-
ლომონმა ბრძანა და ლტოვილებს მდე-

ვარი დაადევნეს. მდევარში თვით ქაი-
ხოსრო წერეთელი წავიდა და ვაჟშვი-
ლისას უკან მობრუნდა. უგზობურად
გაქცეულებისა კვალიც კი ვადაცვებ-
ლიყო.

მეფემ დამე ქობულეთში გაათია. თავ-
დგირიძის კოპწია სასახლე, ფიჭვნა-
რიანი მწვანე ბექობიდან ზღვას რომ
გადაჰყურებდა, მტერს უწყალოდ აე-
კლო და დაეწვრია. საცხოვრებლად ის
დიღხანს არ გამოდგებოდა და ამიტომ
ღამის გათევა სალაშქრო კარგებში მო-
უხდათ.

სოლომონმა ბიძები მოიწვია დამთე-
ლი ჯარის წინაშე გულითადი მადლობა
უთხრა, ეს მეორედ იყო, გადამწყვეტ
წუთებში, როგორც ერთი, ისე მეორე
იმერეთის ტახტისადმი უყოყმანო ერთ-
გულეზას რომ იჩენდა და ამ ერთგულე-
ზას სისხლით განამტკიცებდა.

მეფე რომ მგლოვიარედ არ ბრძანე-
ბულიყო, საქმე უნადიმოდ არ ჩაივლი-
და, ანლა კი ლხინი არავის მოუხდებო-
და და ბატონიცა და ყმებიც მცირედით
დაკმაყოფილდნენ, გურიელის განთქმუ-
ლი ჩხავერიც, წრეულს საარაკოდ ჰაე-
როვანი, კამკამა და შუშხუნა რომ და-
მდგარიყო, თავშეკავებულად, დაგემო-
ვნებით მიირთვეს. ჯარმა ღრეობა გა-
მართა. ნაბრძანები იყო, ზომავზე მეტი
არავის დაეღია, მაგრამ ყოველი კაცის
თავზე ჩამორიგებულ თითო ხელადა
კაჭიკს და ცოლიკაურს ორი და სამი
სხეაც მიემატა და ღრეობაც გაჩაღდა.

სოლომონმა სარდლებს უსაყვედურა,
ეს უწესობა სწორედ თქვენგან მიკვი-
რსო, ორიოდ წკიპურტი მასპინძლე-
ბსაც გადაჰკრა და როდესაც ქაიხოს-
რო აგიაშვილი, ჩვეულებისამებრ, ბა-
ნაკის ოთხივე კუთხივე დაყენებული
მზირების შემოსავლელად წამოდგა,
ქეშიკოტუხუცესს უბრძანა, ცხენი მის-
თვისაც შეეკანმათ. გურიელი და თავდ-
გირიძე, მათთან ერთად მთელი კრებუ-
ლი, უმაღ წამოიშალა. დაუშალეს, არ
უნდოდათ, ყიამეთ ღამეში მეფე ვარეთ
გაეშვათ. ტყეები უწესრიგოდ გაფან-
ტული აგარიანებით იყო სავსე. ვინ იცის

სად რა ხიფათი იყო მოსალოდნელი. სოლომონმა განმეორებით ბრძანა, ცრუნი მომართვიეთო. გარდა ციხისთავისა და ქეშითთუხუცეს აგიაშვილისა, მხოლოდ თხუთმეტორდე კაცი იახლა, სხვები, აზნაურნიც და უაზნონიც, აქ უნდა დალოდებოდნენ.

ჯერ ბანაკი უკან არც კი მოეტოვებინათ, მეფისა და მისი მხლებლების ყურადღება მთვრალი ხალხის ყაყანმა, ყვირილმა და შეხლა-შემოხლამ მიიქცია. აბრალებულ კოცონთან შავი ლანდები დაბორიალებდნენ. მათი უსასრულოდ წაგრძელებული ჩრდილები ბუჩქნარსა და ხეებს შორის ეფინებოდა.

— ვინ არიან? ზოცავენ ერთმანეთს? — წყრომით იკითხა მეფემ და ცხენი შეაჩერა.

აგიაშვილმა კაცები გავხაზა. იმათაც ამბავი მალე მოიტანეს: მზირებს ვილაც უცხო მხედრები შეეპყროთ და ბანაკში მოყავდათ.

— მერე ველარ მოიყვანეს? — შეუწყრა თავის ხალხს ციხისათვი და ქეშითთუხუცესი.

— წინ მთვრალები გადასდგომიან, გინდათ თუ არა, საუფრახე დაგვეწვიეთო. ლაპარაკი მოსვლიათ...

— აგრე იცის უზომო სმამ! — გამოსცრა სოლომონმა და ცხენს საღავე მიუშვა, მაგრამ მალე ისევ მოზიდა, თავი მოადრეკინა, — ვინ არიან შეპყრობილები?

— აგერ გაახლეს ისინიც, თქვენო უმაღლესობაე!

სოლომონს თვალთ დაუბნელდა, როცა მოსულებს მამულები მიანათეს და შეპყრობილებს შორის თავისი ბიძა, ბატონიშვილი მამუკა იცნო.

— ბიძაჩემო, შენ აქ რა გინდა?

— აბა, სად უნდა ვიყო, ჩემო ძმისშვილო? — მამუკამ უმაღლვე იცნო მეფე და შეუნიღბავე ყვედრებით მიუღო.

— მე დადიანის კარზე მეგულები. ძმაზე მგლოვიარე თანამეცხედრე შიატოვე და ჩემი მტრის ლაშქარში გამოიქციე?

— შენ რომ მტრის ლაშქარს ესახი, ის ჩემი შვილის ლაშქარს გახლავის, მეფეე, ჩემი ადგილი სწორედ შექცეო, შენს გამო ცხრა მთას იქით გადახვეწილი შვილის გვერდით!

— შენი შვილი სამშობლოს მტერია, ბიძაჩემო, ჩვენი კანონებით დიდი ხანია, სიკვდილი აქვს მისჯილი. არ მეგონა, თუ ეს არ იცოდი და ქრისტიანი ურჯულოს გამოსარჩლებას გაბედავდი. ის, ვინც მოღალატის გვერდით დვას, მამა იყოს, თუნდ დედა, შვილი თუ თანამეცხედრე, თავდაც მოღალატეა და მოღალატის ხედრს გაიზიარებს. აქ მაინც საიდან გაჩნდი, ეს გამაგებინე!

— შენთან მოვდიოდი, მზირებმა ვერ მიცვენეს და დამაკავეს.

— ასე სასწრაფო და გადაუდებელი საქმე რა გქონდა?

მამუკამ რამდენიმე წამით შეაყოვნა პასუხი, შემდეგ გადაწყვიტა, უკან არ დაეხია და თავისი სათქმელი აქვე ეთქვა:

— გაგვიფი მე და ჩემი შვილი თათარში. იმერეთის ტახტზე ხელი აგვიღია!

— შენ მაგას ისე მეუბნები, ბიძაჩემო, თითქოს რაღაც ნივთი ხელთა გაქვს და ნებაყოფლობით მე მითმობ. იქნებ ჩემგან მადლობასაც მოელი? ჩემს სამეფო ტახტზე, რომელიც მამაჩემისაგან კანონიერად მივიღე, შენ და შენს შვილს ხელი როგორ ავიღიათ? რაც არა გაქვთ და კანონიერად არც არასადღეს გქონიათ, იმას მე როგორ მითმობთ? გაუგებელი კაცი არა ხარ, მეც ნუ ჩამთვლი ბნელ და გაუგებელ კაცად, არავინ დაგიჭერებს. მოლა აზღულა-ფაშას ლაშქარი, ჩვენმა პატიოსანმა ბიძაშვილმა თეიმურაზმა რომ შემოგვისია, ღვთის შეწევნით უკვე აღარ არსებობს. ვნანობ, თეიმურაზი ხელიდან გაგვისხლტა და მისი ასავალ-დასავალი აქამდე ვერ შევიტყვეთ...

— თეიმურაზი ტყვედ ჰყავთ გურულებს, სოლომონ! ეს სარწმუნოდ შემატყობინეს და მე უბედურიც მამანათვე აქეთ გამოვიქციე, რომ მომესწ-

რო და შენთვის მისი შეწყალება მეოხოვა. რა ვუყოთ, დღეს შენ გაიმარჯვე და ჩვენ ვათელილი დავრჩით. შეხედე შენს ღმერთს. შეიღების პატრონი ხარ და კარგად უწყი, გულდათუთქული მამა, შენი ღვიძლი ბიძა, რასაც გეხევენ. წაიღე, რაც გვაბადია, გამოვზავნე შენი დიამბეგები, ყველაფერი ჩამოგვართვი და უპერანგოდ დაგვტოვე, ოღონდ ის შეგვარჩინე ცოცხალი. ნუ ჩაგვიჭრობთ თვალის ჩინს, შავებს ნუ ჩაგვაცმევ ერთადერთ შვილზე. მაღალი ღმერთის აუგს ნუ მათქმევიწებ. უბედური შენი ბიცოლაც მუხლმოყრილი ამას გვედრება!...

— თუ მე და ქაიხოსროს დაგვიჯერებ, შენთვის ტყუილი ცნობა მოუწოდებიათ, ბიძაჩემო, ალბათ, საჩუქარს დაეხარბნენ. თეიმურაზი რომ მართლაც ტყვედ იყოს ჩავარდნილი, მე და ქაიხოსროს ამას არავინ დაგვიმალაგდა. შეგიძლია თავი დაიმშვიდო და ბიცოლაჩემიც დაამშვიდო, რომ თქვენი შვილი ამჯერად უვნებელია და ჩვენგან შორს იმყოფება!

— მაგას მართალს ამბობ, სოლომონ? — აკანკალებული ხმით იკითხა მამუქამ.

სოლომონმა ცივად გაიღიმა, მხრები აიჩეჩა.

— რისთვის უნდა ვტყუოდე!

— შემიძლია გავბრუნდე და შენი ნაბრძანები ბიცოლაშენს ვასარო?

— ერთი პირობით: ერთხელ და სამუდამოდ ჩამომავორეთ თქვენი ურჯულო შვილი, ჩამომავორეთ, სანამ სული არ წამიწყმელია და ამ მარჯვენით არ მომიკლავს! სისხლს ტყუილად ნუ დამაღვრევენებს, გვეყო! ყველამდე სისხლის ზღვაში დავცურავ. როდემდე? რა ვუყოთ, დღეს შენ გაიმარჯვე, ჩვენ ვათელილი დავრჩითო, ასე არ მითხარი? მაშასადამე, იმედოვნებთ, რომ ხვალ გამარჯვების სასწორი თქვენსკენ გადმოიხრება და ვათელილი მე დავრჩები? ვითომ თქვენი დილსულოვნობის იმედი ვიქონიო? ისე არაა ჩემი მტერი! უამისოლაც გავკრა

ნებულ ქვეყანას რაღას ერჩით, ღმერთს რაღა პასუხს აძლევთ, საწყნარი ხალხის ცოდვას კისერზე რისთვის იღებთ, თქვე უკეთურებო, გგონიათ, ავკაცობა ისე ჩაივლის, პასუხი არ მოგეთხოვებათ?

თავისივე ნათქვამით გაფიცებულმა და გულამღვრეულმა სოლომონმა ცხენი დამძრა და თითქოსდა ლეთაბის წინაშე დამხობილ ბიძას ისე გაშორდა, არც მხლებლებისა და არც მზირებისათვის, ვინც შეპყრობილი ბატონიშვილი აქამდე მოიყვანა, არაფერი უბრძანებია.

სამმა დღემ და ოთხმა ღამემ დამარცხებული მტრის ნაშთების ძებნასა და ლოდინში გასტანა. მეოთხე დღეს, როდესაც დარწმუნდა, სამიშროება მთლიანად გავლილიყო, სოლომონმა ჯარის აყრისა და შინ გაბრუნების ბრძანება გასცა. საკუთარი ნამოქმედარით კმაყოფილმა და მეფის მაღლიერებით ფრთხილმულმა გურიელმა და თავდგირიძემ ბატონი სამთავროს საზღვრამდე გააცილეს, სადაც მას მენაპირე თავადები, მიქელაძე და ჩიჯავაძე, დაუხვდნენ თავ-თავისი ჯარით და ფეხქვეშ ფიანდაზი გაუშალეს. სოლომონმა ადრევე იგბძნო, გურიელს რაღაც ჰქონდა სათქმელი და შესაფერწუთს ეძებდა მეფესთან გასამარტოებლად. როცა ეს წუთი ხელში ჩაუვარდა, მამიამ მიიხედ-მოიხედა და თითქმის პირდაპირ დაიწყო:

— თუ საწყენად არ მიიღებ და არ გამირისხლები, მინდოდა, ერთი გადაუღებელი საქმე მერჩია, მეფეო...

— ბრძანე! — ნება დართო სოლომონმა და ცნობისმოყვარე მზერა მიპყრო, ნეტავი რა უნდა უნდოდესო.

— შენი ერთგულება მამედგინებს...

— გურიელი ყოყმანობდა, ვერ გადაუწყვიტა, თავისი საეგებო სათქმელი რა სიტყვებით გამოეხატა. — მე რომ შენი ერთგული არ ვიყო...

— გისმენ, ბატონო, ის, რაც საქმით უკვე დამიმტკიცე, სიტყვიერად რაღა

გასამეორებელია! — გააწყვეტინა მეფემ.

— აბა, იცოდე, რასაც ახლა მე გავიხელ, მარტო ჩემი მოაზრება არ გახლავს, სხვებიც ამ აზრზე დგანან და შენი რისხვაც და მადლიერებაც, საცა სამართალია, ყველამ თანაბრად უნდა გავიყოთ.

— გამაგებინეთ, რაზე ბრძანებთ მაგას! — სოლომონს მოუთმენლობა და ეტყო, რაც გურიელს არ გამოჰპარვია. ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა, ქვებსაც კი ყურები ასხია, არავინ გვისმენდესო და მეტი სიფიცხით, მაგრამ უფრო ხმადაბლა განაგრძო:

— დაგვიდგა დიდი ქირის მოცილების დრო. ოდიშმა მუხლი უნდა მოიყაროს ტახტის წინაშე და დადიანი, როგორც ადრე ყოფილა, მეფის ყურმოქრილი ყმა უნდა გახდეს!

მეფემ შუბლი შეიკრა, თვალები მოწყურა.

— კარგად ვერ გავიგე, ბიძახეშო, რას მთარავებ!

— სამი სადროშოს ჯარი შეყრილია, მე და თავდგირიძეც შენი დროშის ქვეშ ვდგავართ. უკეთესი დრო, მერწმუნე, აღარ დაგვიდგება. დაგვრთე ნება. ცხენისწყალს გადავიდეთ და დადიანის მე კაცია შენს მეფურ დიდებულებას დაეუმორჩილოს!

სოლომონი გამოერყვა, აიღენწა:

— ჩემს თანამდგომ სიმამრს, ქირიაა და ლხინის მოზიარეს, საფლავში გაცივება არ ვაცალო, თანამეცხედრე დედოფალს პირში ჩალა გამოვავლო და შგლოვიარე ცოლისძმას მოსაკლავად მიუხებტე? ეგ რამ გაფიქრებინა, მთავარო, განა მე შარავზის ყაჩაღი ვარ, არაფერს ანგარიში არ გავუწიო და მხოლოდ სარფაზე ვიზრუნო? რისხვა რა მოსატანია, მაგრამ საყვედურს კი გკადრებ. მსგავსი რამ ფიქრადაც არ უნდა მოგსვლოდა. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მარტო ვართ და ეს ლაპარაკი სხვას არავის ესმის!

გურიელი აენტო, მეფის წინააღმდეგ:

გობამ, უფრო იმის ეჭვმა, რომ სოლომონი არ ენდობოდა, თუმცა გულშეინგბვე ზრახვა ედო, გამბედარობა მოუმატა.

— მერე არ ინანო, მეფეო. შენ ბრძნულად მოიქეცი, როცა კაცობრივ ენებათაღელვას ზურგი გაბედულად შეაქციე და წინ სამეფოს სეე-ბედი დააყენე, რასაც შედეგად მამისეული ტახტის დაბრუნება მოჰყვა. დღეს ხელახლა გეძლევა შემთხვევა და, როგორც მეფეს, არა გაქვს უფლება, ეს მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაუშვა!

სოლომონს მწარედ გაეღიმა.

— დავიჯერო, გურიის მთავრების და ოდიშის ბატონის ძველი მტრობა არ გალაპარაკებს?

მამიამ პირველადი გადაისახა.

— მაშინ მრისხოს სამასსამოცდახუთმა წმიდა გიორგიმ! არ გამეწიოს აქედან ცოცხალს!

— ეითომ, დავიჯერო, ოტია დადიანის ამ ქვეყნიდან წასვლით ოდიში უფრო სუსტი გახდა, ვიდრე აქამდე იყო? ოტიას ძალა და შემართება, რამდენნადაც ვიცი, ბოლო დროს მის მე კაციაში ხორციელდებოდა. კაცია დღეს ცოცხალია და სამთავროს საჭე ხელთ უყარია. რად ივიწყებთ კიდევ ერთ ვინმეს, ვისი დავიწყებაც არასგზით არ შეიძლება?

— არ ვივიწყებთ, მეფეო, რაქის ერისთავი როსტომი, მართალია, დადიანის ახლო ნათესავია, მაგრამ თუ მსუყვე ძვალს გადაუფდებთ, მისი ამბავი რომ ვიცი, ნათესავს ზურგს შეაქციეს და ძვალს გამოუღებდა.

— ლეჩხუმი დავპირდეთ?

— ზუსტად გამოიცანი, მეფეო! ლეჩხუმს ერისთავი თავისად თვლის თუმცა მეფეებმა ის საერისთავოს მანამ ჩამოაცილეს, სანამ დადიანები დაიჭერდნენ და მიისაკუთრებდნენ!

— მერე ერისთავს ვინლა მოერევა, როცა ლეჩხუმსაც იმას მიეცემთ?

— არ მიეცემთ! დაპირება დაპირებად უნდა დარჩეს!

— ტყუილისაგან სიმართლე გამოივა?

ვერ გიფიქრიათ, მთავარო, კარგად, ვინც ეგ იფიქრეთ. გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი: სწორედ კაცობრივ შუღლს დაუბრმავებინართ ყველა და იმას კი ვეღარ საზღვრავთ, თქვენი განზრახვის აღსრულებას ბოლოს რა მოჰყვება. შემომფიცავ, როგორც კაცი კაცს, რომ ეს საუბარი ჩვენს შორის დარჩება და აქედან ერთი სიტყვაც არ გავა? თუ ამის იმედი არა გაქვს, უმჯობესია, ახალავე გამოტყდე და მე სხვა ღონე სმიემართავ!

„სხვა ღონე“, ალბათ, ქეშიკების მოხობა და გურიელის შეპყრობა იყო, რაშიაც თავისიანებს შორის მყოფ ლაშქარმრავალ მეფეს ხელს ვერავენ შეუშლიდა, მაგრამ გურიის მთავარი თავის ნათქვამზე მაინც მაგრად დადგა:

— სიტყვა უკვე ითქვა და უკან რაღა-წაირად დავიბრუნო!

— ჩვენ ორს შორის უნდა მოკვდეს ის სიტყვა. შენ არ გითქვამს და მე არ

გამიგონია! არ გეკითხები, ჩემს უნებართვოდ ვინ და ვინ მოილაპარაკეთა რომ ლაშქარი ოდიშზე წაგეყვანათ.

არ ვიცი და არა მსურს ვიციოდე! მამის სულს ვფიცავ, ვილაცას თვალები ექავება, დათბრას ნატრობს. ვიდრე მე ვარ და თავზე მეფის გვირგვინი მადგას, აქ ჩემი სიტყვა არის შეუუვალი კანონი, ბატონო მამია. ყველას, ვინც მეფის სიტყვას გადაევა, ერი ტახტის მოლაღატედ სცნობს და თავის მსჯავრს დასდებს. ახლა გზა დამილოცნია! ნუ მიწყენ, თუ მკვახედ გელაპარაკე. რა ვქნა, საქმე მოითხოვს ასე. მამიდასთან ბოდიში მომხადე, მონახულება რომ ვერ მოვახერხე. სამთავროს მიმიხედე, მტერზე თვალი ფხიზლად გევიროს!..

„მე, მიმიხედე!“ — გაიფიქრა გურიელმა, ხმამალა კი ესა თქვა:

— რა მრჩიდა? მე რა.. მე რა სარგებელი მაქვს მაგ საქმიდგან?!

თა30 XXXIX

ტფილისიდან მოსულმა სომეხმა ვაჭრებმა, რომლებიც ქუთაისში მთელი კვირა გაჩერდნენ და აქ დიდძალი ამრეშუმის ნართი და ენდრო შეიძინეს საზღვაო გზით დასავლეთის ქვეყნებში გასაზიდად, ახალი სასიხარულო ცნობები მოიტანეს. მიუხედავად ქართლ-კახეთის შეერთებული მხედრობის უკიდურესი სიმცირისა, მეფე ერეკლეს საარაკო გმირობა გამოეჩინა ერევნის სახანოში, ციხე იერიშით აეღო, იქ გამაგრებული სპარსეთის ტახტის მოცილე, მისი ძველი მტერი და ღუშმანი აზატ-ხანი ტყვედ ეგდო და უკან გამარჯვებული მობრუნებულიყო. სატახტო ქალაქი ტფილისი დიდისდიდებით შეგებებოდა ერევნის გმირს. თაბორისა და შურისციხის გოდოლებზე ზარბაზნები დაეცაოთ და ცა ფერადი მამხალებით გაე-

ჩირალდნებინათ. მისალოცად და სიხარულის გასახიარებლად უკმაყოფილო ქართველი თავადიშვილები და თვით პაატა ბატონიშვილიც კი მოსულიყო. ერეკლეს მხოლოდ ერთი ღამე გაეთია ისინი სასახლეში და მეორე დილას თელავს გამგზავრებულიყო, სადაც სახლული ელოდა და უდროოდ მიწას მიბარებული ბატონიშვილი თუთას თბილი სამარე ეგულეზოდა.

ვაჭრების მიერ მოტანილი, ხან ნაკლები და ხანაც გაზვიადებული ცნობები მალე სხვებმაც დაადასტურეს. იმერეთის სამეფო კარი ზარ-ზეიმით შეხვდა კახ-ბატონის ბრწყინვალე გამარჯვებას, რამაც ლეკების განუწყვეტელ თარეშსაც ბოლო მოუღო და ლიხგადამა ქვეყანაში ნანატრი მშვიდობიანობა დაამყარა. გელათის ღვთისმშობლის ტა-

ძარში პარაკლისი გადაიხადეს, ლომგული და ფეხბედნიერი მეფე ერეკლეს დღეგრძელობა მაღალ ღმერთს შეავდურეს.

გიორგობისთვის 26-ს რაჭის გზით სკანდას მოვიდა რუსეთიდან მომავალი წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე და ლიხთიმერეთის მეფე სოლომონს მისი ელჩის, ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელის, წიგნი მოუტანა.

ქრისტეფორე და მისი მსლებლები: არქიმანდრიტი ფილიპე ბოკორმელი, აზნაური გიორგი ელიოზოშვილი და სამი ბოდბელი მღვდელი, ერეკლეს ყიზლარში გაეგზავნა გაურკვეველი მიზეზის გამო იქ შეყოვნებული მამისათვის სამეფოს ახალი ამბებისა და ერევნის სახანოში საშიში მტრის ძღვევის შესატყობინებლად.

წილკნელს, ღვთის შეწევნით, მეფე და სამოცდათორმეტი კაცისაგან შემდგარი მისი ელჩიონი ყიზლარის ციხესიმაგრეში აღარ დახვედრია. სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული უზენაესი განკარგულების თანახმად თეიმურაზს ბარგი შეეკრა და ღვინობისთვის ექვს ასტრახანს გამგზავრებულიყო. მიტროპოლიტს, თავისი მეფის სახელით, პირადად მოენახულებინა ყიზლარის ციხესიმაგრის კომენდანტი გენერალი ფრაუნდორფი და ასტრახანში მყოფ მეფე თეიმურაზთან გაშვება ეთხოვა კახბატონისაგან გამოგზავნილი წერილების გადასაცემად. ქართველი მღვდელმთავრისათვის ყიზლარის ციხესიმაგრეში წინასწარი წერილობითი პირობა ჩამოერთმიათ, რომ მეფე თეიმურაზის მონახულების შემდეგ იგი თავისი კაცებითურთ დაუყოვნებლივ უკან გამობრუნდებოდა. ხოლო ასტრახანში ჩასული აუცილებლად ეწვეოდა იქაურ ეპისკოპოს თეოდოსის, რომელსაც სრულიად რუსეთის უწმიდესი სინოდისაგან დაკისრებული ჰქონდა ამიერკავკასიის მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ურთიერთობის დამყარება.

აქ ერთ თვეზე მეტია მოვედითო, მშრალად, საქმიანად იტყობინებოდა მაქსიმე ქუთათელი, პეტერბოლუს ჩვენი წასვლა ძალიან გვიანდება და ვაითუ წრეულს, — რაღა დარჩა, თვე და ოცი დღე! — ისევ აქ, ამტრახანში მოგვიბედეს ყურყუტით. ჯერ იყო და, ჩერვლენში სრული ორი თვე გვალოდინეს, სანამ კანცლერ გრაფ ვორონცოვის განკარგულება არ მოვიდა და ყიზლარის ციხესიმაგრეში არ შეგვიშვესო. იქ, მართალია, თავაზიანი მიღება მოგვიწყევს და ღამის ვასათევი ბინაც და ნუზლიც შესაფერისი მოგვიჩინეს, მაგრამ ციხესიმაგრეში შემოსვლისას ზარბაზნები არ დაუცლიათ, როგორც რუსებმა ვახტანგ მეფის აქ მობრძანებისას ჰქმნეს და უცხო მეფეების სტუმრობისას ევროპის ქვეყნებში საზოგადოდ სჩვევიათო, მართო დოღების ბრავუნი და საყარაულო როტის წინ გავლა გვაკმარესო. შემდეგ ქუთათელი მწარე გულისტივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსის მოხელეები ბატონ მეფე თეიმურაზს მეფედ ან ხელმწიფედ კი არა, „ვლადეტელად“ იხსენიებდნენ, რაც ჩვენს ენაზე მფლობელს ნიშნავს და ამით უთუოდ თავის საჭმეს იიოლებნო.

ეპისკოპოს მაქსიმეს ვრცელი, თაბახის თერთმეტ ფურცელზე დაწერილი წიგნი ბევრ სხვა საგულისხმო ცნობას, დაკვირვებას და ვარაუდს შეიცავდა. იმერთა მეფის სასახლეში პირველად ამ წიგნით შეიტყვეს, თუ რა ხდებოდა დასავლეთის ქვეყნებში იქ ატეხილი სისხლისმღვრელი ომის მეოთხე წელს...

„დანამღვილებით ვიცით, — იწერებოდა ქუთათელი. — უავგუსტოესმა იმპერატრიცა ელისაბედმა უარი უთხრა ზაფხე პრუსიის მეფე ფრიდრიხს, რომელიც რუსის ჯარებმა ერთობ შეამკირვეს და ფრანციისა და ავსტრიის წინააღმდეგ რომ ხელები გაეხსნა, რუსეთში ზავის მაძიებელი შუაგაცემა გამოგზავნა. რუსეთის არმიის მთავარსარდალმა ფერმორმა ოცდაათ ენკენისთვის ფრიდრიხის სატახტო ქალაქი ბერლინი აიღო.

ეს ამბავი მთელმა რუსეთმა იდღესასწაულა. რუსის ქარში ბევრი გერმანელი სამხედრო მოსამსახურე ყოფილა. თავად ფერმორიც, როგორც ამბობენ, გერმანელი უნდა იყოს. ფერმორს დაღატაკი და ფრიდრიხთან ფარულ კავშირს ამბობენ. ეს ეჭვი იმით დადასტურდა, რომ აღებიდან ცხრა დღის შემდეგ რუსებმა ბერლინი დასაყდეს და მას ისევ ფრიდრიხი დაეფულა. ფერმორი გადაყენებულია. მეწინავე ქარის სარდალი ტოტლებენი სამართალში მისცეს და სიკვდილი მიუსაჯეს. აქ ჯერ არავინ უწყის ვის მივადგეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მთავარსარდლობის პატივს. ფრიდრიხის კაცები კონსტანტინოპოლში ფუთფუთებენ და ყველა ლონეს ხმობენ, რომ სულთანს იმში ჩაითრიონ და თავისი დაუძინებელი მტრის რუსეთის წინააღმდეგ გამოიყვანონ. ამით, რუსებს, პრუსიის მეფეც კი რზე მეტად სძულა. და სულთანიც, მაგრამ ორივესთან იმის წელი არა აქვთ და ურჯულო ოსმალებთან ზავის შენარჩუნებას ესწრაფვიან. ამიტომ ვასაკვირია: არ უნდა იყოს, თუ აქაური მოხელეები უხალისოდ გვხვდებიან და სატახტო ქალაქისაკენ გზის გაგრძელებას ათასნობითი საბაბით გვიკვიანურებენ. შიშობენ, ქართველების აქ ყოფნა და პატივით მიღება ოსმალებმა მის შინაურ საქმეში ჩარევად არ ჩაუთვალონ. ვაითუ ამას მერე ომი მოჰყვეს. კაცმა რომ თქვას, ვასამტყუნარი არც ესენი არიან, მაგრამ ჩვენ ჩვენი სატყვეობა გვაწუხებს და თუ პირდაპირ არ გვეტყვიან, უფლებს არა გვაქვს, ამათი ვასაპირი შევამჩნიოთ.

გუშინ აქ ყილინის შემცვლელი ახალი გუბერნატორი გენერალი ნერონოვი ჩამოვიდა და იმავე დღეს ბატონ მეფე თეიმურაზს ესტუმრა. მეფის მრჩეველებთან ერთად დარბაზობას მეც ვესწრებოდი. თარჯიმნად აქაური ქართველი თავადი ოთარ თუმანოვი გვყავს. თარჯიმანი თვით შემოგვთავაზეს და უარის თქმა არ ეგებოდა. თუმანოვი გუბერნიის საგარეო საქმეთა უწყებას:

განაგებს, ქართული გვირგვინად ახსრავს და პეტერბურგს ვასაგზავნი თარჯიმანი რუსულად გადათარგმნაში გვეხმარება. ეგ თუმანოვი მეფეს დასანახავად ევაკრება, თუმცა ბევრ სახელმწიფო საიდუმლოებას მისგან ვტყობილობთ, ყველას გვაფრთხილებს, მოჩენილია, თავს იკატუნებს, არავის არაფერი დაგაცდენინოთო, მაგრამ სხვათა დასანახად ისე ექცევა, თითქოს მეტისმეტად კმაყოფილიც კი იყოს ამ გადაგვარებული ქართველი თავადიშვილის სამსახურით.

ახალმა გუბერნატორმა გზა აძაგა. თავბედი ვიწყებულე, ამისთანა უკუღმართ ამინდში, წლის ამ დროს აქეთ რამ წამომიყვანაო, ჯერ ცარიცინამდე ძლივს ჩამოვალწიე და მერე აქეთო.

ყველა მივხვდით, ბატონი მეფეც მიხვდა, საით ღუნავდა ჯოხს ამტრახანის ახალი გუბერნატორი, რომელსაც ჩვენს თაობაზე საიდუმლო დავალება ექნებოდა პეტერბურგიდან, მაგრამ რა შვილი გაგვიმხელდა!

ჩვენ ვერავითარი გზა ვერ შეგვაშინებდნო, თარჯიმნის პირით უბასუხა ბატონმა თეიმურაზმა, რა გაქირებდაც არ უნდა შეგვხვდეს, იმპერატორის ჩვენი ფეხით უნდა ვეახლოთ, როგორც ჩვენი წინამორბედი ქართველი მეფეები სჩადიოდნენ, და თავყანი ვცეთო. ნერონოვმა ისევ უგზობა მოიღო მიზეზად და ფიცქვეშ აღუთქვა მეფეს, როგორც კი წყლები გაიყინება და მარხილებით მგზავრობა მოსახერხებელი გახდება, თქვენდა სამსახურად მზად გვიგულეთო.

დღეს თავადი შიო ტუსიშვილი ჩამოჰყვა გაქრებს მოსკოვ-ქალაქიდან. თავადი შიო მეფემ გავზავნა მოსკოვს და პეტერბურგს საიდუმლო დავალებით და მანდ დამზადებული წიგნები გაატანა. გუბერნატორმა უარი ვერ უთხრა გამგებანზე. მეფის მრჩეველებმა, სარდალმა ალექსანდრე ციციშვილმა და მარტყოფის მოურავმა ჭიხოსორი ჩერქეზიშვილმა, დაარწმუნეს, რომ შიო ტუსიშვილი რუსეთის სატახტო ქალაქში ნათესავების სანახავად მიდიოდა. და-

ლოცვილს იმდენი მოუხერხებია, რუსეთის სამსახურში მყოფ და დიდად მიღებულ გენერალ ევგენი ამილახერის შემწეობით თვით კანცლერი გრაფი მიხეილ ლარიონოვიჩ ვორონცოვი უნახავს და ბატონი მეფე თეიმურაზის უმორჩილესი თხოვნა გადაუყვია.

აქ წელეზე ფეხს იდგამენ, რომ როგორმე გვათქმევინონ, რა მიზნით გადაგვიწყვეტია პეტერლუხს წასვლა. მხოლოდ და მხოლოდ უაგვუსტოესი იმპერატრიცასადმი თავყვანისცემის გამოსახატავადო. ამას ამბობს ბატონი მეფე თეიმურაზი და ჩვენც ყველა ამას ვიმეორებთ. ახლა ტუსიშვილმა იმედიანი სიტყვა მოგვიტანა და წყლები გაიყინება თუ არა, იქნება მაღალმა ღმერთმა წყალობის თვლით გადმოგვხედოს და მართლა დაადგეს საშველი ჩვენს უსაზომო ტანჯვა-დამცირებას..“

შემდეგი წიგნი მაქსიმე ქუთათელმა 1761 წლის გაზაფხულზე, დიდმარბვის უკანასკნელ კვირაში მოაწვდინა მეფე სოლომონს, ამჯერად უკვე რუსული სიასამურის შესაძენად ჩრდილოეთში გადახვეწილი და იქიდან დიდი ზარალით მობრუნებული ისხაკა თეთრუაშვილის ხელით. ნატრია საქურისის უაზრო დაღუპვისა და ფაშა ჰაჯი-აჰმადის სიკვდილით დასჯის შემდეგ ისხაკა თეთრუაშვილი სულ ორჯერ გამოჩნდა იმერთა მეფის კარზე და მერე კარგა ხნით დაიკარგა. ზოგს ცოცხალი აღარც კი ეგონა. თვით მეფე სოლომონიც დაეჭვებული და შეწუხებული იყო. ისხაკასთან ერთგული კაცის დაკარგვა ცოტა ზიანს როდი მოიტანდა.

ვარდა ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძის სხვადასხვა დროს შედგენილი წიგნებისა, თეთრუაშვილმა მეფეს ბევრი სხვა საგულისხმო ცნობაც მოუტანა, ბატონის ნებით სასახლეში ორ დღეს დარჩა, მერე თავის მშობლიურ სოფელში ბანძაში გაემგზავრა ნათესავეებისა და დედ-მამის საფლავების მოსანახულგლად და ბოლოს ისევ გეგუთის სასახლეში დაბრუნდა, სადაც იმჟამად მე-

ფე სახლელულით ცხოვრობდა და ქვეყანასაც იქიდან განაგებდა.

მეფემ დედოფალი მარიამი, სახელმწიფო ბეჭდის მცველი გიორგი წულუკიძე, სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი, აგრეთვე სასახლეში იმხანად სტუმრად მყოფი კათოლიკეთა მისიონის პრეფექტი ქლაუდიო დე რეჯიელი მოიხმო და მათთან ერთად მრავალი კარგი დღის მომსწრე თამარისეულ სატახტო დარბაზში ჩაიკეტა.

ქუთათელი დაწვრილებით იტყობინებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის ამბებს, თანაც ცდილობდა, ისეთი არაფერი დაეწერა, რომ, თუ ვინიცობაა, წიგნი მტრის ხელში აღმოჩნდებოდა, იგი მტერს თავის სასარგებლოდ ვერ გამოეყენებინა.

გულის გამაწვრილებელი ლოდინის შემდეგ ელჩიონი 1761 წლის 23 იანვარს ასტრახანიდან გავიდა და თვალუწვდენელი რუსეთის შორეული დედაქალაქის გზას გაუდგა. ამ დროისათვის მეფე თეიმურაზმა ზედმიწევნით იცოდა, რაც ელჩობის გამოგზავრების შემდეგ საქართველოში მოხდა. კახბატონი ერეკლე, მიუხედავად მოუცლელობისა, თვეში ორჯერ აგზავნიდა მალემსროლებს და მამას ყველაფერს წერილად ატყობინებდა.

ერეკლეს მიერ ერევნის ციხის აღება და სპარსეთის ტახტის მოცილე აზატხანის დატყვევება ასტრახანში არ დაიჯერეს. ამ ცნობას მოსკოვსა და პეტერბურგშიაც ეჭვის თვლით შეხვდნენ და შეთხზულად მიიჩნიეს.

ყველიერის პირველ სამშაბათს ელჩიონის მარხილებმა (სულ ასოცდაჩვიდმეტი მარხილი იყო) მოსკოვს მიადწიეს. მოსკოვში შესვლამდე, სოფელ კარაჩარევოში ელჩიონს შეხვდა სატახტო ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მის გამცილებლად დანიშნული თავადი ევგენი ამილახერი და ქართული წესით მეფეს მხარზე ეამბორა.

ის პატივი, რომელიც მოსკოვმა ვახტანგ მეფის აქ მობრძანებას მიაგო, ამ-

ჯერად არ გამოუჩენიათ, არც ზარბაზნე-
ბი დაუცლიათ და არც საყარაულო ბა-
ტალიონი ჩაუმწყრივებიათ ვაშლილი
დროშით, მაგრამ სხვაგვარი ყველაფერი
რიგზე იყო. მეფესა და მის მრავალრი-
ცხოვან ამაღას ზუთასი თუმანი დაეწი-
შნა თვიურად რუსეთში ცხოვრების
მთელ მანძილზე. თეიმურაზმა ბაქარ მე-
ფის ქვეითკირის სასახლე დაიკავა ოხოტ-
ნი რიადში, კრემლის კედლის მახლობ-
ლად. ორმოცდაათი დიდი და მცირე და-
რბაზისაგან შემდგარ ამ უზარმაზარ
სასახლეში მოთავსდნენ მეფის მრჩე-
ვლებიც, სხვები კი სტუმრების მისაღე-
ბად წინასწარ მომზადებულ მეზობელ
სახლებში ჩამოარიგეს...

თეიმურაზს ეახლნენ, თავიანთი პა-
ტივისცემა დაუდასტურეს და ყოველმ-
ხრივი ხელისშეწყობა აღუთქვეს ჯერ
კიდევ ვახტანგ მეფის დროიდან მოს-
კოვს მცხოვრებმა ქართველებმა: მოს-
კოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა
ათანასე ბატონიშვილმა, რომელმაც თა-
ვისი პოლკის ოფიცრობაც მოიყვანა და
ქართველ გვირგვინოსანს შესაფერი თა-
ყვანი სცა, ვახტანგის ძემ, თეიმურაზის
ცოლისძმამ, გენერალ-ლეიტენანტმა გი-
ორგი ბატონიშვილმა და ბევრმა სხვამ.
მიპატიებებებს და დარბაზობებს ბოლო
არ უჩანდა. მოხუცებულობით და სულ
ახლახან გადატანილი ელდით გატეხილი
მეფე გრძელმა და მომქანცველმა გზამ
დალალა, ერთი ორჯერ დასცდა, დიდი
დღე აღარ მიწერია, ნეტავი კი ღეთის
წყალობით პეტერბურგს ჩავალწიო და
ჩემზე დაკისრებული მოვალეობის პირ-
ნათლად მოხდა მოვასწროო, მაგრამ რა-
მდენადაც ღონე შესწევდა, თავს მაინც
ძალას ატანდა და მხნედ გამოიყურე-
ბოდა.

მარტის რვას მოსკოველმა ნათესავებ-
მა, აქ სხვადასხვა დროს ჩამოსახლებუ-
ლმა სხვა ქართველებმა და სამოქალაქო
და სამხედრო მოხელეებმა მეფე ვსესვი-
ატსკომედე გააცილეს და პეტერბურ-
გის გზა დაულოცეს. გზაში თეიმურაზი
ორჯერ ზედიზედ ისე უღონოდ შეიქნა,

გამობრუნების იმედი დაჰკარგეს და კა-
რის მოძღვარი ზოსიმეც კი მოიხმეო, სხვა
ზიარებლად. მერე ისევ მოიხნდა. მარ-
ტის ცხრამეტს ელჩობა პეტერბურგს
მევიდა. ევგენი ამილახვარმა მეფე და
მისი მხლებლები მათთვის საგანგებოდ
გამოყოფილ რეზიდენციაში დააბინავა.
თეიმურაზს სული კბილით ეჭირა. სწო-
რედ საარაკო ამტანობას იჩენდა.

პირველი საქმიანი მოლაპარაკება მე-
სამე დღეს, მარტის ოცდაერთს შედგა,
სადილზე, რომელიც გრაფმა ვორონ-
ცოვმა გამართა მეფე თეიმურაზის პა-
ტივისაცემად. სადილს უცხო ქვეყნების
ელჩები და იმპერატორის კარის დიდე-
ბულებიც ესწრებოდნენ. მიხეილ ვო-
რონცოვმა და თეიმურაზმა სიტყვებით
მიმართეს ერთმანეთს. თარჯიმნობას ამ-
ჯერად თვით კარის მრჩეველი თავადი
ევგენი ამილახვარი ეწეოდა და გვარია-
ნადაც აბამდა თავს საქმეს.

ვორონცოვმა ფრთხილად გამოიკი-
თხა, რა მიზეზი ჰქონდა ქართველი მე-
ფის ელჩობას. თეიმურაზმა აქაც იგივე
გაიმეორა, რასაც გზაში ამბობდა. სატა-
ხტო ქალაქ პეტერბურგს უავგუსტოე-
სი იმპერატორის წინაშე მუხლის მოსა-
დრეკად და ჩემი წინამორბედი ქართ-
ველი მეფეების ჩვეულებისამებრ იმპე-
რატორისადმი თავყვანისცემის გამოსა-
ხატავად ვარ მოსულიო.

ვორონცოვმა კმაყოფილება გამოთქვა
და მეფე დააიმედა, რომ უახლოეს
დღეებში მას ამის საშუალება მიეცემო-
და.

თავის მხრივ ვახშამი თეიმურაზმაც
გამართა „ვოლოხთა თავადის“, კანტე-
მირის სასახლეში, სადაც ბინად იდგა.
ავადმყოფობის გამო ვახშამს გრაფი მი-
ხეილ ვორონცოვი ვერ დაესწრო, კარის
დიდებულები და ელჩები კი იყვნენ.
ვორონცოვმა თავის მაგივრად გენერალ-
პორუჩიკი შუვალოვი გამოგზავნა, რო-
მელმაც ვახშამზე მოკლე სიტყვით მიმა-
რთა თეიმურაზს და თეიმურაზის სა-
ხელით მას სარდალმა ალექსანდრე ცი-
ციშვილმა უპასუხა.

იმპერატორის კარის მოხელეთაგან პირზე ყველას დიდი ბოქლომი ედო, მაგრამ ზოგი რამ საგულისხმოს შეტყობა სატახტო ქალაქში ყოფნის პირველსავე დღეებში მიიწი მოხერხდა. სასახლის დიდკაცობა ორ მტრულ ბანაკად არის გაყოფილი. ეს იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა თვალთ უყურებს პრუსიის მეფე ფრიდრიხს და როგორა აქვს წარმოდგენილი უსაშველოდ გაჭიანურებული ომის დამთავრება. ერთნი, ვინც ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილის, პრუსიელების სიძე პეტრეს ზურგსუკან დგანან, არც კი მალავენ, რომ ფრიდრიხს გულთ თანაუგრძნობენ და ფრიდრიხის ყოველი მტერი თავის პირად მტრად მიიჩნიათ, მეორენი კი, მისი უდიდებულესობის, იმპერატორის ელისაბედის გარეშემო შემოკრებილნი, ფრიდრიხს ურჩხულად თვლიან და მოთხოვენ, ყველა ძალა მიწის პირისაგან მის აღსაგველად გადაისროლონ...

„ასე რომ დიდი გონიერება და სიბრძნე გვმართებს, — იწერებოდა ამასთან დაკავშირებით მაქსიმე ქუთათელი. — ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოვისხათ. საქმე ისე უნდა წარემართოთ, რომ მტერი მოყვარედ არ მივიდოთ და მინდობილნი უცაბედად პირში არ ჩავეუარდეთ.“

მარტის ოცდაცხრას თეიმურაზი და მისი მრჩეველები, სულ თერთმეტი კაცი, მათ შორის ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, როგორც იმართა მეფის ელჩი, ზამთრის სასახლეში ხელმწიფის კარზე მიიწვიეს. უაგუსტოესი ხელმწიფე იმპერატორი თეიმურაზს ფეხზე ამდგარი შეხვდა. თეიმურაზმა თავიანი სცა; საჩუქრები მიართვა და სიტყვა აქაც, ბროლის სარკეებითა და ოქროს ვარაყით გაბრწყინებულ სატახტო დარბაზში, ქართულად წარმოთქვა. იმპერატორიც მოწყალედ მოუსმინა, დაბრძანდა და ევგენი ამილახვარმა რომ თარგმნა დაასრულა, თეიმურაზს თავი დაუკრა. საპასუხო სიტყვა აქაც გენერალ-პორუჩიკ შუვალოვს ერგო, ვინაიდან

გრაფი ვორონცოვი ისევ უქეიფოდ ყოფილიყო, და ქართველ „ვლადეტელს“ თავისი ხელმწიფის სახელით მადლობა უთხრა აქ კეთილი ნების ვიზიტით მობრძანებისა და იმ მოწამებრივი ღვაწლის გამო, ერთმორწმუნე ივერიელმა მაცხოვრის ცხოველყოფელი ჯვრის სადიდებლად იქ, კავკასიის ქედის გადაღმა, შორეულ საქართველოში რომ ეწვევიან...

თუმცა წინასწარ შეთანხმებული იყვნენ, დარბაზობა, რომლის დროსაც ქართველი მეფე იმპერატორისადმი თავის თავყვანისცემას გამოხატავს და ბოლოს ხელზე ეამბორება, სუფთა ფორმალური ხასიათისა იქნებოდა, შუვალოვის სიტყვამ თეიმურაზი აღანთო და გენერლის გამონათქვამი, ივერიელთა მოწამებრივ ღვაწლს რომ შეეხებოდა, თავისებურად განმარტა და შეავსო. იმპერატორის ზურგსუკან მდგომმა რუსმა კარისკაცებმა ერთმანეთს გადააჭედეს და თეიმურაზს ანიშნეს, თავისი ეს მეორე სიტყვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა. შეცბუნებული თავადი ამილახვარი ამით მისჩერებოდა, რადგან აღარ იცოდა, ეთარგმნა თეიმურაზის ნათქვამი თუ არა. სიტყვის თარგმნის შემდეგ, რაც თვით იმპერატორიც მოიწადინა, გენერალმა შუვალოვმა, რომელიც ქართველთა მეფეს თავიდანვე თანაგრძნობით შეხვდა და ეს თანაგრძნობა რამდენჯერმე კიდევაც გამოხატა, მოწიწებით შენიშნა, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მოხარული იქნება ქართველი „ვლადეტელის“ ყველა თხოვნა და სურვილი ყურადღებით განიხილოს, მაგრამ აჯობებდა, თუ ყოველივე ამას წინასწარ განიხილავდნენ საგარეო საქმეთა კოლეგიაში.

ელჩობა ზამთრის სასახლიდან გამარჯვებული გამოვიდა და ამ გამარჯვებას ქართველების კეთილისმყოფელ გენერალ შუვალოვს უმადლოდა.

მეორე დღეს მეფე ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ პეტრეს და მის თანამეცხედრე ეკატერინეს ეწვია და საქართველოდან წაღებულ საჩუქრები გადასცა:

პეტრე თევდორეს ძეს — ინდური სატევარი და ცხენის ძვირფასი აღკაზმულობა, ეკატერინეს — ინდური სარკვე და ორი აგება აღმოსავლური მარგალიტი. პაულე პეტრეს ძეს — ხორასნულ ხანჯალი...

„ტახტის მემკვიდრე სნეული კაცი უნდა იყოს, — გადმოსცემდა თავის უშუალო შთაბეჭდილებას მაქსიმე პაპიძე. — ენა შესამჩნევად ებმის, ლაპარაკის დროს თვალები სადღაც განზე გაურბის. ლოყებდაეღაეა და ტანსრული ეკატერინე ჭკუადამჯდარი, გონიერი ქალი ჩანს და ჩვენი შეტყობით, აქ თანამეცხედრე ბატონიშვილზე მეტი თუ არა, ნაკლები გველენით არ უნდა სარგებლობდეს.“

წიგნში შემდეგ დალაგებულად და თანამიმდევრულად იყო მოთხრობილსაგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელეებთან და თვით გრაფ ვორონცოვთან საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკების ამბები ამ შეხვედრებზე უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის ხალხთა ურთიერთობებს განიხილავდნენ. საგარეო საქმეთა კოლეგია წინასწარ გათვითცნობიერებული აღმოჩნდა. ელჩობას დიდი ჯაფა არ დასდგომია მტაცებელი სახელმწიფოების მიერ შევიწროებული ქართლ-კახეთის უსასოო მდგომარეობის დასასურათებლად.

რუსებმა სცნეს, რომ განჯის, ყარაბაღისა და ერევნის სახანოები, ერთ დროს ძლიერი ირანის განაპირა კუთხეები, დღეს ქართლისა და კახეთის მეფეებს მორჩილებდნენ და მათ ხარკსაც უხდიდნენ, თუმცა სპარსეთის ტახტის მოცილე აზატ-ხანის დატყვევება ახლაც არა სჯეროდათ და საქართველოდან მოსულ ამ ცნობას მოჭორილად თვლიდნენ. რაც შეეხებოდა დალისტნის ხანებს, შამხალს, მიტაცებულ ქართულ მიწებზე ვაბატონებულ კაკი-ენისელის სულთანს და ნუხის ხანს, რუსები მწუხარებას გამოთქამდნენ, რომ მათი ყაჩაღური

თავდასხმების საბოლოო აღკვეთა აქამდე ვერა და ვერ მოხერხდა. ამ საგანზე ქართველთა თვისი ღრმად მოფიქრებული თვალსაზრისი წარმოადგინა და რუსხელმწიფეს ოთხი ათასი კაცისაგან და არტილერისაგან შემდგარი „რეგულის ჯარი“ სთხოვა. უკეთუ ზემოთხსენებული მუხლის შესრულება რაიმე მიზეზის გამო რუსეთის სამეფო კარისათვის მოუხერხებელი იქნებოდა, თეიმურაზი ერთმორწმუნე იმპერატორის თხოვდა ფულად დახმარებას, რითაც ქართველებსაგან, სომხებისაგან, ჩერქეზებისაგან და თვით ლეკთაგან საქართველოში მუდმივ ჯარს შექმნიდნენ და თითოეულ მოლაშქრეს ღარიბ-ღატაკი კაცისათვის საბარბიელო ჯამაგირს დაუნიშნავდნენ.

გრაფმა ეს უკანასკნელი თხოვნა მისაღებად მიიჩნია და შეფეს აღუთქვა, ჩემს მოსაზრებებს ამის თაობაზე მის უღიღებულესობა ხელმწიფეს წარუდგენ და სიტყვასაც შეგაწევთო.

კანცლური ცოტა არ იყოს ათვალწუნებით შეხვდა სპარსეთის საკითხს, რომელიც ლეკ მეკობრეთა განუწყვეტელი თავდასხმებისაგან ქართლ-კახეთის დაცვის საკითხის შემდეგ განიხილეს. ქართლის ბატონის მოსაზრება ასეთი იყო: თუ დიდი ჩრდილოელი მეზობლის შემწეობით ქართლ-კახეთი მთიელ მეკობრეთა შემოსევებისაგან თავს ერთხელ და სამუდამოდ დაიხსნიდა, ამ ორი სამეფოს შეერთებული მხედრობით ის, თეიმურაზი, და მისი შვილი ერეკლე სპარსეთში შეიჭრებოდნენ, იქ სახელმწიფოებრივ წესრიგს დაამყარებდნენ და სპარსეთის ტახტზე რუსეთის სასურველ პირს დასჯამდნენ. ასეთ პირად, მიუხედავად მისი უსინათლობისა, თეიმურაზი და ერეკლე ასახელებდნენ შაპ-როჰს, დედით სეფიანთა სახლიშვილს, ხოლო მამით ნადირ-შაჰის უახლოეს ნათესავს. თუ ქართველების ლაშქრობა ირანში გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, რაც ქართველ გვირგვინოსანთა

თვალში ექვს სრულიადაც არ ჰბადებდა, თეიმურაზი პირადად თავისი და შვილის, კახბატონ ერეკლეს, სახელით საზეიმო ვალდებულებას კისრულობდა, რომ რუსეთს დაუბრუნდებოდა მის მიერ 1724 წლის ზავის პირობების თანახმად სპარსეთისათვის დათმობილი კასპიისპირა მიწები, რომელთა საუკუნო შემომტკიცებას ასე ბევრი ღონე და სახსრები მოანდომა ხელმწიფე-იმპერატორმა პეტრე დიდმა, ქართლ-კახეთი კი თავს დაიხსნიდა სისხლისმსპელი ირანის ბატონობისაგან.

ქართველების მიერ რუსეთის საშინაო და საგარეო საქმეების ზედმიწევნითი ცოდნით განცვიფრებულმა გრაფმა ყოველივე ეს შორს დაიჭირა. კასპიისპირა მიწების დაბრუნება, რა დასაშაღია, მაცოფნებელი იყო, მაგ-

რამ იმ დროს, როდესაც რუსეთი პრუსიას ეომებოდა და ომში მძიმე ტვირთად აწვა მის მხრებს, საშვეო კარი პირსისხლიანი მტრის სასარგებლო საქმეს იჭმოდა, თუ აღმოსავლეთში ცეცხლის ახალ ეურას გააღვივებდა, საკუთარ ძალებს დაქსაქსავდა და სპარსეთთან ერთად ოსმალეთსაც თავის წინააღმდეგ აიძებდრებდა.

მიხეილ ვორონცოვმა, ასე და ამგვარად, ვერ იკისრა წამოჭრილი წინადადება ხელმწიფის ყურამდე მიეტანა, თუმცა არც წყალი გადაუწურავს — დროს ვაკალოთ, დრო ყველაფრის მალაშაო. წარმატებით დაწყებულ მოლაპარაკებას ეს უკვე ჩიხში შესვლით ემუქრებოდა და ყელამდე ვალებში ჩაფლულ ელჩობას ახალი გადაულახავი სიძნელეების წინაშე აყენებდა.

თავი X L

შობას, 25 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა იმპერატრიცა ელისაბედი და მეორე დღესვე სრულიად რუსეთის ხელმწიფის გვირგვინი დაიდგა მისმა მხოლოდშობილმა ძემ, ბატონი-შვილმა პეტრემ, ამიერიდან იმპერატორმა პეტრე მესამემ. ამ ამბავმა თვისა და თერთმეტი დღის დავვიანებით მოაღწია საქართველომდე. რუსეთის სამეფო ტახტზე ერთი მეფის მეორით შეცვლას რაიმე შთაბეჭდილება იქნებ არც მოეხდინა, მას რომ თავისი გავლენა არ ჰქონოდა პეტერბურგს მყოფი ქართველთა ელჩობის შემდგომ ბედზე.

კახბატონ ერეკლეს, რომელსაც წინააღმდეგ სპარსეთის შაჰ ქერიმის ელჩები მოუყვიდნენ, უტყუარი ცნობები გააჩნდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებული იყო, ომისა თუ ზავის საქმე ბევ-

ვზე ეკიდა და ქართველთა ელჩობას გადაწყვეტილ პასუხს პეტერბურგში მანამ ვერ გასცემდნენ, სანამ ეს ურთიერთობა არ დაიწმინდებოდა და გარკვეულ სახეს არ მიიღებდა. რა გზას აირჩევდა ახალი ხელმწიფე-იმპერატორი, რომელსაც პრუსიის მეფე ფრიდრიხის თაყვანისმცემლად თვლიდნენ? ამ საჭირობოტო კითხვის პასუხს დიდხანს არ დაუყოვნებია. განსვენებული იმპერატრიცა ელისაბედი ჯერ ისევ ალექსანდრე ნეველის ლავრაში ესვენა, როდესაც მისმა გვირგვინოსანმა ძემ, იმპერატორმა პეტრემ უზენაესი ბრძანება გამოისცა პრუსიასთან ომის შეწყვეტისა, არმიის უკან გამოწვევისა და დროებითი ზავის ჩამოგდებას შესახებ. ზავი მალე კიდევაც შეპკრეს და პეტრემ ფრიდრიხს დიდსულოვნად დაუთო მთელი დაპყრობილი მიწები, ამასაც არ დასჯერდა, ოცი ათასი კაცისაგან

შემდგარი არმია პრუსიის მეფეს გადასცა და გუშინდელ თანამდგომთ — აესტრიასა და საფრანგეთს — ომი გამოუცხადა.

შაჰის კაცები, რომლებიც ერეკლე საგან რუსეთში წარგზავნილი ელჩობის დაუყოვნებლივ უკან გამობრუნებას, რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას და მრავალრიცხოვან ცოლებთან ერთად შეპყრობილი ახალ-ხანის ვათაისუფლებას მოითხოვდნენ, კახბატონს გასტუმრებული არცა ჰყავდა, როდესაც ისინი სასახლეში ახალციხის იანიჩართა ალა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი ეწვია და ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას დათაფლული წიგნი აახლა. „განთქმულ, ათას გმირში გამოსარჩევ ვაჟაკს და სარდალს“, ერეკლეს, ჰასან-ფაშა წინანდებურად ძმობას ეფიცებოდა და იქვე გაკვრით გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ გურჯისტანის მეფე თეიმურაზი, კახბატონის მშობელი მამა, ბრძენი და შორსმკვრეტელი ხელმწიდე, სიბერის ეამს, როცა მოსვენება და შვილთაშვილებთან ბუნხალი მართებდა, მოლიბულ გზას დაადგა და გაიურ რუსხელმწიფეს მოწყალების სათხოვნად ეახლა. ვაი ჩვენს თავსო, უხუხდა ჰასან-ფაშა, ამის მტეი არ მიახავს, კაცი მტერს მოყვრისაგან ვერ არჩევდეს და ვეშაპს თავისი ნებით პირში უძვრებოდესო, მაგრამ ჩვენს, მე და შენს, ყონალობას, ერეკლე, ეს ხელს მაინც ვერ შეუშლისო, ახლა მაინც თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ ვაჟური რუსხელმწიფე ცბიერი და ორპირი მმართველია. რომელიც ერთმორწმუნე გურჯებს ყოველ ნაბიჯზე ჰყიდის და სარფიანადაც ჰყიდისო.

— მარტო ეს არის, მუთი-ბეგ? — მამის ტახტის ძვიდღეზე ნიდაყვით დაყრდნობილმა ერეკლემ წიგნი თავიდან ბოლომდე მოისმინა, მკაცრად მოკუმული ბაგე გახსნა და ვათათყრებულ მესხ ვათადიშვილს მიუბრუნდა.

— მისმა აღმატებულებამ მარტო ამის შესატყობინებლად შეგაწუხა? — ბეგი კილოში ჩაქსოვილ ვერ მიუხვდა და საქმიანად მიუგო:

— ჰასან-ფაშა აწყურში დგას, მეფე ბატონო, გზის მიცემას გეხვეწება აჩიკაშში შესასვლელად. ბედნიერი სულთანი განრისხებული გახლავს. დიდმა ვეზირმა რაყაში გამოგზავნა და სოლომონის თავს მოითხოვს!

ერეკლე მცირედ დაფიქრდა და ბეგლარბეგის ელჩს მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა:

— ძალიან დიდი ხანია, რაც ეგენი სოლომონის თავს ითხოვენ, მუთი-ბეგ. ჩემს ყონალს, ჰასან-ფაშას, ასე უთხარი: ჯერ ქერიმ-ხანს მოელაპარაკოს და როდესაც დაიყაბულლებს, მის ჯარს მაშინ გაუხსნით გზას და გაატარებთ სოლომონის შესაპყრობად. ეგ ახალი კაცია სამცხეში და არ დაეძრახება, თუ ეს უბრალო რამე ჯერ არ იცის. ქერიმის ელჩები აჯერ გვისხედან სასახლეში. ზომ არ ისურვებ, შეგახვედროთ?

ელჩმა შეფის უკანასკნელი წინადადება ყურადღების გარეშე დასტოვა და თავისი განაგრძო:

— მამ, გვაწბილებ, უარს გვეუბნები?

— ჩვენ არც უარს გუბნებით და არც თანხმობას. ერთის ან მეორის თქმა სხვათა დაუკითხავად და დასტურის მიუღებლად რომ შეგვეძლოს, საქმეს ადვილად გადაწყვეტილით, ახლა კი, ზედაც შენი თვალით, მბრძანებელი სხვა არის, ჩვენ მარტოდენ ბრძანების შესრულება გვაკისრია!

— ვაითუ ჰასან-ფაშა მოიმდურო, შეფევე!

— ეგ ჩვენზე მტად განაღვლებს, მუთი-ბეგ? არხინად იყავი, ჰასან-ფაშა ჭკუა-გონებით საესე კაცია და ყველაფერს ადვილად მიგვიხვდება.

— ძალით რომ მოინდომოს გავლა?

— არ დაეყოვნებთ და ჩვენც იქ გავინდებით. ურჩიეთ ჰასან-ფაშას,

ჩვენს ძველ მეგობრობას ხელს ნუ ჰკრავს და მტრად ნუ მოგვიცილებს, გარდა ამისა, ნუ დაივიწყებთ, რომ კუტად არც სოლომონი ზის და ჩვენ ღმერთიც რომ გაგვიწყრეს და მოძმის სარბევად გზა მოგცეთ, ის მაინც თავისას იზამს. კაკასხიდი და გურიის სანაპირო ვგონებ გაუმავრებია. ქობულეთში ციხეს აშენებსო. ეს ამბები თქვენ ჩვენზე უკეთ გეცოდინებათ!..

— მაშ, ასე მბარებ? — ფალავანდიშვილი მაინც იმედოვნებდა, იქნებ სასწაული მოხდეს, კახბატონს გუნება შეეცვალოს და როგორმე დავითა-ნხმოო. დაკისრებული საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე და ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას გულის მოგებაზე დიდად იყო დამოკიდებული სულთნის სამსახურში პირადად მისი და მისი ნაშიერის შემდგომი დაწინაურება. მაშ, შემდეგ, რაც ვილაიეთის იანიჩართა აღის მაღალი სახელო მიიღო, ფალავანდიშვილს საღერღელი აეშალა და მიხვდა, რომ ეს ზღვარი არ იყო, გამეცადინებოდა და დაუზარლობით კიდევ მეტის მიღწევა შეიძლებოდა.

— აგრე, შენმა სიცოცხლემ, — თქვა მეფემ და არასასურველ სტუმარს თავი დაუკრა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მიღება დამთავრდა და ელჩს მასპინძელთან გამომშვიდობება მართებდა.

კახბატონის არაორაზროვანი უარით გაწბილებულ-გაცუცურაკებული იანიჩარ-ალა და მისი მხლებლები ჯერ ისინის სასახლის ალყაფის ჭიშკარსაც არ იქნებოდნენ გაცილებული, რომ კახბატონმა ტფილისში მეფის სანახავად და ციხის გასამავრებლად მომუშავე მონხლებების გასასტუმრებელი ფულის მისაღებად მყოფი გორის მოურავი რევაზ ამილახვარი ახმობინა და მას ტაშისკართან მტკვრის ხეობის გადასაკეტად ჯარის შეყრა უბრძანა. ლმტკრად წვევის წიგნები ჩემი სახელით დაგზავნეთ და ჯარს, რამდენიც მოგიხერხდებათ, თავი შიგა ქართლში მოიხარეთო, უთხრა ამილახვარს მეფემ.

და მასვე მიანდო ლისგადაღმა კაცების ვაგზავნა, რომელთაც სოლომონისათვის კახბატონისა და მუთაბეგ ფალავანდიშვილის საუბრის შინაარსი უნდა გადაეცა. თვით მეფე ერეკლე დილაადრიან, გათენებამდე, საბარათიანოსა და ყაზახ-ბორჩალოში შეკრებილი ჯარით, განჯას აპირებდა წასვლას, სადაც განმდგარი და იარაღის ძალით ხელახლა დამორჩილებული ფანა-ხანი მარბიელი ლეკებისაგან დაცვას ევედრებოდა და მალე უკან მობრუნების იმედიც ჰქონდა. ქერიმ-ხანის ელჩებს ამასობაში აქ მოაცდევინებდნენ. ერეკლე პასუხის ჭიციმას აჭიანურებდა. აზატ-ხანი და მისი ცოლები კვლავ საპატიო ტყვეობაში ჰყავდა. ადვილი არ იყო გადაწყვერა, რა ღონისათვის მიემართა, აზატ-ხანი მართლაც გაეშვა ან ქერიმ-ხანის ელჩებისათვის გაეტანებინა, თუ სპარსეთის ტახტის ყველაზე საშიში მოცილე თავისი მიზნების სასარგებლოდ გამოყენების მიზნით ერთხანს ისევ ტყვეობაში ჰყოლოდა.

— რაღას ვაყოვნებთ, თავადო? — მიმართა ერეკლემ გორის მოურავ რევაზ ამილახვარს, რომლის აუჩქარებლობა და ფეხის უჩვეულო ათრევა ავის მომასწავებლად ენიშნა. — უქმად დგომის დრო გვაქვს?

რაკი მეფე და გორის მოურავი მართო დაიგულეს, სატახტო დარბაზში სხვა დიდებულები და კარისკაცებიც შემოლაგდნენ, ბატონს მდაბლად მიესალმნენ და გულზედაქცობილნი, როგორც მგლოვიარენი, სპარსულ ყაიდაზე მოხატული კედლების გასწვრივ გამწყრივდნენ. მართო მეფე იჭდა და მეხდაცემული ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს. სამწუხარო მახარობლობა ისევ გორის მოურავმა იღო თავს, წინ ნაბიჯი წარსდგა, შუბლში ხელი შემოიკრა და, ვიდრე რაიმეს იტყოდა, ცხარე ცრემლები გადმოიღვარა.

— რომელი? — თითქოს შესინებია, ძილი არავის გაუფრთხოსო, ხმა-

დაბლა იკითხა ერეკლემ. დარწმუნებული იყო, ღმერთმა ახალი განსაცდელი განუშადა ყველას სათაყვანებელ ბატონიშვილ თუთას ხელიდან გამოცლის შემდეგ კიდევ ერთი ღვიძლი შვილის უბედურებას შეასწრო.

— ცა ჩამოგვეწვრა, მეფეო, მზე ჩვენი ალარ ნათობს, — მოთქმით უპასუხა ამილახვარმა. — ეს არის, ყიზლარიდან კაცი გეახლა და მამათქვენ თეიმურაზის, ჩვენი სათაყვანებელი მეფის, აღსრულება გვაუწყა!..

ამის თქმაც იყო და დიდებულები ერთხმად აქვითინდნენ. ერეკლეს არაფერი უთქვამს, სახეზე მიწისფერი ედო, თავჩაღუნული იჭდა და ფართოდ გახეილი თვალებით იატაკს ჩასცქეროდა. ღრმად დამწუხრებული დიდებულები, კახელებიც და ქართლებიც, გარს ეხვეოდნენ, ყველა ცდილობდა, რითიმე ნუგეში ეცა და თავისი წრფელი გულისტყვილი ქართლის მამული მეფის გარდაცვალების გამო საჯაროდ გამოეთქვა.

განჯის ლაშქრობა, რასაკვირველია, განუსაზღვრელი დროით გადაიდო. მთელი ქალაქი ისანს მოაწყდა. ყოველ გზაჯვარედინზე ვახტანგ მეფისებრ უცხოობაში სიკვდილმოწყველი თეიმურაზის სახელი ისმოდა. სიონის სამრეკლოზე სამგლოვიაროდ დაიგმინა ზარმა. ამას ჯერ ციხისუბნის ეკლესიებმა მისცეს ზმა, შემდეგ კი ზარების სამგლოვიარო რეკა კალასა და ისანშიაც ატყდა.

დილას კიდევ მოვიდნენ საგანგებოდ გამოგზავნილი კაცები ყიზლარიდან და ქალაქის არავეის კარში შემოსვლისთანავე ამათაც დამგლოვიარებულ სასახლეს მიამურეს. მოსულთა შორის იყო ჩოფურა, ტანდაბალი ოთარ თუმანოვი, რომელიც ასტრახანის გენერალ-გუბერნატორ ნერონოვს მეფე თეიმურაზისათვის პეტერბურგს გაეყოლებინა, იქიდან კი საჯარო საქმეთა კოლეგიის დავალებით საქართველოში გამოგზავნათ, რათა ქართველთა ელჩების მოწოდებული ზოგიერთი

საეკვო ცნობა ადგილზე შეემოწმებინა და ზოგ სხვა რამესაც ადგილზევე გასცნობოდა. რუსულმწიფის სამსახურში მყოფ ქართველ თავადიშვილს ქართველობისა ბევრი აღარაფერი ეცხო. მაგრამ წმიდა მოციქულისებრ ღვთაებრივი მაღლით აღსავსე მეფე თეიმურაზის სიკვდილს შინც გულწრფელად შეეწუხებინა და მიუხედავად იმისა, რომ მის პიროვნებასა და საიდუმლო საქმიანობას რუსეთიდან გამოგზავნილი წერილების მეოხებით ქართველ მეფეთა კარზე მშვენიერად იცნობდნენ, დამხედურთა გული უშალ მოიგო და ნდობაც დაიმსახურა.

თუმანოვს ქართველთა ელჩობა პეტერბურგშივე დეტოვებინა. მეფე თეიმურაზის სიკვდილი მოსკოვ-ქალაქში, გენერალ ალექსანდრე ბატონიშვილისაგან შეეტყო. გადაუღებელი საქმეების გამო იქ ვეღარ დაეცა და სასწრაფოდ ასტრახანისათვის მოეშურებინა, გვირგვინოსანი მამის დაკარგვით ორწყალშუა მოქცეულ ერეკლეს გენერალ-გუბერნატორ ნერონოვის, ასტრახანის ეპისკოპოს თეოდოსის და ყიზლარის კომენდანტ ფრაუნდორფის სამძიმრის წიგნები მოუტანა.

მაიორ თუმანოვის სიტყვით, ხელმწიფე-იმპერატორ პეტრეს კარზე ყველაფერი იღონეს, რომ განსვენებული ქართველი მონარქისათვის შესაფერი პატივი ეცათ. კანცლერმა მიხეილ ვორონცოვმა ნეშტის წინაშე სიტყვა წარმოთქვა და ქართველი მეფის ბევრი პიროვნული ღირსება ქებით მოიხსენია. 18 თებერვალს ელჩობა პეტერბურგიდან გამოვიდა. ნავარაუდევია იყო, რომ თეიმურაზ მეფის ცხედარს, რომელსაც სატახტო ქალაქიდან რუსის ქარის ბატალიონი მოაცილებდა, რამდენიმე დღით დაასვენებდნენ მოსკოვის დონის მონასტერში, რათა განსვენებულის მოსკოველ ნათესავებს და მათთან ერთად მთელ მოსკოველ ქართველობას მეფისთან გამოთხოვება და

უკანასკნელი პატივის მიგება შესძლებოდათ. შემდეგ ელჩობა ქართლის ბატონ თეიმურაზის ცხედრითურთ გზას ყაზანისაკენ გააგრძელებდა. სამდინარო გზის გასსისთანავე ელჩობას ყაზანიდან გამოისტუმრებდნენ ასტრახანისაკენ, სადაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოწვევად ნებართვით, მეფე ერეკლეს უფლება ეძლეოდა, ნეშტა თავისი ქვეშევრდომებით დახვედროდა და შინ წამოესვენებინა, თუ არა და იგი ასტრახანის მიძინების ტაძარში სიმამრის, ქართველთა მეფე ვახტანგის, გვერდით დაეკრძალა.

რუსეთის ხელმწიფის კარის ამ უკანასკნელმა რჩევამ ქართლ-კახელი დიდებულები, მეტადრე ქართლები, გაანაწყენა: რას ჭეია, ღმერთო კი მომკალი, ჩვენთვის თავდადებული მეფე უცხო ქვეყანაში მივატოვოთ, ღმერთი დაევიწყოთ და იმდენი უმადურობა გამოვიჩინოთ, რომ გულზე მშობლიური მიწის დაყრაც არ ვაღიაროთ, სირცხვილად ნუთუ ის არა გვყოფნის, ქართლის ჭირის მოხარე მეფე ვახტანგი რომ უცხო მიწაში გვეგულება და აქამდე ვერ მოვებით თავი მისი წმიდა ნეშტის საქართველოში გადმოსვენებას?

აბრილის თოთხმეტს რუსეთიდან დაბრუნდნენ განსვენებული მეფის მრჩევლები: ცხინვალის მოურავი თავადი იესე მაჩაბელი, მოლარეთუხუცესი თავადი შიო ტუსიშვილი და მარტყოფის მოურავი თავადი ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი. თავიანთი მხლებლებითურთ მათ ელჩობისათვის ყაზანში გამოესწროთ და ასტრახანს ჩამოსვლამდე გზად მრავალი გაჭირება შეხვედროდათ.

უკანასკნელი ჩანაწერებით, უცხოობაში მყოფ დიპლომატ მეფეს სულ ბოლო დროს რომ გაეკეთებინა, თეიმურაზი შეიღს, კახბატონ ერეკლეს, მამაშვილურ ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა და უბრძანებდა, კახეთის ტახტთან ერთად მემკვიდრეობის უფლებით ქართლის ტახტიც მიეღო და თავზე მამისე-

ული გვირგვინი დაედგა, ხოლო ქართლელ ქვეშევრდომთ, დიდებულთა მცირეს, ანდერძად უბარებდა, რომ ქართლის საკეთილდღეოდ ბევრჯერ გარჯილი კახბატონი ერეკლე, ქვეყნის უბირველესი და მისანდო განმგებელი, თავიანთ მირონცხებულ მეფედ ეცნოთ და სამშობლოს საკეთილდღეოდ მისი ერთგულნი და ჭირში გამტანნი ყოფილიყვნენ.

თეიმურაზ მეფის ანდერძი ორივე სამეფოს, ქართლისა და კახეთის, დარბაზის ერის საჯარო სხდომაზე წაიკითხეს და ქვეყანას ამცნეს. სხდომას ქალაქის ეპარხელოსანთა პაქჩისა, წერილ სამღვდელთა და ყმაგლეხობის წარმომავალილებიც ესწრებოდნენ, რამაც ბევრი დიდგვაროვანი მებატონე შეურაცხყო და გულში ერეკლესადმი ფარული შუღლი გაუღვიძა. მობრძანდა მუხრანში დაბუღებული ბატონიშვილი პაატაც, მეფის ანდერძი სხვებთან ერთად ფეხზე ამდგარმა მოისმინა, ერეკლეს წინაშე თავი დაჰხარა და სინანული გამოთქვა ყველა იმ შეცოდების გამო, რომლებიც წლების მანძილზე გვირგვინოსან ნათესავთან მიუძღოდა. ერეკლეს წარბიც არ შეუხრია, არც რაიმე განსაკუთრებული სიხარული გამოუქვლივებია. პაატას მობოდიშება ისე მიიღო, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. ერი მის მხარეზე იყო, მას შემოჰხაროდა, მის ღვაწლსა და თავმდაგობას აღიარებდა. განათლებული და ჭკვიანი ბატონიშვილი, რომელსაც ერთი მხრივ ახალციხის ბეგლარბეგ ჰასან-ფაშასთან, ხოლო მეორე მხრივ სპარსეთის ტახტზე დამკვიდრებულ ქერიმ-ხანთან საიდუმლო მიწერა-მოწერა ჰქონდა ამას ორთავ თვალთ ხედავდა და როდი ივარგებდა, თავისი უშიშროების შესანარჩუნებლად სოროში რომ არ შემძვრალიყო, რუსეთში დიდხანს ნაცხოვრები და იქაურ სასწავლებელში გაწვრთნილი პაატა თეიმურაზისა და ერეკლეს მოწადინებდას, როგორმე რუსხელმწიფესთან კავშირ-ურთიერთობის ძაფი გაეხათ და მფარველობაშიაც კი შესულიყ-

ენენ, მიუტევებელ შეცდომად თვლიდა და მეფეთა ამ დამღუპველი მისწრაფების წინააღმდეგ ბრძოლა თავის მამულ-მიწილურ მოვალეობად მიიჩნდა.

— სიძულელი თვალს ვიხამს, ბატონიშვილო, — უთხრა მას ერთხელ ერეკლემ, როდესაც ახალგაზრდიან გზად მომავალი მუხრანში შეჩერდა. — ყველა მაგ სიბავსთან ერთად ნუთუ კარგი და ჩვენთვისაც სანატრელი თვალუწვდენელ რუსეთში ვერაფერი ნახე?

— კარგი და სანატრელი ის არის, მეფეო, რომ რუსეთი უძლეველი ქვეყანაა და მომავალში, თუ დამერთმა პეტრე დიდივით ჰკვიანი და შორს-მჭვრეტელი მეფეები აღიარსა, კიდევ უფრო უძლეველი, სწორედ მეორე ბიზანტიონი გახდება, — მიუგო ბატონიშვილმა. — მაგრამ ეს უძლეველობა და სიდიადე მის ახლო და შორეულ მეზობლებს ვერაფერს არგებს. დიდ რუსეთს კუჭიკ დიდი აქვს და ყველაფერს, რასაც შიგ ჩაყრი, ადვილად ინელებს. უნდა ვიცოდეთ, რომ მის კუჭში მოხვედრილი, ვინც არ უნდა იყო და რა კეთილი ზრახვებითაც არ უნდა სულღკმულობდეს, შენს პიროვნულ სახეს დაჰკარგავ და მისი სხეულის ნაწილად იქცევი. ორი ათასი წლის განმავლობაში სწორედ ამის გამო ვეომეთ აღმოსავლეთს, ზღვა სისხლი იმისათვის ვაქციეთ რომ ქართველობა შეგვენარჩუნებინა, ჩვენს ქვეყანაში, მაღალმა დამართმა რომ გვარგუნა, ბატონ-ბატონი ჩვენვე ვყოფილიყავით, ვკლესი-ში ჩვენებურად გვეწირა და შვილი და მომავალი მამა-პაპის კვალზე დაგვეყენებინა.

— მაგრამ გამოვილიეთ, ბატონიშვილო, — ნაღვლიანად შენიშნა ერეკლემ. — ის აღარა ვართ, რაც დავითისა და თამარის დროს ვიყავით. ქვეყანა გაუკაცრიელდა, ნაფუძარზე შამშამა და ეკალმა გადაიარა. კიდევ ერთი ორი ვაბრძოლება და ქართველი კაცის სინსილა სულ გაწყდება ამ მაღლიან მიწაზე. ჩვენ, მე და მამაჩემი თეიმურაზი,

ერის გადარჩენის გზებს ვეძიებთ და გაქორწევამ ერთმორწმუნე რუსეთს გვარზე მიგვიყვანა. ამავე აზრისა ვაპირებ და მისთვისვე ილწვიან იმერეთის მეფე-მთავრებიც, სხნის სხვა გზას ვერც ისინი ხედავენ!

— არის სხვა გზა, მეფეო! — ახლა ბატონიშვილი შეეჭრა პირში და ერეკლეს სიტყვა შეაწყვეტინა.

— მე ამას ვერ ვხედავ!

— პაპაჩემ ვახტანგ მეტუთის გზა, გზა, რომელსაც ქართლის ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტო ადგა!

— პაპაშენს, რამდენადაც ვიცი, სხვაგვარად შაჰნავაზი ერქვა და სპარსეთის ყულარადასად ითვლებოდა.

— დიახ, მხოლოდ ითვლებოდა, სპარსეთის ტახტის ქვეშევრდომობას სიტყვიერად აღიარებდა, ისე კი თავისი ქვეყნის პატრონი და სრული უფლების მქონე განმგებელი იყო. სპარსეთი ხედავდა ამის და ყურს იყრუებდა. ჩვენ განმართოდენ ერთი პირობის შესრულებას მოითხოვდნენ: დარიალის კარი არ გაგვეღო და დიდი ჩრდილოელი ეეშაპი საქართველოში არ შემოგვეშვა. პაპაჩემმა ვახტანგმა, თქვენ რომ შაჰნავაზს ეძახით, ორჯერ ილაშქრა იმერეთში, იქაური მამულიშვილების კეთილი განწყობილებით ისარგებლა და სულყურთხეული გიორგი ბაწყინჯლის შემდეგ ორჯერვე მოახერხა საქართველოს გაერთიანება.

— მერე სად არის ის გაერთიანებული საქართველო? საქართველოს მანამ ვერ გავაერთიანებთ და ერთი დროის ქვეშ ვერ დაგრაზმავთ, სანამ მისი ორივე ნახევარი, ამერი და იმერი, ძლიერი მფარველის ხელისშეწყობით ორი შტაცეხელი ბატონის მძლავრობისაგან არ განთავისუფლდება. სანამ ეს არ მომხდარა, ჩვენ, დაქუცმაცებული საქართველოს მეფე-მთავრებმა, წლებზე ფეხბიკ რომ დავიდგათ, შინაურ თანხმობას მივადწიოთ და საქართველოს სათავეში ერთი მორჭმული მეფე დავსვათ, სპარსეთი და ოსმალეთი უმაღ

ამასიის ზავის პირობებს გაიხსენებენ და საქართველოს ორი მხრიდან მკვეთებიან, რათა განათლებული კაცობრიობის თვალწინ ისევ შუაზე გაგლიჯონ და ქართლ-კახეთში კვლავ სპარსეთის ბატონობა აღადგინონ, იმერეთში კი ოსმალეთისა. ჩვენ, როგორც არ უნდა დაგვიძრახო, წინ ვიყურებით, პაატა, ფუჭი ოცნების უფლებას თავს არ ვაძლევთ და ჩვენი საწყალი სამშობლოს მომავალს ასე ვპერეტთ!

— ეგ ისე ხომ არ გამოდის, მეფეო, რომ სხვებს, გარდა გვირგვინოსნებისა, სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრის უფლება ჩამოგვართვა?

— ყველა სხვა ფიქრი, თავადაც ხედავ, ქვიშაზე გახლავს აგებულ და ნუ მიწყენ, თუ ამასაც დავუმატებ: ცალკეული პიროვნებების განდიდებას ემსახურება. მე, მეფეს, ღვთის განგებით ერის წინამძღოლს, არა მაქვს ნება, ვისიმე თავკერძობა შევიწყნარო და სამშობლოს ბედ-იღბალი სასწორზე შევაგდო. განა შენ სხვაგვარად მოიქცეოდი? ჭეშმარიტი მამულიშვილი ან მე შემომიდგება და ან... — ერთკლე წამით შეყოვნდა და ბოლოს მაინც თქვა: — ან უთავოდ დარჩება!..

□ დანახარული შიშვებ ნომერიში □

მოდრობები

სინხამ დილით

ადრე გეღვიძება. ტყიდან ჩიტების გალობა ისმის და ვიკვირს კიდეც, როდის-ღა ასწრებენ ძილს ეს საცოდავები... მამალი აყივლდება სოფლის განაბირას, ნელ-ნელა წამოყვება და იძულებული ხარ ეს ერთფეროვანი, მაგრამ სხვადასხვა ხმაზე ნათქვამი გადაძახილი თავიდან ბოლომდე მოისმინო... ყველაზე მშვენიერი და საამო ძილისკენ, დილის ძილისკენ უხმობს მთელ სხეულს დამძიმებული ქუთუთოები... ისევ იყივლებს მამალი, ერთი სული გაქვს, როდის ჩაიგდებს ხმას... მერე სიწყნარე ჩამოვარდება და თითქმის უკვე ძილში შესულს ისევ მამლის ჩახლეჩილი ყვირის ხმა საბოლოოდ გაღვიძებს.

შაბიჯებ დილის სიჩუმეში და ჯეხით გასაოცარი სიცხადით გრძნობ დათელილ ნამიან ბალახს. უეცრად შაშვი გამოვარდება, ერთს დაიქაბჯახებს და დაბალი მცელავი ფრენით ბუჩქებს შეერევა. დედა ჩიტის დანახვაზე ისე ახივლდებიან თოთო ბარტყები, ბავშვობისდროინდელი დაუძლეველი სურვილი წამოგივლის, ერთი წამით მაინც შეავლო თვალი კისერწამოწვდილ შეუღინღლავ ბარტყებს. ცხვირწინ წამოგივარდება ოფოფი და ხმელ ტოტზე შემოსკუბდება.

ბრწყინვალე სამიზნეა!

მაინც არ გადმოიღებ თოფს მხრიდან, იმდენად გულუბრყვილოდ ასარსალებს ქონორა თავს, გეცოდება. კვინცხისკენწეროზე დაეო შემომჭდარა, გულმოდგინედ ატრიალებს ბოლოს და ეტრიალებს. მოუახლოვდები, გადაფრინდება კაპარზე, ისევ ატრიალებს ბოლოს და გელოდება. საბალახოზე დამენათევი მოზვერი თავს წამოწევს, დაფეთებული შემოგაჩერდება და ისევ ნამიან ბალახის ძოვას განაგრძობს. ყველაფერი გაურკვეველ, ძლივსგასაგონ ფუსფუსს მოუცავს. გესმის, როგორ იზმორებიან დილის მზით გამთბარი ფოთლები. რომელიდაც ბუჩქში თავდავიწყებით გალობს პატარა ჩიტი, ჩუმად მიდიხარ, სულგანაბული, ჯდები ნამიან ბალახზე და კარგა ხანს ზიზარ გარინდული, მერე რაღაცა გაიშლიგინებს ბუჩქებში და დილის დიდებულო, დაუმთავრებელი რაფსოდია საშუდამო დაიწყებას ეძლევა. ხმელ ტოტს ფეხს დააბიჯებ და მტკრევის ხმა გაურკვეველი შიშით, ინსტინქტური შიშით გაკართობს. გამოვარდება ტოტებიდან ჩხიკვი და ტალღაზე აფარფატებული ბუმბულივით მსუბუქად გადაევილება ნაძვის კენწეროებს.

ტყის პირას შეიძლება მეზობელი სოფლიდან დაბრუნებული დამენათევი მაყრები შემოგხვდნენ, რომელიმე

მათგანს აუცილებლად ტაბლა ექნება მხარზე გადებული. ამოჩაჩუნნი, თვალუბდასიებული მელელებით ხეიანს, სიმღერა უნდათ და ერთმანეთზე ხელგაღ-ხეველნი ბორძიკობენ, უცებ წამოუშვლებენ, ხმა ჩაუწყებდათ, ხელს ჩაიქნევინ და თავი მოწყვეტით დაეკიდებდათ.

გზიდან გადაუხვევ, მინც შეგამჩნევინ, ჩანადირეს ჩვენი მდებალი სალამო, დაგიყვირებენ და იძულებული ხარ მათ შესახვედრად გაემართო. რაღა თქმა უნდა ყველამ უნდა გაეცოს, მხარზე ხელი მოგიტათუნოს, აბა შენ იცი, ჩანადირევი არ გამოგვაპართ, ღვინო ჩვენზე იყოსო. რომელიღაცა იმასაც გთხოვს, ამ დილაადრიან შენი ზარბაზანი დამაქვებიანო. უარს ეტყვი, ნადირი თუ დამიფრთხე, მე რაღა მოგვლა-თქო, და ყველანი უსიტყვოდ, თავის ქნევით გეთანხმებიან. გამოთხოვებისას ერთხელ კიდევ უნდა აიტანო ნახევრად მონელელებული საქმელისა და ღვინის ფსიამოსუნნი, ხევენ-კოცნი და წარმატების ირონიკაშებარული სურვილი. შორიდან რომელიღაცა იმასაც მოგაძახებს — თუ დათვი მოკლა, შემოგვითვალე და ვასოიას ტრაქტორს გამოგიგზავნითო. ოდნავ ბრახლები, მაგრამ მერე გეცინება, ნატრობ — ნეტავი მართლა მომაკვლევინა, რომ სალამოს ყველას პირი დაგამჩნვინოთ, მაგრამ შენ ყველაზე უკეთ მოგესხენება საქუთარი ვაქციობის ამბავი, დათვი კი არა, შებინდებულზე ყანაში რომ ხბომ გაიშლივინოს, გული ვაგისკდება...

წყნარად მილიდინებს გლეხი, წინ ერთმანეთზე თოკით გადაბმული ხარები მიუძღვიან. უღელი თვითონ გაუღდეს მხარზე, დაუძახებ, გაჩერდება, ხარები ცოტას კიდევ წაიწვევენ წინ, პატრონს მოხედავენ და მერე ნაშინ ბალახს მადიანად მოსდებენ დრუნჩს. გამარჯობას შორიდანვე მოგაძახებს, უღელს ადგილზე დასტოვებს, ხეზე მიიყუდებს, პირდაპირ მაღალ ბალახში გამოტოპავს, მუხლამდე სველი მოგიახლოვდება, კიდევ მოგესალმება, ხელს მეტის-მეტ

გულმოდგინებით ჩამოგართმევს (ასე სოფელში და დილა-უთენისა ^{მეტი} მოგესალმება კაცი). თუთუნს ^{მეტი} მოგთავაზებს, თუ ვერ მიახერხე, თვითონვე გაგინვევს გაზეთის ნაგლეჯში და მოგაწვდის. გაუსვამ ენას ქაღალდის კიდეს და გააბოლებთ. ეწვეით მაგარ თამბაქოს და სრულიად უმნიშვნელო რაღაცაზე საუბრობთ. ხარებს განედავს, ცოტა შორს იქნებიან წასული და — ვოიშიფ, ვოიშიფ, აბა, ნიშა, მოდი! — ვასძახებს, ქვამარილზე თუ პყავს შეჩვეული და ახლა მოტყვილება უნდა, ხარები მოიხედავენ, ყურებს მოაქცევენ და მოგვაზმუველებენ...

— რა ქენი, დაამთავრე ის ფურცელი? — მკითხა ავთომ და ხელი ჩამოართვა.

— დღეს მოვრჩები და მედიკოს მიეცემ.

— ძმურად დაამთავრე რა, თუ არა შეგვკვამს ორთავეს მიშა. გაემეღმა და თავი დავეუქნე.

— იყავი რაჭაში?

— კი, ვიყავი.

საშინელი ხრჭილით დაამუხრუჭა მანქანამ და ყველა ფანჯრებს ეცა.

— დაარტყა?

— გადარჩა.

— გუშინ მაგარი ავარია იყო საბურთალოს ქუჩაზე. სამჯერ ამოტრიალდა მოსკვიჩი, მძღოლი გადარჩა, ბედი მაქვსო, იმან უნდა თქვას, ერთი ვანაკაწრი არ ქონდა.

— რამდენი დარჩა? — ნონა ჯემალს მიუბრუნდა და საათზე ანიშნა.

— საათნახევარი.

— ნიღად ყველაზე მძიმე დღეა ორშაბათი, — ნონა მაგიდას მიუჯდა და მუშაობა გააგრძელა.

ჩამავალი მზე პირდაპირ ჩვენს ფანჯარაში იყო ჩამჯდარი და უკვე მაგრა ცხელოდა.

ყველა ხმისამოუღებლად, წყნარად მუშაობდა.

ქუჩიდან ისევ მანქანების გაბმული გუგუნის ამოდიოდა.

ახლანდელი, ბატონო

საქართველო
საქართველო

— ხომ არ მოგშივდა, ბიძია?

თათრულა კვახივით გაფლუებული სახე ისე ახლოს მოეტანა, კანის ყოველ ფორს დაითვლიდა ძალიან მონდომებულად და მოცლილი კაცი. შემშინლს რა ეუთხარა, თუ არა, ამისთანა ჩაყვითლებული კბილების მქონე კაცის მოტანილ საჭმელს ადამიანი კი არა, საქონელი არ დააკარებდა პირს.

— კი, გონია, მართლა მომშივდა, — ვედრებით ასედა კარპემ.

— ახლავე ბიძია, რას ინებებთ?

— ნიკოია, შე სახეხადლო! — სადღაციდან მჭექარე ხმა გამოვარდა და მიმტანს ისე შეეცვალა სახე, თითქოს ესეს არის განაჩენი წაუკითხეს და სამუდამო შიმშილობა მიუსაჯეს.

— ერთი წუთი მაიკლე ბიძია და ახლავე გვახლები!

— მე კი ვაცლი, მარა ეს ხომ არ მაცლის, — ჩაილაპარაკა კარპემ და მუცელზე დაისვა ხელო.

— ერთი წამი და, ახლავე! — წუთი წამამდე შეამცირა, მაგრამ ვერც ამ დაპირებამ ვაჭრა კარპეს აბორგებულ კუჭზე, შიმშილისგან სადაცაა დმუილს დაიწყებდა.

კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე დამკვრახული ყურძენი და სიმწიფისაგან დასაღუნოლი ბროწეული დაეხატა ვიღაც ხელმადლიანს. კიდევ იყო, რაღაც მიხატული სურათზე, მაგრამ ვერ გაარჩევდი, ხის ტოტა იყო თუ ზოთლოგებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფრინველის ფრთა. ყველაფერს ფერმკრთალი სიბნელე აფარებოდა, მხოლოდ ახალთავაზილი საკირისავით გავარვარებულ ფანჯარას შემოჰქონდა დარბაზში სიცხე და შუადღის ქალაქის აფორიაქებული, მაგრამ ზანტი განწყობა. ქუჩას ბარბაცით ასდიოდა აღმური. თეთრ სიცხეს ფანჯრის მინა ვერ აკავებდა და მისი თვალსმომპრეღი სიმხურვალე შიგნითაც ატანდა.

— ახლა მიმსახურე, — კვახი ისევე

თავზე წამოსდგომოდა, — რას მიინთხვევთ, ბატონო?

— რაც გინდა იყოს, ოღონდ საჭმელი ერქვას.

— იმისთანა წენიანი გვაქვს, სუნათ გაძღება კაცი!

ისე ყველაფერა კარგი აგზდომოდეს, როგორც კარპეს ნატვრა აღსრულდა. ნიკოს მოტანილ კერძს სახელი ერქვა წენიანის, თორემ ვერც ერთი საქვეყნოდ ცნობილი მზარეული მას სახელს ვერ გამოუძებნიდა, ვერც ერთ „საოჯახო წიგნში“ მის რეცეპტს ვერ ამოიკითხავდით; ამისთანა კერძს მხოლოდ აქ, სიცხისგან ტენიანაწყალბული, გაუპარსავი მზარეული თუ დაამზადებდა, კარპეს მართლა მაგრად შიოდა და აღარც გემოსთვის მიუტყვევია ყურადღება და მითუმეტეს ფერისთვის.

— კიდევ ხომ არაფერს ინებებთ? — კვახი კარპეს მაგიდას მიუჯდა და ღიმილით მიაჩერდა...

— რო ვითბრა, მომიტან, თუ?

— ფულის საქმე არაა!

— კაი აბა, ზემო ღვარდიის ქიდან ამოღებული ერთი ქიქა წყალი დამალენინე და რასაც მომთხოვ, მოგცემ.

— რაქველი ხარ?

— შველის მერე მაგი ჩემს გაპირვებას?

— რა მოხდა, შე კაცო?

— ცოლი მყავს ავად, საავადმყოფოში დაეაწვინე.

— სერიოზული ხომ არაფერია? — ისე ვულოანდა ჩაეკითხა ნიკო, კარპეს ცოტათი მოეშვა გულზე და ამოიხარა.

— ალბათ ვერ გადარჩება, — თქვა და თვითონვე გაუვივრდა, მხოლოდ ახლა თქვა ხამაღლა ის, რასაც შიშითა და უცნაური შეშფოთებით ფიქრობდა ამ ბოლო დროს, თქვა და ნათლად დაინახა თავისი მდგომარეობის საცოდაობა და უნუგეშობა.

— კაი კაცო, ასე იმედის გადაწურვა გამოგიონია?

— სიმსივნე აქვსო თავში, — ახლა კი

ველარ მოერია თავს და ორი ცრემლი დაუგორდა ვაუპარსავ ლოყაზე, — ღმერთმა დაღუბოს გაჭირვებული კაცის გაჩენა.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ამ სოფელში მაინც რა უნდა ამ დასაწვავ ავადმყოფობას.

— აბა გლეხი არ უნდა მოკვდეს? — თავის გუნებით გახუმრება სცადა კარბემ და საცოდავად დაემანჯა სახე.

— შვილები თუ გყავს?

— მუჟღა და ორივე მომიკვდა, ეგება იმათმა დარღმაც გაუჩინა ის დაწყველილი ავადმყოფობა.

— რომელ საავადმყოფოში გიწევს? კარბემ უთხრა.

— უპ, მაქ ერთი ჩვენებური კაცი მუშაობს მზარეულად, თუ რამე დაჭირდეს მოდი ჩემთან და მიგყვები, ყველას იცნობს, დირექტორი მარტო მაგის. გაკეთებულ საქმელს ჰმას თურმე... მისამართი რად ვინდა, დილიდან გვიან დამემდე აქა ვარ... არა, ყოველდღე აქა ვარ, შაბათსაც და კვირასაც... აუცილებლად მიგყვები...

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, — ისე გაეხარდა კარბეს, თითქოს თავისი ცოლი საღსალამათი გვერდით ეჭდა და ამბროლაურის ავტობუსს ელოდებოდა მხოლოდ.

— კი კაცო, აბა რისთვის ვცოცხლობთ, თუ ერთმანეთს ხელი არ მოვუშვართ, რაა სხვა აბა ჩვენი ცხოვრება? — როლში შექრილი ნიკო თეთრ ფანჯარას მიშტერებოდა და სახის უჩვეულო გამომეტყველების მიუხედავად, მაინც ტიპიური მიმტანის სიფათი ჰქონდა.

— ნიკოია სად დაიკარგე? — ისევ იღრიალა კუბემ.

— ნუ გეშინია, შე კაცო, ასე აღვივლად რაღა მოკვდებო, — კიდევ ერთხელ ანუგეშა კარბე და ისე უგულოდ წალასლასდა დახლისაკენ; კარბემ ხელახლა და უფრო გარკვევით იგრძნო, რა დიდი უბედურება დაატყდა თავს. ასლა განსაკუთრებით მტკივნეულად შეგრძნო მოახლოებული უბედურება...

თვითონაც ანუგეშებდა ცოლს — ჭევერა ვაშინებს, შე ქალო, რა შევადარო გამზადარხარ? ორ კვირას ინეზიფრე ქალაქში და მერე ისევ წავიყვან სოფელში... ამას რომ ეუბნებოდა, კარბეს სჯეროდა, ნამდვილად სჯეროდა, რომ ორი კვირის მერე საღსალამათ ქალს დასვამდა ჯაჭვის ხიდთან ავტობუსში, შეიძლება მსუბუქი მანქანაც იჭირაონ (თუ ძაან ძვირი არ დაუფასა), წელზე შალს მოახვევს, ზაფხული კია, მარა, ნავადმყოფარ ადამიანს ნიაშმა რომ დაჰკრას, შეიძლება ისევ შეუბრუნოს... აიყვანს სოფელში, თავისი ხელით მოუვლის და აგერ ნახვით ორ თვეში თუ თლა ფეხზე არ დააყენოს... მხოლოდ ახლა მიხვდა, რა ფუჭი იყო მისი სიტყვები, ახლა გაახსენდა, ექიმს რომ უთხრა — შენი ჭირიმე, თუ კაცი ხარ, მიმიხედე და პატივისცემა ჩემზე იყოსო, იმან როგორ უგულოდ ჩაიჭინა ხელი... „მართლა რომ მოკვდეს, რა მეშველება“, გაიფიქრა ვაოგნებულმა და იგრძნო, როგორ დაუარა მთელ ტანში სიცივემ.

წარმოუდგენელი ღრიალი და ყიყინა გამოვარდა კუბედან.

— მწვანელი, მწვანელი მიაწოდეთ.

ნიკო აღუდღღღდა.

— უარს ამბობს? — იკივლა ვილაცამ.

— თავზე დაგასხამ შენი...

მერე ყველა გაისუსა და...

— მალადეც, კაცი ხარ ჭევეყანაზე!

— ეს რა ვნახე, ადამიანო? — ისე გაოცდა რომელიღაცა, თითქოს ფარაონის გაუქურდავი სამარხი აღმოენინოს.

მთელ თავის ქონებას თუ არა, ნახევარს მაინც მისცემდა კარბე, ოღონდ ახლა კუბეში შეეხედა და გეგო რა აღრიალებდა ამ ხალხს ასე უსაშველოდ. კარბე კარს მისწერებოდა და ნიკო ეცოდებოდა. ცდილობდა წარმოედგინა, როგორი გათელილი, გავითლებული, თითქმის მტრარალი გამოვიდოდა...

აკვდეთ ყოველგვარი გაჭირვება! გავიგონია?!

გაწითლებული, მაგრამ ისეთი ვაბადრული სახით გამოვიდა, თითქოს სრულ-

ლიად საქართველოს მეფეს სტუმართ-
უხუცესის სახელო ებოძებინოს.

— რა ხალხია კაცო, ერთხელ რაღა-
ცა ჩერდა ჭირად მწვანელი გავიყარე
ცხვირში, ა. ასე და იმის შემდეგ შემოი-
ღეს ხელში, რაგვარც კი დათვრებიან,
მწვანელი უნდა გავიყარო ცხვირში.

კარზე პირდაღებული შეპყურებდა,
ნიკომ ოხრახუშის ღერო ნესტოში შეი-
ყარა და მეორედან გამოაძვრინა. პირში
ბოლოკი რომ გაგეკეთებინა, ლანგარზე
მუცლით დაგედო (თუ იშოვიდი ამხელა
ლანგარს) და გარშემო მწვანელი შემო-
გეწყო, ზუსტად თუ არა, დაახლოებით
მანც დაემსგავსებოდა ცულად შემწვარ
გოქს.

— ამ ცოტა ხნის წინ ერთი გამხდარი
ახალგაზრდა შემოვიდა, ნიკო რომე-
ლიაო, მივეგებე, მაგიდა შევთავაზე, არ
დაჯდა, შენ რომ ცხვირში მწვანელის
გაყრა იცი...

— ნიკო ყანწი! — ისევ აღრიალდა
კუპე.

ფანჯარას ვილაც ახალგაზრდა ბიჭი
მოადგა, ორივე ხელი მოიჩრდილა და
სახე ისე ახლოს მოიტანა მინასთან, გაკუ-
ყლეტილი ცხვირი ოკეანის ღრმა ფსკე-
რის თევზს დაემსგავსა. გავაგანიერმა
ჭალმა თეძოების ისეთი თახთახით გაიბ-
რა, კარზემაც კი ვერ მოწყვიტა თვალი.

— ხედა, ცხვირში მწვანელის გაყრა
ხო იციო, თავი დაუქნე, აბა ცხვირში
მწვანელი, თავზე ბოთლიო და ხელი
აიჭინა... ტუგო და ჰამლეტა ყავდა მოყ-
ვანილი, შევეკადრე, მწვანელს კი გავიყ-
არო ცხვირში, მაგრამ ცეკვისა რა მოგაბ-
ნენოთქო. როგორ, ჩემი ფული არ ფუ-
ლობსო, ნოკაუტს აგვიდებო, შენ მე არ
მიცნობ... დაიმახსოვრე, მეორედ რომ
მოვალ, კინტაური უნდა იცეკვოვო, მა-
გიდა გამაწყობინა, ოცი ბოთლი ღვინო
გახსნა, ერთი ჭიქა მოსვა და წავიდა. მე-
ტი აღარ გამოჩენილა...

კარზე უკანასკნელი ლუკმით გულ-
მოდგინედ მოწმინდა თეფში, ხელსახო-
ცი ისე გაისვა, თითქოს თითებიდან შემ-
ხმარ აყლო მიწას იშორებო. მაგიდაზე

დაყრილ ნამცეცებს თავი მოუყარა და
სეკა თითით მაგიდის შუაგულსკენ მიხ-
ვეტა.

— ჩემგან რამდენია? — გაუმეორა
სადღაც გაგონილი ფრაზა კარზემ და
კვახს მიაჩერდა.

ძონძრობა სხელი ძლივს აპყვა პატ-
რონის სურვილს და დახლისკენ წელზე
კეტდარტყმული ძალღვივით წაჩოჩიალ-
და.

„იქნება სულა არ გამომერთმია, ცო-
ლოა,“ — ერთი კი გაიფიქრა ნიკომ...
თითები მაინც ათამაშდნენ საანგარიშოს
ქვებზე — „სამი მანეთი და ოცდახუთი
კაპიკი“.

კარზე ჯიბეში ხელჩყოფილი უცდი-
და.

— ოთხი მანეთი და სამოცდახუთი
კაპიკი, — წყნარად ჩაილაპარაკა ნიკომ
და მაგიდის კიდეში ჭალალდის ნავლე-
ჯი დასდო.

კარზე ზუსტად ხუთმანეთიანი ამოაძ-
რო ჯიბიდან.

ნიკომ ჯიბისკენ წაიღო ხელი.

კარზემ ხელი აუქნია, არ არის საჭი-
როო, ესეც, სადღაც დანახული ჭალაქუ-
რი ენესტი იყო, რომელიც თავისდაუნე-
ბურად გააკეთა. გზაში კი ინანა — ოც-
დათხუთმეტ კაპიკს რაღას ვუტოვებდი,
ის მაინც გამომერთმიაო...

ქუჩაში ისევ ზიზზიმებდა ხალხი. უპა-
ტრონო ძალღები ბაღის კუთხეში ხის
ჩრდილში მიგდებულებყვნენ და ნახევ-
რად ღია თვალებს გამვლელებს უნდობ-
ლად აყოლებდნენ.

შუაზე გულმოდგინედ გაკეცილი,
ტყინა ხუთმანეთიანი ისევ თეფშის
გვერდით ეგდო.

— ნიკო ღვინო! — ზრიალით გამო-
ვარდა კუპედან ნაცნობი, თითქმის
მშობლიური ფრაზა.

ხუთმანეთიანს ხელი სტაცა, შარვლის
ჯიბეში საჩქაროდ ჩაიტენა და:

— ახლაც ბატონო!

ის ზაფხულთან ერთად წაჰიდა



მოსა პრესაჟი

კინო ჩვენი სოფლისათვის უცხო ზღაპარი იყო. თვეში ერთხელ ან ორჯერ ამოჰქონდათ. ხანდახან მთელი ზაფხული ისე გაივლიდა, წვიმასავით ამაოდ ელოდნენ სოფელელები კინოს დამტარებელი დანჯრდრეული „კოლხოსნიკის“ გამოჩენას. ეს დღე თავისებურ დღესასწაულად, თითქმის სახალხო ზეიშად იქცეოდა ხოლმე. რამდენიმე ადგილას გააკრავდნენ აფიშას, დიდი, ბრუციანი ასოებით წააწერდნენ ფილმის სათაურს, ქვემოთ მომცრო, გვიან დათესილი სასილოსე სიმინდივით დაგვალული ასოებით სენსის დაწყების დროს მიაჯღამნიდნენ. დაწყება, რაღა თქმა უნდა, პირობითი იყო. კინოს მანამდე არ იწყებდნენ, სანამ არ ჩამოხდებოდნენ, ყველა თავს არ მოიყრიდა და კოლმეურნეობის მძლოლის თანაშემწე, თავდასაბუთი დოქტორიალა არ შემოალაჯებდა. ზოგჯერ დარეკავდნენ — დღეს კინო ამოვაო. მოიყრიდა ხალხი თავს, იცდიდნენ გვიანამდე და მერე გულდაწყვეტილი ბრუნდებოდნენ შინ. ისეც ხდებოდა, სენსის დოქტორიალას მოსვლამდე იწყებდნენ, ის კი დაგვიანებული ფილმის ხელახლა დაწყებას მოითხოვდა, მექანიკოსი არ იზამდა, რას ამბობ, დამაგვიანდებაო. შელაპარაკებოდნენ, ანერვიულებულ მექანიკოსს ფირების მიმდევრობა ერეოდა და მაყურებელი მაინც ვერ ხდებოდა, რატომ აჩვენებდნენ თავდაპირველად მთავარი მოქმედი პირობის დაკრძალვის ცერემონიალს და მერე იგივე პიროვნების ჯვრისწერას.

გოგონები შუადღიდან იწყებდნენ მორთვას, გულმოდგინედ იხეზავდნენ მზემოკიდებულ სახეს, თმას იჩეჩავდნენ და თავზე თივის ბულუღივით იშენებდნენ, ისსურებდნენ სოფლის მალაზიაში წაყიდ „სამამგ ოდეკოლონს“ და კინოს დაწყების წინ ოთახში ოფლის, ოდეკოლონისა და თუთუნის კვამლისგან სუნთქვა ჰქონდა. ბიჭები ამ დღეს ოცვამდნენ თეთრ, საგანგებოდ გაუთოებულ პერანგებს. ჭიბამდე ჩახსნილი პერან-

გიდან დაკუნთული, ოღნავ შეღიზილებული მკერდი მოუჩანდათ და გამაყებოდათ. ხანშიშესული კაცივით მძიმედ საუბრობდნენ, დინჯად მიაბიჯებდნენ, ეშინოდათ სავარცხლისაგან დახაზული თმა არ დაშლოდათ. მთელი დღის ნამუშევარი, დაღლილი გლეხები კეთილი, სევდიანი ღიმილით შეჰყურებდნენ გერანს და ალაგალაგ ჩაჰყვინთავდათ კიდევ. დარბაზში პირველად ბავშვები შედიოდნენ, ეკრანის ძირში, პირდაპირ იატაკზე ჩალაგდებოდნენ და ჭუჭყისაგან ვანაცრისფერებულ ნაჭერს ჩიტის მშვიერი ბარტყევივით პირდაღებულები შეაჩერებდნენ. მერე მოხუცები იკავებდნენ წინა რიგებს, ხავერდის გახუნებულ შარვალ-ხალათში გამოწყობილი გლეხები დღემილით ელოდნენ დაწყებას. ახალგაზრდები გვიანამდე არ შედიოდნენ, ზოგიერთი სიგარეტსაც ქაჩავდა მალულად, უშვებდა კვამლს ცხვირიდან და ხველებით იხრჩობოდა. დოქტორიალა სულ ბოლოს შემოდიოდა ოთახში. კინოს დაწყებისათვის საჭირო სამივე პირობა ადგილზე იყო.

დოქტორიალა კოლმეურნეობის მძლოლის თანაშემწე იყო, სოცრად მყვირალა და ძლიერი ხმა ჰქონდა და დოქტორიალასაც ამიტომ ეძახდნენ; გაბღენძილი დაიარებოდა. თანატოლები რიდიტ, უფრო მეტად შურიტა და შიშით შესცქეროდნენ. თავის ტოლებში ყველაზე სშირად ის თვრებოდა. თუთუნის წევასაც არავინ უშლიდა, მხოლოდ ტარიანს ეწეოდა. მისი დიდი მოწყალება და სიმპათია იმაში გამოიხატებოდა, თუ ვინმეს კოლოფით მიაწვდიდა პაპიროსს, სამი ბიჭი დაყვებოდა ერთთავად. ახალი პაპიროსი მათი ოცნების მიჯნასაც კი სცილდებოდა, მით დოქტორიალას გვერდით სიარული და პაპიროსის ნამწვი დიდ პატივად უნდა ჩეთვალიათ. პაპიროსის ნახვერამდე მოწვედა და მერე მკლავს გაიშვერდა. უნდა გენახათ როგორ წააღრინდებოდნენ სამივენი მის

ხელს. ზოგჯერ ამ ძიძგილაობაში დორი-
რილას ფერფლი, ან მოკიდებული თუ-
თუნი მოხვდებოდა ხელზე და მაშინ კი
სამთავეს თითო პანჩური ელოდა. დარ-
ბაზში შემოსვლისას კეპიან ქუდს ისდი-
და, თავი ერთთავად გადაპარსული
ქონდა და ორგან თუ სამგან თეთრი
ნაქრილობევი მოუჩანდა. ოთახს თვალს
გადაავლებდა და მოგვებნიდა. მე და
თამრიკო ყოველთვის ერთად ვისხე-
დით, შემოგვებნავდა და ჩაიღიმებდა—
თამრიკო უყვარდა, თვალები მისი და-
ბურცული მკლაგებისკენ მიმირბოდა,
ვცდილობდი რაც შეიძლება წყნარად
ვმდარიყვავი და იმათკენ სულაც არ
მიმეხედა...

კარგა ხანია აღარ მინახავს დორია-
ლა (ყველაფერს ვფიცავ, თუ მისი ნამ-
დელი სახელი მახსოვდეს). მხოლოდ
ყურმოკვრით ვიცი მისი ამბავი — დეი-
დაჩემი ამბობდა წინაღეს — ქუთაის-
ში რომელიღაც შეძლებულ ოჯახს ჩა-
სიძებნა. ისიც დაყოლა, ეს კარადის-
ხელა კაცი სიდდარ-სიმამრმა ლვედი-
ვით დაიხვია ხელზეო.

ახლაც ერთად ვზივართ. ვცდილობ
არ მივიხედო, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვა-
მირბის თვალი მისი უფერული, თით-
ქოსდა ერთთავად მორთოლგარე ტუჩე-
ბისკენ. ახლა ყველაზე მეტად ვწუხვარ:
„ეპ, ერთხელ კიდევ დაბრუნდებო-
დეს...“

„იცი, სულ ავად მინდა ვიყო...“

გაკვირვებული მივაჩერდი.

„პო, პო, თუ ასეთი კარგი და საყვა-
რელი იქნები, თანახმა ვარ სულ ავად
ვიყო.“

აღარაფერი მითქვამს, მხოლოდ ძა-
ლიან, ძალიან მომინდა მივეღერებოდი,
ხელი თმაზე გადამესვა, მერე ლოყაზე
და მას ჩემი ხელი ლოყასა და მხარს
შორის სიყვარულით მიემწყვდია.

„ტირილი მინდება, გადასარეკად
კარგი ხარ დღეს, ძაან მიყვარხარ, ღმე-
რთმანი“...

„შენი პერანგი კარადაში მაქვს დაკი-
დული, ჩემთან, ვანგებ არ გაძლევ... არა
გჯერა?! უბრალოდ მინდა, როცა შენ

ჩემთან არა ხარ, შენი რაღაც ჩივთი,
ან თუნდაც შენი სუნი მანქანა-
ლებდეს ჩემს ახლოს, არც ვამირეცხია,
ხო იცი?“

გაჩუმდა, მოწყენილი იყო. მხოლოდ
ხანდახან მის ნალვლიან სახეს პეპელას
ფრთის ერთი დაქნევასავით მოკლე,
მაგრამ ლამაზი სიხარულის ღიმილი
გაჰკრავდა.

„სულელი ვარ, არა?“ ისე გულდა-
წყვეტილი თქვა, შემეცოდა...

ჟორა მჭედელის გაბმული ღრიალი
მაფხიზლებს, მაგრამ ყოველივე ეს იმ-
დენად ნაცნობი და მსგავსია იმისა, რაც
რამდენიმე წლის წინათაც იყო, რომ
მგონია, მხოლოდ ჩემი წარმოსახვის
წყალობით შევეძელი ამოდენა ხნის ასე
უცხად გაყვანა. ისიც კი მეჩვენება, რომ
მე იმ წლოვანებისა ვიქნები სულ და
მომდევნო წლები მხოლოდ და მხოლოდ
ჩემი ოცნების ნაყოფი იქნება, ოცნება—
ზოგჯერ წარმატებული, ზოგჯერ კი
წიზნაკრავი, სულში ჩაფურთხებული...
ჟორა მჭედელი ისევე ისეთია — ხელ-
აწეული, ათასგზის დაკერებულ, დაკემ-
სილ, ოფლისა და მზისგან ზურგზე
ფერდაკარგული სამხედრო გიმნასტუ-
რით, „ჩიკა, ჩიკას“ მომღერალი.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — ღრი-
ალებს მჭედელი და სადი თვალით ყვე-
ლას გულდასმით გვათვალიერებს.

— ჟორას სიცოცხლე!

— სადა ხარ, შე კაცო, ამდენი და-
გვიანება გაგიგია?

ვიღაცამ ოთახში შემოსულ ძალღს
წიხლი გაჰკრა და აღრენილობა ძაღლმა
აღვილებიდან წამოყარა ხალხი, რომე-
ლიღაცამ დიძახა — ჟორა მჭედელმა
მგონი, ბიოლოგიური ომი გამოგვიცხადა
და თავს უშველეთო. გააეებული და და-
ბნეული ძაღლი ვერ პოულობდა კარს,
იღრინებოდა და ყველასკენ საკებნად
იწევდა.

სკამზე ვაკიშული ვზივარ, თითქოს
ძალიან საინტერესო ლექციას ვისმენ,
სკამები დაზნარულია, თუ ფრთხილად
არ იქნები და ბზარში ხორცი მოგყვია,
მელოგინე ქალივით გაყვირებს. წინა

რიგში უკვე აბღავლა ვილაც და კლუბის გამგეს გულიანად შეუკურთხა — რა გაგვიჩრდათ ერთი კილო ლურსმანის ყიდვაო.

დარბაზი მთლიანად შეივსო, უადგილოდ დარჩენილები ფანჯრის რაფებზე მოკალათდნენ. დღეს მეზობელი სოფლის თვითშემოქმედებას უნდა გავეცნოთ, მაგრამ ფარდის გახსნას აღარ დააყენეს საშველი. ზოგჯერ ურწმუნო მაყურებელს ეშვიც კი შეეპარა, ეგება როლებს ახლა ანაწილებენ და მაგენი რომ იმას დაისწავლიან, მამლის ყვილიც მოუსწრებსო. ყორა მჭედელმა ყვირილი დაიწყო — თუ იწყებთ, დაიწყეთ, თუ არა და რაღას გვაწვალებთ, გვითხარით და წვალთ სახლებშიო...

— სცენაზეა სოფელ...

მეტი ვიღამ აცალა, დასცხეს ტაში და სტვენა. დაბნეულმა კონფერანსიემ რაღაც კი ჩაიბურღლუნა და კულისებისკენ გაბრუნებული კინაღამ წაიქცა, უარესად დაბნეული ფარდას ეცა, ეტყობა ვერ მოზომა, ძალიან ძლიერად მოქანა და გახსნის მიგიერ ჩამოგლიჯა. უშეტესობას წინასწარ მოფიქრებული მიზანსცენა ეგონა და მთელი დარბაზი ერთსულოვანმა ხარხარმა, ტაშისცემამ და სტვენამ მოიკცა. სასწრაფოდ ჩამოკიდეს ფარდა, მაგრამ საწყალი კონფერანსიე მთელი სადამოს განმავლობაში თვალით აღარ დაგვანახებია. ადგილი შესაძლებელია ამ გაუთვალისწინებელმა მარცხმა დიდი მსახიობი დაუქარგა პატარა რაჭას.

გარმონს გოგო ჰიმავედა, შეიძლება ქალიც იყო, მაგრამ უფრო გოგო უნდა ყოფილიყო, გათხოვილ ქალს არც ერთი ნორმალური ქმარი არ გაუშვებს ასე სოფელ-სოფელ საცუნდრუკოდ. თმაში იაფფასიანი ქვებით გაწყობილი სამკაული უბრაწყინავდა. თეთრი კაბა ეცვა და სოლოს მღეროდა, გიტარაზე ცხენისახა ბიჭი უქრავდა. უქრავდა? ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ ამაზე სოფლის ყოველწლიურ კედლის გაზეთში არავის გამოუთქვამს უარყოფითი აზრი. პირიქით, მე თუ მკითხავთ, მიუღრებელს იმ-

დნად მოეწონა მისი აკომპანირება, კინაღამ დარბაზი დაანგრეთს ტაშის ცემითა და ფეხების ბაკუნით (ფეხების ბაკუნის წმინდა წყლის ქალაქური მოვლენა და ჩვენს სოფელში მხოლოდ წელს შევნიშვნე). სიმღერის დროს ნიკაპს მკერდზე იხუტებდა და ლოყაზე ვერტიკალური, ღრმა ნაოჭი უჩნდებოდა, საოცრად შეფერებული ჰქონდა მსახიობობა და საცხებით კმაყოფილი გვიღიმოდა. შუაში ერთი კნაჭა გოგო იდგა. კარგად მღეროდა, მაგრამ სცენიური სისადავე და უბრალოება ჯერ ვერ შეეთვისებინა და გამგონე ჯარისკაცივით ხელებჩაწვდილი დარბაზის ჰერს შესჩერებოდა. ერთ ჩემს კლასელს ჰგავდა. გაკვეთილებს იზებირებდა, დაავიწყდებოდა და მოგკამა ჰქირი, სანამ იმ სიტყვას, მაინცა და მაინც იმ სიტყვას, რომლითაც წინაღობა იწყებოდა არ გაიხსენებდა, იდგა ასე გათჩნებული და საკლასო ოთახის ჰერს ცრემლჩამდგარი თვალებით ჰამდა...

ახალმა ჩამრგვალბულმა კონფერანსიემ ხელის აწევით სცადა ხალხის დაშვილება, არ გამოუვიდა და გაშლილი მკლავი კულისებისკენ გაიწოდა. სამივემ იატაკს დასცხო შეშლი და ისევ კულისებისკენ გაგარდნენ. ალბათ ხელმძღვანელის დარიგებულნი იყვნენ, ნომერი არ გაემეორებინათ, თუ არა კონცერტი გვიანობამდე გაგრძელდებოდა, გზები ცუდი იყო და მერე უმთვარო ღამეში რა იბურბუცებდა ოღრო-ხოღრო გზაზე.

ხმლის ჩახაჩუხის ხმამ აავსო დარბაზი. მოძრაობის იშტახე მოსული მაყურებელი მთელი სხეულის მოძრაობით აპყვა მუსიკისა და ცეკვის რიტმს.

— მიდი დასცხეთ, თქვენ გენაცვალეთ! — ყორა მჭედელი წამომდგარიყო და დოლის ხმაზე პროტეზებოვით იქნევდა ვრძელ მკლავებს.

მოცეკვავებებს ნამდვილი ხმლები ვერ ეშოვათ და ზომაზე დაჭრილი კასრის დაქანგული სალტებისტოვის ხელის მოსაკიდ ადგილას საიზოლაციო ლენტა დაეხვიათ.

სცენა იმდენად პატარა იყო, მოცეკვავენი ვებერთელანი ჩანდნენ, უსისტემოდ დახატული ფიგურებივით ვერ ეტეოდნენ სცენის ჭრილში.

ისედაც მოფაჩფალებული დარბაზი ხალხის ტაშის ცემაზე ერთი კი შექანდა და კინალამ თავზე ჩამოგვეშხო.

მერე აზერბაიჯანული იმღერეს, უკრაინული, რუსული, თქვენ წარმოიდგინეთ უცხოურსაც მოაბეს თავი... საერთოდ დინჯ რაჰველებს გული მოუვიდათ, რაჰულს რატომ არ მღერისხართო. რაჰული სიმღერა არ ჰქონდათ დამუშავებული და მაყურებელმა სტვენით აიკლო იქაურობა. განსაკუთრებით ყორა მშვედელი გაცხარდა, თქვე ვირისთავებო, ნემენცურად მღერით და რა ღმერთი გიწყრებათ, რაჰული ვერ ისწავლეთო. მერე დაიჩემა, თქვენ თუ არ იცით, სცენაზე ამიშვით და მე ვიმღერებო. სცენაზე, ცხადია, არ აუშვეს, მაგრამ ერთი კუბლეტი რუსული სიმღერა მანინც მოგვასმენინა ჩაბუქნითა და მუხლებზე ხელების ტყაპუნით.

ცხლოდა. იყო მოკეცილი გაზეთებისა და ცხვირსახოცების ერთსულოვანი ქნევა. გაღმაური იოსებას ცოლმა კატეგორიულად მოითხოვა — პაპიროსს მინც ნუ ეწევით, გული მაქვს სუსტადო; არავის მიუტკეცია ყურადღება, ის კი არა, ყორა მშვედელმა ჯიბეზე გაიკრა ხელი — შენ გაიხარე ცაცა, რომ გამახსენე, თუ არა ისე ვიყავი გართული, ხვალამდე აღარ გამახსენდებოდათ.

სულ ბოლოს ერთმოქმედებიანი დრამა — „გიყვარებარ თუ არ გიყვარებარ“ წარმოადგინეს. მოქმედება ტყეში მიმდინარეობდა და სცენის სიღრმეში კედელზე უკვე საკმაოდ დამკნარი ტოტები იყო მიმაგრებული. ფოთლების რა მოგახსენოთ და, ამ სიცხეში არც ჩვენ გვადგა კარგი დღე. საქმეში ოდნავ ჩახედული კაცი აღვილად მიხვდებოდა, რომ რეჟისურასა და მხატვრობას ერთი აღმამანის ხელწერა ეტყობოდა. თვით განათებაც კარგ მიგნებად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა რეჟისორისათვის. მაგიდის ლამფა სანახევროდ ანათებდა სცენას

და ნამდვილად თუ არა, მიახლოებით მინც ქმნიდა ტყის განწყობილებას, დრამაში ორად ორი აღმამანს მორჩილი ვიღობდა. თავიდან ნორმალურად საუბრობდნენ, ჩახუტებულები, გუგულებივით ისხდნენ კედლის, უპ, უკაცრავად, ხის ძირში, აკოცეს კიდევ ერთმანეთს, საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა მათი ამბორი და დარბაზს ნერვიულმა ხორხორცმა გადაუარა.

— შენ ჩადექი და ურტყი თოხი გაქვავებულ მიწას, — ბონდომ ბეკებზე დაარტყა ხელი ყორას.

— სხვამ იციოთოს, თუ არა, მე არც მაგი მაკლია და არც თოხნა.

ახლა კი მართლა გადაფიჩინდა მთელი დარბაზი. იმდენად მოულოდნელი იყო ხალხის რეაქცია, ყორა თავდაპირველად გაოცდა, დაბნეულმა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ვერაფერს მიხვდა და თვითონაც სიცოცხლე მოჰყვა. მართალია, დარბაზის ყურადღება დაიფანტა, მაგრამ მსახიობთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეინარჩუნეს მოქმედების შინაგანი რიტმი და მცირე პაუზის მიუხედავად, გაგრძელებაც ისეთივე აღმაფრენით შესძლეს ეთამაშათ, როგორც დასაწყისი. ერთ მომენტში ქალს პასუხი შეუგვიანდა და სუფლიორს კარნახი იმდენად ნამაღლა გამოუვიდა, დარბაზიდან ვიღაცამ დაუყვირა მსახიობს — ნულა დაიღლები ლაპარაკით, უკვე ვიცი თუ რაც უნდა თქვაო.

დრამამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა ვაჟი შეეკითხა თავის გულისწორს — გიყვარებარ თუ არაო, პასუხი იმდენად გულწრფელი და სენტიმენტალური იყო, მთელ დარბაზს ოხვრა აღმოხდა, მაგრამ სწორედ აქ მოხდა საკმაოდ გაუგებარი რამ — გმირი (ვაჟი) საშინლად გაანხლდა, ხელებაყრობილმა რაღაც კი დაიღრიალა, ხანჯალს ხელი წამოავლო (ხანჯალს უცხად ვერ მიაგნო და მოქმედების სიმძაფრე ოდნავ განელდა) და მუხლებზე დეკარდნილ თავის საყვარელს ილიაში გაუყარა (სხვათა შორის, ხმლებიდან განსხვავებით, ხანჯალი ნამდვილი იყო).

ქალმა თავი გადააგდო და წითელი ნაპერი საკმაოდ მოუხერხებლად გადაიფინა მკერდზე, ვითომ სისხლმა იჩქეფა კრილობიდან. მოხუცი ქალები ცოტა მოშორებით ისხდნენ და მსახიობებს; კარგად ვერ ხედავდნენ, ადგილებიდან წამოცვივდნენ, შეხედე, ქალო, იმ გასამწარებელმა გონია მართლა მოკლავ (რას ნიშნავს მსახიობთა გულწრფელი, დამაჭერებელი თამაში). ამასე ატყდა გულიანი სიცილი და კმაყოფილება, ფეხზე წამომდგარმა მყურებელმა რამდენჯერმე გამოიყვანა სცენაზე საღამოს ყველა მონაწილე, სირცხვილიანად კონფერანსივ არც ახლა გამოჩენილა.

წარმოდგენის შემდეგ ყოველთვის მე ვაცილებდი ხოლმე თამარიკოს. უზარმაზარ ნიგვზებში ვერ ატანდა მთვარის სინათლე და ორღობეში ბნელოდა. ორავე ვლუმდით. გარკვევით ვგრძნობდა მზედანიერებულ თევასავით სურნელოვან და ახალამოყრილი სიმინდის უღვამივით რბილი თმის სუნს... მერე მივადგებოდით ჭიშკარს, ის სწრაფად მემშვიდობებოდა და სიბნელეში უჩინარდებოდა.

ის იმ ორღობესთან, იმ მთვარესთან, იმ ზაფხულის მთვარიან ღამესთან ერთად წავიდა.

ქვეყნიერების ზურგზე ვერავინ დამაჭერებს, რომ ეს გოგო ისევ ის თამარიკო იყო... ის თამარიკო იმ ზაფხულთან ერთად წავიდა. როგორც ის ზაფხულა,

ისე ის აღარ დაბრუნდება, აღარ დაბრუნდება აღარასოდეს, აღარასოდეს...

ცოდნა გამხელილი მჭობს... დამამღამეს არც გამხსენებია თამარიკოს ვაცილება. მე და კუქია (კოლმეურნობის მანქანას ატარებს) ჩვენი სოფლელების დაგებულ ანკესების დასახილავად გავიპარეთ, თხუთმეტ თავამდე თევზი დავიკირეთ, მაგრამ შამბნარში იმდენი ვიბოდიალეთ და სილივაშლას ეკლით ისე დავიკაწრეთ, ღმერთმანი, არც ღირდა. ღმერთი ალბათ გვაპატიებს, მაგრამ აღამიანის პატიებას კიდევ სხვა ფასი აქვს, ჰოდა, ალექსანდრე ბიძია და ვალოდია, ჩვენ გვაპატიე, თუ მეორე დღეს არც ერთი თავი თევზი აღარ იყო ანკესებზე. „ჩვენ ჩვენი მოდგმით ბავშვობიდან ვართ“ და თუ ჩვენც ბავშვობისდროინდელი ცუდლუტობა გავიხსენეთ, ნუ შეგვაგინებთ, მით უმეტეს ნუ დაგვწყევლით...

„რატომ აღარ მიყვარს?“ — ქვიან ნაპირზე გაწოლილ ოღრო-ჩიღრო ჩრდილივით ამედევნა ეს სამი სიტყვა და აღარც სოფლამდე, აღარც ლოგინში და რამდენიმე დღესაც მოსვენება აღარ მომცა. მერე როგორც იქნა ჩამომეხსნა და მხოლოდ მაშინ ვიწამე, რომ მართლა რამდენიმე წელი გასულიყო „იმის“ შემდეგ, და ეს წლები ჩემი ოცნების ნაყოფი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ დროის ნაყოფი იყო, ეს წლები მართლა წასულიყვნენ.



გვიმრის ფოთლები

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი მეორე

თავი მესხრამება

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის ცხოვრება ჯერჯერობით ძველებურად მიდიოდა: სამუშაო და სახლი. მიტუმა კაიმაშიშვილს ჯიბრაილის არსებობა თითქოს აღარც კი აწუხებდა. ისევე ესალმებოდა, როგორც სხვა მეშასტეებს, დავალებებსაც ისევე აძლევდა და ისევე ემშვიდობებოდა. როგორ ახერხებდა, ჯიბრაილმა ეს ვერ გაიგო, მაგრამ რამდენიმე „რეკორდსმენი“ უბანზე მაინც ჰყავდა. ნაყვავილარი, ძვალმსხვილი შოთა წიფურიშვილი, მაგალითად, დღიურ დავალებებს თითქმის ორასი პროცენტით ასრულებდა. მას დიდად არც დაბალი, ჩაფსკენილი, მაგრამ ქალივით წვრილსმიანი ანგია შარიკაძე ჩამორჩებოდა. ასორმოცდაათ პროცენტზე ნაკლებად ამას გვემა არახოდეს შეუსრულებია. ჯიბრაილმა მშვენივრად იცოდა, თუ რა არარეალური იყო ეს ციფრები. ერთხელ თავი ფეღარ შეიკავა და ტარიელ ვოვისფანიძეს ჰკითხა, გამონამუშევარს თუ ისევ გაკლებენო, და ტარიელმა გულწრფელად უპასუხა, შევე კარგა ხ.ნია,

რაც არც ჩემთვის და არც სხვა აშხანაგებისათვის, წინათ რომ უნამუსოდ გეტყუებდნენ, კაპიკის საღირალიც კი არაფერი დაუკლიათო.

— თუმცა, რაღა კარგა ხანია, სწორედ იმ უკუდმართი კრების შემდეგ. — დაუმატა ტარიელმა და ჯიბრაილს მსარზე ხელი მოუთათუნა.

— აბა, ეს ამხელა რეკორდები ციდან ცვივა?

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი და ტანი!

— მაინც? თუ მაშინ ტყუილად აუბირდი?

— აჰ! მაშინ ჩვენ გეძარცვავდნენ. ახლა კი...

— ახლა?

— ახლა, — ტარიელმა ქურდულად მიხედ-მოიხედა, — ერთმანეთისგან და სხვა მეშასტეებისგან ქვანახშირს უნდა ხეხულობდნენ.

— რაო?!

— ნამდვილად ასე უნდა იყოს. მაგათ ახლა იმდენად ფული არ ღირდებათ, რამდენადაც რეკორდსმენის სახელი. პოდა, კა-

ცი რომ F მუსსე ხელს აიღებს, ხომ იცი... ზოგ მემსახურს ფულს მიუგდებენ, ასე, პირდაპირ ხელიდან ხელში, და სამაგიეროდ ქვანახშირს გამოართმევენ. ვოჭვათ, სამოთხე გონას. იმასაც რა უნაღვლება, ფული გინდა მიტუმსასვან აულია და გინდა მსახურის სალაროში. მიტუმსასვან კიდევ ურჩევნია, იმიტომ, რომ ეს იმ დღესვე ნაღდს აძლევს და არც კაპიკს უჭვითავს, სალარო კი — შენ თვითონაც მოგეხსენება... ჰოდა, ერთს სამი ტონა გამოართვეს, მეორეს ხუთი, მესამეს ოთხი — და იმ შენს წიფურიშვილს ორასი პროცენტი ქვ შეუკროვდა. აბაა!

— ეგ... შენი ვარაუდია, თუ ნამდვილს ლაპარაკობ?

— ეს, ჩემო ჯიბრაილ, ნამდვილი ვარაუდია. დამტკიცებით მაგათ ამას ვერ დაუმტკიცებ და ვიქნებით ასე: წიფურიშვილს და შარიჭაძეს სახელი და დიდება, ჩემისთანებს კი, მათზე მეტსაც რომ შემოაბენ, პრასი და ნიხური.

— რალაცას მიუღ-მოუღები.

— არა, შენ ნუ მომიკვდები!

— იმდენი ქვანახშირის საყიდელ ფულს საღლა მოულობენ?

— ეგ თვითონ იციან. სულ კი არ ყიდულობენ, ცოტას, ალბათ, ისევ იპარავენ. ზოგმა, შეიძლება, ისე მისცეს, ან ასესხოს. ხელი ხელს ბანს და ორივე — პირსო, არ გაგიგონია?

— ღმერთო, ნუ გადამრევ!

— შენ მოიცა, ჯიბრაილ, ნუ აჩქარდები. შენი არ იყოს, იმდენი ქვანახშირის საყიდელი ფული მაგათ მალე გამოილევათ. ხალხსაც მობეზრდება ხულ ხესხება და ჩუქება. ჰოდა, მაშინ ვნახოთ. შენი გალანძღვა და ალაპამი გატარება მაგათ არ შერჩება, ეგ ნუ გადარდებს.

იმ დღეს ეს ლაპარაკი ამით დამთავრდა.

რაც უფრო ახლოვდებოდა გაზაფხული და სკოლაში გამოცდების ჩაბარების დრო, ირინე მით უფრო ხშირად ახერხებდა ქმართან განმარტოებასა და აღურსს. დღე არ გაუიღოდა, რომ ირინეს სადილად რაიმე განსაკუთრებით გემრიელი არ გაეკეთებინა და სუფრაზე ჯიბრაილის საყვარელი „ვარციხე“, ან ვარდისფერი „ოჯალეში“ არ

დაედგა. მეცადინეობას — ქართული ლიტერატურის, ალგებრის, გეომეტრიის, გეოგრაფიის და ამისთანებებს სწავლობდა. კმა-ვი დიდი ხნის წინათ დაანებეს. ირინე ქმარს მზიარული კისკისით ეუბნებოდა, ამ შენს სპილენძის თავში მაინც არაფერი შედის და ტყუილად რატომღა გაწვალოო. ირინე აღარც კი მალავდ, რომ „ამ საქმეს სხვანაირად მოუვლიდა“. და ქმარს ჩაბნელებულ ოთახში, გამჭვირვალე პერანგის ამარა, მხოლოდ იმიტომღა შესხლტებოდა ხოლმე, რომ ჯიბრაილი თავის ახალგაზრდულ მკვრივ, მხურვალე მკერდზე მიხეტებინა, მის ტურებს დააკონებოდა და რკინის მკლავებში გათანგულიყო.

მაგრამ ერთ დღეს, ჯერ თორმეტო საათივ კი არ იქნებოდა, ირინე სახსრწარკვეთილი, ფერდაკარგული მოვარდა სამსახურიდან.

— რა მოხდა?

— დედამ ლამირკვა, მამაჩემი ძალიან ცუდად ყოფილა. ვაიმე! საღამოს მატარებელს მაინც გავეყვით. შენ რას იზამ?

— წამოგყვები. მაგას რაღა კითხვა უნდა?!

..ქუთაისში ჯიბრაილსა და ირინეს ძალიან ცუდი ამბავი დახვდათ. მამას ტვინში ხისხლი ჩაქცეოდა. თვალბდაუკულო, მიცვალეზულივით უფერული ბერიკაცი გაუნძრევლად იდო ლოგინში. თავით უხმოდ მტირალი დარგჯანი უჯდა. მეორე ოთახში და აივანზე ჩუმად ფუსფუსებდნენ მეზობლის დედაკაცები.

ირინემ უცერად მოვარდნილი ქვითინი ძლივს შეიკავა. ქაიხოსროს საწოლთან დაინოქა და შუბლი საბნის კიდეს დაადო. ცდილობდა, მხრების ცახცახი შეეკავებინა. ჯიბრაილმა თვალუბგაფართოებული გოგუტუნა მეორე ოთახში გაიყვანა, კარი მუხურა და ქარცივაძეების კარის მეზობელ ქალს, სახეშემჭკნარ ანგელინას დაბალი ხმით აკითხა:

— რა მოხდა, ქალბატონო ანგელინა?

— რა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო! — ანგელინა წულში გაიმართა და ტურები ზრდილობისამებრ ხელის შურვით მოიწმინდა, — რაღა დავამლოთ და... ისე ეჭიმა კი თქვა, ხმაური, სინათლე და ამისთანები მოარიდეთ და მერე ვნახოთო.

— როდის მოხდა?

— წუხელის გამოთენიხას. ჩემი კაციც სახლში არ იყო. რაც ჩვენ გადავიტანეთ, ადამიანის ენა ვერ მოთოვლის.

სახლში უკვე ყველამ იცოდა, რომ ქაიხოსროს დღევები დათვლილი იყო. დარეჯანს ვეღარ აბრუნებდნენ. ირინე ყოველ წუთას უკანა ოთახებში ან სამზარეულოში გარბოდა და ტირილით იქ ითხებდა გულს. გოგუტუნას ვერ გაეგო, ოთახებში სირბილს, ხტუნაობასა და სიცილს რატომ უშლიდნენ და ოდნავ დაბნეულა, უფრო კი გაბუტული იჯდა დიდ ოთახში გამოსილ ხალჩაზე. ჯიბრაილმა კი გადაწყვიტა, ღამის მატარებელს გავევები, შახტზე ხუთდღიან, ან ერთკვირიან შეგებულებას გავიფორმებ და ისევ ჩამოვბრუნდებით. აქაურობას მის მეტი პატრონი აღარ ჰქავდა.

— წაბრძანდი, ბატონო. — უთხრა ანგელინამ. — ჩვენ აქ დავრჩებით. რაც ჩვენს კუთხე-მეზობლობას ქაიხოსროსგან სიკეთე ასსოვს, მაგის ღამის გამოთევი და წყლის მიმწოდებელი არ დაილუვა. შენ ის თქვი, რომ მაგ უბედურს აღარც ერთი ჭირღება და აღარც მეორე.

ჯიბრაილი დილის რვა საათისათვის უკვე ქვანახშირის ქალაქში იყო. ოციოდე წუთით სახლში შევიბინა, — ირინემ რაღაცეები დააბარა, — და მერე პირდაპირ შახტზე წავიდა. აქ კი მოულოდნელი ამბავი დახვდა.

სამუშაო დღის უმიზეზოდ გაცდენისათვის ჯიბრაილს ბრძანებით საყვედური მიუღო. ის ბრძანება შახტის ეზოს შუაგულში, განცხადებების დაფაზე გამოეკრათ და უკვე მოვლს შახტს წაეკითხა.

ჯიბრაილს უბნას სამორიგეოსკენ აღარც გაუხედავს. პირდაპირ კადრების განყოფილებაში აიჭრა.

— მობრძანდით, ჩემო ჯიბრაილ, მობრძანდით! — ვაშაყმაძე არც წამომდგარა, ხელი ისე გამოუწოდა. — მე და შენ ამ ბოლო ხანებში ერთმანეთს ისევ ხშირად ვხვდებით, რომ თუ ყოველი შემოსვლისას ფეხზე წამოვიდგე, ამ ინვალიდ კაცს სულიც ამომძვრება. რას შეუწუხებხარ?

— ეზოში ბრძანებაა გამოკრული.

— ჰოო, ის?.. მეგრე? მაგან აგაფორი-

აქა?!. მე რაღაცა დიდი ამბავი შეგონა. შეკაცო, შენისთანა დევკაცს ვე ბრძანებ რას დააკლებს? აბა ღირს, ჯიბრაილ, შენ! ნუ მომიკვდები, მაგაზე ამბის ატყუება. მით უმეტეს, რომ...

— მით უმეტეს, რომ — რა?

— არა, სხვანაირად ნუ გამიგებ და — მთლად მართალი არც შენა ხარ. პროექტი რომ შემომიტანეს, კიდევ გამივივრდა. შეგეტყობინებინა, თუ რამე ისეთი შეგეშთხვა, და გაგათავისუფლებდნენ. ტელეფონი მაინც აღარხად იყო?

— სიმაშირი უკანასკნელ დღეში მყავს.

— ოჰ! საწყენია. მაგრამ — მით უმეტეს! ასეთ დროს უარს ვინ გეტყობდა? მიტუშა არც ისეთი გულმხევი ადამიანია, შეკაცო! სიმაშირი — იგივე მეორე მამაა. მაინც, რა შეეშთხვა?

— უკანასკნელ დღეშია.

— ჰო-ჰო! — სად?

— ქუთაისში.

— საწყენია. ნამდვილად საწყენია.

— ბასონ!

— ბატონო!

— ვე ბრძანება უკანონოა. იქნება, ავად გავსდი და ბიულეტენზე გადავუღი? აღარ უნდა მკითხოთ? მიზეზები არ გამოიძიოთ?

— მაგინი რა მოგახსენო... ამასწინათაც კი გითხარი, მე პატარა კაცი ვარ. კაიმი-მიშვილმა მოსსენებითი ბარათი დაწერა და არჩაიძემ რეზოლუცია დაადო, მე რაღა უნდა მექნა?

— არჩაიძემ ისიც დაწერა, ბრძანება შუა ეზოში გამოაკართო?

— ჯიბრაილ, ერთხელაც გეუბნებით, მე პატარა კაცი ვარ.

— კარგი! ნახვამდის!

ჯიბრაილს ბრახისა და შეურაცხყოფისაგან მთელი სხეული უცანცაზებდა. ასანთიყ კი ძლივს აანთო, რომ სიგარეტისთვის მოეკიდებინა. ახლა მას კაიმი-მიშვილის დანახვაზე გი არ შეეძლო და რამდენჯერმე მესამე სართულის დერეფანში გაიარ-გამოიარა, იქნება, ცოტათი დაეწყნარდეთ. მერე გაასხუნდა, უხელფასო შეგებულების აღება რომ უნდოდა, და ისევ ვაშაყმაძესთან შევიდა.

— ისევ შენთან მოვედი.

— რაიმე საქმე გაქვს? — ვაშაყმაძემ

ამკარად უკმაყოფილო, თითქმის გაავებუ-
ლი მზერა შეველო, რა თავი მომბაზურე,
ბოლოს და ბოლოს რა გინდაო.

— უხელფასო შევებულემა მომეცით,
კაცი უკანასკნელ დღეშია. წვდან ხომ გით-
ხარი.

— ძმაო ჩემო! იმ კაცს მე კი არ ვკლავ,
თვითონ კვდება, და მე, თუ კაცი ხარ, ნუ
მიჯავრდები. ეს ერთი, მეორე — ის კაცი
ღმერთმა დიდხანს კარგად ამყოფოს, მე ის
ხელს არაფერში მიშლის და მესამე: თუ
უხელფასო შევებულემა გინდა, დაწერე გან-
ცხადება კაიმიამიშვილის სახელზე, —
ჯურჯურობით ისაა შენი უფროსი, — და-
გიდებს რეზოლუციას და — მორჩა! წინ
ველარაფერი დაგიდგება.

— უკაიმიამიშვილოდ არ შეიძლება?

— უკაიმიამიშვილოდ არ შეიძლება!

— ესე იგი...

— არავითარი ესე იგი! მორჩა. ყველა-
ფერი გითხარი.

— მესმის.

ჯიბრაილი გამოვიდა და კარი ისევ გამო-
იჯახუნა, რომ მთელი დერეფანი შეინძრა.

სხვა გზა აღარ იყო — ისევე კაიმიამიშვი-
ლისთვის უნდა მიემართა. ჯიბრაილმა კან-
ცულარიში ქალღიმი იშოვნა, სიბრაზისგან
აკანკალებული ხელით განცხადება დაწე-
რა, პირველ სართულზე ჩავიდა და უბნის
სამორიგეოს წინ გაიარ-გამოიარა. სამო-
რიგეო მემბტეებით — უმთავრესად კაიმი-
ამიშვილის ავან-ჩაენებით იყო საჯზე. თვი-
თონ კაიმიამიშვილი მაგიდას უჯდა და კა-
რებთან გაკლილი ჯიბრაილის დანახვაზე
კმაყოფილად ჩაიღიმა.

ჯიბრაილმა მოიცადა, გადაწყვიტა —
ის ხალხი გამოლაგდება და მაშინ შევალთ.
შეიძლებოდა, კაიმიამიშვილს საჯაროდ რა-
მე უკადრებინა და ჯიბრაილი თავს მაშინ
მართლაც ვეღარ შეიკაებდა.

მაგრამ არ იქნა და ის მემბტეებით სამო-
რიგოდან არ გამოვიდნენ. იქიდან ერთი
გაუთავებელი ხორბოცი, შეძახილები და სი-
ცილ-ხარხარი ისმოდა. ჯიბრაილი მიხვდა:
კაიმიამიშვილმა უკვე იცის, რომ იმასთან
შესვლას ვაპირებ და ხალხს სამორიგეოში
განგებ აჩერებს, რომ იმათთან დამამცირო-
სო. ზოგი მემბტე კი, კაიმიამიშვილის უას-

ლოესი ძმაცალები, იქნებ, თვითონაც ფეხს
იოთრედნენ, ჯიბრაილი უშემოცნად სვირს
ვეწუროთო.

ლოდინსა და გაურკვევლობას კი ჯიბრა-
ილი ვერასოდეს იტანდა. სიგარეტი ძირს
დააგდო, ფეხით იატაკს დაასრისა და სამო-
რიგეოში შევიდა.

შეძახილები და სიცილ-ხარხარი მყისვე
მოისხიდა.

— გამარჯობათ! — ძლივს ამოღერდა
ჯიბრაილმა.

მას არაეინ უბასუბა. ყველანი კაიმიამიშ-
ვილს მიანერდნენ, უბასუბებს, თუ არაო. ის
კარგა ხანს დუმდა და ჯიბრაილს ჯიქურ
მისწერებოდა. მერე, როგორც იყო, შეინძ-
რა და ბასუბიც იწება:

— გაგიმარჯოს!

— აგერ... განცხადება მოგიტანე.

— განცხადება?! — კაიმიამიშვილმა ყუ-
რები ცქვიტა. ნამდვილად, მოეჩვენა, ჯიბ-
რაილი საყვედურმა გაანაწყენა და უბნიდან
გაშვებას თხოულობსო.

— სიმაშირი ცუდად მყავს... — ერთი
კვირით უხელფასო შევებულემა მჭირდება.

— პოო... სიმაშირი... მესმის... მაგრამ
ჯერ ახსნა-განმარტება დამიწერე, გუშინ
სამუშაო რატომ გააკდინე, დანარჩენზე —
მერე ვილაპარაკოთ.

— ამავე მიზეზით გავაცდინე.

— მერე? სანგრევი რომ კინალამ ჩამოწ-
ვა? ნახვარი ბრიგადა რომ კინალამ ქვეშ
მოიყოლია?

— სად?

— სადაც შენ უნდა გაგემაგრებინა: ქვე-
და სანგრევიში.

ეს აშკარა ტყუილი იყო. ჯიბრაილმა
კარგად იცოდა, რომ სანგრევის ჭერი იქ
არ ჩამოწვებოდა, თუნდაც კიდევ ერთი კვი-
რა გაუმავრებელი რომ დაეტოვებინათ, მაგ-
რამ...

— უცბათ შეგვატყობინეს. დარგვაც ვე-
ღარ მოვანჯარი.

— არა, ჩემო ძმაო! არა! უცბათ — შახ-
ტმა არ იცის. ეს შენ ჩემზე კარგად მოგებ-
სენება. თუ შენ გგონია, მე შესაღიხება არ-
ჩაიძესთან სირბილი და საყვედურების წე-
რა? მე ჩემს სიცოცხლეში საყვედური არა-
ვისთვის გამომიტანია.

— ძალიან დავიბენით. დარგვაც ვეღარ მოვახერხებ.

— არ ვიცო!

ჯიბრალილი ჩემად იჯდა და ტურებს იკვნიტდა.

— შენც ხელთუფლიშვილო, რას ჯიუტობ? თავისი ქალური ხმით დამრიგებლური კილოთი უთხრა ანგია შარიქაძემ. ეს კაცო უარს ხომ არაფერზე გეუბნება. უბანზე პასუხსაც ვე აგებს. დაწერე ის ახსნა-განმარტება, საყვედურსაც მოგიხსნიან და უხელფასოსაც მოგცემენ. აბა, თუ სიმაშირი ავად გყავს...

— საყვედურს მაგას არავინ მოუხსნის. — კაიმაშიშვილმა ხელი გადაჭრით ჩაიჭნია. — უხელფასო კი — ვნახოთ.

გარემოში ყველანი დუმდნენ. ჯიბრალილის გამოსარჩლებას არავინ ფიქრობდა. ჯიბრალილმა უმწუროდ მიიხედ-მოიხედა და სამორიგეოდან გამიჟოდა.

მან ხეირიანად გამოსვლაც ვერ მოახწრო, რომ სამორიგეოში ისევ ენით აუწერული ღრიანცელი, ხორხოცი და ხარხარი ატყდა. აშკარა იყო: ჯიბრალილის მტრები მის დამარცხებას შეიმობდნენ.

ჯიბრალილს ქალადი ისევ საშოვნელი გაუნდა. რაღას იზამდა, ისევ კანცელარიას მიაკითხა. მერე კარგა ხანს უჯდა საერთო მოსაცდელში მაგიდას, ხანამ მღელღარებას ასე თუ ისე დაიბრკელებდა და რაღაცის დაწერას მოახერხებდა. მერე — რაღას იზამდა — ისევ სამორიგეოში შევიდა. ხმაური და ღრიანცელი მაშინვე მოისხიბა. კაიმაშიშვილმა ქალადს თვალი ზერეულედ ჩააგლო, ზედ რაღაცა წააწერა და ჯიბრალილს აგდებით უთხრა, კანცელარიამი აიტანეო, ასე უბოძს ხელთუფლიშვილს ერთი კვირის უფასო შვებულება.

• • •

ერთი ძალიან გულხატკენი ამბავი, თურმე, ჯიბრალილს კიდევ ელოდა. როცა საქმეები მოათავა, შვებულება გაიფორმა და შახტის ეზოდან გადიოდა, — ასე თავგანჯინდრული და კრიჭაშეკრული კი, ალბათ, ჯიბრალილი არასოდეს არავის უნახავს, — ქიშკართან ტარიელ გოგისვანიძე და მისი ამხანაგები წამოეწივნენ. მისალმების მაგი-

ერ ტარიელმა ხელზე ხელი წაავლო და ჰყენის კილოთი უთხრა, რაც შეეძინება და რაც კაიმაშიშვილმა გაკადრა, ყველაფერი ვიცით, შენთან ყოფნა ძალიან გვიინდა და ხანამ მატარებელი გავიდოდეს, ნუ გაგვაწიბილებ, ვაგზლის რესტორანში შევიდეთო.

— მე მატარებელს არ დაველოდები. რამე მანქანას დავიჭერ.

— გვეცი ამდენი პატრეი, ჯიბრალილ! შენი სიმაშირი ღმერთმა კარგად ამყოფოს და შენ თუ იქ მისვლას ერთი საათით დააგვიანებ, ამითი არაფერი დამავდება. შევიდეთ, ძამიკო, და ერთი გუნებიერად წავიხაუზნოთ. მთელს შენს ნათესაობას ჯვარი სწურია, მაგრამ ქუთაისში, შეიძლება, საამისოდ ვეღარც კი მოიცალო.

ერთი-ორი ჭიქა ღვინო ჯიბრალილს ასლა ნამდვილად არ აწყენდა. შეყოფმანდა და მაჯის საათზე დაიხედა. ტარიელმა ეს ყველაფერი თანამობის ნიშნად მიიღო, ჯიბრალილს მივარდა, ხელმკლავი გაუკეთა და სადგურის რესტორნისკენ წაიყვანა. დანარჩენებიც — სუთი თუ ჯქვის კაცი — თან გააჰყვნენ.

რესტორანში უბვი სუფრა გაიშალა. ეს წასაუშმება კი არა, ნამდვილი სადილი იყო. თამალობა თვითონ ტარიელმა იკისრა. ჯერ ჯიბრალილი და მისი ცოლ-შვილი აღდგერძელა, მერე ის ბერიკაცი, „ახლა ქუთაისში ლოგინზე რომაა მიჯაჭეული და ჩვენს ჯიბრალილს ისე ელოდება, როგორც თავის მსხნელს“, მერე დანარჩენი თანამეინახეების სადღეგრძელოებს მიჰყვა. ყველანი მალე შესარსიშდნენ. ჯიბრალილს კი, ალაპმა უწყის რატომ, ღვინო სულაც არ ეკარებოდა. ის ღვინოს, საერთოდ, კარგად იტანდა, მაგრამ ორი თუ სამი ბოთლი „წინანდალი“ რომ სულ არ დატყობოდეს, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. საათზე კი მალი-მალ იყურებოდა და ამიდ ტარიელს აგრძობინებდა ხოლმე, გახსოვდეს, რომ წასასვლელი ვარო.

— კიდევ ხუთიოდ წუთი, ჩემო ჯიბრალილ! ამდენი ხანია ერთად ვმუშაობთ და ჯერ შენთან ჭიქა ღვინო არ დავგილეკია.

— კიდევ მოვასწრებთ. მაგ უბნიდან წასვლას მე არ ვაპირებ.

— აი, შენ კი გაიხარე! სული შენით

გვიღვას. უშნოდ მაგათ ხელში ღმერთმა ერთი დღეც ნუ გვამყოფოს. ოღონდ, იცი, რის გიტყვი? თუ გინდა, გამიწყვიტე, თუ გინდა, ეს მთელი თავში მრეკე, მაგრამ ახლა... უნდა გავიბუღო, რისთვისაც ამ რესტორანში შემოგიყვანეთ. არა, გაშიგე, შენთან ყოფნა და თანაგრძნობის გამოჩენა რომ გვინდოდა, ეს თავისთავად, მაგრამ... რალა დაგიმალეთ, ძმაო ჯიბრაილ, და ერთი პატარა საქმეცა გვაქვს. ასეა, თუ არა, ბიჭებო?

— ასეა, ასე. — დაუდასტურეს დანარჩენებმა.

— ჩვენ გულახდილათ უნდა ვუთხრათ თუ არა ჩვენს ჯიბრაილს, რასაც იმ საქმეზე ვფიქრობთ?

— უნდა ვუთხრათ.

— აუცილებლად.

— აბა, საქეიფო დროს მერეც მოვანახავდით.

— აბა, ძმებო, სმენა იყოს და გაგონება. — ტარიელმა რატომღაც სახელოები დაიკაიწა და ჭიქას ხელი ისე მოჰკიდა. — ჩვენო ჯიბრაილ! ჩვენო საამაყო ძმაო და მეგობარო! რაც შენ მიტუმა კაიმიამივილი-მა და მისმა ძაღლთაბირმა ამხანაგებმა შეგამოხვიეს, ის ყველაფერი — უკლებლივ — ჩვენი ბრალია. აი, ჩვენ, ვინც ამ სუფრას ვუსივართ: ჩემი, ამისი, ამისი... პირადად შენ ისინი არაფერს გერჩოდნენ, კაიმიამივილს კიდევ ვამაყებოდა, რომ შენისთანა სახელიანი ვაეკაცი იმის უბანზე მუშაობდა. ნამდვილად! ასე — თავაშვერილი დადიოდა. მაგრამ ჩვენ ვიჩაგრებოდით, ძმაო! და ერთი თუ ორი დღე და კვირა კი არა, თვეებისა და წლების მანძილზე. ხალხო, ასე იყო თუ არა?

— აბა, როგორ იყო?!

— სული ამოგვართვეს.

— რავარი საქმეა, მუშაკაცს მის ნამუშევარს რომ წაართმევ და სხვას მიუწერ.

— რეკორდსმენები! ოჰ, მე მაგათი...

— ნამდვილად ასე იყო. — ტარიელმა სახელოები კიდევ უფრო დაიკაიწა. — ჩვენ ძალადაც არავინ გვაგდებდა: ძალადაც! და, ამიტომაც იყო, ჩვენო ძვირფასო ჯიბრაილ, რომ ჩვენ შენ მოგმართეთ დახმარება, შემწყობა, თანაგრძნობა გუნაზღვეთ

და სხვა ამგვარები. ჩვენ ვიცოდით, რომ შენ ისინი ვაგლახად ხელს გერწამოგკრავდნენ. ვიცოდით კი არა, დარწმუნებული ვიყავით. შენი ვაგვაცობა, პატროს-ნება, პირუთვნელობა, უშიშროება, — მთელმა ქვეყანამ იცის, და პირდაპირ, მთელი ამ ხალხის სახელით უნდა ვითხრა, რომ არც მოგტყუებულვართ. არ შევმცდარვართ. შენ კი ტყუილ-უბრალოდ გაგლანძღეს და გამოგაჭენეს, მაგრამ... ეს ჩვენი საქმეები კი გამოსწორდა, ა, ძმაო, სუფრას შენს გარდა ექვსი კაცი ვუსივართ და ჰკითხე: იმ კრუზის მერე არც ერთი ჩვენთაგანისთვის გრამი რა არის, გრამი გამონამუშევარი აღარავისთვის დაუკლია. კაცებო, მართალს ვამბობ, თუ არა?

— სრული სიმართლეა.

— ჭეშმარიტებაა.

— გვაკლებენ კი არა, ახლა, შგონია, ქვეც ვვიმატებენ. ხე-ხე!..

— სო! — ტარიელმა მარცხენა სახელო ახლა რატომღაც ქვევით ჩამოსწია. — არა, მომატებით ჩვენ არავინ არაფერს მოგვიმატებს, და არც არავისი არაფერი გვინდა, მაგრამ, რაც მართალია, მართალია, დაკლებითაც კაიკის ხალირალს აღარაფერს გვაკლებენ. ჩვენს, ესე იგი, მუშურო თავმოყვარეობაზე თავის ტალახთან ფეხს აღარავინ ადგამს. მატერიალურ ანაზღაურებაზე ზომ აღარც კი ვლაპარაკობ. კაცებო, ესეც მართალია, თუ არა?

— ეგეც მართალია!

— წილში გავიმართეთ. საკუთარი თავის აღარ მრცხვენია. კაცად ვიქვიც.

— ნამდვილად ასეა! — ტარიელმა ახლა მარჯვენა სახელო გადაიწია — ასეა! მაგრამ სამაგიეროდ... ახლა შენ იჩაგრები და ილანძღები, ჩვენო საყვარელო ძმაო ჯიბრაილ! — ტარიელმა მიისივლ-მოიხედა და, თუმცა რესტორანში ამათ გარდა თითქმის არავინ იყო, ხმას დაუწია. — ახლა შენ მოგდგნენ, ჩვენო ძმაო, და... რა ვიცი... რაც უნდათ, იმას გიმყვებიან. თუნდაც ეს დღევანდელი საყვედური ავიღოთ: ამას აღამიანი იკადრებს? კაცს სიმამრი, შეიძლება უკანასკნელ დღეში გყავს...

— და მაგ საყვედური არც იყო კანონიერი, — შეაწვევტინა ნაყვავილარმა, უკ-

ვე კარგად შეზარხმებულმა ვოგიტა ჭიპურელმა, — ტარიელ, გესნის, მოიხედე: პირველ გაცდენაზე მუშას მითითება გკუთხნის, მეორეზე — მკაცრი მითითება და — ასე შემდეგ. მაგი მე მკითხე! ჯიბრაილმა ვე საქმე რომ გაასაჩივროს, უსათუოდ მოიგებს.

— მოიგებს! — დაუდასტურეს სხვებმა.

— ულაპარაკოდ.

— საყვედურს მითითებდალ გადაუგებებენ.

— ნამდვილად, მაგრამ საქმე მაგამი კი არ არის. რა ლაპარაკი უნდა, რომ მოიგებს. მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ ამ ალაპარაკობის ჩაჯინდნენ და ყოველ მის ნაბიჯს უკუღმა ზომავენ. აბა! აი, საქმე რა არის. ახლა, ჩვენი საყვარელი ჯიბრაილ, აი, რა უნდა გითხრა: მაგენი ერთმანეთში ისე მაგრად არიან გადახასკეული, თავიანთ საქმეებს ისე მოხერხებულად აკვარაბჭინებენ, რომ... რაღა გითხრა, ძმაო! მაგათთან ბრძოლა ყველას ძლიერ გაგვიჭირდება. ეს იმ დღესაც კი გითხარო. მაგენს, ძმაო, თურქების ზარბაზანი ვერაფერს დააკლებს არადა, მაგ ხათაბალაში შენ ჩვენი გულსთვის გაები. პირველად ჩვენ შემოგვხვეწეთ, გვიშველეთ. პოდა, რაკი ჩვენ აღარაფერს გვიშავებენ, რაკი უკვე ხალხად ჩავგავადეს, მოდი, ძმაო ჯიბრაილ, და შენც მაგათ თავი დაანებე, ვითომ, — არც შენთვის უკადრებიათ რამე: მაინც ვერ მოერგვი. მოეშვი, კისერიმც უტეხიათ! ჩვენ ვიყოთ ჩვენთვის, ვიშრომით, ვიმუშაოთ, ჩვენი ალალი მარჯვენიტ მოპოვებული ლუკმა ვჭამოთ, მაგათ კი... ა? ცუდი სიტყვაა? თან ეს იცოდე, ჩვენ სულ შენს გვერდში ვიჭნებით. შენზე ერთ უკუღმართ სიტყვას აღარავის ვათქმევინებთ. მორჩა, ეს აღარ იქნება. შენ კი იმათ თავი დაანებე: ასე უფრო ჭკვიანურა არ იქნება? დაფიქრიდი, ძმაო! ეს ქვეყანა ვის გაუსწორებია? შენ რომ დღეს საყვედური გამოგიტანეს, გულზე სისხლი გადაშესხა, მაგრამ... მაგ სვავებთან შენ რამეს გააწყობ? მე მგონია, ძმაო, ისევე ისა სჯობია, ყველაფერზე თავი ვუქნით და საკუთარი გზით ვიაროთ. ტყუილა სი-

ცოცხლეს გავიმწარებთ და მეტი არაფერი. შემცდარი ვარ?

„არა, მართალი ხარ“ — მწარე დაინდოთ გაიფიქრა ჯიბრაილმა. მაგრამ ხმა არ ამოუღია. სიგარეტი გააბოლა და დანარჩენ თანამეინახეებს თვალი შეავლო, ესენი რაღას მეტყვიანო.

— ესე იგი, რასაკვირველია, — მთვრალ გოგიტას თვალები უბრწყინავდა და ნაყვავილარი სხე ოდნავ შეფავლოდა — კაცს რომ საჯაროდ დაუმასხურებულ შეურაცხყოფას მოგაყენებენ, ამისი პატიება, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ... აწი თუ აღარაფერი გავვიბედეს... რა ვიცი... ისე, რა თქმა უნდა ეს თვითონ ჯიბრაილმა უნდა გადაწყვიტოს. ჩვენ კი ნამდვილად აღარ გვჩაგრავენ და ეს, ბატონო ჯიბრაილ, უდაოდ და ნამდვილად თქვენი დამასხურებაა.

— ნამდვილად! — დაუდასტურეს სხვებმა.

— რა ლაპარაკი უნდა.

ჯიბრაილი დუმდა.

— ჯიბრაილ, ჩემო უფროსო ძმაო და ძმაზე უსაყვარლესო! მიტემა კაიმაშიშვილს მე თვითონ შევეჯუჯევი, კირს მოვჭამ და საჯაროდ ბოდიშს მოვახდევინებ.

ტარიელმა მაგიდას მუშტიც კი დაქკრა.

— არ გინდა, ნუ შეწუხდები. — ჯიბრაილმა ჭიქა გაივსო და წამოსადგომად მოემზადა. — ამ პურ-მარილისა და თანაგრძნობისათვის დიდი მადლობა მომიხსენებია. გადამეხადოს! რაც შეეება... რა ვიცი... ახლა იმაზე ლაპარაკის დროც არ არის. ჯერ ის კადი მუყავს მისახელი. ისე კი; თქვენიც იდით; ის ამბები დაწყებით მე არ დამიწყია და... აგორებული ზეგვი ხრამში ვის ჩაიყოლიებს, ვე წინდაწინ ძალიან ძნელი სათქმელია. მე მოსვენებული ცხოვრება ყველაფერს მერჩია, მაგრამ... ერთი სიტყვით, ამას მოვეშვით. ეს მერე ერთხელ კიდევ დიდი მადლობა ყველაფრისათვის. თუ თქვენ აღარ გჩაგრავენ, რაღაზე უნდა იღავოთ?.. აბა, კარგად და ბედნიერად იყავით! ეს ჭიქა „საყოველწინადაოდ“ ჩამითვალეთ და ნუღარ დამაყოვნებთ. მტკარება. ჯიბრაილმა ჭიქა ბოლომდე დასცალა,

გამოვიდა და ოდნავ შემცბარი თანამეინასენი იქვე დასტოვა.

„ესენიც მემსატყეობენ არიან? — მწარედ ფიქრობდა იგი მანქანის მოლოდინში, — ჩვენ აღარ გეჩაგრავენო! სხვებს? თუმცა — ესეც ვნახოთ. ვნახოთ, კაიმაშიშვილის სამართლიანობა სანამდე გასტანს“.

• • •

ქაიხოსრო შაბათ საღამოს გარდაიცვალა. სიკვდილამდე გონს არც კი მოსულა. ოღონდ, უკანასკნელ წუთს, როცა სული ხორცს ეყრებოდა და სხეული საშინლად ათრთოლდა, ქაიხოსრომ ერთი წამით წამოიწია, მუშტებდა შეკრული ორივე ხელი ზეღმარაღა, თითქოს ვიღაცას ემუქრებოთ, უგონო თვალები გაახილა, მაგრამ, ალბათ, არაფერი დაუნახავს და არავინ უცნია, და, სანამ მიშველებას მოასწრებდნენ, ბალიშზე გულადმა გადავარდა. უკვე აღარ სუნთქავდა. გონდაკარგული, აკივლებული დარეჯანი ქალებმა მამინვე ოთახიდან გაიყვანეს, ირინე კი ჯერაც თბილ მიცვალებულს მივარდა, თვალები დაუხუჭა, მკერდზე დაეკონა და ბავშვივით უმწეოდ, გულსაკლავად ატირდა.

გასვენება სუთშაბათამდე აღარ მოხერხდა. ქაიხოსროს მთელი დასავლეთ საქართველო იცნობდა და უამრავ ხალხს ელოდნენ. არც შემცდარან. სამიძირისთვის ზესტაფონიდან და ტყიბულიდან, წყალტუბოდან და ხონიდან, ლენსუმიდან და თერჯოლიდან, სვანეთიდან და ამბროლაურიდან ჩამოსული ხალხი მანქანებს სადღაც ქვედა ქუჩებზე ტოვებდა და ქარცივაძეების სახლისკენ მომავალ აღმართზე ფეხით ამოდიოდა, — ეს აღმართი მანქანებს ვეღარ იტევდა. ასე იყო სამშაბათ-ოთხშაბათიდანვე. ჯიბრაილი საგონებელშიც კი ჩავარდა, ამდენმა ხალხმა ღამე სად და ვისთან უნდა გაათიოსო. მაგრამ ქარცივაძეების სახლში ღამის გასათევად-სულ ათამდე ქალი და კაცი თუ რჩებოდა, უპირატესად მოხუცებულები, ქაიხოსროს უახლოესი მეგობრები და ნათესავები. ღამეს მიტვალბულს მოწამეთიდან მოყვანილი დიაკვანი უთევდა — ეს დარეჯანის სურვილი იყო. ლომკაცია ჯიშიაშვილი დღემდე სამჯერ და ოთხჯერ მოდიოდა,

ჯიბრაილს ამშვიდებდა, შენ ნურაფერზე შეწუხდები, მიცვალებულთა მკაცრები და მომსულელებს მადლობა მოასხენე, დანარჩენი კი ჩემზე იყოსო. და მართლაც: საფინიხის სასაფლაოზე მშვენიერი ადგილი იმოვნა, მუხის კუბო გააკეთებინა, ცემენტი და ქვიშა დაიბევა, ხელოსნებსაც მოელაპარაკა და საფლავისთვის სადღაც, ქარხანაში თუჯის მოაჯირიც შეუკვეთა, თან ამბობდა, ეს ყველაფერი საორმოცოდ იყოს, რომ ხალხის წინაშე არ შეგცხვებთ, მერე კი საფლავს შვიი მარმარილოთი გაეაწყობინებო. ეს ყველაფერი უამრავი ფული ჯდება და, ცოდვა გატყევილი სჯობია, ჯიბრაილი კარგა მაგრად შეფიქრინდა, მაგრამ ლომკაციამ ეს შეატყო და ანუგეშა, ფულის დარდი ნუ გექნება, იმდენი გადასახურავი შემოვა, რომ ყველანაირ ხარჯს ავინაზღაურებთ და ცოტა, იქნება, იმ საწყალი ქვიშისთვისაც გადაგვრჩესო.

ქელესში სუთსამდე კაცი იჯდა — ორასამდე ქარცივაძეების სახლში, დანარჩენები მუხობლებსას. რაიმე განსაკუთრებული უწყობა არაფერი მომხდარა. ახალგაზრდები თითქოს გრძობდნენ, ეს დარბაისელი ხალხი დათრობისა და აყალმავლის უფლებას არ მოგვეცემსო, და თავი წესიერად ეჭირათ. ოღონდ სადღაც, მეორე თუ მესამე სახლში ორ ვიგინდარას ერთმანეთზე გაუწევია, მაგრამ მალე დაუშოშმინებიათ. თვითონ ქარცივაძეების სახლში კი ნამდვილად ყველაფერი წესიერად ჩატარდა.

კიდევ სამიოდე დღე საფლავის მოწესრიგებას, ხალხის დალაგებას მოუწოდნენ. ჯიბრაილი კიდევ ფიქრობდა, ახლა რომ ჩავალ, იმ დღეაზე, ალბათ, სამი საყვედური ერთად დამხვდებაო. მაგრამ ყველაფერს წამ დასახრული აქვს. დადგა წამოსვლის დღეც. ჯიბრაილი სასაფლაოზე ხელოსნებს გაუსწორდა, საფლავის გარშემო უკვე ბეტონის კედლები ამოეყვანათ, იქიდან ქალაქის სადგურში გავიდა და ბილეთები იყიდა. შინ დაბრუნებულს სულრა უკვე გამილილი დახვდა.

• • •

ამჯერად ჯიბრაილმა სამუშაოზე გამოცხადება სამი დღით დააგვიანა. ასე რომ, კაიმაშიშვილსაც და არჩაიძესაც ახლა უფრო

სერიოზული მიზეზი ჰქონდათ მისთვის საყვედური გამოცხადებინათ. მაგრამ ამის გაკეთება რატომღაც ფიქრადაც არაღის მოსვლია. პირიქით, როცა ჯიბრალი დილით სამორიგეოში შევიდა, ყველა, ვინც კი იქ იყო, კამამიშვილის მეთაურობით, წამოდ-

გა და სიმამრის ხიკვდილი მიუხამებრა. კამამიშვილმა ისიც კი უთხრა, მისმამრის დაგეტოვებინა და სამამიშვილის ტყვეობაშიც მოგოგაყავინდითო. ჯიბრალიც ყველას მადლობა გადაუხადა, დავალემა მიიღო და შახტში ჩაეშვა.

მადი მირვა

ბაბო ფავლენიშვილმა მალე შეიტყო, რომ ვიღაც კაცისმკვლელებთან ნათია ავალიშვილის კავშირსა თუ მკვლობრობაზე მთელი პოლიტექნიკური ინსტიტუტი ლაპარაკობდა. ამ ხმებს მარტო აგული მეიფარიაანი აგრცვლებდა, თუ სხვებიც აყვენენ, ბაბომ ეს ვერ გაიგო. ეს კი იყო, რომ ნათიას სახელს ახლა ინსტიტუტში გაცილებით უფრო ხშირად ახსენებდნენ, ვიდრე ოდესმე, და ყოველთვის იმ მკვლელობასთან დაკავშირებით. ასე გასინჯეთ, თვით ბაბოს უერთგულესმა გოგონებმა — კანცელარიის თანამშრომლებმა ერთხელ თავიანთ უფროსსაც კი გაუბედვეს და ამჟამა ცნობისმოყვარეობით ჰკითხეს, ნათია ავალიშვილი სამსახურში რატომ არ დადისო. მათ მშვენივრად ახსოვდათ, ნათია ლაბორატორიაში ვინც მოაწყო. ბაბო იძულებული გახდა, ორგოფულად ეპასუხნა, — ნათია მე თვითონ ვინახულე და ნამდვილად ავად არის, ავადმყოფობის მიზეზებისა კი ჯერ არა ვიცი რაო. გოგონები გაჩუმდნენ და ამის შემდეგ ნათიაზე კრიტიკაც აღარ დაუძრავთ. უფრო მეტიც: ვინც ამის შემდეგ მათთან ნათიას სახელს უკუღმართად ახსენებდა, იმას მყისვე პირში ვეცმოდნენ ხოლმე, — რა დაგემართათ, ავად ვინ არ გამხდარათ, და ბევრს მართლაც ენა ჩააკმენდინეს.

მაგრამ ამოდენა ინსტიტუტს პირს ხომ ვერ აუბამ? ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ნათიას მკვლობრობა იმ ვიღაც მკვლელებთან მართლაც დადასტურებულიყო, მაგრამ... ბაბომ მაინც მოხვენება დაჰკარგა; და გადაწყვიტა, ამ აზნაუს პროფესორ კონსტანტონე მიქაბერიძეს მე თვითონვე ვაუწყებ, რომ ბერკაციც ყველაფრისათვის მზად იყ-

ვეს და უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებო. ახლანდელ დროში ყველაფერს უნდა ელოდე! აგერ, პროფესორ ყავრიშვილის ვაგი ცნობილი მორფინისტი ყოფილა ბატონი კონსტანტინე კი კათედრის რეპუტაციას ძალიან უფრთხილდებოდა და სამსახურში მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებს, უპირატესად ძველი, ცნობილი ოჯახების შვილებს იღებდა. ნათიაც აკი ამიტომ მიიღო, რომ „ჩვენი დიდი ჯამბაყურის ქალიშვილი იყო, ცოტა სიზარმაცეს კი არა უნავს, ახალგაზრდობაში მე თვითონაც ზარმაცი ვიყავით“.

პროფესორ მიქაბერიძეს ბაბო სახლში ეწვია, — კათედრაზე იმ კაცს მარტო ხომ ვერახოდეს ნახავდით! ჯარშემო მუდამ ხალხი ჭებია. ესეც არ იყოს, ბაბოს უკვე ეფიქრებოდა, როგორც კი ინსტიტუტში მიქაბერიძესთან განმარტობულს დამინახავენ, მაშინვე მიხედებიან, რომ ნათიაზე ვლამპარაკობთო. ეს კი ბაბოს აღარ უნდოდა.

მიქაბერიძეებს ბაბოს მისელა ხულაც არ გაჰკვირვებიათ — ბაბო პროფესორების ოჯახებში საკმაოდ ხშირი სტუმარი იყო. ბატონმა კონსტანტინემ თავის ძველ მეგობარს, „ჩვენს სათაყვანებელ ბაბოს“ ყურადღებით შესვდა, მიხვდა, რაღაცა უნდა აწუხებდესო, დააცალა, სანამ ბაბო და პროფესორის ცოლი ერთმანეთს ჩვეული ფრახებით შეენაცვლებოდნენ, და მერე სტუმარი კაბინეტში შეიპატიჟა, იქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთო. შევიდნენ, დასხდნენ და ბაბომ პროფესორს ყველაფერი უთხრა, რაც გაეგო და რასაც თვითონ ფიქრობდა.

— ვერაფერი გამიგია, — ბატონმა კონსტანტინემ

სტანტინემ ბებრული, უფერული ტურები ნერვიულად ააცმაცუნა, დაძარღვული, გამხმარი ხელებით კი მაგიდის ძგიდეს ჩააფრინდა. — ვინ მოჰკლესო?

— ვილაცა ბიჭი.

— მერმე?

— ნათია მკვლელებთან მეგობრობდაო.

— მერმე?

— მკვლელს ეძებენ და ნათია მილიციაში გამოიძახეს.

— მაინც ვერაფერი გამოვიდა. თქვენ ასე ბრძანეთ, ნათია მკვლელებთან მეგობრობდაო. მერმე კი ბრძანეთ, მკვლელს ეძებნო. თუ მკვლელი ჯერაც ვერ უპოვნიათ, რა მნიშვნელობა აქვს, ნათია ავალიშვილი ვისთან მეგობრობდა?

— ნათია იმ ჯგუფთან მეგობრობდა.

— აბა! ვისზეც, ალბათ, ეჭვი აქვთ არა? ახლა უფრო გასაგებია. მერმე?

— მეტი მეც არაფერი ვიცი.

— რამდენი ხანია, რაც ის ყმაწვილი მოჰკლეს?

— რამდენიმე თვეა.

— კმ? მერმე?

— მეტი მეც არაფერი ვიცი. აკი ვითხარით, ბატონო კონსტანტინე.

— დიას, დიას, მითხარით... მესმის... მე კათედრაზე მითხარეს, ავალიშვილი ბიულეტენზეაო. მეც, სიმართლე ვითხარათ, განსაკუთრებული ყურადღება აღარ მიმიქცევია. ისე კი... — მიქაბერიძე კარგა ხნით ჩაფიქრდა და შესამჩნევად დამშვიდდა. — რა

მოგახსენოთ! მეგობრებს, რა თქმა უნდა, შერჩევა უნდა, მაგრამ ამ საქმეში მე ვერ ვხედავ, ეს ბებერი ხალხიცა ვეცდებით... დამაწყვეტებს რაღა მოეთხოვოთ? რაც შეეძება... თუ ჯამბაკურ ავალიშვილის ქალიშვილიც რაღაც მკვლელობაში ურევია, მაშინ... არ ვიცი... დაესურთ, ბატონო, ეს ჩვენი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები. ვილასთვის გვინდა? მე, მაგალითად, ჩემს კათედრაზე იმ დღესვე ხელს ავიღებ.

— ბატონო კონსტანტინე!

— არა, არა! ერთი წუთით. მე ფერები ცოტა ჩავამუქე. ისა... მიქაბერიძე ისევე კარგა ხნით ჩაფიქრდა. — თქვენს ადგილზე მე ასე არ ავლელდებოდი. დარწმუნებული ვარ, რომ მანდ რაღაც სისულელეა. მაგ გოგონას შე სხვაზე ნაკლებად არ ვიცნობ, მაინც ძალიან დიდი მადლობელი ვარ, რომ გამაფრთხილეთ. დიდი, დიდი მადლობელი. — მიქაბერიძე ისევე ჩაფიქრდა. — ახლა კი ჩაი დაელოთ. უსათუოდ, უსათუოდ! ისე არ გაგიშვებთ. — წამოდგა და ბაბოს გალანტურად გზა დაუთმო, კარებში გამოსვლისას კი ხელიც შეაშველა. — ისე კი, ნამდვილად დროა, მილიციამ მკვლელები იპოვნოს. არა? და უდანაშაულო ხალხს მშვიდი ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება მისცეს. რამდენიმე თვე — აბა, წარმოიდგინეთ!

იმ საღამოს ბაბო მიქაბერიძესთან გვიანობამდე დარჩა და ნათიას სანაწავად ვედარ მიიცილა.

თავი ოცდახუთეტი

პოლკოვნიკ ავქსენტო შარაშენიძეს რაიონის პროკურორი ალექსანდრე ბაჯელიძე თვალთ დასანახავად სძულდა. ზოგჯერ, ძალიან რომ გამწარებულია, ცოლისთვისაც კი უთქვამს, სხვისი ხელით ნარეკლის მკრეფავი ბებერი მინახავს, მაგრამ მაგისტრანა კი არაო. და, ამავე დროს, არავის ამ ქვეყნად შარაშენიძე ისე არ ეფერებოდა, და თავს არ ევლებოდა, როგორც ბაჯელიძეს. სხვა გზა არცა აქონდა. ძიებებს წაღმართია-

ნად წაიყვანდა, თუ უკუდმართად, ხულებით იყო, შარაშენიძისთვის საბოლოო დასტური მაინც ბაჯელიძეს უნდა მიეცა. შემთხვევა არ ყოფილა, რომ ბაჯელიძეს იოტი-სოდენა რისკი მაინც საკუთარ თავზე აეღოს. მაგრამ ყოველთვის უცდომლად ხედებოდა, ძაღლის თავი სადაც ემარხა, და შარაშენიძეს არც ეჭვმიტანილის დაპატიმრებაზე, არც უკვე დაპატიმრებულის განთავისუფლებაზე, არც ბრალდებულისათ-



ვის თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსის მუსლის შეცვლაზე, — რამაც ხშირად ძალიან ბევრ ფულს იძლეოდნენ, — არასდღებით ხელს მანამდე არ მოუწერდა, სანამ თავის კუთვნილს არ მიიღებდა. იმ „კუთვნილს“ კი თრივე ეს კაცი თავისებურად იყენებდა და ერთმანეთი სწორედ იმიტომაც სძულდათ. შარაშენიძეს ამ ცხოვრებაზე უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნული. აღარაფართი დაწინაურებაზე აღარ ფიქრობდა. საფიქრალი მხოლოდ ერთი ჰქონდა, პენსიამდე ისე მივატანო, რომ არ წამახდინონ, თანამდებობიდან არ მომხსნან და ის პენსიაც არ დამაკარგვინონო. შარაშენიძის ვერტოლეა ბინა გამოტენილი იყო ძვირფასი ძველებური ავეჯით, ანტიკვარული ნივთებით, თანამედროვე და ძველი მხატვრების სურათებით, ბრილით, ფიაფურითა და უქრო-ვერცხლით. შარაშენიძის ცოლი თეატრში კი არა, მუხობლის დღეობაში ისე არ გადავიდოდა, რომ თითები ბრილიანტის ბეჭდებით არ დაემშვენებინა.

ბაჯლიძის ცოლი კი — თეიმურაზ არჯვანიძის და მწვეინარი თხოუმეტი წელიწადი ერთი პალტოთი დადიოდა. ბაჯლიძე ქრთამსაც იღებდა, მაგრამ არც კარიერაზე ოცნებას ეშვებოდა. ამიტომ ზედმეტ შემოსავლს ისეთი გულმოდგინებით მალავდა, რომ კვლას ასი შეძებარი ვერ უპოვინდა. პროკურორი დარწმუნებული იყო, თუ მომქირნედ ვიცხოვრებ და შემურნეებს არ გაეიონ, კარიერასაც მწვეინარად გავიკეთებო, მით უმეტეს, რომ არც ერთ, თუნდაც სულ ოდნავ საეჭვო საბუთზე არასოდეს შარაშენიძეს ხელს არ მოუწერდა და „თავის კუთვნილს“ მხოლოდ მაშინ გამოართმევდა, როცა პოლიკონიკი საქმეს კანონის ყოველგვარ მოთხოვნებს შეუფარდებდა.

ანზორ კუპატაძის მკვლელობა შარაშენიძეს ძალიან მსუბუქ და ადვილად ხელმოსათობბ საქმედ უჩვენა. თანაც არ უნდოდა, ამ გამორჩენაში მოზიარე ყოლოდა. გამოძება პატიოსან თანამშრომელს, ვალერიან მჭკაბიშვილს მიანდო, არც ესმარებოდა, არც ხელს უშლიდა, და თან ფიქრობდა. ხელსაც კარგად მოეითობო და მაგ გატუტნებულ ლეიტენანტსაც სამუდამოდ ჭკუას ვასწავლიო.

როგორც კი მჭკაბიშვილს ბუღეიშვილის განთავისუფლება უბრძანა, შარაშენიძემ ბაჯლიძეს დაურეკა და მიღება სთხოვა. რა თქმა უნდა, მაშინვე თანხმობა მიიღო. მივიდა და პროკურორის თავისი გვეგა ათი-ოდე წუთში გააცნო. ბოლოს კი დააყოლა, ოღონდ ამჯერად შენი დახმარება დამჭირდებაო.

— ა? — ბაჯლიძე უგემურად დაიკყანა, შარაშენიძეს მწერა აარიდა.

— არა, ისეთი არაფერი... ხელს არაფერზე მოგაწერიებ. ოღონდ ისე...

— ისე — კი, ბატონო! ოღონდ — ხომ იცი? — ბაჯლიძემ ახლა თავისებური ლიქნით გაუღიმა და შიგ თვალეში ჩაბედა.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა!..

შარაშენიძე სასამართლოში მიბრუნდა, მჭკაბიშვილი გამოიძახა, ხვალიდან გამოძიებაში მე თვითონ დაგეხმარები და გაჩვენებ, საქმის წარმოება როგორც უნდაო და მეორე დღისთვის ბესარიონ მაგრაქველიძის, თენგიზ ჯაველიძისა და მირზა ტირაქაძის გამოძახება უბრძანა.

• • •

თაზო ბუღეიშვილი იმ საღამოს კარგა ხანს ხმაამოუღებლად მისჩერებოდა თავის დაბნეულ, საქციელწამშდარ ამხანაყებს. მერე ბესარიონს მიუბრუნდა.

— დედაჩემს ძალიან კარგად დახვედრინხართ.

ბესარიონი გაწითლდა. საერთოდ, მას ერთი სული ჰქონდა, ახლა თავის მგებობებს როდის გაეცლებოდა, თავის მამასთან მიგარდებოდა და ბუღეიშვილის მოულოდნელი გაუწინარებისა და კიდევ უფრო ანაზღვეული დაბრუნების ამბავს შეტყობინებდა; გრძნობდა, ამ ორ-სამ დღეში რაღაცა მოხდა, იმაზე თაზო ბუღეიშვილი კრინტის დაძვრასაც არ აპირებს და ამ გამოცანას მაშინვე მისი მეტი ვერაფერ ამოხსნისო. საერთოდ, მას შემდეგ, რაც ბუღეიშვილს კუპატაძე შემოაკვდა, ბესარიონს თავისი მამა რატომღაც კიდევ უფრო მეტად შეუყვარდა. მაგრამ ახლა თაზოს შხამიან სიტყვებს მთლად უპასუხოდ ხომ ვერ დატოვებდა.

— შეტი არ გვქონდა, თაზო! მამას გუფიცები...

— რა არ გქონდათ?!

— ფული.

— შერე? საწყალ ქალს ყვირილი მაგიტომ დაუწყეთ?

— ყვირილი?! რა ყვირილი! თაზო, ჩემს ადამიანობას, ჩემს ვაგაკობას გუფიცები...

— კარგი! მორჩი! გიცნობთ! ყველას გიცნობთ!..

ბესარიონი გაჩუმიდა და მხრები აიჩეჩა, აქაოდა, პირდაპირ ვერ გამოიგია, ამ კაცს ჩემგან რა უნდათ.

თენგიზ ჯაველიძე მოწყენილი სახით განუხილავა და ამ ლაპარაკში წარვეს სულაც არ აბირებდა.

ბოლოს თავი ისევ მირზა ჭირაქაძემ გამოიღო. ბუღეიშვილს მიუახლოვდა, მხარულად ხელი მოხვია და თბილი მეგობრული კილოთი აკითხა:

— რატომ გვიჯავრდები, თაზო? რა დაგვიმავებია? მე მგონია...

— შენ გგონია!.. — ჭირაქაძის ხელი ბუღეიშვილმა უხეშად მოიშორა. — დამაცადეთ! მე თქვენ გინეწებთ!..

გატრიალდა და იქაურობას თითქმის ხირბილით გაშორდა.

თავში ასრები ხელაქნაღერი იჭეხებოვით ვრეოდნენ. აი, ახლა ამ თავის ძმაკაცებს, თუ ყოფილ ძმაკაცებს დაემუქრა. მაგრამ ვის რა უნდა დააკლოს?! მაგათ არაფერი დაუშავებიათ. თვითონ მას კი კაცი, ამხანაგი შემოაკვდა და ხაცაა, სახლაურსაც მიუზომავენ. მაგრამ რომ აღარც ეჭვრენ? ეს რაღა ლეთისწყვრომია? ამხანაგებს იგი აღარ უნდათ. ეს კარგი. თაზო ამას საკუთარი თვლით ხედავს. მაგრამ ნუთუ იმისი ღირსიც კი აღარ არის, რომ დაიჭირონ და მკვლელობისათვის გაასამართლონ? ამისი ღირსიც აღარ არის? და თუ მართლა ასეა, მამ, ახლა სადღა წავიდეს? ან ეს ყველაფერი როდის გათავდება?

სად უნდა წასულიყო? ისევ თავისსავე სახლში წავიდა, შემოგებებულ ვაჭკურინეს გულზე ხელი ჰკრა, თავის თოხში შევარდა და ტახტზე გულადმა გაიმოტა. ამ ტახტის გარდა ცისქვეშეთში ახლა აღარაფერი გააჩნდა.

თავი მსდამეორე

პროფესორ მიქაბერიძის ოჯახიდან ბაბო ჟავლენიშვილი დამშვიდებული წამოვიდა. მაგრამ ნათიას ამბავი სულის ხიღრმეში მაინც აწეხებდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ აგული მეიფარიანი არაფერს მოერიდებოდა, ოღონდ კი ნათია ლაბორატორიიდან გაგედო და მის ადგილზე მზისკერი გვერნაძე დაესვა. ამ მზისკერიზე ბაბოს თავისი კანცელარიის თანამშრომელმა გოგონებმა დაწვრილებით და უტყუარი ცნობები შეუკრთვეს: ის გოგო სწავლაში ხომ ფრიადოსანი იყო და ფრიადოსანი; სასოჯადოებრივ საქმიანობაში ხომ სამაგალითო იყო და სამაგალითო; ჭადრაკსაც ცუდად არ თამაშობდა და, მეიფარიანის სიტყვით, უბრალოდ არ ინდომებდა, თორემ შეეძლო გაცილებით უკეთესად ეთამაშა და პირდაპირ ბრწყინ-

ვალე შედეგებისათვის მიეღწია; ჩაცმით ხომ მთელს ინსტიტუტში მასზე უკეთესად ვერაინ იცვამდა; მაგრამ ყველა არ ხიკეთის გარდა, ცნობილი ოჯახის შვილი იყო და უამრავი მფარველი ჰყავდა. ამიტომ მასთან ბრძოლა არც ისე ადვილი საქმე იყო. კაცმა რომ თქვას, იმ გაგელნიან მფარველებს ისიც კი შეეძლოთ, რომ ფინანსთა ამინასტროში ერთი სამტატო ერთეული ეშოვათ და მზისკერი სამუშაოზე უმტკივნეულოდ მოეწყოთ. მაგრამ ამ საქმეში, ალბათ, თავი მეიფარიანმა გამოიღო და ის ხალხი დაარწმუნა, თქვენ ნუ შეწყუხდებით, მზისკერის ადგილს მე თვითონ გამოვუწახავო.

მეიფარიანი პროფესორ კონსტანტინე მიქაბერიძეს ვერაფერს გაუბედავდა და რამეხ ვერც პროფესორის თანამშრომელს დააკლე-

მარტო

ბდა. მაგრამ ეს მხოლოდ მანამდე, ხანამ იმ თანამშრომელს პროფესორი თვითონ სწყალობდა. ნათიას მიქაბერიძის სიმპათია და მარდაქერა ჯერჯერობით არ აკლდა, მაგრამ ეს ასე იყო დღეს. ხვალ და ზევ? ამ მკვლელობის საჭმეს ჯერ ისევ იძებდნენ. ბაბოს კი ძალიან აფიქრებდა, ნათიას მდგომარეობა. საჭმე მხოლოდ ფიზიკურ დახუხტებასა თუ სერეიულ მოშლილობაში როდი იყო. ყურადღებიანი თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ნათიას გულზე რაღაც ძალიან მძიმე დარდი აწვა. ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ იმ მკვლელობასთან დაკავშირებით ნათიას სახელს სულ ოდნავი ჩრდილი მაინც მიდგომოდა?

ამის გაუიქრებაზე ბაბოს, რომ იტყვიან, თამაშ კალარა ემატებოდა, ერთი სული ჰქონდა, ნათიას კიდევ როდის მოეინახულებო. მაგრამ ყოველდღე დიხამინჯიებთან ხომ არ ირსენდა? ეს ხალხი, ბოლოს და ბოლოს, რამეს იფიქრებდა. შაბათამდე ძლივს მოითმინა. შაბათ საღამოს კი ისევ მისხაქები იყიდა და დიხამინჯიების ბინას მიადგა.

ნათია თითქოს ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა. ბაბოს გაუღიმა და გამოსდარი ნახი ხელიც კი გამოუწოდა. ბაბომ ლოყაზე აკოცა და იქვე სკამზე ჩამოჯდა. მაგრამ კაბის გასწორება და ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, რომ ოთახში პლატონი და კესარია შემოვიდნენ. ორივე ძალიან აფორიაქებული, წინასწორთადაკარგული ჩანდა. მაგრამ პლატონი მაინც თავს იკავებდა. კესარია კი აღარც ავადმყოფს მოგრიდა, ზრდილობის უბრალო წესებიც გადაივიწყა და ბაბოს ისე გააფთრებული მივარდა, თითქოს ეს ქალი რამეში დამნაშავე ყოფილიყო.

— ქალბატონო ბაბო! თქვენ ნახვაველი და გამოსული ქალი ბრძანდებით და პირდაპირ მითხარით, ან მე, ან ეს ჩემი კმარი, ან ჩემი ვაჟიშვილი ნომალი უგულო, უნათესავო, გაუტანელ, დაუნდობელ და სხვა ამისთანა ადამიანებს ვგაფართ, თუ არ ვგაფართ? მე პირადად მარტო თქვენი აზრი მაინტერესებს.

კესარიამ დოინჯი შემოიყარა და ბაბოს ზვიდან გაქვავებული ქორივით დააჩერდა.

— როგორ გეკადრებათ!.. ევეთ ხალხს რა გივავთ?

ამ მოულოდნელი შემოტევით გამბრუნებულმა ბაბომ ველარც კი მოისაზრა, შეტი რაღა ეთქვა.

— ახლა, ახლა მე ქალბატონსაც ჰკითხეთ, ჩვენზე რასაც ფიქრობს.

ბაბომ ნათიას შეხედა. ნათიას ლოყები შეფაკლოდა. ბაბოს სუსტად გაუღიმა, მაგრამ მზერა აარდა და ბალიშზე თავი მიაბრუნა.

— კესარია... — ხვეწნის კილოთი უთხრა პლატონმა, — ბავშვი ავადა... — რა საჭიროა ახლა...

— არა! ბოდიში, დიდი ბოდიში! მე ვავეშე უფრო ავად, შეიძლება, ახლა მე ვიყო. და ვარ კიდევაც. დიახ!... ქალბატონო ბაბო, თქვენ არ გაინტერესებთ, ჩემი ვაჟი ნომალი ამჟამად სად არის?

— დიახ, რა თქმა უნდა მაინტერესებს...

— აბა, იცოდეთ. ნომალიმ სულ ამ სახე-ვარი საათის წინ ქუდი დაიხურა და სახლიდან გავარდა. და უკან მობრუნდებო თუ არა, ეს არავინ იცის. აი, რა დღეში ვართ ახლა მე და ეს ჩემი პლატონ დიხამინჯია, დიახ!...

— კესარია.. — ისევ ხვეწნის კილოთი წაილაპარაკა პლატონმა. — ახლა, ისეთი...

— პლატონ! — კესარიამ ქმარს თითო ცხვირწინ გაუქნია. — პლატონ, იცოდეთ, შენ გულკეთილი კაცი ხარ და ზოგიერთები.. არა, მე ჯერ არავის ვასახელებ, მაგრამ... შენ იცოდეთ, პლატონ, რომ შენ ნამეტანი გულკეთილი კაცი ხარ. ეს კი არ ვარ-გა!

კესარია გატრიალდა და ოთახიდან ისე, გავარდა, რომ იმისთვის აღარც კი დაუცდია, თუ ბაბო მის შვეითხვასზე რა პასუხს გასცემდა.

პლატონი ნათიას მიესიყვარულა — თმაზე ხელი გადაუსვა. მერე იქვე სკამზე ჩამოჯდა და ბაბოს თავისებური ალერსიანი კილოთი ყველაფერი უამბო. თურმე, ამ დილით ნათიას უთხრენია, ძალიან გაწუხებთ და ისევ დედასთან წამოიყვანეთ, მოგრიჩები და უკანვე დაგბრუნდებით. ეს მთელს ოჯახს ძალიან სწყენია. კესარია პირდაპირ დასაბმელი შექნია. პლატონი, თავისი ჩვეუ-

ლებისამებრ, თავს იცავებდა, ნათიას მამა-
შვილურად საყვდურობდა, მაგას რატომ
გვიშვრები, ნუთუ ჩვენ შენ რამეს დაგაკ-
ლებთო, და სხვა ამგვარები. ნომალის კი,
ბოლოს და ბოლოს, წონასწორობა დაუკარ-
გაფს. ჯერ ნათიასათვის ბევრი უმტკიცებია,
აქ გირჩევნია, დედამეს შენი მოვლის მეტი
საქმე არაფერი აქვს, მე თვითონაც ზომ სა-
ნახევროდ სახლში ვარ, იქ კი ვინ მოგივ-
ლის, როცა დედაშენიც და ანდროც ხუთ-
ეჭვს საათამდე სამსახურში არიანო, და
ამისთანები. მაგრამ ნათია გაკვირებულა
(ბაბომ ნათიას ლავის გულში ეს გაკვი-
რება არ მოუწონა): ბოლოს ნომალის თავი
ვეღარ შეუკავებნია და მართლა სახლიდან
გაქცეულა.

— მოვა, ბატონო, — თავისებური კეთი-
ლი კილოთი დაამთავრა პლატონმა და ნა-
თიას თვალშიც კი ჩაუკრა. — სად წავა? ნო-
მალი ნათიას მიატოვებს?! დამშვიდდება და
მოვა.

ნათია ხმამაძულვლად იწვა.

„რა კიუტია, ეს მამაძაღლი, ესა!“ — გა-
იფიქრა ბაბომ.

— თქვენ მაინც გვიშველეთ, ქალბატონო
ბაბო! — ხვეწნაწარვენი ხუმრობით უთხრა
პლატონმა.

— გიშველით, პლატონ, გეთაყვა, გიშ-
ველით, მამა! — ნათია, ახლა დედასთან
წასვლის დროა? სხვა რომ არაფერი, იომ
შეიძლება, გზაში გაცივდე? ახლა ფილტვე-
პის ანთებაღა გაკლია! ან იქ მართლაც ვინ
უნდა მოგიაროს?! სახლში არავინაა. დედა-
შენს კი წელიწადში რაღაც თვრამეტდღია-
ი შეგებულება ერგება და ახლა ისიც შენ
მოგახარჯოს? დაფიქრდი!

— ოჰ, თქვენი ჭირიშე, ქალბატონო ბა-
ბო!

— არა, ბატონო პლატონ, — ბაბომ ნა-
თიას თითი დააუქნია, — ნათიას ფე უბრა-
ლო დაუფიქრებლობით მოუვიდა. მოგე-
რიდათ, თქვენი მოერიდა. იფიქრა, ოჯახს
ტვირთს შევემსუბუქებო. ის კი აღარ უფი-
ქრია, რომ ამით, ვრთვარად, თქვენ...
დიხა... ნათია! რა სისულელეა! ღმერთმანი,
ახირებაა და მეტი არაფერი.

მაგრამ ნათიას მხრივ ეს უბრალო ახირე-
ბა სულაც არ იყო. ამ უკანასკნელ უღებში

ნას დედამთილმა პირდაპირ სული გაუ-
წარა. როცა ნომალი და პლატონი სახლში
არ იყვნენ, კესარია შემთხვევას არ გაუ-
ვებდა, რომ ნათიასათვის არ ეკბინა, რანე
დამამცირებელი და გულისმომკვლელი არ
გაგონებინა. წინა დღეს კი, სრულიად უმი-
ზეზოდ, ისე გააფთრდა, რომ ნათიას სიტყ-
ვა იმ მკვლელობაზეც კი გადაუკრა. ნათიამ
ყველში მოხუცნილი ქეთინი შეიკავა და
მტკიცედ გადაწყვიტა, ამ სახლში არასეზით
არ დაფრწებო.

მაგრამ ნათია აქ დარჩებოდა, თუ დე-
დასთან წავიდოდა, ეს მოულოდნელი
გზით გადაწყდა. ხუთ წუთსაც კი არ გაუ-
ვლია, რომ ნომალი მოვიდა. მაგრამ მარ-
ტო კი არა, თან ნინო და ანდროც მოი-
ვანა.

— აი, ქალბატონო ნინო... გამარჯო-
ბათ, ქალბატონო ბაბო! როგორ ბრძანდე-
ბით? მე არა მიშავს, გმადლობთ!.. აი,
ქალბატონო ნინო, აუჩემებია, დედამეს-
თან წამიყვანეთო. ამ სიცოცხლეში, ამ ქარ-
ში სად უნდა წამოვიყვანო?! ან აქ რა
აწუხებს? ერთი ჰკითხეთ, თუ შეიძლება.

— დამშვიდდით, ნომალი, დამშვიდ-
დით. — ნინომ ნომალის თავზე ხელა
გადაუსვა და ნათიას ლოგინზე ჩამოუკ-
და. — როგორ ხარ, შვილო?

— უკეთესად.

ნინომ ქალიშვილს შუბლზე აკოცა.

— მეონი, მართლა უკეთესად უნდა
იყო. სიცხე არა გაქვს.

— სიცხე არცა მქონია. — ნათიამ
სუსტად გაიღიმა.

— ჰო, სიცხე არცა გქონია. საჭმელს
ჭამ!

ნათიამ არ უპასუხა.

— ისე... პლატონმა მხრები აიჩენა. —
კარგად ჭამსო, ვერ ვიტყვი. მაგრამ ეს
გაუგლის.

— უნდა ჭამო, შვილო, კარგად უნდა
ჭამო.

ბაბოცა და ნომალიც მისხდნენ, რომ
ნინოს თავის ქალიშვილთან მარტო დარ-
ჩენა უნდოდა. ამას მარტო პლატონი ვერ
ხედებოდა. მაგრამ როცა ბაბო და ნომი-
ლი წამოდგნენ, ისიც წამოდგა და გამო-
ვიდა. სასტუმრო ოთახში ყველასაგან მთ-

ვიწყებული ანდრო მთვარელიშვილი მარტო იდგა და სურათებს ათვლიერებდა.

ყველანი ტახტზე და სკამებზე ჩამოსხდნენ და საერთო მასლათი გააბეს.

ნათიას ოთახიდან ნინო ბარე ნახვეარი საათის შემდეგ გამოვიდა. ნათიას მისთვის არაფერი უთქვამს. როცა ნინომ თვითონვე ჰკითხა, შენი დედამთილი ცოტა უბრალო ქალი ჩანს და თავისდაუნებურად ხომ არ გაწყენინაო, ნათიამ არც ასლა გაუმზილა რამე და დაამშვიდა, რას ამბობ, ძალიან კარგად შექცევიაო.

ერთი სიტყვით ნინოს გულმა კი უგრძნო, ნათიას კიდევ რაღაც სადარდებელი შემატებიაო, მაგრამ საქმე მაინც რაში იყო, ეს ვერ გაიგო.

ნინო ნათიას ოთახიდან რომ გამოვიდა, ნომალის მისი სახის გამომეტყველება არ მოეწონა. ნინო ახლა მარტო შემოფოთებული კი არ იყო, არამედ თითქოს განაწყენებული და ცოტა გამწყვრალიც. მაგრამ ამ გრძნობებს მთელი მონდომებით მალავდა. ნომალის მსურა აარი-

და და პირდაპირ ანდროს მიუბრუნდა:

— ანდრო, წავიდეთ. ნათია უკეთ არის. იქნება, უკეთესადაც გახდება, თუ... ბევრი სადღეგრძელოების მოსმენა არ მოუბდა. ხვალ ისევ ვნახავ.

ამის გაგონებაზე პლატონი გაშრა. ნომალის ტური ჩაიკვნითა. მოსულების სადილად მიბატყება არც ერთს ფიქრადაც აღარ მოსვლია.

ნინომ და ანდრომ ჩაიცივეს და წავიდნენ.

ამის შემდეგ დიდხანს ბაბოც აღარ გაჩერებულა. მან იგრძნო, რომ ნათიას ირგვლივ კიდევ რაღაც უსიამოვნო ამბები ხდებოდა, მაგრამ კიდევ რომ დარჩენილიყო, რას გაუკეთებდა? ნათიას ახლა ყელზე აკოცა და დაემშვიდობა. თან ფიქრობდა, შინაურ საქმეებს ნომალის მოუვლის, ვაგაკური ბიჭი ჩანს და ნათიაც ძალიან უნდა უყვარდეს, მაგრამ „ის დაწყველილი საქმე“ როგორ გათავდება, კვ მარტო ღმერთმა უწყისო.

თავი ოცდამეხუთე

— აღექსანდრე ბაჯელიძეს მე ათი წელიწადია ვიცნობ, შენ — წელიწადნახევარი. ახლა როგორ ფიქრობ შენ — ის კაცი მე არაფრად ჩამავდებს და შენ დაგიჯერებს? თუ ასე ფიქრობ, ცოტა გულუბრველო კაცი ყოფილხარ, ეს კი გამომძიებელს არ შეეყენის. ასე! ახლა გადავივიწყეთ, რაც ჩვენს შორის მოხდა, ამოვიღოთ გულიდან, რომ მე შენ არ დაგიჯერე, შენ მე ბაჯელიძესთან მირიჯულე და — საქმეს მივხედოთ. იმ საწყალ კუპატაბის მკვლელს აღმა-დაღმა ხეირნობა ნამდვილად ვყოფა. შენ რა უთხარი ბუღეიშვილს, როცა ათავისუფლებდი?

- არაფერი.
- არაფერი?!
- საშვი კომენდანტს ვაგატანე და გაუშვეს.
- ძალიან მოგიფიქრებია! კაცი მოვიდა,

მკვლელობა დაიბრალა, ოქმზე ხელი მოგიწერა; შენ კი სახლში გაუშვი და იმას ღირსადაც კი არ გახადე, რომ ასეთი გულკეთილობის მიზეზი მაინც აგეხსნა. კვ ბუღეიშვილი ძალღია, თუ აღამიანი?

- თქვენ მიბრძანეთ, გაუშვიო.
- მე ნურაფერს დამაბრალებ!
- დამნაშავე ვარ!..
- ორმაგად! ბუღეიშვილმა იმ დღესვე მთელს მაგ კომპანიას ჩამოუარა და გააფრთხილა, ჩემი მონაჩმასი მილიციაში არავინ დაიჯერა და ახლა თქვენს თავს თქვენვე მიხედეთო. ამით საქმე ვის გაურთულდა? ჩვენზე, გამომძიებებს.
- თუ ჩამოუარა და გააფრთხილა, რა თქმა უნდა...
- ჩამოუარა! როგორც ორჯერ ორი ოთხია. ახლა მითხარი: მაგ ჯგუფის წევრები ყველა დაკითხე?

— დიას!
 — ოქმები ხომ გაქვს?
 — დიას!
 — ახლა შენივე ხიტყვებით, მოკლედ დამიხსენათ, მაგ ბიჭებს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობები აქვთ. მანდ ერთი ქალიშვილიც ურევია, ხომ?

— დიას, ნათია ავალიშვილი.
 — დაპკითხე?
 — დიას, ერთხელ!
 — რატომ?
 — გული შეუწუხდა და... აღარ გამოიმიძახნია.

— ჩვეულებრივი უსაქმურები არიან. ცხოვრობენ მშობლების ხარჯზე. ცხოვრებაში აბსოლუტურად უპერსპექტივო ხალხია.

— მაგას ნუ იტყვი! აგერ, ამხანაგი შემოაკვდათ. ახლა დაიჭერენ, მიუსჯიან, გამოასწორებენ და ხაერთო შრომით ფერხულში ჩააბამენ. ეს ცუდი პერსპექტივაა? ხე-ხე-ხე!..

— დიას!..
 — ის გოგო რომელს უყვარდა?
 — არ ვიცი!
 — ვრიჰაა!
 მეჭვებიშვილმა თავი ჩაღუნა და გაწითლდა -- ეს მართლაც აქამდე უნდა გამოერკვია.

— თუ გოგო კარგია, ეგენი კი უსაქმურები არიან, მაშინ, აღბათ, ის გოგო ყველას უყვარს და ერთმანეთს ჩუმად ეჭიშებიან. მაგისთან ხალხმა ვერ იცის. მაგათი მეგობრობაც, ჩემო კარგო, ყინულზეა დაწყებული. დღეს ერთმანეთს ტუჩებში ჰკოცნიან, ზღალ კი მუცლებში დანას უყრიან. „ეს მართალია. — გაიფიქრა მეჭვებიშვილმა. — ამ ბებურ მეღას არაფერი ეპარება. მეკვლევი რომ ბუღღიშვილია, აღბათ, ესეც უკვე ჩემზე უკეთესად იცის“.

— ჯგუფის შეთაური რომელია?
 — აღბათ, მაგრაჭველიძე.
 — რატომ გგონია?
 — ყველაზე უფრო ღონიერი ჩანს. მამაც ძალიან ფულიანი კაცია.

— სწორია! შენ მუშაობა ნამდვილად შეგიძლია, თუ პირად „აღიარებებს“ ნაკლებად ენდობი. მეტი ფაქტი უნდა მოაგ-

როვო. მაგრამ თუ ვერა, იმ გოგოსეც ყველაზე მეტი პრეტენზია მაგრაჭველიძეს ექნებოდა. ის გოგო ძალიან ავადა?

— დიას!
 — რას იზამ! შენზე ნაკლები რაინდი არც მე ვარ. უნდა მოვიცადოთ, ვისი ცოლიაო?

— ნომალი დიხამინჯიასი?
 — წყალბურთელის? ოჰო! კარგი ვაგაცი მოუხიბლავს. მაგას რომ გაპყვა, ის ბიჭი უკვე მოკლული იყო თუ არა?
 — ჯ... არ ვიცი. — მეჭვებიშვილი ერთხელაც გაწითლდა.

— აი, ხომ ხედავ! ე-ბე-ბე!.. მაგრამ კიდევ კარგი, რომ ჩემს დახმარებას არ უკადრისობ. გამოვიყვან მე შენგან გამომძიებულს, გამოვიყვან.

„მე ვიცი, რომ კუბატაძე ბუღღიშვილმა მოკლა, — გაიფიქრა მეჭვებიშვილმა, — ამიტომაც აღარ მიკვლევია, თუ ავალიშვილი როდის გათხოვდა. საჭმისათვის მაგას მნიშვნელობა აღარ აქვს. აი, თუ ხიშართლგ გინდა“.

— რა ვარიანტები გაქვს?
 — მეტი ვარიანტი... ჯერჯერობით...
 — ეს შენი მერამდენე საქმეა?
 — დაახლოებით, მეოცე.
 — არ გეტყობა! ნამდვილად არ გეტყობა, ვალერიან ჩემო! — შარაშენიძე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. — რა თქმა უნდა, ყოველ საქმეში ძალიან ბევრი ვარიანტია მოხალღნელი. მაგრამ ამ საქმეში მთავარი ვარიანტი, აი, პირდაპირ ხელისგულზე გიღვებს: მოკლულმა, იქნება, თავისდაუნებურადაც, რალაც შეურაცხყოფა მიაყვანა ნათია ავალიშვილს და ამის სამაგიეროდ — მთელმა თბილისმა იცის, რა პასუხიც მიიღო. ამას რა ბევრი ლარი და ხაზი უნდა! ეს, ჯერ რა თქმა უნდა, ვარაუდია და უნდა დამტკიცდეს, მაგრამ ხიშართლგ გითხრა, ძალიან გამოვივრდებამ, თუ ეს ვარაუდი არ გამომართლდა. ბუღღიშვილის „აღიარება“ ხად არის? კეთილი.

ეს მაინც დოკუმენტია. ჩვეც ეს გამოვიყენოთ. მოიცა... დღეს ბაჯულიძე უკვე წასული იქნება. ხვალ — ვაპატიმრებთ ბუღღიშვილს, როგორც მეჭველს, თანახმად მისივე თვითღალური ჩვენებისა, ზევ კი —

მავრაქველიძეს, როგორც მკვლელის ხელის დამფარებელს. დანარჩენები — მერე. ეგ თრი ცალ-ცალკე ჩასვი. ყველაფერ ამას აფორმებ და აკეთებ შენ თვითონ. მე მაგის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცი. ოორემ იმ მავრაქველიძის მამას მთელი თბილისი იცნობს, დაიწყება რეკვა და ამისთანები... არ მინდა! გამომსივებელი კი შენა ხარ, ეს საქმე შენთვის კი არავის ჩამოურთმევია, ახლა მითხარი, რასაც მე გპუბნები, კანონიერია, თუ არა? გაქვს თუ არა შენ ბუღეიშვილის ჩვენება, კუპატაძე მე მოჰყალიბ?

— მაქვს.

— კეთილი. თუ კუპატაძე ბუღეიშვილმა მოკლა, მავრაქველიძე ვალდებული იყო თუ არა, ეს ორგანოებისთვის შეეტყობინებინა?

— ვალდებული იყო.

— მორჩა. და ამას იჭითაც, — ეს ჩემი პირადი თხოვნა იქნება, — ყველაფერი, რასაც ამას იჭით მე გირჩევ, ან გიბრძანებ, კანონის თვალთ შვამოწმე. ყველაფერი! თუ რამის ხისწორეში იოტისოდუნა ეჭვი შეგეპაროს, იქვე მითხარი, გასაგებია?

— დიას!

— მორჩა. ესე იგი — ცალ-ცალკე კამერეში. დაკითხვით კი არცერთი უჩემოდ არ დაკითხო. გესმის?

— შესმის!..

— ნახვამდის!..



— გვარი?

— ბუღეიშვილი.

— ხახელი?

— თაზო.

— მილიციაში შენი ნებიით მოხვედი?

— დიას!

— ძალიან შეგნებული მკვლელი ყოფილხარ.

— მე მკვლელი არა ვარ.

— აბა? კონდიტორი? თუ ფოსტალიონი?

— კუპატაძე შემთხვევით შემომაკვდა. დაცინვის უფლება კი თქვენ არა გაქვთ.

— შენ, ბიძიკო, ქურაში გასვლის უფლება აღარა გაქვს. ჯერ ეგ მოიპოვე და დანარჩენებზე მერე ვილაპარაკოთ. კუპატაძე ხად მოკალი?

— კუპატაძე შემომაკვდა უნივერსიტეტის ბაღში. მაგრამ ამ დაკითხვას რა აზრი აქვს? ერთხელ ყველაფერი გბამბეში დამიქვს ხელიც მოვაწერე. თქვენ კი სახელში ვამიშვით. მე რა ვიცი ასლა რას მიხამთ?!

— რასაც იმსახურებ, არაფერს დაგაკლებთ.

— ენახოთ.

— რას მეშუქრები, ბიჭო?!

— მე არ გეშუქრებით.

— დიდი მადლობა. იმ დროს იქ ვინ იყო?

— ვინ აღარ იყო... მავრაქველიძე, ჭირაქაძე, ჯაველიძე... რა ვიცი.. თვითონ კუპატაძეც ხომ იქ იყო...

— კი, კუპატაძე ნამდვილად იქ ყოფილა. რატომ აქამდე არ გამოცხადდი?

ამაზე ბუღეიშვილმა არაფერი უპასუხა.

— ა? — შირაშენიძემ კალმისტარი დასდო, სავარძლის ზურგს ნებიერად მიწვა და გულ-სული დაიკრიფა. — ახლა ასეთ დიდ გულზე რომ ხარ, პატიოსანი კაცი ვარ და თვითონ გამოეცხადდიო, ლამისაა, ამაში ორდენი მოითხოვო, აქამდე სად იყავი? ბუღეიშვილი კარგა ხანს სდუმდა:

— მაგას რა შნიშენელობა აქვს?

— ისე, მაინტერესებს.

— ყველაფერში მე რომ მამტყუნებთ, თქვენ თვითონ რატომ არ დამიჭირებთ? ჯამაგირს რაში გაპლევენ?

— ოჰო! გესმის, ვალერიან? არა, ეს მართლა კარგია! ბუღეიშვილს თურმე, ძალიან აწუხებს, რომ ჩვენ ასე სუსტად ვმუშაობთ. ამის დარდით პირდაპირ დამეები არ სძინებია. არა, ძმაო, ასეთი შეგნებული, მოწინავე დამნაშავე მე ჯერ არ მინახავს. ნამდვილი ნოვატორია! დამნაშავე სასტიკად გვაკრიტიკებს, რატომ აქამდე არ დამიჭირებთო. ა?

— თქვენ... დაციწვის...

— ხმა! ნამეტანი ნუ გამოითამამდი! — შირაშენიძემ კალმისტარი ისევ აიღო. — სად მუშაობდი?

— დროებით... უმუშევარი ვიყავი.

- როდესმე სადმე გიმუშავებია?
- ა... თითქმის არასოდეს.
- ვინ გაცხოვრებდა?
- დედა.
- დედა სადმე მუშაობს?
- რა.
- აბა?
- პენსიას იღებს.
- რამდენს?
- არ ვიცი.
- გაიხსენე.
- ორმოც... ორმოცდარვა მანეთს.
- ოპ, ძალიან ბევრია. აგერ საქმეში ოფიციალტის ჩვენებაა „ნად კურონი“-ში გიჭეიფით და ასი მანეთი დაგიხარჯავთ: ეს — სწორედ მკვლელობის საღამოს! დანახარჯი ვინ გადაიხადა?
- ყველამ. უფრო კი მაგრაქველიძემ.
- საერთოდ ხშირად ქეიფობდით?
- დაახ.

- დანახარჯს ვინ ისდიდა?
- ყველანი.
- ყველანი ერთნაირად?
- ვე როდის როგორ... უფრო ხშირად, რა თქმა უნდა, მაგრაქველიძე.
- რატომ?
- მე რა ვიცი!... ვგეთი ხასიათი აქვს.
- ო-პო-პო-პო!... ნეტავი, ერთი ვგეთი ხასიათის კაცი მეც შემახვედრა, რომ სულ მაქეიფოს და დანახარჯი კი სულ თვითონ იხადოს. მაგრამ არ იქნა და ასეთი არავინ შემხვდა! კაცს ყველაფერში ბედი უნდა გქონდეს. კიდევ რაიმე სათქმელი გაქვს?
- არაფერი.
- ყალბი ჩვენებისთვის რაც გკუთვნის, ხომ გითხრეს?
- დიას!
- აბა, აქ ხელი მომიწერე. და — მარში ოლონდ — მარტო ჩასვით. ფიქრისთვის მეტი დრო გქნება.

თავი ოცდამეოთხე

ჭაინასროს სიკვდილს ირინე ძალიან მძიმედ განიცდიდა. ღამ-ღამობით ჯიბრაილს ხშირად ესმოდა ბალიშში თავნამხო-ბილი ყოლის ჩუმი ტირილი. მაგრამ ჯიბრაილმა იცოდა, რომ ირინეს არ უყვარდა, როცა ანუგეშებდნენ. ამიტომ მოთმინებით იცდიდა, ირინე თვითონ როდის დაწყნარდებოდა. თავის მხრივ, ირინეც იგრძნობდა ხოლმე, ჯიბრაილს ძილი ჩემი გულისთვის უტყუებო. მაგრამ ერთმა ღმერთმა იცოდა, მას ეს გაჩუქება და დაწყნარება რამდენ ხალხად და ნერვებად უკადებოდა.

ოჯახი როგორღაც მოიშალა. არა, გოგუტუნას ირინე კურადღებას არც ახლი აკლებდა. პირიქით, თითქოს რადიკალური ემინაო, ბავშვს სულ ფეხდაფეხ დასდევდა. ჯიბრაილს კი... რამდენჯერმე ისიც მოხდა, რომ სამუშაოდან დაბრუნებულ, გამოუთქმელად დადლილ ჯიბრაილს სახლში სადილი არ დახვედრია. ნამტირალევი, თვალუბრისიგებული ირინე ერთოკერებს გაუკეთებდა ხოლმე და ისე მოჩილ და

გულსაკლავად თხოვდა, დღეს როგორმე ამაზე გადაიარყო, რომ ჯიბრაილს ენა როგორ მოუბრუნდებოდა, ცოლისთვის საყვედური გაადრებინა. იმ ერთოკერებს მიუკადებოდა, იმერულ ყველს, სახეს, ზოგჯერ რომელიმე თევზის კონსერვსაც დააყოლებდა და თან. სულთ ცოდვილო, იმასაც ფიქრობდა, ირინე თავის სადარდებელს ისე მიეცა, რომ, იქნება, ის ჩემი ატესტაციც გადავიწყდეს და იმ დამცირებასა და დაეიდარაბას გადამარჩინოსო.

რამდენჯერმე, შუადღისას, როცა შახტმა საქმეს მალე მორჩა, სახლში დაბრუნება კი ადრე იყო, ჯიბრაილი შახტის სასადილოში შევიდა — რამეს შეგვამ და ირინესაც აღარ შევაწუხებო. რატომღაც მუდამ ისე ხდებოდა, რომ სწორედ იმ დროს სასადილოში ტარიელ გოგისვანიძეც, იასონ ზურციძეც, გიუნა კაცაველიძეც, გელენტი ჯარიაშვილიც ტრიალებდნენ. ვინ იცის, ისინი ამახ. იქნებ. განგებაც შერებოდნენ. ეს ხალხი ჯიბრაილის წინაშე თავს დამნა-

წვედ გრძნობდა, — ავტყდით, კაცი საქვეყნოდ გაჯალანდღვინეთ, ამდენი უსამოყენება შევახვედრეთ და მერე კი განზე გავუდგეითო. ყველანი ჯიბრაილს შემოხვეოდნენ ხოლმე და თავის მაგიდასთან მიიწვედნენ. ჯიბრაილიც ბევრს აღარ ასვეწინებდა.

ერთ დღეს ის-ის იყო, საღილი მოათავეს და ყველა თავ-თავის ორ-ორ თუ სამსამ მანეთს ჩამოვიდა, ტარიელმა ჯიბრაილს რაღაც უცნაურად შეხედა.

— რას მიყურებ?

— არაფერს.

— მაინც?

— ჩვენი საშველი მაინც არ არის, ჯიბრაილ!

— ვისი — ჩვენი?

— ჩვენი, პატაოსანი ხალხის.

— ისევ რამე აგაფცქვენეს?

— მე — არა. ღმერთმა დამიფაროს!.. მაგრამ აგერ, ნესტორია შახტიდან წასვლას აპირებს.

— ნესტორია ვინდა?

— ბუბაშვილი. არ იცნობ?

— არა.

— ახლავე! — ტარიელი წამოდგა და ერთი წუთის შემდეგ მაგიდასთან უბრალო შავ შარვალ-ხალათში ჩაცმული, ტანმორჩილი, სახედაღარული, თითქმის მთლად გამელოტებული ბერიკაცი მოიყვანა. მოყვანა კი არა, თითქმის ძალით მოათრია: ბერიკაცი უძალიანდებოდა და მაგიდასთან მოსვლა არასდიდებით არ უნდოდა. როცა ტარიელმა მაინც მოიყვანა, ნესტორია გაჩერდა, კოჭრებაანი ხელებით თავის ხალათს წვალება დაუწყო და იატაკს დასახაყლად განწირული ბავშვივით დააჩერდა. ჯიბრაილმა შეხედა თუ არა, მაშინვე გაიფიქრა, ამ ხნის კაცი და ასე მორცხვი ჯერ არ მინახავსო.

— აი, ესაა ნესტორია ბუბაშვილი. ნესტორ, ნასადილვეი ხარ?

ნესტორმა ტარიელს მშერა ააჩიდა, სადღაც შორს გაიხედა, მერე ისევ იატაკს დააჩერდა და რაღაც გაუგებარი ჩაილაპარაკა.

— ნასადილვეია, — დაიროხროხა იასონ ხურციძემ, — მე თვითონ დავინახე,

პირველ-მეორე რომ მიართვეს. ხე-ხე-ხე!..

ნესტორია ისევ იატაკს დასწირებოდა.

— დაბრძანდი, ბატონო ნესტორ!

ჯიბრაილმა თავისუფალი სკამი მიუწია.

ნესტორია დაჯდა. რაღაც ვეებურთელა ქუდი, აქამდე რომ ხელში ეჭირა, მუხლებზე დაიდო, და ისევ იატაკს დააჩერდა.

— აბა, ნესტორ, მოუყევი ახლა ჯიბრაილს, რაც ამ დილას მელაპარაკე.

— გე რისი მომყოლია! — ტარიელმა თავისი სკამი ჯიბრაილისკენ მიანჩია. — შენ უნდა იცოდე, ჯიბრაილ, რომ ეს კაცი ოცდაათი წელიწადია შახტიში მუშაობს. ამის თავზე წისკვილი არ დატრიალებულა, თორემ სხვა არაფერი დაჰკლებია. მაგრამ, ა, კაცო, ასეთი ჩუმი და ხმაამოუღებელი დარჩა ამ საბერებდე. ერთხელ გაზარული ბიგა სამ საათს ბეჭებით ეჭირა. ტანად ასე პატარა რომაა, ასე კი ნუ უყურებ. უკანასკნელი პერანგი რომ თხოვო, სიტყვას არ შემოგობრუნებს, არც კი გკითხავს, რად გინდაო, გაიხდის და მოგცემს. მთელ თავის სიცოცხლეში ჭიანჭველასთვის ფეხი არ დაუბიჯებია. ჰოდა, ა, ერთი ჰკითხე, თუ რა დღეში ჰყავთ. ეს რომ გამწარდება და ხმას ამოიღებს, ესე იგი, მართლაც მეტისმეტი უქნეს. უბრალო რამეზე ეს ხმასაც არ ამოიღებდა.

— ხმას მაგი ახლაც არ იღებს. — ისევ არობროხდა იასონ ხურციძემ. — ეგ ახლაც მუდოსავითაა გაჩუმიებული. ოღონდ გუშინ წაილაპარაკა, სადმე სხვა სამუშაოზე უნდა გადავიდეთო. ვეცით აქეთ-იქიდან, რატომ, რა მიზეზით გინდა აქედან წასვლაო, მაგრამ ერთი სიტყვაც ვეღარ დავაცდენინეთ.

— არადა, პირველი მოწინავე და დამკვირელი შემახტე ჩვენს უბანზე სწორედ ეს იყო, — ისევ ჩაერია ტარიელ გოცისვანიძემ, — დღიურ ნორმას ასოცი, ასოცდაათი პროცენტით ასრულებდა. და ასე — დღენიდაც, წელიწადში ორჯერ-სამჯერ კი არა. თქვი, ნესტორია, ასე არ იყო? მაშინ — იცოცხლე, — აბა, ნესტორია გაზეთში, აბა, ნესტორია, მოწინავეების დაფაზე... მერე შეატყვეს, მაგისთვის სულერთია, შეაქვბ თუ არ შეაქვბო და — ე! მიიფიქვს. ზედაც აღარავინ უყურებდა. ახლა კი..

თქვი, ნესტორ, აგერ, ჯიბრაილს ყველაფერი უთხარი.

— ახლა ჩვენს წასტზე საქმე ისე წავიდება, — ტარიელს სიტყვა ისევ იასონ ხურციძემ ჩამოართვა და თან ლუდის ბოთლი მოიმარჯვა, — ახლა საქმე ისე წავიდა, რომ აღამიანს პატიოსანი შრომა არ გყოფნის. საქმეს რომ ვააკეთებ, თან უნდა უღარაჯო, არაფერ მიიღვის. ტყუილს ვამბობ, ნესტორ?

— ეჰ! — ნესტორიამ ხელი უიმედოდ ჩაიჭირა და წამოდგომა დააპირა.

— მოიცა, — ტარიელი ვცა და სვამზე თითქმის ძალით დახევა. — აქ რისთვის მოგოყვანეთ? მაგენი მარტო შენ კი არ გჩაგრავენ, ჩვენც ვგვით დღეში ვიყავით, მაგრამ ახლა — მორჩა. და ეს რატომ თუ იცი? ოო? არ იცი. ჯერ გაოგტ, შე კაცო, და გაჭიფვით შერე გაიჭვივი.

— ჩქნება, ამ კაცმა რაიმე უკეთესი სამუშაო იშოვნა, — ლუდის ბოთლი ჯიბრაილმაც მოიმარჯვა.

— ეჰ, ამან სად რა უნდა იშოვნოს!..

— ერთბაშად რამის დირექტორობა არ გაირტყას.

— აბა, თქვი ერთი, ნესტორ, სად აპირებ?

— ქვეყანა დიდა. — ჩაილაპარაკა ნესტორიამ.

— მაინც? გვითხარი.

— რა ვიცი... ვნახოთ...

— ვნახოთ. — რა უნდა ნასო?

— ჯერ არ გადაამწყვტია.

— აბა, შე გეტყვით. — იასონ ხურციძემ ლუდის ბოთლი სულ გამოსცალა და იატაკზე დააგდო, — თვითონ ხომ აგერ არის? აბა, შე გეტყვით, სადაც აპირებს გადასვლას და მადან გამამტყუნოს, ნესტორია, ვთქვა?

— შენ რა იცი!..

— ვთქვა?

— რა უნდა, თქვა?! ..

— აბა, თუ არ ვიცი: გასტრონომში გადადის მტვირთავ მუშად. ის თქვენებური კაცი ისევ იქ არ არის? ჰოდა, რა ხანია, მტვირთავ მუშას ვცხებს. აი, შენ იქ გადადიხარ. — იასონმა ლუდის მეთრე ბოთლი გახსნა და მოიყუდა.

— არაფერიც!.. — ნესტორს ლოყები აუწითლდა.

— არა, ბიჭო!.. დამიშალე, დამიშალე!.. ვერ მიგინხედები! მე, ბიძია, მიწაში რაა იმასაც ვხედავ! — იასონმა მეთრე ბოთლიც გამოსცალა და ტყუილი ხელის ზურგით მოიწმინდა.

— ამდენი ხანი წასტში გიმუშავია და ახლა გასტრონომში გადადისხარ?! — ჯიბრაილი ნესტორს თვალბეში მიჩაერდა.

— ალბათ, ფიქრობს, დიდი გამორჩენა ნაკნებაო.

— არა, ბიჭო, ის დირექტორი ლუკმას პირიდან გამოიღებს და ამას ჩაუღებს.

— რა გამორჩენა უნდა გქონდეს?! პარკას და ქურდობას თუ აპირებ, ეგ არ ვიცი და მტვირთავ მუშას რა ჯამაგირიცა აქვს, დიდი საიდუმლო არც ეგაა.

— ამ სიბერეში ქურდობას იწყებ?!

— მე... არაფერსაც არ ვიწყებ.

— ჰოდა, აბა, ა, ჯიბრაილი აგერაა და ყველაფერი უთხარი, ჩვენ თუ გვეშველა, შენც გემშველება. მე, ბიძია, გასულ თვეში ორასი ტონა ქვანახშირი ამაფუჭენეს, ახლა კი... ახლა თვალბეში მომჩერებოან, არაფერი ვწყინოსო.

— თუ გინდათ, შე თქვენ ახლა მაგ ამოცანასაც ამოგისწით. — იასონ ხურციძემ მაგიდას მუშტი დაახალა. — გინდათ? ნესტორია, არ გამაჯაგრდები? იცოდე, მე, სრულ სიმათლეს ვიტყვი.

— თქვი, თუ რამე იცი, ჩაერინენ სხვები.

— ნესტორია, იცოდე ვამბობ. ხალხი თხოულობს. ხმა ერის და ხმა ღვთისაო. ეს რაში და როდის მოტყუვდა იცი? პირველად ამას უთბრეს, ქვანახშირი მოგვეყიდო, ფულს მოგცემთო. ეს იმიხთანა სულერთია კაცია, რომ ყველაფერზე დაითანხმებ. და დაითანხმეს კიდევ. ცოტა რალაცა, ალბათ, მართლაც მივდგას. პირველად შენ ხარ ჩემი ბატონი, მეთრედ, მესამედ... მერე თანდათან უკლეს, უკლეს და ახლა — სულაც აღარაფერს აძლევენ. ამის ქვანახშირი კი ნიაჭთ და სხვას ეწერება. თქვი, ტყუილი ვამბობ? ჰოოო! — იასონმა ნესტორიას პასუხის მიცემა აღარ დააცალა, მესამე ბოთლი ლუდი დაითრია.

- შეხედე შენი!
- ნამდვილად ასე იქნება.
- გამოიჭირეს და დააშინეს.

ნესტორია ჭარბალივით გაწითლებული იჯდა და იატაკს დასცქეროდა. ჯიბრაილს ისიც კი მოეჩვენა, ბერიკაცს თვალებზე ცრემლები მოადგაო.

— თავი მაღლა ასწიე, ყაძახო! — ბრძანების კილოთი უთხრა ნესტორიას გოგისვანიძემ: — კი, შენც დამნაშავე ხარ, მაგრამ ქვეყანა კი არ დაგიქცევია. თავი მაღლა ასწიე!

- ამაზე უფრო დამნაშავე ისინი არიან.
- ხო-ხო, ბიჭო, რას არ კადრულობენ?!
- ხედავ, ჯიბრაილ, ჩვენს უბანზე მა-

ინც რაები ხდება? და ეს მაშინ როცა შენ აქა ხარ? აბა!..

— მე ვგენი დიდად არ მერიდენიან... — ჯიბრაილმა ფული ამოიღო და ოციცენტი ქალს ხელი ანიშნა, მოდიო, — შენ კი, ბიძა ნესტორ... რა ვიცი... შენი სიცოცხლე შეხატში გაგიტარებია და ახლა „გასტრონომში“... რა ვიცი... მე შენს ადგილზე მაგას ნამდვილად არ ვიზამდი.

— გესმის რას გუებნება? — ნიშნის-მოგებით უთხრა ტარიელმა ნესტორიას, — მზ ურები კარგად გამოიფხიკე. ჯიბრაილი წამოდგა. დანარჩენებიც წამოიშალნენ.

თავი ოცდამეხუთე

თეიმურაზ არჯვანიძის უბანზე უსიამოვნო ამბავი მოხდა.

საკონვეიერო შტრეკში, იქ, სადაც ჭერი ნაკლებად სველი იყო, რამდენიმე დაძველებული, წყლით გაქვნილი, სანახევროდ კიდედამპალი ბიგა უნდა გამოცვლილიყო. ჭერის ფიცრებიც უკვე საწყალობლად ჭრიჭინებდნენ და, როგორც ეტყობოდა, ქანების სიმძიმეს ძლივსლა უძლებდნენ. ეს საკონვეიერო შტრეკი უბნის ორავე სანკრეფს — ზედასაც და ქვედასაც კიდეც კარგა დიდხანს — ორი თუ სამი წელიწადი უნდა მომსახურებოდა. ამიტომ ის ბუგები სასწრაფოდ უნდა გამოეცვალათ და ჭერიც გადაემაგრებინათ.

ყოველი დამპალი და საეჭვო ბიგა სათითაოდ უნდა გამოეწვინათ და მათ ნაცვლად ახლები ჩაეყენებინათ. ჭერის ფიცრებაც უნდა გამოცვლილიყო. სიფრთხილედ და წინდახედულვით კი მართებდათ, რომ ძველი ბიგის გამოჩენვისას, ან ახალი ბიგის ჩაყენებისას ჭერიდან ქანების ლოდები არ ჩამოცვენილიყო და ვინმე არ დაეშავებინა. მაგრამ გაუგონარი და უნახავი ამ საქმეში მაინც არაფერი ცუდ — ასეთი ამბები ამ უბანზედაც და სხვაგანაც არაიშვიათად ხდებოდა.

თეიმურაზმა ეს საქმე მეზობლების საუკეთესო რგოლს დაავალა. მათ დავალების მიღებაზე ხელი მოაწერეს და შეხატში ჩაეშენენ. თეიმურაზმა საქმეები ცვლის დანარჩენ შემახტებებსაც გაუნაწილა და ის იყო, თვითონაც შეხატში უნდა ჩაშვებულიყო, რომ საკონვეიერო შტრეკიდან დარეკეს — არაჯვანიძე ახლავდ აქ მოვიდესო.

თურმე როგორც კი პირველი ბიგა გამოჩეხეს, ჭერის ფიცრებს სულ ლიწინ-ლიწინი შეუდგათ. ერთ წუთსაც კი არ გაუვლია, რომ იმ გაყოლებაზე რამდენიმე დამპალი ბიგა თითონვე დაიმსხვრა, ჭერის ფიცრებიც დაიღწია და მოშიშვლებული ჭერიდან ქანების ვეებერთელა, წყლით გაქვნილი, ტყვიასავით მძიმე ლოდები და ნატეხები ნააღვარივით წამოვიდა. მეზობლებმა ძლივს გამოასწერეს. ერთ მათგანს ქანის ასხლეტილი ნატეხი კოჭში მოხვდა და იმოღენა ვაჟკაცი მთელი საათი ავიფიშა. სხვა კი, მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა.

დამსხვრეული ბიგების და ჩამოქცეული ჭერის თავზე ვერტოფოდებული „თალი“ წარმოიშვა. სამი-ოთხი მეტრის სიმაღლეზე თალიდან შემზარავად ჩამოკადებულიყვნენ ნაცრისფერი ქანების ლოდები. შეიძლება, ყოველი მათგანი ყოველ წუთს ჩამოშვე-

ბულიყო და უბედურება დაეტრიალებინა.

ეს ადგილი, ეს „თალი“ სასწრაფოდ უნდა გაემაგრებინათ. ეს კი უკვე ძალიან სახიფათო საქმე იყო. და ფიზიკურად მეტად მწელიც. თუ საკონვეიერო შტრეკში გამო-საცვლელი ბიგების სიმაღლე ორ მეტრს არ აღემატებოდა. ახლა ამ „თალის“ გასამაგრებლად სამი თუ ოთხი მეტრის სიმაღლე ბიგები ჭირდებოდათ. ამ საქმეს უკვე ძალიან გამოცდილი, უშიშარი და მკლავლო-ნიერი ხალხი სჭირდებოდა.

ახლა, როცა გერასიმე ცნობილადე აღარ იყო, უბნის საუკეთესო მუხიგედ ირაკლი შუბითიძე ითვლებოდა; რაკი საკონვეიერო შტრეკში „თალის“ გამაგრება მთელი უბნისთვის საჭირო საქმე იყო, ირაკლი არას-გზით უკან არ დაიხედა. მართლაც, გაიგო თუ არა, საქმე როგორც იყო, შუბითიძე შახტში ჩაეშვა, „თალი“ დაათვალიერა და თვითურაზ არჯევანიძეს გადაჭრით უთხრა, თქვენც ხედავთ, ძალიან სარისკო საქმეა, მაგრამ საჭიროა და გადააკეთებო.

— რამდენი დღე დაჭირდებათ?

— თუ სხვა ბიგებიც არ დაიმსხვრა, სამ დღეს არ გადავაცილებ.

ეს ძალიან დიდი დრო იყო. სანგრევები-დან ქვანახშირის გამოწინდვა სამი დღე-დამით უნდა შეწყვეტილიყო. თვითური გეგ-მის შესრულებაზე ლაპარაკიც კი აღარ შე-იძლებოდა.

— შეიძლება ეს ბიგებიც დაიმსხვრეს.

შუბითიძემ ნათურა მოიმარჯვა და გადა-რჩენილი ბიგების მწკრივი ერთხელაც ყუ-რადღებით შეათვალიერა.

— შეიძლება.

თვითურაზიც ასევე ფიქრობდა.

ამ დროს შტრეკში აფორიაქებული კახა-ბერ გურასაშვილი და გედეონ ხაზარაძეც მოვარდნენ. მათ ანთიმოზ ჩახუნაშვილიც მოსდევდა.

თვითურაზმა უფროსებს ყველაფერი მო-ახსენა. და ან რალა მოხსენება და ახსნა-განმარტება სჭირდებოდა — სურათი ერთი შეხედვით ნათელი იყო.

— მორჩა! — კახაბერმა „თალს“ მხერკა მოსწვიტა და ხელი უიშეოდ ჩაიქნია.

— ამ თვის გეგმამ ჭირი მოგტანა. ა, გე-დონ?

— ვერე ჭგავს, მაგრამ... — გედეონმა პასუხი დაუგვიანა, — კაცმა რომ თქვას, კონვეიერის მუშაობამ შუბითიძეს ხელი რატომ უნდა შეუშალოს? აბა ერთი კარ-გად დავეუკვირდეთ: მაგან რომ თავისი საქმე აკეთოს, ჩვენ კი კონვეიერი გავწინ-დოთ და ავამუშავოთ? რისკი დიდია, რა თქმა უნდა, მაგრამ ასეთი შემთხვევები შე-მქონია. არა, მე ამას გადაჭრით კი არ ვა-ბობ...

შტრეკი უკვე ცვლის მემხატეებით იყო სახვე. ყველანი დაღვრემილები იყვნენ. დი-დი ხანი იყო, უბანზე ასეთი ცუდი ამბავი აღარ მომხდარა.

— ვგეთი რაზე ჯერ არ გამიგონია, — თქვა ვილაცამ.

— არც მე.

— კაცი ამხელა რისკზე მიდის, იმ ლო-დებს თავს უშვებს და აქვე. მის ფუტებთან, კონვეიერმა ირაზრახოს?!

— კარგია, შენ ნუ მომიკვდები!

— ერთი სიტყვით, თვითური გეგმა — ფშიტ!

— თვითონ შუბითიძე რას იტყვის?

ირაკლიმ მხრები აიჩქა:

— სიმხდალეს ნუ დამაბრალეობთ, მა-გრამ... ასეთი რაზე ჯერ არ მსმენია. ჭერა კიდევ რომ ჩამოშვავდეს? ჩემი თავი — ჯანდაბას, მაგრამ კონვეიერს რალას უშვე-ლით? არა, ბატონო! ახლა კონვეიერი კი არ უნდა ვამუშავოთ, პირიქით, კარგა სქე-ლი ფიცრებით უნდა დავფაროთ.

— რა თქმა უნდა!

— იმხელა ლოდებს ვუ თხელი რკინა გაუძლებს?

— შუბითიძე მართალია.

— გედეონმა რაც ბრძანა, ისეც შეიძლე-ბა, — კახაბერი მთავარი ინჟინრის ავტო-რიტეტს გაუფრთხალდა, — და ბევრჯერაც გაგვიკეთებია, ყველამ იცით. ისე ნუ იტყ-ვით, თითქოს ასეთა რაზე პირველად გეს-მოლეთ. მაგრამ აქ ჭერი, გედეონ, ძალიან სუსტია. შეზე, წყალი როგორ მოთქრია-ლებს, სული რომ შეუბერო, ის ამოდენა ლოდები სულ ძირს ჩამოშვავდება, მე ასე

ვიტყვი: ირაკლიმ თავისი საქმე გააკეთოს და ეს „თალი“ გამაგროს, ხანგრძლივი კი, რამდენადაც შეიძლება, მუშაობას ნუ შევწყვეტთ. დაგროვილ ქვანახშირს მერე როგორღე გამოვნიდავთ. თვიურ გვეშაზე, რა თქმა უნდა, დაგვაკლდება, მაგრამ რას იხამ. მომავალ თვეში ავიწახლავართ. ისე კი, ამხანაგებო, უბანს მეტი ყურადღება სჭირდება. ეს ბიგები შარშან უნდა გამოცვლილიყო. მაშინ არც „თალი“ იქნებოდა და არც არაფერი. ახლა კი დავიშალოთ. ყულამ თავ-თავის საქმეს მიხედეთ. შენ, ირაკლი, წადი და დაიხვეწე. მე ვეტყვი გრძელი ბიგები მოგიზიდონ და საღამოს შეუდევნი. კარგი?

შუბითიძემ თავი დაუქნია. მემხატეები ჩემად იღვწენ. მერე შუა-ხნის, შევთვალე, ავი გამომეტყველებს მემხატემ ჩაახველა და წინ წამოდგა.

— ჩვენ წავალთ და ჩვენს საქმეებს მივხედავთ. ამის თქმა საჭირო არც იყო. მაგრამ უბანს მეტი ყურადღება სჭირდებაო, რომ ბრძანეთ, ეს როგორ გავიგოთ? თქვენ, ეს უფროსები, ამ ავარიით არც არაფერს ჭკარგავთ. თუ ჩვენი უბანი სამას-ოთხას ტონა ქვანახშირს დაგაკლვთ, ამას სხვა უბანზე აინახლაურვებთ და სახელმწიფოსთან ისევ პირნათლად გამოსვალთ. პრემიებსაც კი მიიღებთ და უბნის ხალხს? ჩვენ რა გვეშველება? ჰოო! ახლა ლაპარაკობთ, უბანს მეტი ყურადღება სჭირდებაო. რა თქმა უნდა, სჭირდება. მაგრამ ის ყურადღება უბანს ვინ უნდა მიაქციოს? ჩვენ? თუ უფროსებმა? აგერ, ეს ახალგაზრდა ყმაწვილი უფროსად დაგვიყენეთ. მაგაზე ჩვენი ხალხი ახლა ათას რამეს ამბობს, მაგრამ სხვას მე არასოდეს ავყოლივარ და არც ავყვები. ეე, ჩემი ფიქრით ცუდი ყმაწვილი არ უნდა იყოს. ვნახოთ, საბოლოო სიტყვას აქ მომავალი იტყვას. მაგრამ ამხელა უბანს ეგ ერთი კაცი აუეა? შეხედეთ, ფერი მავას აღარა აქვს და ხორცი. დღედაღამე მხატვნი ტრიალებს, ამ ბიგების დაღობა კი გამოპარვია. გააკრიტიკეთ, კი, გააკრიტიკება ადვილია, მაგრამ — შოადგილე რას აკე-

თებს? რატომ ამ ჩახუნაშვილს არაფერს თხოვთ? ჰოო! აბა, დაუცვირდით. თუ ტყუილს ვამბობ, ამ უბანს შოადგილე რომ არ სჭირდებოდეს, მთავრობა შტატს კი არ დაუშვებდა. თქვენ კი ის შტატი წყალში გადაგდეთ. ამ ჩვენმა უფროსებმა, თუ ცოტა თავი არ მოიფხანეს, უბანზე ამისთანა ავარიები და ამაზე უარესებიც ბევრი მოხდება.

ჩახუნაშვილი ფერდაკარგული იდგა. მაგრამ ის კი მოიხაზრა, რომ ხმა არ უნდა ამოეღო, თორემ მემხატეები ისე იყვანდნენ და მაგრად მიებგევათ.

ძნელი სათქმელია, იმ მემხატის ნალაპარაკები დანარჩენებს მთლად ჭკუაში დაუჯდათ, თუ არა. ზოგი თვიმურასაც ავად, შუბლქვეშიდან მიანერებოდა. მაგრამ შეკამათებით არავინ არავის შეკამათებია. ერთი მეორეს გაჰყენენ და შტრეკი შემხატეებისაგან თანდათან დაცვალა.

კახაბერმა თვიმურას უბრძანა, ხე-ტყის ნაწყობში ადი და საჭირო ზომის ბიგები გაამსაღებინეთ. თვითონ კა — ბარემ მხატვნი ვართო და — გედონთან ერთად სხვა უბნების დასათვალთვლებლად წავიდა.

მხატვის უფროსა და მთავარი ინჟინერი კარგა ხანს ხმაურობებლად დაფიქრებულნი მიჰყვებოდნენ მთავარ შტრეკს. მერე გედონმა თავი გადააქნია:

— კაცმა რომ თქვას, იმ ადამიანმა სულ სამართლედ ილაპარაკა, არჯუვანიძე ადამიანს აღარა ჰგავს. კიდევ მემშინია, დღე-ღამე მხატვნი გდება მტლვი არ შეჰყაროს. მაგრამ ერთი რამე კი ვერ გამოვიდა ჩახუნაშვილს ეგ თვითონ რატომ არ ებრძვის? რატომ თავიდან არ მოიშორებს?

— ეე, ჩემო კარგო! — კახაბერმა ხელი ახლად უიმედოდ ჩაიქნია, — არჯუვანიძე მატარებელიდან ჩამოსული არც კი იყო, რომ ჩახუნაშვილმა და მისმა ცოლმა სადილი გაუმართეს. შენ ეგ მე მკითხე. მას აქეთ ყოველ მეორე დღეს პატივებენ. აი, ეგუც მაგისი მეორე შეცდომა. ესაბრება და ვედარაფერს უბედავს. მორჩა და გათავდა!

ნაწილი მესამე

თავი პირველი


 ქართველთა
 მწიგნობართა

აქვსენტი შარაშენიძეს ამ ქვეყანაზე ში-
 შითაც აღარაფრისა ემინოდა და სირც-
 ხელითაც აღარავისი რცხვენოდა. პენ-
 სიამდე სულ რაღაც წელიწადნახევარი
 რჩებოდა და დარწმუნებული იყო, სადაც
 აქამდე გავძელი და მთელი ძროხა გავატ-
 ყავე, ახლა დანა აღარც ძროხის კუდზე
 გადაშიტყდებაო. მაგრამ ხანდახან გულში
 რატომღაც ძალიან უსიამოვნოდ გაპკენ-
 წლავდა ხოლმე: ნეტავი აღარ აეტეხილი-
 ყავი, რაც იმ ოხერმა კალისტრატე მაგრა-
 ქველიძემ მომაშავა, ის შეეპარა და საქმე
 კი აღარ გამერთულებინათ. შარაშენიძეს
 უკვე ბევრი თავის მტერევა სჭირდებოდა,
 რომ საქმის ყველა ძაფისათვის თავი მო-
 ეყარა და ხელიდან არაფერი გასხლტომ-
 იოდა. ეს კი აღარც ისე ადვილი იყო.

შარაშენიძემ თავისდაუნებურად საქმის
 მეჭვამიშვილისეული ვერსიაც კი ძალიან
 გაართულა. მკვლელობის განუცხადებლო-
 ბისა და მკვლელისათვის ხელის დაფარე-
 ბისათვის მართო ბესარიონ მაგრაქველიძის
 დაპატიმრება მეტად ხელოვნურად გამოი-
 ყურებოდა. ბულიეშილმა აკი აჩვენა,
 უნივერსიტეტის ბაღში ყველანი ერთად
 ეიყავითო. მაშასადამე, თუ ბესარიონი
 დამნაშავე იყო, უდანაშაულონი არც მი-
 რზა ჭირაქაძე და თენგიზ ჯაველიძე იყ-
 ვნენ; კანონით ისინიც ახლავე უნდა დაეპა-
 ტიმრებინათ. თუ არა და — ბესარიონიც
 დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლები-
 ნათ. შარაშენიძე კი არც ერთს აკეთებდა
 და არც შეორეს. მაგრაქველიძის აფორია-
 ქებულ მშობლებს ერთხელ შვილის ნახვის
 უფლება მისცა და ეს იკმარა. დანარჩენი
 კი მოშავლისათვის გადასდო და ჯერჯე-
 რობით თვითონაც არ იცოდა, ის „მოშავა-
 ლი“ როდის დადგებოდა.

შარაშენიძემ ახლა ვეღარც იმისი გან-
 ჭურეტა შესძლო, თუ რა მოხდებოდა, მას
 ჭირაქაძეცა და ჯაველიძეც ახლავე რომ
 დაეპატიმრებინა. უსიამოვნება ხომ უსიამ-
 მოვნებას გააჩნია! თუ გამოირკვეოდა, რომ

ამ ბიჭებმა (და მათთან ერთად, რაღა
 თქმა უნდა, ბესარიონ მაგრაქველიძემაც)
 მკვლელობის ამბავი იცოდნენ და მკვლელს
 ხელს აფარებდნენ, მაშინ შეიძლებოდა, შა-
 რაშენიძისათვის უბრალოდ ესაყვედურე-
 ბინათ, შენცა და შენი ხელქვეითებიც
 ძალიან არაოპერატიულად მოქმედებთ,
 შუაგულ ქალაქში რამდენიმე თვის წინათ
 მომხდარი მკვლელობის განუცხადებლო-
 ბისათვის ერთბაშად სამ კაცს ახლა აპატ-
 იმრებთო. ამ საყვედურს შარაშენიძე ად-
 ვილად მოინულებდა და ხელს სულაც მე-
 ჭვამიშვილს შეახოცავდა, მით უმეტეს, რომ
 ლეიტენანტს ამ საქმის გამოძიებისას მა-
 ინცდამაინც დიდი ოპერატიულობა და სი-
 სწრაფე მართლაც არ გამოუჩენია. იმ ბი-
 ჭებს კი კარგა მაგრად ჩასვამდა. მაგრამ
 თუ მირზა ჭირაქაძე და თენგიზ ჯაველიძე
 (და მათთან ერთად, რაღა თქმა უნდა,
 ბესარიონ მაგრაქველიძეც) დაამტკიცებ-
 დნენ, რომ მკვლელობაზე არაფერი იცო-
 დნენ, მაშინ ნამდვილად შეიძლებოდა, შა-
 რაშენიძეს თანამდებობა დაეკარგა, —
 სამი ადამიანის ტყუილ-უბრალოდ დაპა-
 ტიმრება არასოდეს არავისთვის უპატიე-
 ბიათ! ეს კი პოლკოვნიკს არასდიდებით არ
 უნდოდა — პენსიაზე იგი ამ თანამდებო-
 ბიდან შეურცხვენელი და გაულანძლავი უნ-
 და გასულიყო. მან კარგად იცოდა, რომ ოქ-
 რო-ვერცხლსა და ხავერდ-აბრეშუმეულს
 ნამდვილი ფასი მხოლოდ მაშინა აქვს, რო-
 ცა მათ პატრონს ანაყად თავაწეული სია-
 რული შეუძლია.

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ლეიტე-
 ნანტ მეჭვამიშვილის ვერსიის ფარგლებ-
 ში რჩებოდა. შარაშენიძეს კი ეს ვერსია
 სულაც არ აწყობდა და საქმეც იმიტომ
 გაართულა. პოლკოვნიკს გაცლილებით უფ-
 რო მძიმე ტვირთი უნდა აეწია: მას უნდა
 დაემტკიცებინა, რომ ანზორ კუპატაძე ბუ-
 ლეიშვილს შემთხვევით კი არ შემოაკვდა,
 არამედ უფრო დიდი და მძიმე დანაშაუ-
 ლის — მთელი ჯგუფის მიერ წინასწარ

განსრავს, მოფიქრებული და განსორცხვლებული მკვლევლობის მსხვერპლი შეიქმნა. მაშინ თავიანთი შეილიკოების დასახსნელად კალისტრატე მაგრაქველიძეც, ერმალოზ ჯაველიძეცა და იქნებ, თვით პროფესორი ჭირაქაძეც დიდ ფულს გაიღებდნენ და პენსიაზე გასულ პოლკოვნიკს აღარ შეაწუსებდა იმისი ფიჭვი, მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ტყვილად ვიმუშავებ, იმის საშუალებაც კი არ გამაჩნია, რომ სიბერე მოსვენებულად, ჩემს გემოზე გავატარო, და არ მეშინოდეს, რომ თუ ერთი ან ორი საფსული კარლოვი ვარში ვიმკურნალებ, მერე ლანჩხუთში ჩასასვლელი ფულიც საქმბარი შექნებათ.

ასლა შარაშენიძისათვის ყველაზე დიდი დაბრკოლება მაინც ვალერიან მექვაბიშვილი იყო. ამ კაცს ისევე ურყევად სჯეროდა, ბუღეიშვილის ჩვენებები სწორია და მას კუპატაძე შემთხვევით შემოაკვდათ. ლეიტენანტი შარაშენიძეს ჯერჯერობით არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა და ყოველ მის მითითებას უკოყმანოდ ასრულებდა. მით უმეტეს, რომ პოლკოვნიკი ყოველგვარ კანონებს მეტად მკაცრად და თანმიმდევრულად იცავდა: სრულიად კანონიერი იყო ბუღეიშვილის დაპატიმრებაც და მაგრაქველიძისაც. მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ხვალ თუ ზეგ ლეიტენანტი ისევე აიჭორჩებოდა და ისევე იმ თავის ვერსიას გამოათრევდა. პოლკოვნიკი ამისათვის მზად უნდა ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ასლა ყველაფერს ნათია ავალიშვილის გამოძახება და დაკითხვა აჯობებდა. შარაშენიძე გამოცდილი გამოძიებლის ალღოთი გრძნობდა, რომ ეს ქალი მკვლევლობასთან რალაცნაირად უთუოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ შარაშენიძეს არც ის უნდოდა, რომ მექვაბიშვილს იგა რანინდობასა და სულგრძელობაში დაეჩაკრა. ამიტომ ავალიშვილის დაკითხვა აშანაც გადასდო და ისევე საქმეში მოსსენებული ვიდაც აბდულა მოიკითხა.

ამ აბდულას გვარიც კი არავინ იცოდა. არც თვითონ ბუღეიშვილმა. ამიტომ მას ჩუღურეთში ორი მცლიციელი გაატანეს და აბდულა შუალამისას ძლიერ იპოვეს. და-

ჭერით მას ვერ დაიჭერდნენ — არავინ არაფერს აბრალებდა. ისევე უწყებთ ჩანანა რეს, ხელი მოაწერინეს და სიტყვერადაც ათჯერ მაინც გაუმეორეს, ხვალ უთუოდ მილიციის სამმართველოში მოდიო. ოდნავ ნახვამი აბდულა მშვენიერ ხასიათზე იყო, გაუთავებლად, უმიზეზოდ იცინოდა და მილიციელებსაც და ბუღეიშვილსაც ყველაფერზე თავს უქნევდა.

მეორე დილით მართლაც დაუგვიანებელივ მოვიდა. შარაშენიძის კაბინეტის კარი მხნე, ხალისიანი ღიმილით შეაღო და პოლკოვნიკს თავი მდამლად დაუკრა:

— უფროსოჯან, გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— მოვედი.

— ძალიან სასიამოვნოა.

— თაზო დაგიტყერიათ. გუშინ ორი მილიციელი თან პყავდა.

— ასეა. ვეღარ ვენდობით.

— აფსუს, კაი ბიჭი იყო!

— რას იზამ!

— მახლას! გისმენ, უფროსოჯან!

— ხომ არ დაბრძანდებით?

— რატომაც!..

აბდულა დაჯდა.

— შენი სახელი, გვარი, მამის სახელი.

— ატიმურხავე აბდულ რამაზ-ოღლი.

— ერთვნება?

— ათათარი, რალა...

— ეგეთი ერთვნება არ არსებობს.

— მაშ?

— მე რა ვიცი... შენ ან აზერბაიჯანელი იქნები, ან ლეკი, ან ჩერქეზი... გაიხსენე.

— ლეკი არა! დაწერე აზერბაიჯანი! ბაქოში ხომ ბევრჯერ დაგდიუარ.

— ბაქოში რა გინდა?

— რა ვიცი... ხან კარგი გოგო, ხან კარგი ასეტრინა... კაცნი ვართ... ხე-ხე!..

— დაბადების წელი და ადგილი?

— წელი — ტრიცატ დევიატ. ადგილი — თბილისი.

— ო, თბილისელი ბიჭი ყოფილხარ.

— თბილისელი, უფროსოჯან, თბილისელი! მაშ! ამისთანა ქვეყანა მეორე არ არის. სანამ ცოცხაღი ვარ, ხომ აქ ვიქნები, მერე კი, როცა მოკვდები, სადაც უნდათ, იქ დამმარბონ, ვე ჩემთვის უკვე სულერთია.

— რა დროს შენი სიკვდილია!

— ეგ ისე ვთქვი. ახლა, უფროსო, შენ-
თან ერთი კითხვა მეც მაქვს.

— ბრძანე.

— შენ მე არ მიცნობ?

— სამწუხაროდ, არა.

— ჰო... ნახალოვკის მილიციაში ყვე-
ლას ვიცნობ, შენ კი პირველად გხვდავ
მასლას! აბა, მიბრძანე!

— ბულიეშვილის საქმეზე შეგაწუხე.

— რა საქმე?

— კუპატაძეს არ იცნობდი?

— მაგ კამპანიას კარგად არ ვიცნობ.

— რომ მოკლეს, არ გაგიგია?

— არა. ვინ მოკლა?

— ეგ ჯერ ჩვენც არ ვიცით.

— მერე.

— იქნებ შენ დაგვეხმარო?

— მე რა უნდა გაგიკეთოთ?! მაგ ხალხ-
თან სულ ერთი სადამო ვიფაგი.

— ჰოდა, ის ბიჭიც სწორედ იმ სადამოს
მოკლეს.

— ეგ რომელი?

— პატარა, წითური.

— რიფა?

— ჰოო, რიფა.

— მაგონდება. ერთი პატარა ბიჭი იყო.
ის რატომ უნდა მოკლათ? ფინთი ვინმე
სულაც არ ჩანდა.

— სწორედ ის კი მოკლეს.

— აფსუსი.. ახლა მე რა გაგაეკეთო?

— მაგ ხალხთან რა საქმე გქონდა?

— ეე!.. არაფერი. მაგათთან რა საქმე
უნდა მქონოდა?

— აკი იმ სადამოს ერთად ვიყავითო?

— მერე? მე ჩემს გზაზე წავედი, ისინი
იმ ბაღში დარჩნენ. მოვრჩით? და იცი რა
გითხრა, უფროსოჯან? ბოლო პარტია ასე-
ტრინა ამ ეჭვსი თვის წინათ გამიყიდა.
ახლა იმისათვის სომ არ დამიჭირეს? ან
რას დამიმტკიცებენ — ახლავე ციუ უარს
დავარტყამ. თანაც მე რომ შენი რაიონი
არა ვარ. ჰოდა, მოდი, მე ჩემს გზაზე გა-
მიშვი, შენ კი შენი საქმე გააკეთე. მაგ
ლაწირაკებთან მე რა საქმე უნდა მქონო-
და?

— უნივერსიტეტის ბაღში რა გინდო-
დათ?

— არაფერი. სუფთა ჰაერი იყო და შე-
ვედით.

— ერთმანეთს სად შეხვდით?

— სოთპარკთან.

— შემთხვევით?

— თითქმის.

— მაინც?

— მასლას, მაგათ ვითომ ვილაც გო-
გო უნდა ისემევექნათ... მოეტყანათ, რა-
და!.. თან ვითომ ის გოგოც ყაბული იყო
მე ვერე მითხრეს. მაგრამ არ მოუტაცნიათ.
ისე, გამარჯობა, გაგიმარჯოს, ფლანი-
ესტანი, მერე ის გოგო სახლში წავიდა,
ჩვენც იმ ბაღში შევედით. მერე მე წავე-
დი. აბა!

— იმ გოგოს იცნობ?

— ისე, რა...

— რომ გაჩვენოთ?

— მე რათ უნდა მაჩვენოთ?

— გამოსაცნობად.

— არა სიბნელე იყო... არა, ბოდისში
სიბნელე კი არა, მე ჩემს მანქანაში ვიჯე-
ქი, ეგენი ქუჩაში მიდიოდნენ, ხეირიანად
არც კი დამინახავს.

— არც სახელი გაგიგია?

— არა.

— ვაჟაკურად ვერ იქცევი, აბდულ!

— ეე, უფროსო! აბდულას რაც გინდა,
ის უთხარი, ოღონდ ვაჟაკობას ნუ დაუ-
წუნებ. აბდულა ვაფშე რა არის? აბდულა
არის ვაჟაკი. სხვა აბდულა არაფერი არ
არის. ისე კი...

— რა?

— მისამართი მომეცი და დღესვე, სა-
დამოს, ერთი კარგი ხიზილადა.

— არ მჭირდება!

— რატომ?! ყველა პატივისცემი ხალ-
ხი ჩემს ხიზილადას ჭამს... სულ ახალთ-
ახალი...

— არა! არ მინდა! მამ, არ მოგვებ-
მარები?

— მე რა შემიძლია?

— ეჰ, აბდულ, აბდულ, შენგან მეტის
იმედი მქონდა.

— რაც შემიძლია, ჩემი თავი გენაცვა-
ლოს!

— დამეკარგე!

შარშქრძემ ბეჭდულას დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერინა და ძალიან უკმაყოფილო გამომეტყველებით გაისტუმრა, არაფერში მომუხმარეო, ნამდვილად კი ძალიან კმაყოფილიც იყო: გამოირკვა, რომ მკვლელობის საღამოს ის ბიჭები ნათია ავალიშვილის მოტაცებას აპირებდნენ. ამაზე აჟანდე ბუღეიშვილს კრინტიც კი არ დაუბრავს. ეს კი უკვე ბევრ რამეს მოასწავებდა. შარაშენიძემ მეჭვებიშვილი გამოიძახა, სასწავთაშორისო, გულგრილი კილოთი უთხრა, თურმე, მკვლელობის დღეს მაგ ბიჭებს ნათია ავალიშვილის მოტაცება ნდომებიათო, და ჰკითხა, როგორ გგონია, მაგ ქალის დაკითხვას როდის შევძლებთო.

იმ დღეს ნათიას მოტაცება უნდოდათო? ეს ამბავი მეჭვებიშვილს მეხივით დაეცა. არაფერი ამის მსგავსი მას არავისაგან არ მოუხსენია. შარაშენიძემ კი, ეტყობოდა, სიმართლე უთხრა. და ახალგაზრდა ლეიტენანტს ეჭვი თავის ვერსიის სისწორეში პირველად სწორედ ახლა შეეპარა. პირველად სწორედ ახლა გაიფიქრა, ბუღეიშვილი უნდა მატყუებდეს და ხაქმე ბევრად უფრო რთულად უნდა იყოს, ვიდრე მე გგონიაო.

კარგა ხანი გავიდა, ხანამ მეჭვებიშვილი გონს მოვიდოდა და შარაშენიძეს პასუხს მისცემდა:

- ვერაფერს გეტყვით.
- ძალიან აგადაა?
- არც ეგ ვიცი.
- შეამოწმე. აი, ჩემო კარგო, რა იცის თვითდამწვიდებამ: შენ იფიქრე, მკვლეელი უკვე გამოჭერილი მყავსო და მეტი აღარაფერი გიძენია. აგერ კი ასეთი ხანტე-

რესო ამბები ირკვევა. თუ არც ეს გვეცა, რომ ნათიას მოტაცებას აპირებდნენ...
 — როგორ გვეადრებათ!..
 — გაიგე, როგორაა. მაგრამ თვითონ იმ გოგოს ვერჯერობით ნურაფერს აგრძნობინებ. ქმარს დაურკვე, ან გამოიძახე.
 — მესმის!

ბევრის მნახველმა პოლკოვნიკმა მყისვე იგრძნო, რომ, როგორც იქნა, მეჭვებიშვილი საკუთარი ვერსიის სისწორეში დაეჭვდა. იქნებ, ძალიან სუსტად, მაგრამ — მაინც. ახლა შარაშენიძე რომ აჩქარებულყო, იქნებ, თავისი საქმე ისევ გაეფუტებინა. ამიტომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ნათიას მოტაცების ამბავს რაიმე განსაკუთრებული წინიშნელობას არც კი ანიჭებდა. მეჭვებიშვილს იმ ბიჭების დაკითხვის ოქმები მოატანინა, დაჯდა და ყველაფერი თავიდან თითქოსდა უდიდესი ყურადღებით გადაიკითხა. მერე თავი ამოხვინით გადააქანა.

— ყველაფერი ისეა ჩაწიკწიკებული, რომ მართლაც წმინდა წყლის სიმართლე გვეგონება. თ, რა ხალხია? შენ როგორღა გაგამტყუნო, ჩემო ვალერიან, შენს ხნობაზე, ალბათ, მეც შენსავით მოვიქცეოდი: ბუღეიშვილს შემთხვევით მკვლელობის მუხლს მიფუყენებდი, სხვებს კი ცოტათი გამოვლანძლავდი, ეს ამბავი მილიციას დროზე რატომ არ შეატყობინეთ—მეთქი და ყველაფერი ამით გათავდებოდა. ახლა კი... არა, ახლა უკაცრავად! ახლა ამ საქმეს დღინამდე ჩეყვები და ყველაფერს მზის სინათლეზე გამოვიტან, არა მგონია, ჩვენმა საზოგადოებრიობამ ამითი რაშე იზარალოს. სვალ დილის ათი საათისათვის მაგრამკველიძე დაკითხვაზე ამოაყვანინე.

თავი მეორე

კალისტრატე მაგრაქველიძეს ბესარიონის დაბატონებამ თავზარი დასცა. ამ ვერაგულ ნაბიჯს იგი შარაშენიძისაგან მაინც აღარ ელოდა, — თუმცაღა მიხვედრილი იყო. პირველი მისვლისას შეტღეული ფული ეცოტავაო, — და სულ ამის ფიქრში იყო, ალბათ, საქმეში სხვა ვიღა-

ცა ჩაერია და შარაშენიძემ ველარაფერი გააწყობო. პირველ დღეებში მაინც იმედოვნებდა, ბესარიონის დღეს თუ ხვალ გამოვაშვებინებო, და მართო იმასღა ცდილობდა, რომ „მისი ოჯახის შერცხვენის ამბავი“ მთელ თბილისში არავის, თვით უახლოეს მეგობრებსაც კი არ გაეგოთ, —

ვინ იცის, სად და როდის წამომძახებენ და თვითონ ჩემს წინააღმდეგ როდის და რა-ნაირად გამოიყენებენო. კალისტრატე მეტად სარწიან ადგილზე მუშაობდა და მის თანამდებობაზე თვალი ძალიან ბევრს ეჭირა. კალისტრატემ თოლონე მკაცრად გააფრთხილა, — ვიცო, რომ გული გეწვის, მაგრამ სახლიდან ხმა-კრინტი არ გავიდეს, თავი ბალიშში ჩარგე და ისე იტირეო...

მაგრამ დღეები გადიოდა, ბესარიონის განთავისუფლებას კი საშველი არ დაადგა. შარაშენიძე ხან „სახლში არ იყო“, ხან „სასწრაფო საქმეებზე გამოიძახეს“. ბესარიონის დაპატიმრების ამბავი უკვე ბევრმა გაიგო, კალისტრატეს ნაცნობ-მეგობრები, თანამშრომლები და ამხანაგები გაუთავებლად ურევავდნენ, უთანაგრძნობდნენ და დახმარებას სთავაზობდნენ, — როგორ დავიჯეროთ, რომ შენი შვილი რამეში დამნაშავე იყოს, მანდ რაღაც გაუგებრობაა და ახლავე გამოვამეგობინებოთ. კალისტრატე ამაზე ყველას უარს ეუბნებოდა, რადგან უკვე მიხვედრილი იყო, რომ შარაშენიძე მისგან დიდ ფულს ელოდებოდა და უამისოდ ბესარიონს საპატიმროდან ცალი თვალითაც კი არ გამოახედებდა. კალისტრატეს იუსტიკე გიორგულიძემაც იგივე უთხრა, გარეშე ხალხის ჩარევა შარაშენიძეს უფრო გააღვიძიანებს, ვე საქმე მარტო ფულით გაკეთდება და რაკი ეგ ძალღთა-ღირი უკვე პირადად გაიციანი, სხვას ნულარავის ჩარევა. საქმე მარტო მაგასთან იქონიეო.

— რომ აღარ მიკარებს?!

— მიგიკარებს. იცოდე, მაგისი ცოლი რომ გეუბნება, სახლში არ არისო, ბატონი აქუსენტი მაშინ თავის კაბინეტში ხვრინავს, ან მეზობელს ნარდს ეთამაშება.

— ეგ მეუ ვიცო.

— პოდა, მოითმინე. ცოტა დრო გაივლის და ეგ მტკევანიც დამწიფდება.

ბოლოს, როგორც იქნა, შარაშენიძის ცოლმა კალისტრატეს ალერსიანად გაუღიმა და უთხრა, კი ბატონო, პოლკოვნიკი სახლშია და ახლავე მივიღებო, ეგ კი არა, იმასაც ძალიან დარდობს, რომ აქამდე ვერც ერთხელ სახლში ვერ დაგზვდა-

თო. ერთი წუთის შემდეგ კალისტრატე ნაცნობ კაბინეტში იჯდა და შარაშენიძეს შესციცინებდა.

— გაწუხებთ, მოსვენებას აღარ გაძლევთ, ბატონო აქუსენტი!..

— რა ბრძანებაა, შე კაცო, შვილი დავიპატიმრებ, ნათლიმამის მამიდაშვილი ხომ არა! დამბრძანდი, ბატონო კალისტრატე, სული მოითქვი, თქ, ერთი იმ ბიჭს დაკითხვავს როდის ამომიყვანენ, რომ ერთი კარგად ტყავი გავადრო. შენისთანა მშობელს შვილი ასე უნდა აწვალდეს?! მაგრამ არა უშვავს, მოვა ეგ მამა-ძალი ჩემთან, მოვა.

ეს სწორედ იმ დღეს იყო, — იმ საღამოს, — როცა შარაშენიძემ აბდულა ატიმურსავეი დაჰკითხა და მეჭვებიშვილს უბრძანა, დაკითხვავს ხვალ დილით ბესარიონ მაგრატევიძე ამომიყვანეთ.

— თქვენ ჯერ არ დავაკითხავთ, ბატონო აქუსენტი?

— არა, ჩემო კეთილო, მე ჯერ თვალითაც არ მინახავს.

— თქვენი იმედითა ვარ...

— რაც შემძლია... ერთხელ ხომ გითხარი, ამ ბაღებსა და სკვერებს ჩვენ მაგ ახალგაზრდებისთვის ვაშენებთ, მანდ მაგათ უნდა ისერიონ-მეთქი. აბა, მე ნასადილევს ერთი წაძინება მთელს ქვეყანას მირჩევნია.

— ჩემთვის აღარც ძილია და აღარც მოსვენება.

— რას იზამ!..

— ასეთი მძიმე სასჯელი, ბატონო აქუსენტი, მე ნამდვილად არ დამიმსახურებია. კაცი მე არ მომიკლავს, არავინ გამოქურდავს, არავისათვის მიღალატნია...

— შენ არც არავინა გსჯის.

— ემ! მე თუ ახლა დაუსჯელი ვარ!..

მთელი ქალაქი მე მირევავს, ყველას მე ვეცოდები, ყველა მე მეზმარება. გუშინ კი ყველას მე თვითონ ვებმარებოდი.

— რას იზამ!..

— რა გავახერხო?

— ჯერჯერობით მოთმინების მეტს ვერაფერს გირჩევ.

— ხანამდე?

— ხანამ ყველაფერი არ გამოირკვევა.

— მანამდე გააწვევ კი? ჩემს ცოლზე ხომ აღარც კი ვლაპარაკობ.

— გააწვევ! ოღონდ ნუ დაგლანბლებით. ისეთი რა მოხდა?

— ეჰ!

— დაწყნარდი.

— მთლად ხელცარიელს ნუ გამიშვებ.

— რა გაგატანო?

— ბატარა იმედი მაინც გამატანე.

— სულ მაგას არ ჩაგჩინინებ, უიმედოდ ნუ იქნები-მეთქი?

— არ ვარ ვერე მოქცევის ღირსი. აგქსენტი ბატონო!

— მე შენ ცუდად გაქცევი?

— არა, მაგას არ ვამბობ, მაგრამ... მეც კაცი ვარ. მეც ქუდი მსურავს, ხალხი მიცნობს.

— ვიცო.

— რალა ჩემი ბიჭი გამოარჩიეს?

— ვინ?

— ვინც დაიჭირა.

— პოო...

— იქ ყველანი ერთად ყოფილან.

— სად.

— უნივერსიტეტის ბაღში.

— საქმე, ჩემო კარგო, ბალამდე იყო.

— ბალამდე?

— აბა!

— ბალამდე რა უნდა ყოფილიყო?!

— ეგ, ჩემო კარგო, ჯერჯერობით მეც არ ვიცო. გამოიძიებას მე კი არა, შექვაბი-შვილი აწარმოებს.

— ბალამდე მაინც რა უნდა ყოფილიყო?

— ოჰ, რა დაეინება გცოდნია! ნათია ავალიშვილის იცნო?

— მერე?

— ჯერ მიპასუხე.

— ვიცნობ.

— როგორ იცნობ?

— როგორ გითხრა... ეგ გოგო რა შუაშია?

— მითხარი, როგორ იცნობ?

— როგორ უნდა ვიცნობდე?! მოდიოდა, მიდიოდა...

— შენც ეშმაკურად მელაპარაკები?

— ბატონო აგქსენტი!... მე...

— თვითონ ბატონო!

— მოდიოდა, დროს ატარებდნენ, ცეკვავდნენ...

— მერე?

— მერე მიდიოდა... როგორც წესია, აცილებდნენ, პატივს სცემდნენ...

— კალისტრატე!

— ეგ გოგო რამე შუაშია?

— შენ დაკითხვას აქვთ მიწყობ?

— ბატონო აგქსენტი!.. მე...

— ერთი სიტყვით, ასე: იმ საღამოს ნათია უნდა მოეტაცათ, რატომღაც — აღარ მოიტაცეს. რატომ — ამას, ალბათ, გამოარკვევენ. მერე კი ის მკვლელობა მოხდა.

— ვინ იტაცებდა?!

— ეგ ჯერ არ ვიცით. ისე, მსურველი ბევრი იქნებოდა. ლამაზი გოგოა, ა? კალისტრატეს ენა ჩაუვარდა. თავი ჩაქინდრა. მთელს სხეულზე, თავზე, კისერზე ოფლია დასხა.

— ასეა, ჩემო კეთილო! — შარაშენადემ სიგარეტს თავი მოუსრისა. — ახლა ხვდები, შენი ბიჭი რატომ გამოარჩიეს?

— მე...

— მოვრჩეთ!

კალისტრატე წამოდგა. ტანი ძლივს აითრია. მუხლები უკანკალებდა.

— ნუ წახვდები! იქნება, ისეთი არც არაფერი იყოს, ნუ გეწინია, ყველაფერი გამოირკვევა.

— შეიძლება... მოგაკითხოთ ხოლმე?

— ვინ დაგიშალა?! რატომაც არა!.. ყოველთვის, როცა კი გეცლება... ნუ მომერიდებო... ჩვენ არაფერი გაუბედურება არ გვინდა... ყოველთვის...

თავგზააბნეული კალისტრატე შარაშენიძისაგან პირდაპირ იუსტინე გიორგენიძესთან გავარდა და უთხრა, იმ მკვლელობის დღეს ჩემს ბესარიონს ნათია ავალიშვილის მოტაცება ნდომებიაო. მრავალნაცადი ადვოკატი შეცბა, კარგა ხნით ჩაფიქრდა და კალისტრატეს დიდად სანუგეშო მაინც ველარაფერი უთხრა. მეორე და მესამე საღამოს კი კალისტრატე ზედისუდ მივიდა შარაშენიძესთან, მაგრამ პოლიგონიკი ერთხელ „სახლში არ იყო“, მეორეჯერ კი „სახარაფო საქმეზე გამოიძახეს“.

მეოთხე დღეს შარაშენიძემ თავის თავს მეტად თამამი ნაბიჯის უფლება მისცა. ამჯერად იგი კალისტრატეს „სახლში დახვდა“. მაგრამ მეტად დადლილად და უუნებოდ გამოიყურებოდა. კალისტრატე მაინც შეძლებისამებრ დაამშვიდა, უთხრა, დაწერილებით ახლა ვერაფერს გეტყვი, სხვა საქმეებს გადავყვეთ, მაგრამ განსაკუთრებით საშიში შენს შეილს არაფერი უნდა სჭირდესო. მერე კი, ვითომ სძვათა შორის, ურჩია, უშუალოდ საქმის გამოძიებელთან, ლეიტენანტ მუქვაბიშვილთან მიდი და უფრო დაწერილებით ყველაფერს მისგან გაიგებო.

— თქვენ მავას მირჩევთ, ბატონო ავქსენტი?

— რატომაც არა. პატიოსანი ბიჭია. რისი თქმის უფლებაც აქვს, არაფერს დაგიმალავს.

— ისეთი საიდუმლო რა უნდა იყოს?!

— მავას ნუ იტყვი! გამოძიებას თავისი კანონები აქვს. რაც თქვენ უბრალო საქმედ გჩვენებათ, ჩვენთვის შეიძლება, უდიდესი საიდუმლო იყოს. მაგრამ შექვაბიშვილთან შენ მაინც მიდი. ოღონდ სახლში ნუ ტყუილად აფორიაქდება. სამსახურში მიაკითხე.

— სადაც თქვენ მიზრძანებთ. მაგრამ... საბოლოოდ მაინც თქვითი იქნება!

— კი, ბატონო! რაც შეუძლებელია... მაგრამ საქმის გამოძიებელ მუქვაბიშვილია, მე კი არა. თავზე ხომ არ გადავახტები! ხვალვე მიდი.

მეორე დღეს მუქვაბიშვილმა კალისტ-

რატე დარეკისთანავე მიიღო დაჯდომა შესთავაზა და თავაშიანი, ოღონდ როგორც კალისტრატეს მოეწონა, მაინც ოდნავ გულგრილი კილოთი ჰკითხა, რით შემძლია, გემსახურითო. ამ ახალგაზრდა, გამოძიებელთან შედარებით ავქსენტი შარაშენიძე გაცილებით უფრო ლმობიერი და გულგრილი ჩანდა. კალისტრატემ გულში ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ბესარიონის ბედს მართო შექვაბიშვილი ვერ გადაწყვეტდა.

— მე ბესარიონ მაგრაქველიძის მამა გახლავართ... გავეწამეთ, ბატონო! ერთადერთი შეილის ამბავი არაფერი ვიცი. ცალკე მე და ცალკე ჩემი ცოლი — აღარც ერთი ცოცხალ ადამიანებში აღარ ვწერივართ.

— დამშვიდდით! თქვენს შეილს განსაკუთრებული არაფერი ბრალდება.

— კი, მაგრამ — მაინც? მკვლელობაო, განუცხადებლობაო. ვიღაც ნათათ, მოტაცებო... თავაზა დაგვენა ბატონო!

— ხაქმე ჯერ ძიებაშია. მეტს ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

— სულ ვერაფერს?

— სულ ვერაფერს.

— ახალგაზრდობის გამოსისობით არაფერი შეღავათი არ მიეცემა?

— ეს უკვე სასამართლოს საქმეა.

— სასამართლო მაინც იქნება?

— ალბათ.

მუქვაბიშვილისაგან კალისტრატე წულმონევეტილი წამოვიდა და შარაშენიძესაც ეს უნდოდა. მან წინდაწინვე იცოდა. თუ ეს ვიზიტი როგორ დამთავრდებოდა.

თავი მესამე

მას შემდეგ, რაც ლეიტენანტი მუქვაბიშვილი ინახულა, კალისტრატე მაგრაქველიძემ ძილიც დაჰკარგა და მოსვენებაც. მუქვაბიშვილი მეტად ცივ, უგულო კაცად ეჩვენა და გადაწყვიტა, მაგისაგან რაიმე შეღავათის მოლოდინი სულ აბო იმედოაო. ვისაც კი ეს ლეიტენანტი უხსენა, ყველამ უთხრა, ძალიან უკარება კაცია და კანონს არაფრის გულისათვის არ გადაუ-

ხვევსო. კანონი კი, ამაში გჭკის მეტანა აღარ შეიძლებოდა, ბესარიონის წინაღობევი იყო. ის დრო წავიდა, ხალხს რომ უკანონოდ, განუკითხავად იჭერდნენ, ეს ერთი, და, მეორეც, იუსტინე გიორგენიძემ კალისტრატეს პირდაპირ უთხრა, თუ ბესარიონს სხვა არაფერი დაუმტკიცდა, მკვლელობის განუცხადებლობა და მკვლელისათვის ხელის დაფარება მაინც არ ავ-



ღებაო. ამას კი რამდენიმე წლის პატიმრობის სუნი უდიოდა.

— მე რომ ეს შენ ახლავე, პირდაპირ არ გითხრა, — დაუმატა იუსტინემ, — შენი მეგობარი კი არა, მტერი ვიქნები.

— იუსტინე, მირჩიე, რა ვქნა, რა წყაღში ჩავფარდე?

— შე თვითონაც რომ ველარაფერს ვხვდები? კაცო, თუ ღმერთი გწამს, ერთი ეს მოთხარი, შარაშენიძემ მართლა ასე გირჩია, მიქებაბიშვილი ინახულო?

— აი, პირდაპირ მაგ სიტყვებით მითხრა.

— კმ!

— ის გველის წიწილიც რომ არაფერს მეუბნება!

— ვინ?

— ბესარიონი. ერთხელ რომ გვიჩვენეს, მე და თოლინე გავიქვიცი. რაღაც აგურის ოთახში შეგვრეკეს. თავზე მილიციული გვადგა და ხეირიანად არც კი დაგვაპარაკა.

— მაინც დიდი პატივი უციათ. სანამ გამოიძიება არ დასთავრებულა, პატიმრის ნახვა აკრძალულია.

— ეგ პატივი კი თვითონ შარაშენიძემ ღამდო. ახლა ერთი გამაგებინე, ეგ კაცი ჩემი მტერია, თუ მოყვარე?

— უშმაკმა იცის მაგისი თავი და ტანი!

— რა ვქნა?

— მოვიცადოთ. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა უქნან? დიდი-დიდი, სამი, ან ოთხი წელიწადი მიუსაჯონ. მერე ისმაროვინთან მივიდეთ და სამ თვეში გამოაშვებინებს. ოღონდ, რასაკვირველია, ეს მარტო იმ შემთხვევაში, თუ განუცხადებლობის მტეი არაფერი დაუმტკიცდა.

— და თუ დაუმტკიცდა?

— მაშინ — არ ვიცი.

— მაგას გარდა, ნასამართლობა ხომ მთელი სიცოცხლე კისერზე გვიდება. ცხოვრებას ახლა იწყებს... ჯერ ცხოვრებაში თავისი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ეჰ!...

— მაგასაც მოველება. ერთი შენ ეს მოთხარი: მაგისი ამხანაგები მართლა კიდევ გარეთ არიან?

— კო, ბატონო! ჭირაქაძეცა და ჯაფე-

ლიძეც — ორივე გარეთ დაბრძანდება.

— ეგენიც ხომ იქ იყვნენ?

— იქ ბრძანდებოდნენ.

— ნამდვილად, ხომ?

— როგორც ახლა მე შენ გიყურებ.

— კმ! მანდ რაღაც ამბავია.

— ჰოდა, რა, რა უნდა იყოს? გული გამისივდა, იუსტინე! აღარ ვიცი, რა უნდა ამ შარაშენიძეს?

— ვითომ, გამოსწორდა და ქრთამს აღარ იღებს? თუ ბესარიონს ისეთი მძიმე დანაშაული აქვს, რომ აღარაფერი მოუხერხდება?

— არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

— ის ბიჭები მაინც რომ გენახა?:

— ვნახე! ჭირაქაძეს რას დაელაპარაკები, პროფესორის შვილი ვარო და ზედაც არ შემომხედა. რამდენი ჭიქა ღვინო მაგას ჩემს სახლში დაელიოს, იმდენი ჭირი, სნება და არკახარება მაგას და მთელს მაგის ოჯახს! ჯაფელიძე კი... რა ვიცი, რაღაცეები მიკიბ-მოკიბა, თქვენ რაღა გითხრათ, როცა დღეს თუ ხვალ მე თვითონაც დამიჭერენო. ისეა შეშინებული, რომ ადამიანის ფერი აღარ დაეწებს. მამამისი კი რუსეთში ათენებს და აღამებს. რაც ჩვენში ცალბი ღვინო, ხილის წვენი და ამისთანობა მზადდება, რუსეთში ხულ მაგას გააქვს. შვილის დასახსნელად კი კაპიკი არ ვმეტება. მარტო მე ვიბრძვი.

— ჭირაქაძე?

— ის არა. იმას ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. შვილზე გეუბნები, მამამისს არც კი ვიცნობ. ასე გამეჯგომა, ა, პროკურორივით, და — ხომ იცით, ბატონო კალისტრატე, რომ ჩვენს დროში უდანაშაულოდ არავინ ისჯება, საჭმეს შეისწავლიან და, თუ ბესარიონი უდანაშაულოა, ვაათავისუფლებენო, გემისის?

— არამზად!

— რა ვქნა, იუსტინე?

— ცოტა ვაცალოთ და მერე ისევ შარაშენიძესთან მიდი — დაუწოქე, მუხლებში ჩაუვარდი. თავმოყვარეობა დროებით

გვერდზე გადავდეთ. შენი სული ახლა იმის ხელშია. აღარაფერს მოერიდო.

— ბატონი ბრძანდები!

* * *

ნინოსა და ანდროს შემხედვარე ბაბო ფავლენიშვილს ისეთი შთაბეჭდილება შეეგმნა, თითქოს ისინი რაღაცას უცდიდნენ და ნათიას საქმეების მოგვარება რაღაც გაურკვეველი მომავლისათვის ჰქონდათ გადადებული. ჯერჯერობით კი ყველაფერი იმით თავდებოდა, რომ ნინო თავის ქალიშვილს გაუთავებლად, შემლიღის გამომეტყველებით კონცინდა და ფალერსებოდა, ანდრო კი წასვლისას ყველას დიმილით ეთხოვებოდა და უბარებდა, ხვალ რომ მოვალთ, ნათია მორჩენილი დაგვახვედრეთო.

ბაბო ფავლენიშვილს კი, რაღაც გაურკვეველი მომავლის მოლოდინი და პასიურობა არა სჩვეოდა. და მან მტკიცედ გადაწყვიტა, თავს გადავდებ, ყველაფერს დაუთმო და ნათიას კი ამ შავი დღიდან გამოვიხსნო...

ერთ საღამოს, როცა ნათიას უკვე დაუმშვიდობა და გასახველელი კარებისკენ მიდიოდა, ბაბომ ნომალის იდაყვზე ხელი დაადო:

— ნომალი, პატარაზე ხომ ვერ გამაცილებთ?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო ბაბო! დიდი სიამოვნებით! მე თვითონაც უნდა მომეფიქრებინა. — ნომალი გატრიალდა, ლაბადა ჩაიცვა და ბაბოს კიბეზე წამოეწია.

ერთ ხანს ხმაბოუდებლად იარეს. მერე ბაბო შეჩერდა და ქუჩის მარჯვენა მხარეს, პატარა სკვერისაკენ გაიხედა.

— არც ისე ცივა. შევიდეთ, ცოტა ხანი ჩამოვსხდეთ. — და ნომალის აღმაცერი მზერა შეავლო.

სკვერი თითქმის ცარიელი იყო. იქვე, ჭიშკართან, გრძელ ნაცრისფერ სკამზე ჩამოსხდნენ. ბაბომ ხელჩანთა გახსნა და ხიგარტი ამოიღო.

— ამ სკამებს როგორი იდიოტური ფერებით ღებავენ. ჩემს ახალგაზრდობაში ყველა სკამი მწვანე ფერისა იყო... ნომალი,

დღეს ნინო და ანდრო რატომ არ იყვნენ? — უბრალოდ, შეგავიანდათ. უნათუოდ მოვლენ.

— ალბათ! საღამოობით ბვერი ხალხია. უფრო მეტი, ვიდრე საჭიროა. დღისით კი...

ბაბომ ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდშიც კი შეამჩნია, თუ ნომალის ყურის ბიბილოები როგორ გაუწითლდა.

— მაგ საქმეს, გეთაყვა, რამე უნდა ეშველოს.

— რა ეჭნა, ქალბატონო ბაბო?

— ე! ყველაფერს ისა სჯობია, ახალგაზრდები რომ დაოჯახდებიან, საკუთარი ფუძე შეიქმნან. თქვენ კი მაგისი საშუალება არა გაქვთ.

— დიახ!..

— ისე, ამ ბოლო დღეებში ნათია ნამდვილად მომჯობინდა.

— თქვენც შეამჩნიეთ?

— როგორ არა!

— მეც ვატყობდი, მაგრამ თქმა მემიწოდა.

— ექიმი რას ამბობს.

— ყველაფერი ნორმალურად მიდისო.

— ალბათ, მართლაც ეგერა. მაგრამ, სრულ გამოჯანმრთელებამდე ჯერ შორსაა,

— უნდა მოვიცადოთ.

— თქვენ ხომ ატყობთ, ნომალი, რომ ქალბატონმა ნინომ ყველაფერი იცის.

— დიახ! — ნომალის ყურის ბიბილოებს ცუცხლი მოვდო.

— იქნებ, სანამ ავადაა, ნათია მართლაც დედასთან გადაგვეყვანა?

— იქ დღისით მიმხედავი არავინ ეყოლება.

— ჰო...

— ამახ იქით სახლში უფრო ხშირად ვიქნები. ჩვენებს იტალიაში აღარ მივეყვები.

— ვინ თქვენებს?

— წყალბურთელებს.

— ჰო, თქვენ ხომ სპორტსმენი ხართ! მერე? ნათიას გულისათვის საყვარელ სპორტს თავს ანებებთ?

— მომავალი გვიჩვენებს.

— ასე ყველაფერზე ხელის ჩაქნევაც არ შეგვერით. მთელი ცხოვრება ჯერ წინა გაქვთ. ახლა ეს მითხარით: როგორა გგონიათ, ნათიას იქ კიდევ გამოიძახებენ?

— არ ვიცი.

— იქნებ, როგორმე წინდაწინვე გაგე-
გოთ. ადამიანი ყველაფრისთვის მზად უნ-
და იყოს.

— მაგაზე არ მიფიქრია.

— ჰოდა, იფიქრეთ. არ არსებობს კარი,
რომლის გაღებაც არ შეიძლებოდა. ასეთ
დროს ადამიანი არაფერს არ უნდა მოერი-
დოს. ნათია ძალიან მგრძობიარე ბავშვია.
„იპ“ კი, ვილაც მკვლეელი ისე ვერ უპოვი-
ათ, რომ უდანაშაულო ბავშვს სიცოცხლე
არ გაუმწარონ. უთუოდ ახლავე ჩაერეთ.
ვინ იცის, იქნებ ისინი სწორედ ნათიას
გამოჯანმრთელებას ელიან, რომ კიდევ გა-
მოიძახონ. მაშინ კი, ვინ იცის, რა მოხდე-
ბა!

— მართალი ბრძანებაა.

— უთუოდ შევეცადეთ.

სიჩუმი ჩამოვარდა.

ბაბოს თავში ცოტა მოულოდნელი, მაგ-
რამ უბრალო აზრი დაუბადა: ნომალი მარ-
თლაც ზომ სპორტსმენი და საქვეყნოდ ცნო-
ბილი ვაჟგაცია. ასეთებს ახლა დიდ ანგა-
რისს უწევენ. რა იქნება, ბაბომ ყველაფე-
რი უამბოს ნომალის მეფარიანის ფანდე-

ბზე! მივა, ერთი ვაჟგაცურად გამოვლავა-
რაკება და, ვინ იცის, იქნებ, ფს უბედურთ
ისე შეშინდეს, რომ ნათიას სამტელამსამტელამ
დამოდ გადაივიწყოს.

მაგრამ ბაბომ ცოტა იფიქრა და გადა-
წყვიტა, არა, ახლა ამის გაკეთება არ ღირს,
შეიძლება, ნომალი ზედმეტად აღელდეს და
მეფარიანს შეურაცხყოფაც კი მიაციუნოს,
ეს კი საქმეს უფრო გაართულებს, მით
უმეტეს, რომ ახლა ის უკუღმართი პირდა-
პირ ნათიას სულაც არ ეხებათ, არა, ნომა-
ლიმ ახლა ისევ ნილიციას მიაკითხოვს და
თადარიგი დაიჭიროს.

— ცოტა აცივდა. მაშ ასე, ნომალი: ნა-
თიას საკითხში მე და თქვენ სამუდამოდ
მოკავშირეები ვართ. მე თქვენი იმედი მეტ-
ნება. თქვენ კი ჩემი იმედი იქონიეთ. კარ-
გი? ახლა კი ტაქტი დამიჭირეთ.

ბაბო ტაქსში ნებეირად მიაწვა საგარძ-
ლის შურგს და გულდამშვიდებით გაიფიქ-
რა, თუ როდესმე საჭირო გახდება, მეფარია-
ნის ნომალი და, ალბათ, ანდრო და პლა-
ტონიც მიაკითხავენ და პროფესორი მიჭა-
ბერიძის შეწუხება მეორეჯერ, იქნებ აღარც
კი დამჭირდესო.

თავი მეთხუთხე

ნომალიმ კი ის დამე პირდაპირ უძილოდ
გაატარა, მილიციაში მისვლა აქამდე რო-
გორ ვერ მოვიფიქრეთ. დილით, ისაუხმა
თუ არა, ნათიას უთხრა უნივერსიტეტში
მივდივარ და მალე მოვალ, თვითონ კი
მილიციის სამმართველოს მიაშურა.

მილიციაში ნომალის უამრავი ნაცნობი
პყავდა. სამმართველოს შენობაში შესასვ-
ლელად საშვი არც კი დასჭირვებია. თავის
პატარა კაბინეტში მჯდომი მექვებიშვილს
თავზე მოულოდნელად წაადგა. ვალერი-
ანი სახელგანთქმულ სპორტსმენს მყისვე
ფეხზე წამოუდგა, მაგრამ მშურა კი აარიდა
და რატომღაც სახე შეეფაკლა.

ნომალის გული შეუკრთა.

„ეს რაღას უნდა მოასწავებდეს?! პირ-
ველად აკი ძალიან უბრალოდ მივეცილი!“

— გამარჯობათ, ვალერიან!

— გამარჯობათ!

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ვალერი-
ანმა სკამი მიუწია.

— დაბრძანდით.

ნომალი დაჯდა.

— როგორ გიკითხოთ?

— გმადლობთ!

— მე აღარ გახსოვართ?

— როგორ გვეადრებათ!

ვალერიანი ასაკით ნომალიზე საგრძნო-
ბლად უმცროსი იქნებოდა და არც ამოდე-
ნა სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ამიტომ
ნომალიმ გადაწყვიტა, ნამდვილად უკეთე-
სი იქნება, თუ ჩვენი კურთხეული ჩვეულე-
ბისამებრ პირდაპირ „შენობით“ დაველა-
პარაკები და ასე დაეიხლოვებო.

— წუბუნის ერთმა ჰკვიანმა ქალმა
მირწია, მილიციას მიაკითხოო და აი, მო-
ვედი. რაღა დაგიბალო, შენი დიდი იმედი
მაქვს.

— თუ რამე შემიძლია...
 „შენობით“ მიმართვა მექვაბიშვილს არც გაკვირვებია და არცა სწყუენია.
 — ნათია, ჩემი ცოლი, ისევ ავადაა.
 — ვიცი.
 — აქ კიდევ გამოძახებთ?
 — სანამ ავადაა, არა.
 — მერე?
 — მერე — როგორც საქმე მოითხოვს.
 — ვალერიან, აი, პირადად შენ როგორ ფიქრობ, ნათიას მაგ საქმეში რაიმე ბრალი მიუძღვის?
 — პირადად ჩემს აზრს აქ რა მნიშვნელობა აქვს?!
 — გამომძიებელი შენა ხარ.
 — გამომძიებელი შეიძლება დღეს ერთს ფიქრობდეს და ხვალ მეორეს.
 — პირველად შენ უკეთესად მიგვიღე.
 — ვითომ?
 — ნამდვილად! ახლა კი — ცოტა უარესად. — ნომლიმ ნაძალადევად გაიღიმა.
 — ეგ თქვენ გენჯენებათ. ნომლი. — თვითონ მექვაბიშვილი ნომლის მაინც „თქვენობით“ ელაპარაკებოდა. — თქვენც და თქვენს ცოლსაც მე მაშინაც დიდ პატივს გცემდით და ახლაც... დიდ ანგარიშს გიწევთ.
 — ესე იგი?
 — არაფერი. ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება არაფერსაც არ ნიშნავს.
 — რაიმე ახალი გამოარკვევით? — ნომლიც იძულებული გახდა, ისევ „თქვენობით“ ელაპარაკებულყო.
 — ზოგი რამ... ძალიან უსალისოდ უპასუხა მექვაბიშვილმა.
 — მე ვერ მეტყვით?
 — ვერა!
 — ნათიას საქმე უარესადაა.

— არა მკონია.
 — უფრო გადაჭრილ მასებს ვერ მომცემთ?
 — ვერა.
 — კი მაგრამ... ბატონო ვალერიან, საიდან ჩანს, რომ თქვენ მეც და ჩემს ცოლსაც დიდ პატივსა გცემთ?
 — მაგას ახლა ვერ დაგიმტკიცებთ. ისევ სიტყვაზე უნდა მენდოთ.
 — კმ!
 — ასეა.
 — მაშ, ვერაფერს მეტყვით?
 — რატომ? სანამ ავადაა, არ შევაწუხებთ. მერეც არა მკონია, დიდად შევაწუხოთ. მაგრამ ეს პირადად ჩემი აზრია.
 — სხვა აზრიც არსებობს?
 — ალბათ... ნამდვილად არ ვიცი.
 — ერთი სათხოვარი მაინც შემისრულებთ.
 — დიახ?
 — უწყება ჩემს სახელზე გამოგზავნეთ.
 — ეგ არ შეიძლება. მაგრამ სხვა გზა კი მოინახება. წინდაწინ ტელეფონით დაგირეკავთ.
 — ეგ შეიძლება?
 — რატომაც არა!
 — დიდი მადლობელი ვიქნები.
 — რა სალაპარაკოა!
 — გამოძახებთ კი მაინც უთუოდ გამოძახებთ, ხომ?
 — ალბათ. მაგრამ გამოძიების დროს ბევრი რამ ხშირად იცვლება. ასე რომ, სჯობია, უკეთესობის იმედი იქონიოთ.
 — გმადლობთ! ნახვამდის!
 — ნახვამდის!
 მილიციის სამმართველოდან ნომლი გულდამძიმებული წამოვიდა. ნათიას საქმე ისევ ცუდად იყო.

თავი მესამე

თვითრას არკვევანიძის უბანზე საკინვეირო შტრეკის გამაგრება ძალიან გაჭიანურდა. იმ დაბზარული, დამპალი და გამოსაცვლელი ბიჭების თავზე ჭერის ძალიან სუსტი, ნესტიანი და სახიფათო გამოდგა. სულ ერთიანად ბზარებით იყო დახერხილი.

ფუჭი ქანის ვეებერთელა, წყლით გაქვინთილი ლოდი ჭერს ისე ანაზღვეულად მოწყდებოდა ხოლმე და ჩამოშვავდებოდა, რომ ირაკლი შუბითიძე აშკარა სიკვდილს რამდენჯერმე ბეწვზე გადაურჩა. მერე ირაკლის ამხანაგებმა რამდენჯერმე ისიც კი



ეთქვა, რომ უფროსებს სიტყვა მიეცეოდა და ამხანაგებსაც ვერ დაევალებოდა, ეგ ოხერი უნდა გადაემაგრო, რაღა დასამალავა, ბარე ორჯერ ისეთი შიში ეჭამე, რომ მახტისკენ გამოხედვაც კი აღარ მინდოდა.

უბნის მუშაობა შეფერხდა. სანგრევში ქვანახშირის ფენის აღუთქებას, თუ პნევმატური ჩაქურით მონგრევას აზრი აღარ ჰქონდა — მონგრეული ქვანახშირი მოგროვდებოდა, გამოსაზიდი გზა კი აღარ იყო. თუამურაზი ოდიბაშევს მოეთათბირა და რამდენჯერმე კონვეიერის უკულმა, ზედა მიმართულებით გაშვება სცადეს, რომ ქვანახშირი სავენტილაციო შტრეკში აეშობოდა და მერე იქიდან ბრემსბერგებით — დაქანებული გვირაბებით მთავარ შტრეკზე ჩამოეშობოდა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ის კონვეიერი კარგა მოძველებული იყო და უკულმა კი არა, ხეირიანად წადამც კი ვეღარ მუშაობდა. ჯაჭვი იმოდენა ქვანახშირის სიმძიმეს ვერ უძლებდა და ხშირად წყდებოდა. გარდა ამისა, სავენტილაციო შტრეკში ახლო-მანლო რკინიგზის გადასაყვანი ისრება არსად იყო და ვაგონეტების მიმოქცევაც ძალიან გაძნელებული.

უბნის დავალიანება კი დღითიდღე იზრდებოდა და უკვე ორი ათას ტონას გადაეჭარბა. ამოდენა გარღვევის გასწორება თვის ბილომდე დაჩინილ დღეებში ძალიან ძნელი საქმე იყო. უბანზე ყველანი უკუნებოდ იყვნენ. დალილობისაგან თვალბრახავებული თეიმურაზი თავაჩქინდრული დადიოდა და ხმასაც კი აღარავის სცემდა. ირაკლი შუბითიძეს კი დამხმარე მუშასავით — პირდაპირ თანამშრომლობით ეხმარებოდა და საქმე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ირაკლიმ პირდაპირ გამოუცხადა, — ბატონო, უკეთესი იქნება, თუ ჩამომხსნებით და ჩემს ნებაზე მამუშავეთ, მე მაინც უბრალო მებოგე ვარ, თქვენ ინჟინერი ბრძანდებით და თქვენი დაღუპვა სახელმწიფოს ძალიან ძვირად დაუჯდება. თეიმურაზმა იგრძნო, რომ ძალიან გადაღლილი, ნერვებდაძაბული შუბითიძე სულაც არ ხუმრობდა და შეიძლებოდა, უბნის უფროსისთვის უარსებოც ეკადრებინა. ამიტომ ჩამოშორდი, ირაკლი თავისი მუდმივი

თანამშრომლის, ბიჭია სინაურიძის ამარა დარჩა და თავისი სახიფათო და უმადური საქმე განაგრძო.

უბანი ჯერჯერობით ისევ უმოქმედოდ იდგა. კახაბერ გურასაშვილი და გედეონ ხაზარაძე ყოველდღე კრებებს იწყებდნენ და გამოსავალს ეძებდნენ. ეთათბირებოდნენ მექანიზატორებსა და მებოგეებს, ამწმუნდებდა და ჩამომქცევებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მარკშიდერებსა და გეოლოგებს, მაგრამ ამ თითქოსდა უბრალო, მარტივი მდგომარეობიდან თავისდასაღწევი გზა არ იქნა და არ მოინახა.

ბოლოს კახაბერმა ერთი მიტოვებული სანგრევი გაიხსენა, სადაც მარკშიდერებმა მუშაობა ბარე ერთი წლის წინათ შეაჩერეს, და გედეონს ჰკითხა, რა იქნება, იმ სანგრევში ქვანახშირის ფენა რამდენჯერმე რომ ავაფუთქოთ და დანაკლისი ავინაზღაუროთ.

— რას ამბობ, კახაბერ! ან მარკშიდერები მაგას როგორ იზამენ!

— რატომ?

— მაგას როგორ შეკითხები! ეგ სანგრევი ჰე, ბარემ ორ კილომეტრზეა შეჭრილი ფენაში. შეიძლება, პირველი აფუთქებისთანავე მთელ სიგრძეზე ჩამოინგრეს... რა გგონია, ვინმე ვადარჩება? და ესეც არ იყოს, წელიწადია, იქ აღამაინიშვილს ფენი არ დაუღვამს. არც ვენტილაცია, არც სათადარიგო გასასვლელი... ყველაფერი დაძველებული და დამძალი... არა, ძმოს! ამას წინათ შემთხვევით შევხვდეთ. პირდაპირ შემეშინდა და გამოვიქცევი. მაგის ჩამოქცევას ვინ იკისრებს!

— პნევმატური ჩაქურებით?

— არა-მეთქი! არა, იმ სანგრევში მე ხალხს ვერ შევუშვებ.

— აბა, ამ თვის გვემა ჩაგვეარდნია და კნ არის.

— გვემა ვის არ ჩავარდნია?

— ამ უსაქმოდ დაჩინილ ხალხს რაღა ვუყოთ?

— სავენტილაციო შტრეკში გაგრეკოთ. იქითაც და აქეთაც. შუალედი შტრეკებზე გავაკეთოთ. საქმეც წინ წაიწვიოს და ერთი ხუთასიოდე ტონა ქვანახშირიც გამოვა.

— ხუთასიოდე კი არა და!

— სამასი იყოს!

— არც სამასი იქნება. ორასი, მაგრამ იმდენმა ხალხმა იქ რა უნდა აკეთოს. ან კიდევ: თუ ეს შტრეკები ძალიან შორს გაგრძედა, განა ეგენი არ ჩამოიქცევინა?

— სხვა საქმე მე ესლა არაფერი მაქვს.

— ჰაი დედასა, ზოგჯერ სულ უბრალო მიზეზი რამოდენა საქმეს აფუჭებს! ხუთიოდე ბიგა გამოსაცვლელი და — აი!.. უგულავამ — რაო?

— გვეგვის ზვეით ხუთას ტონას მოგვემთო.

— მანდ კი ორი ათასი გვაკლია.. რას შემოგვიკურთხებს სარდიონი!

— ჩვენ რა, დამნაშავეები ვართ?!

— კაცი რომ გაცეცხლდება, ის დამნაშავეს აღარ ეძებს. — აბა, ხომ არ დადგება და გინებას იმ დამპალ ბიგებს ხომ არ დაუწყებს? იყურებს.

ბოლოს გედღონმა თქვა.

— ჰოდა, ადექი, ჩაიცვი და შახტში ჩავიდეთ. ამ ოხერ კაბინეტში გული აღარ მირჩება.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივენი მესამე უბნის საკონვეიერო შტრეკში იყვნენ. ირაკლი შუბითიძე სწორედ კიდევ ერთი ახალი ბიგის შესაყენებლად ემზადებოდა. ეს სქელი და გრძელი, თითქმის სამნახევარი მეტრის სიგრძის ბიგა სწორედ დადუმებული, უკვე ეანგმოკიდებული კონვეიერის გასწვრივ იდო — გასხეპილი, გათლილი, ზომაზე გადაზრზილი და შესადგმელად გამზადებული. ირაკლი მოშინვლებული ჭერას ქვეშ იდგა, სწორედ იქ, სადაც ეს ბიგა უნდა შევედებინა, თავი ზვეით აეშვირა და ჭერს აკვირდებოდა. ცოტა მოშორებით, სადაც ელექტრონის ნათურის შუქი არ აღწევდა, სიბნელეში ქვანახშირის პლასტთან ჩაცვსკული და ბიგების გასწვრივ აყუდებული შენახტეები მოჩანდნენ. იმათ საქმე არაფერი ჰქონდათ. და ზოგი აქ თვალის სასეიროდ იყო მოსული, ზოგი კი იმისათვის, რომ თუ ირაკლის რამე გაუჭირდა, როგორმე მოვეშველებითო. თუმცადა ეს მიშველება რაში უნდა გამოხატულიყო, ამა-

ზე არავის არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. თუ სამმეტრნახევრის სიმაღლიდან მრავალფუთიანი ლოდი მოწყდა და სწორედ მის ქვეშ მდგომ კაცს დაეცა, იქ ყოველგვარ მიშველებასზე ლაპარაკი ზედმეტია.

კასაბერი და გედღონი შორიახლოს გაჩერდნენ. მათ გაგებული ჰქონდათ, შეზიითიძემ თეიმურაზ არჯევანიძე თავიდან რომ მიიშორა.

უეცრად ირაკლიმ ისკუპა და უკან გადმოსტა. იგი ჯერ მიწაზე დამხტარაც კი არ იყო, რომ სწორედ იქ, სადაც ერთი წამის წინ იდგა, მოშინვლებული, წყლით გაქვინილი ჭერადან მომცრო, სულ მუშტის სიმახტ ქვა ჩამოვარდა და მიწაზე ჩუმი, ოდნავ გასაგონი ფაჩუნით დაეცა. დიდი ხმა ანიტომ არ გამოუცია, რომ აქ ქვაც და მიწაც ნესტიანი იყო.

— გაგიწყდა გამჩენი! — შეუკურთხა შუბითიძემ.

— ფრთხილად ირაკლი, ფრთხილად. შუბითიძე მოტრიალდა და ახალმოსულებს ნათურა მიანათა.

— გამარჯობათ, ბატონო კასაბერი! ბატონო გედღონ, გამარჯობა!

— გაგმარჯოს! ცოტა ფრთხილად იყავი, — გავუმორა კასაბერმა.

— მეტი სიფრთხილე რაღა იქნება, ყოველ ამოსუნთქვაზე მადლა ვიყურები. ასეთ საზიზღარ და უნდო ჭერს ჯერ არ შეგხვედრივარ. ჰე, სულ ბზარებითა და სერილი. არ იცი, რომელ წუთში ისუვლებს... წყალი კი პირდაპირ წურწურით ჩამოდის.

— ვხედავ.

— ცოტას კიდევ დაგაცლი. თუ რომელიმე დიდი ლოდი კიდევ ჩამოსავარდნია, ალბათ, პირსაც მალე შეიხსნის. მერე კი შევეუყენებ. ისე კი... — ირაკლიმ მოშინვლებულ ჭერზე ნათურის შუქი მოატარა, — ისე, არა მგონია, კიდევ რამე ჩამოვარდეს. ცოტა ვაცალოთ.

ირაკლიმ ამოიხვნეშა, ნათურა დაუმვა და იქვე კონვეიერზე ჩამოჯდა.

— არჯევანიძე ხად არის? — იკითხა კასაბერმა.

— სადღაც აქ იყო.

— ზედა სანგრევში წავეიდა.
 — პეი, არჯუენიძეს დაუძახეთ!
 — არა, არ გვინდა. ისე ვიკითხე.
 — რაღა კითხვა უნდა, ბატონო! დღე-
 დაღამე აქ არ არის! ირაკლი საქმეს მოთ-
 თავეს ხოლმე და მიდის, ის კი მაინც აქ
 ტრიალებს.

კახაბერს ეს სიტყვები არქიფო ცალკე-
 ლიშვილმა უთხრა. დანარჩენ მემახტეებს
 ხმაც არ ამოუღიათ. ერთი-ორმა დამტინა-
 ვადაც კი გაიღიმა.

— ჩახუნაშვილი?

— ო! — ამ კითხვის პასუხი კი კახა-
 ბერს უკვე თვითონ შუბითიძემ მისცა. —
 ვე რომ არ გვეხმარებოდეს, სულ დავიდუ-
 პებოდით, სული შაკ კაცით გვიდგას.

მემახტეებმა გაიცინეს.

— სულ არ მოდის ხოლმე?!

— როგორ არა!.. — შუბითიძემ ხელი
 ჩაიჭინა და კახაბერს ღიმილით შეხედა.
 საწყალს, მართლაც ძალიან დაღლილი,
 სულ უფერული სახე ქონდა. — მოსვლით
 როგორ არ მოდის, მაგრამ... ექ! — ირაკ-
 ლიმ უეცრად ხელი ჩაიჭინა და მარდად
 წამოდგა, — აბა, მომეცალეთ! და ზედმე-
 ტი ხალსი აქედან — მარშ! თქვენი თავი
 ვიღარდო, თუ ჩემი? ბიჭია, სადა ხარ?

— აგერა ვარ, ბიძია ირაკლი. — სიბ-
 ნელიდან ოციოდე წლის გამხდარი, სახე-
 გამურული ბიჭია სინაურიძე გამოძვრა.

— აბა, მომეშველეთ! დანარჩენები —
 წადით! ხელეზში ნუ მომჩერებხართ. რამ-
 დენჯურ უნდა გითხრათ!

კახაბერიც, გედონიც და დანარჩენი მუ-
 შახტეებიც დაიძრნენ და ოციოდე ნაბიჯით
 ქვევით, მთავარი შტრეკისაკენ ჩაიწიეს. აქ
 გაჩერდნენ და ხული განაბეს. თითქმის
 იმავე წუთში მათ ზემო სანგრევიდან მო-
 სული თეიმურაზ არჯუენიძეც შეუერთდა.
 ქვანახშირის ფენასთან გაჩერდა, გულ-ხე-
 ლი დაიკრიფა და გაირინდა.

ზევიდან ორი კაცის ხენწეა, რაღაც ფა-
 ჩუნდი, თითქოს მიწაზე ბიჯის გახიხების
 ხმაც კი ისმოდა. ჭეროდან გარგა მოზრდი-
 ლი ქვა კაკუნით ჩამოვარდა და მიწაზე
 დაეცა. მაგრამ შუბითიძისა და სინაური-
 ძის ხენწეა ისევ ისმოდა — ესე იგი, არა-
 ფერი მოსწევიათ. არადა, დანარჩენი აქე-

დან არაფერი მოინანდა. ძალიან სუსტი,
 უძლო სინათლით სულ ოდნავ გვერდულ
 ქვანახშირის ფენაზე მხოლოდ ვეწვანდებოდა
 შავი ლანდების მოძრაობას თუ გააჩერე-
 დით. ყველანი სულგანებულნი იდგნენ და
 მიმუშავებთა ხენწეას ისმენდნენ.

— დიდება შენდა, ღმერთო! — ჩი-
 ლაპარაკა ვიღაცამ.

სიმუშე ჩამოვარდა.

ზევიდან რაღაც ყრუ დარტყმების ხმა
 მოისმა.

— მგონი, შეუყენეს!

— ჩუ!

— შეუყენეს! ნაჯახის ყუა შემოჰკრა.
 ვერ გაიგონეთ?

— ჩუ-მეთქი!

ზევიდან ბაიბური აღარ ისმოდა

— ირაკლი! — ვეღარ მოითმინა კახა-
 ბერმა.

და სიბნელიდან — სულ ახლოდან. ხუ-
 თიოდე ნაბიჯის მანძილიდან შუბითიძის
 ბოხი, დაღლილი ხმა მოისმა:

— დიახ! გისმენთ, ბატონო კახაბერ!

— რას შერებით, კაცო?!

— შევეუყენეთ.

— ვაშაა!..

ყველანი ზევით გაიჭყნენ. მღლეკარები-
 სა და დაღლილობისაგან ფერწახული,
 მაგრამ ბედნიერად მომღიშარე შუბითიძე
 და სინაურიძე კონვეიერზე ჩამომხსდარიყ-
 ვნენ და სულს ითქვამდნენ.

— ყოჩაღ, ირაკლი, ყოჩაღ! — ისმოდა
 აქეთ-იქიდან.

— კიდევ ორი ასეთი ბიჭა და შტრეკიც
 აშუშავდება.

— ორი, ან ქა-სამი...

— როგორ მოარგო, კაცო, ხედავთ?!

— ბიჭია, ბიჭი!

— უფ!.. — შუბითიძე წამოდგა და
 ღრმად ამოისუნთქა, — ხვალ სადამომდე
 დამცავდე, ბატონო კახაბერ და ყველაფე-
 რი მოთავადება.

— შე კაი კაცო, შენა... — აღლეკებუ-
 ლი კახაბერი სიტყვებს ვეღარც პოულო-
 ბდა, — ხვალ სადამო რას მიქვია! შენ
 კარგად იყავი და ეს შტრეკი სულაც კირს
 წაუღია. ოღონდ შენ კარგად იყავი!

კახაბერი შუბითიძეს მოეხვია და მაგრად აკოცა.

მეორე დღეს, საღამოს ცხრა საათითთვის საკონფერო სტრეკი უკვე გადამაგრებული იყო. მესამე უბანი ისევ ამუშავდა.

სულ მალე შახტზე კახაბერ გურასამვილის ბრძანება გამოქვეყნდა: მესამე უბანზე საავარიო მდგომარეობის სალიკვიდაციო სამუშაოების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის გამოცხადოს მადლობა და დაჯილდოვდეს ერთი თვის ხელფასით უბნის უფროსი თეიმურაზ არჯევანიძე, ეს ერთი, და მეორეც: ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში ლიკვიდაციისა და მდალი პროფესიული ოსტატობის გამორჩენისათვის გამოცხადოს მადლობა და დაჯილდოვდნენ ორ-ორი თვის ხელფასით მებრევე ირაკლი შუბითიძე და მისი თანამემწე ბიჭია სინაურიძე.

— არჯევანიძე ვითომ რალაშო?! — ხმაშალა იკითხა ანთიმოზ ჩახუნაშვილმა, როცა სხვა მემსახტეებთან ერთად ის ბრძანება წაიკითხა.

მას არავინ უპასუხა. ხმა მარტო არქიფო ცალუდლიშვილმა ამოიღო, და მანაც როგორღაც გულგრილად, უპასიათოდ:

— რატომ, ახლა, ანთიმოზ?! არჯევანიძემ ცოტა იწვალა. თან კიდევ... შენ ხომ მაგისი მოადგილე ხარ, მხარში უნდა...

— ბოდიში! ამხანაგო, ბოდიში! ჩემს მოვალეობას მე ვერაფერს მასწავლის! თქვენ ყველანი დაბრმავებულები ხართ და თქვენს გარშემო რაც ხდება, ვერაფერს ხედავთ. ჩვენ, ნამდვილ მემსახტეებსა და მშრომელებს, ეს ქალაქიდან ჩამობრძანებული ინჟინრები უკვე კისერზე მოგვასხდნენ და რასაც უნდათ, იმას გვიმფრებინან. დიას! არჯევანიძეს — მადლობა და ერთი თვის ხელფასი! რისთვის? ირაკლი შუბითიძემ რომ შეუყვინრა, ფეხებში ნუ მებლანდები და აქედან მოშორდით, ამისათვის? და ვნებ რომ ხმაამოუღებლად იქიდან გამოიძურწა, ამისათვის? პოო! ნურას უკაცრავად! საპრემიოს მე პირადად ამაში ვერაფერს ვხედავ. ახლა — გოგოლა ხომასურჩის ამბავი? ახალგაზრდა ქალმა და გაეჭმა, ორივე მშრომელმა მემსახტემ, მთელი სიცოცხლე ლუკმა-პურს თავისი მარჯ-

ვენითა და ალალი შრომით რომ მოულობენ, ამ ორმა ადამიანმა ერთმანეთი შეიყვარა, ოჯახი შექმნა, გაბედნიერდა და მაგან კი ამ დროს რა ჩაიდინა? მაგისთანა თმაგადაგლესილი ქალაქელი გოგოლასთანა უბრალო ქალს ყოველთვის გააბრუებს. ოღონდ არ უნდა იკადროს! დიას! შენ რომ ინჟინერი და უბნის უფროსი გქვია, ამითი არ უნდა ისარგებლო. არა, ჩემო კარგებო! ვისაც მაგ გამოწვეპილი ინჟინრებისა გემინიათ, თავის სწორში შექვეყნით.

არქიფომ ამ სივრტე ტირანდის საწინააღმდეგო ვერაფერი მოიფიქრა. თანაც მან ისიც იცოდა, რომ უბნის მემსახტეებს თეიმურაზისათვის გოგოლა ხომასურჩის ამბავი ჯერაც არ ეპატებიათ და როდის აპატებდნენ, ის მარტო ღმერთმა იცოდა. ამიტომ თავი დიდად აღარ გამოუდგია. წასასგლეულად შეემზადა და ჩახუნაშვილს მარტო ესლა ჰკითხა:

— მაინც, რას აპირებ?

— მაგასაც მალე გაიგებთ!

მემსახტეები ანთიმოზს ამრეზით მისჩერებოდნენ. მერე ხმაამოუღებლად დაშლა დაიწყეს.

ჩახუნაშვილმა კი იმავე დღეს შახტის ადგილკომში განცხადება შეიტანა — შახტის უფროსი გურასამვილი დაუხსნახურებლად მადლობას უცხადებს და პრემიას აძლევს თეიმურაზ არჯევანიძეს, რომელიც თავისი ამორალური საქციელისათვის, რამაც მთელი შახტის აღშფოთება გამოიწვია, ჯილდოს და წახალისებას კი არა, გაკიცხვას და თანამდებობიდან მოხსნას უფრო იმსახურებს.

მინაგო ჩარჯვიანმა განცხადება ჩაიკითხა და ფერი დაჰკარგა.

— ეს რა არის, ანთიმოზ?!

— ვერ გაიგე?!

— გაგიგე, მაგრამ... არჯევანიძე შენი უბნის უფროსია... შითხარი.

— შენ რა დაგიშვა?

— ყველას დაგვიშავა. მემსახტეებს თვალთ დასანახავად სძულთ.

— ვითომ?

— შეამოწმე!

— როგორ შევამოწმოთ?

— როგორც გინდა! და ნუღარ მაყოფ-

ნებ — შახტში მელიდებიან.

— და ვინ გაკავებს?!

— რეგისტრაცია გავუკეთე!

— ა, ბატონო გავუკეთე.

— ვერე, აბა, მე წავედი. სხდომის დანიშნა ათი დღით ადრე უნდა შემატყობინო. თუ ამ წესს არ დაიცავ, შენ კარგად მოგხვდება.

და კარი გაიჯახუნა.

როცა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგარდებოდა, მინაგო ჩარკვიანი ტერენტი ჩაგუნავას შიაკითხავდა ხოლმე. ახლაც ასე მოიქცა. პარტბიუროს მდივანმა ჩახუნაშვილის განცხადება ჩაიკითხა, გვერდზე მიაგლო და თავი მძიმედ გადააქნია:

— გასაგებია!

— შე ვერაფერი გავიგე...

— შე კაცო!.. სულ ასე ბავშვად უნდა დარჩე?! საბუთს ქმნის. ხვალ რომ უსაქმურობისთვის და პარაზიტობისთვის მოხსნა დაუპირონ, ამ საქმეს თვალეზში გატაკებს: ჩემზე განაწყენებული არიან და სამაგიეროს მიზდიანო. შურისძიება კი ჩვენში აკრძალულია. არც ერთი მოსამართლე მაგას აღარ გამატყუებს.

— ხო.. ხო!.. რამსიმორეზე იყურება!..

— აბა!

— რა გქნათ?

— არ ვიცი.

• • •

თეიმურაზ არჯევანიძეს თვითონაც არ ესაიშვნა, მაღლობა და ფულადი ჯილდო რომ მიიღო, საბრემლო ნამდვილად არაფერი გამოიკეთებია, მემახტეები კი ჩემზე ისედაც ამრეზალეები არიან და, იქნებ ახლა კიდევ უფრო მეტად აიბრიზონო. ეს ფიქრი სიმართლისგან არც ისე შორს იყო. უბანსა და შახტზე ამკარა უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს, მაგრამ მილოცვითაც, არქივო ცალუღლიშვილის მეტს არავის მიულოცნია. თავი ყველას ისე ეჭირა, თითქოს ეს ამბავი არც გაუგიათო. არქივოშიც როგორღაც უხერხულად, ნაუცხატედად მიულოცა — სადღაც, რომელიღაც დერეფნის ჩაბნელებულ კუთხეში თეიმურაზს იდაყვზე ხელი მოუჭირა, რაღაც გაუგებარი ჩაიბურტყუნა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა.

და. და ეს მაშინ, როცა, ხელფასის მიღების დღეს მემახტეებმა ფული დასდეს და ირაკლი შუბითიძე და ბიჭია შინაურაძე რესტორანში დღამდე აქვიფეს... არა, სანამ გოგოლა და მისი ქმარი შვებულებიდან არ დაბრუნდებოდნენ, თეიმურაზისა და მემახტეების ურთიერთობას არაფერი ეშველებოდა. მაგრამ ეს საქმე ან მათი დაბრუნების შემდეგ როგორ უნდა მოწესრიგებულიყო? თეიმურაზს ნათელი წარმოდგენა არც ამაზე ჰქონდა და ამიტომაც იყო, რომ დანა კრიჭას არ უხსნიდა. ამ დღეებში იგი ისე ხშირად ფიქრობდა, მგონი, ყველაფერის აჯობებს, თუ აქაურობას სულაც გავეცლებო. მაგრამ ამის უფლებას სიამაყე და საკუთარი ღირსების გრძნობა არ აძლევდა: სხვამ თუ არავინ, თვითონ თეიმურაზმა ხომ მშვენივრად იცოდა, რომ მისი აქედან წასვლა ყველაზე მძიმედ გოგოლაზე იმოქმედებდა! თეიმურაზს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გოგოლას იგი მთელი თავისი არსებით უყვარდა და ჩაფიჩიძისგან იმდენ ტანჯვასა და შეურაცყოფასაც მისი გულისათვის ითმენდა.

• • •

მეორე დღეს შახტზე ასეთი შინაარსის ბრძანება გამოაკრეს: სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გრაფიკის განუხრულად დაცვისა და ხარისხის ამაღლების მიზნით ჩამოყალიბდეს მეექვსე მოსამზადებელი უბანი და მის უფროსად დიანიშნოს ამხანაგი ანთიმოზ ჩახუნაშვილი.

ბრძანებას ხელს აწურდა კახაბერ გურასაშვილი.

მოულოდნელობისაგან გარგტიანებულმა ანთიმოზმა ეს ბრძანება რამდენჯერმე ჩაიკითხა. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. მუხლები უკანკალებდა, თავ-პირზე, კისერზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. არც კითხეს, არც შეუთანხმეს — ასე კაცის დაწინაურება გაგონილა?

ანთიმოზს ბევრი აღარ უფიქრია, გურასაშვილის კამინტისკენ გაქანდა, მაგრამ მისაღებში მარგალიტა ხეცურიანმა შეაჩერა, ბატონი კახაბერი ტრესტშია და საღამომდე აღარ დაბრუნდებაო. მაშინ ანთიმოზი ხაზარაძეს შეუვარდა.

მთავარი ინჟინერი ახლადგამომცხვარ უბნის უფროსს ძალიან თავდაპირილად, ცივადაც შეხვდა. რაო? ბრძანება? დიას, წიკითხა და კიდევ დაეოანხმა. რატომ? როგორ თუ რატომ?! შახტს გამოცდილი კადრები უჭირს. ბატონი ანთიმოზი სწორედ გამოცდილი მუშაკია. კეთილი ინგოზს და თავისი უნარი ახალ თანამდებობაზე გამოამყვანოს. უფროსებად და დირექტორებად არავინ დავბადებულვართ. თქვენ, ბატონო ანთიმოზ, ნამდვილად დიდი პატივი გეცით. კეთილი ინებუთ და ამ ახალ საქმიანობაში მთელი თქვენი ცოდნა, გამოცდილება, შრომის უნარი და საქმის სიყვარული ჩააქსოვეთ. შახტის აღმინისტრაცია, დარწმუნებულია, რომ უბანს თქვენ სასახლოდ გაუძღვებით. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას!

* * *

მთავარი საქმე თითქოს გაკეთებული იყო. იმავე დღეს არჯევანიძის მოადგილედ ისევ უშანგი მონასელიძის დანიშნვის ბრძანებაც დაიწერა და, ერთი შეხედვით, კახაბერსაც და გედეონსაც შეეძლოთ, შევებით ამოეუსწოთ. არჯევანიძეც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა, რომ მთავარი საქმე უკვე გაკეთებული კი არა, სწორედ გასაკეთებული იყო.

თვითონ ანთიმოზისა არ იყოს, სხვა შემახტებიც მალე მიხვდნენ, რომ არც გურასაშვილსა და არც ხაზარაძეს ამჯერად სამთომოსამზადებელი სამუშაოები სულაც არ აღარდებდათ. უბრალოდ, მათ იქმნაკეს, არჯევანიძეს ჩახუნაშვილი მოამორეს და საიმედო მოადგილე დაუნიშნეს. ამის საწინააღმდეგო შემახტებებს არაფერი პქონდათ — ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ახალგაზრდა ინჟინერი დაღლილობისაგან ფეხზე ძლივსლა იდგა. არჯევანიძეს კარგი მოადგილე ნამდვილად სჭირდებოდა. ის ახლადრამოყალიბებული შეექმნე უბანი კი შეიძლებოდა, სულ მოკლე ხანში ისევე მოულოდნელად გაუქმებულიყო, როგორც ჩამოყალიბდა.

ეს იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ შექმნე უბანზე სამუშაოდ გადასვლა არც

ერთ შემახტეს ფიქრადაც კი არ მოხვლია. გარდა ამისა, ჩახუნაშვილსაც უნდა შეეცდოთ შახტი მშენებურად იცნობდა. ცოდნა მისი სგან რა უბნის უფროსიც დადგებოდა და არავის მისი ხელმძღვანელობით მუშაობა არ ეპრიანებოდა.

უმოკლეს ვადაში, ხულ რაღაც ორ თუ სამ დღეში კახაბერსა და გედეონს ხუთი თუ ექვსი შემახტე მაინც უნდა მოეძებნათ, ვინც ახალ უბანზე გადასვლას დაეხმებოდა. თანაც ამ ხუთსა თუ ექვსში ერთი თუ ორი კარგი, გამოცდილი, ავტორიტეტის მქონე უიუოდ უნდა ყოფილიყო, ვინც ჩახუნაშვილის შეცდომებს დროზე შეამჩნევდა და თავიდან აცილებდა. უბანი უბანს და მუშაობა მუშაობას მხოლოდ მაშინ დაემსგავსებოდა, მაგრამ ჯერ ერთი დღე მიიწურა, მერე მეორე, მერე მესამე — ჩახუნაშვილთან გადასვლა კი არც ერთ შემახტეს ფიქრადაც კი არ მოხვლია.

კახაბერმა და გედეონმა სხვა უბნების უფროსები გამოიძახეს, ვითარება აუხსნეს და დასმარება ითხოვეს — ზეგრი არ გვინდა, მაგრამ თითო-ორილა კარგი შემახტე მაინც გაიმეტეთ, სხვა ადგილებზე კი ახალგაზრდებს აფიცვანთო. მაგრამ იმათ ეს წინადადება შორს დაიჭირეს, — ჯერ ერთი, კარგი შემახტეები ჩვენ თვითონაც ვეჭირდება და, მეორეც, ჩახუნაშვილთან ძალიან თუ ბრძანებით ვერავის გადავიყვანთ, თავისი ნებით კი ერთი კაციც არ გადავაო.

მაშინ კახაბერმა და გედეონმა გადაწყვიტეს, ბოლოსდაბოლოს, უფრო ლოგიკური იქნება, თუ ახალ უბანს ისევ არჯევანიძის უბნის შემახტეებით დაევაკომპლექტებოთ. ძალიან და ბრძანებით აქედანაც ვერავის გადაიყვანდნენ — ასე გადაყვანილი მეორე დღესვე განთავისუფლების განცხადებას დაწერდა და სამუშაოდ სულაც სხვა შახტზე გადავიდოდა. ისევ მოხალისეები უნდა ეძებნათ. ამიტომ არჯევანიძეს დაურევეს, პირველი ცვლის სამორიკოში შენი უბნის შემახტეები შეაყარეთ, და ამ დროისათვის თვითონაც იქ ჩავიდნენ.

სამორიკო უკვე შემახტეებით იყო სავსე. თვიმურაზი და უშანგი მონასელიძე მავიდას უსხდნენ და რაღაცას ანგარიშობდნენ. უშანგის უხალისობა ეტყობოდა. აღ-



ბათ, ფიქრობდა, ასევე მანინდელივით არ მოხდეს, ჩახუნაშვილიმა თავი არ აღიდგინოს და მე უკანვე არ გამაბრუნონო. შახტის უფროსსა და მთავარ ინჟინერს ყველანი ფესზე წამოღებოდნენ მივსალმუნენ და ისევ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ.

— ამხანაგებო! — კახაბერი თრივე ხელით მაგიდას დაეყრდნო. იგი შესამჩნევად დედავდა, ჩახუნაშვილს მზერას არიდებდა და ვეღარც ჩვეულებისამებრ გამართულად ლაპარაკობდა. — თქვენ ყველამ, ალბათ, უკვე იცით, რომ სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების ღრუოვად ჩატარებისა და ამავდროულად, რასაკვირველია, ხარისხის ამადლების გამოისობით... ისა... ბოლოში! ამ სამუშაოთა მიზნით შახტზე ჩამოყალიბდა მეექვსე მოსამზადებელი უბანი. ამ უბნის ჩამოყალიბებაზე ბევრი ვიფიქრეთ მეცა, ამხანაგმა გედონმაც, ბატონ სარდიონსა და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებსაც რჩევა ვთხოვეთ და საბოლოოდ მხოლოდ მანინ გადამწყვეტიტო. ამემად უბანი უკვე ჩამოყალიბებულია და სადაცაა, მუშაობა ნამდვილად გაჩაღდება, დიხს... ამ უბნის უფროსად ჩვენ დავნიშნეთ გამოცდილი მუშახტე და მუშაკი, ყველა თქვენთაგანისათვის კარგად ცნობილი ამხანაგი ანთიმოზ ჩახუნაშვილი, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით, მე ვიტყვოდი, თავს ართმევდა თქვენი უბნის უფროსის მოადგილის მოვალეობას. მარტო ამხანაგი ანთიმოზი ვერაფერს გაბდებო. ამიტომ კარგად დავფიქრდეთ, ამხანაგებო, ავწონ-დავწონით და საერთო ძალ-ღონით შევეცადეთ ახალი უბნის ჟეროვნად დაკომპლექტებას. აი, რისი თქმა მიწოდდა მე და მე კიდევ ვიტყვოდი, რომ რაკი ახალი უბნის უფროსი ისევ თქვენი კაცია, ასე ვთქვათ, თქვენი წრიდან არის გამოხული, უფრო სწორი იქნება, თუ რიგითი მუშახტევიც ამავდროულად წრიდან გამოვლენ. ისინიც და მათი უფროსიც, ამხანაგი ჩახუნაშვილი, უფრო გაუგებენ ერთმანეთს, რადი რომ ერთმანეთს უკვე დიდი ხანია, იცნობენ. ნდობა კი, მოგვსენებათ, ჩვენს საქმეში მთავარია.

კახაბერი დაჯდა. ჩახუნაშვილი ფერწა-

სული, გულსკლდაკრეფილი იდგა და კახაბერს ჯიქურ მისწყურებოდა.

კართან მდგომმა, პირგაუპარსებელმა ლენჩაისხილხიანებულმა მუშახტემ ხელი აიწია.

— ბრძანეთ, ამხანაგო... ბოლოში, თქვენი გვარი?

— თდიშვილი.

— ბრძანეთ, ამხანაგო თდიშვილო.

— ესე იგი... ამხანაგმა შახტის უფროსმა აქ მეტად დამაჯერებლად ილაპარაკა ახალი უბნის ბაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, მეტად საჭირო საქმეა და გაკეთება კიდევ მაგრამ ვინც იქ არ გაღავა და ამავდროულად დარჩება, რა, იმათ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ? აგერ, ჩემი მდგომარეობა ავიღოთ. ეს რეზინის ჩექმები მომცეს თუ არა, იმ დღესვე წყალი შეუვიდა. მას აბეთ ეიბრძედი, მაგრამ ამ ჩექმების გამოცვლას ვერა და ვერ მივაღწიე. საწყობის გამგე შეუბნება, ჩექმებით აქვე უნდა გაგვსინჯაო, რომ წაიღე და ჩაიცივი, მე რა ვიცი, იქნება, ლეხი რამეს გამოკაროთ. დიხს! თვითონ ეს გამგეა, ჩემო ბატონო და — როგორადაც ცხოვრობს, ყველას კარგად მოგვსენებათ. ჯამაგარი ცხრა თუმანი აქვს და იმ ციხფერ „ვოლგას“ კი დაასრიალებს. დიხს! მე გთხოვთ, ჩექმები გამოვიცვალოს. ხეელი ფეხებით მე ვერ ვიმუშავებ.

სირუმი ჩამოვარდა.

მერე სეტყვასავით წამოვიდა.

— სიმონიკა, გაღაირე??!

— მართალს ამბობს!

— მართალს კი ამბობს, მაგრამ რადროს ვგენია?!

— მუშახტეების მდგომარეობას ნაკლები ყურადღება ექცევა.

— ხალხს! მოიკათ, ხალხს! მოიკათ-მეთქი! მეც მათქმევინეთ. სიმონიკა, იქნება, მართალს ამბობდეს, მაგრამ ახლა აქ მაგისთანებზე ხალაპარაკოდ კი არ დავუძახებოვართ. აქ გვეკითხებიან, მდგომარეობა უბანზე სამუშაოდ რომელი გადახვალთო.

— გვეკითხებიან და გადადი! დღესვე გინ დაგება?!

— მე რატომ უნდა გადავიდე?!

— აბა მე რატომ უნდა გადავიდე?!

— მე საკითხი გვააშუქე.

— უშენოდაც გააშუქებენ.

კახაბერმა მაგიდას ფანქარი დაუკაკუნა:

— ამხანაგებო, ასლა ჩექმებზე მართლაც ნუ ვილაპარაკებთ. მაგაზე ლაპარაკის დროც მოვა. ასლა სხვა საკითხი უნდა გადაეწყვიტოთ.

— მართალია!

— ყურის გდება კი არ იცინა.

— ამხანაგო კახაბერ, შეიძლება?

— ბრძანე.

— აქ ჩექმებზე ლაპარაკის დრო მართლაც არ არის. აქ უფრო სერიოზული საკითხია გადასაწყვეტი და თავი იმიტომ შეგვიყარეს. მაგრამ, ასლა, რომ ვთქვათ, ხე-ტყის მოწოდების საქმე ჩვენთან მოწესრიგებულია? მე, სიტყვაზე, ორმეტრიანი ბიჭა მჭირდება. ეგენი კი სანგრევში სამმეტრიანებს მოათრევენ. თვითონაც წელს იწყებენ და მეც ვწვალობ, ის გადანაჭრები კი აღარც ღვთისაა და აღარც ეშმაკის. იმ თითომეტრიან გადანაჭრებს ერთმანეთზე ხომ არ დავაწებებ? სახელმწიფოსე ზარალდება. ანდა აკუმულატორები აიღეთ. სალამბეში ნათურა! მოგვემენ და — რვა საათი ენთება, წყალი არ გაუვათ. ის რვა კი არა, ორი-სამი საათი ძლივს ხრწოლავს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე აქეთ-იქიდან უფრო დინჯი, მშვიდი კილოთი მოისმა:

— თავისი ნებით იმ უბანზე არავინ გადავა, ბატონო კახაბერ.

— თავი ვის მოსძულდება!

— ჯერ აქაც კარგადა ვართ.

— არა, ნებით იქ არავინ წავა.

— რატომ?

— იმიტომ!

— კარგი პასუხია!

— ასე კია და!..

და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— იქნება, ორიოდე სიტყვა მეც მათქმევინოთ?

კახაბერმა და გუდუროსმა მოიხედეს, ანთიმოზ ჩახუნაშვილს თითი მოსწავლესავით აეწვია და წამოსადგომად ემზადებოდა.

— ბრძანეთ!

...ანთიმოზმა წინა დღეს თავის ნაცნობ ადვოკატსაც მიაკითხა, რომელსაც ასეთი გაჭირვების დროს განცხადებებს აწყობებდა ხოლმე და მოსამართლე მენაღარიშვილსაც, რაკი დავა, ბოლოსდაბოლოს, ამას უნდა გადაეწყვიტა.

ადვოკატმა — ცნობილმა მსმელმა, თამადამ, გიტარაზე დამკვრელმა და მომღერალმა იონათამ შინდაგორიძემ ანთიმოზი ჩვეულებსამებრ ხელგაშლით მიიღო:

— მობრძანდი, ანთიმოზ, მობრძანდი! ასეც ვიცოდი, რომ ამასწინანდელ ოინებს შენი უფროსები არ შეგარჩენდნენ და კიდევ რაღაცას გამოგიჩინებდნენ. ასეა, ხომ? აბა, დაჯექი და მომიყევი.

ანთიმოზი დაჯდა და მოუყვა.

იონათამი ჩაფიქრდა.

— აჰ! ესე იგი, დავაწინაურეს? და ხელფასიც მოგიმატეს? შეხედე შენ! ხო-ხო, რა ხალხია! მაგისთანა გველაძებებს ჩემს სიცოცხლეში არ შეგხვედრივარ. ეს რა მოუფიქრებიათ? ა? რა გინდა ასლა, რომ კქნა?

— იონათამ, ისევ შენ თუ მიშველი!..

— აჰ! ხელფასი ნამდვილად მოგიმატეს?

— სამი თუმნით, გესმის! სამი თუმნით!

— ხო-ხო! რომელმა მოიფიქრა, ხომ არ იცი?

— რა ვიცი... შახტის უფროსი გინდა თუ მთავარი ინჟინერი, უბნის უფროსი თუ ტრესტის მმართველი — ყველა ჩემს წინააღმდეგაა. ეგენი ბატოსან კაცს გაახარებენ?

— ეჰ, ბატოსან კაცს ვინ გაახარებს? ა, ბატონო, სხვა მაგალითი რაღად გინდა. მე რაიონში უნდა ვლპებოდე? მაგრამ არა. ჭკვიანი ხარ? ოო, მცოდნეც ხარ? ოოოო, ვაყვაცი და სამართლიანიც ხარ? აბა, აქ დაბრძანდი და ტალახი ზილე? ჩვენ კი, ეს უმეცრები, უცოდინრები და ხელმრუდები დიდრონ ქალაქებში, ასფალტზე და მარმარილოზე ვინებიერებთო. ასეა! მე კიდევ, ჩემდა საუბედუროდ, მამჩემმა გიტარაზე დაკვრა და სიმღერაც მასწავლა, თითქოს მტრებს ჩემს შესაძლებლად

სხვა მიზეზები არ ეყოფოდათ! და ვარ ასეთ დღეში! არადა, მამაჩემს უდიერი სიტყვით ვერ მოვიხსენიებ. მართლაც, რომ კაცური კაცი იყო. წითელ ხიდთან ისეთ ვაჟ-კაცს არ უპატივობა და ვერც იქეიფებს. მოიხუდე, ანთიმოზ! რა იქნება, რომ დაყაბულდე?

— რაზე, ადამიანო?!

— მაგ უბნის უფროსობას თუ რაღაც იხრობაა. რაც არ უნდა იყოს, მაინც უფროსი დაგერქმევა, წონა და პატივისცემა მოგემატება, ჯამაგირი უკვე მოუმატებათ... საქმე კი ისეთი რა უნდა იყოს, რომ შენ ვერ გაუძლევე? შენისთანა მცოდნე, გამოცდილი, მონდომებული... ა?

— არ გამაგონო!

— რატომ?

— არ გა-მა-გო-ნო!

— შენი ნება! არა, რაკი შენ დაგინიშნეს, ნამდვილად რაღაც უკუღმართი კი იქნება. მე ხომ ვიცი, ეგენი შენ როგორ გეპყრობიან. ერთი მითხარი, შენ განცხადება ხომ არ დაგიწერია? ეგ დაწინაურება თუ რაღაცა, შენ თითონვე ხომ არ გათხოვია? ნუ დამიმალავ.

— ფიქრადაც კი არ მომხვლია! ასე მიცნობ?

— ჰო. მესმის. კარგი, რა გაეწყობა? გავასაჩივროთ. ისა... არა მგონია, წაგებული დარჩე. ჩვენში თვითონ მშრომელ ადამიანის ნება-სურვილის გარეშე არც მისი დაქვეითება შეიძლება და არც დაწინაურება. კანონი მე პირადად ასე მესმის. გავასაჩივროთ, ბატონო ბრძანდები.

— მოვიგებ კი? — ანთიმოზი იონათამის ქვევასა და ინტონაციებში რაღაც იჭვსა და ყოყმანს გრძნობდა.

— მე მგონია, კი. ა? უნდა მოვიგოთ.

— განცხადებას როდის დამიწერ?

— თუ გინდა ახლავ.

— არა.

— ა?

— ხვალამდე მოვიცადოთ. მე ვიღაცე ვილაყვებ ვნაზე და თუ გასაჩივრება საბოლოოდ გადავწყვიტე, ხვალ ზუსტად ამ დროზე მოგაკითხავ. კარგი?

— ბატონი ბრძანდები!

წინათ, როცა ანთიმოზს თანამდებობი-

დან ხსნიდნენ და აქვეითებდნენ, იონათამი განცხადებებს უყოყმანოდ უწერდა და საქმესაც მუდამ იგებდნენ ხოლმე. ოღონდ ადვოკატს განცხადების დაწერასა და კოდექსის სათანადო მუხლების მომარჯვებაში თავისი გასამრჯელო მიჰქონდა. ახლა კი ადვოკატი ამკარად ყოყმანობდა და დარწმუნებული სულაც არ იყო, რომ საქმეს უთუოდ მოიგებდნენ. განცხადების დაწერაში კი თავის გასამრჯელოს მაინც წაიღებდა. ჰოდა, ანთიმოზმა იფიქრა, ფული წყალში რატომ უნდა გადაგყარო, ჯერ გავიგებ, ამ საქმის მოგება თუ შეიძლება და მერე ამის მიხედვით მოვიქცევიო. შინდაგორიძიდან რომ გამოვიდა, ბევრი აღარ უფიქრია. პირდაპირ სახალხო მოსამართლეს, სიმონ მენაღარაშვილს მიაშურა.

მენაღარაშვილმა ანთიმოზი მამინვე იცნო და ღიმილით მიესალმა:

— ამხანაგ ჩახუნაშვილს ვახლავარ! რას შეუწყუხებიხარ?

— აღარ მახვეწებენ, ბატონო სიმონ. შატის აღმინისტრაციის ყოველი ნაბიჯი ჩემდამი შურისძიების გრძნობითაა ნაკარნახევი. თავს თუ მოვიკლავ, თორემ სხვა გზა აღარ დამჩნენია.

— როგორ გეკადრება!.. ახლა რაღა გვინდათ?

— ახლა ვითომ დამაწინაურეს.

— „ვითომ დაწინაურება“ რას ჰქვია?!

— აი, ბატონო, თქვენის თვალით ნახეთ. — და ანთიმოზმა მენაღარაშვილს კახაბერის ბრძანების ასლი გაუწოდა.

სიმონმა ყურადღებით ჩაიკითხა.

— ეს „ვითომ“ კი არა, მართლა დაწინაურებასა ჰკავს!

— მე თვითონ თუ არ მინდა?

— რა არ გინდა?!

— ეგ დაწინაურება.

— დაწინაურება რატომ არ უნდა გინდოდეს?! კაცს პატივისცემა, სახელი, ჯამაგირი, პრემია, მდგომარეობა — ყველაფერი გემატება და — არ გინდა?!

— არა, ნდომით, ვთქვათ. ეგ ყველაფერი კი მინდა, მაგრამ... განცხადება რომ არ დამიწერია, დამაწინაურებთ? ეს კანონის დარღვევა არ არის?

— ეჰ, ანთიმოზ ჩემო! ალბათ დაინახეს რომ მუყაითი, საქმის ერთგული, პატროსანი ადამიანი ხარ და ამიტომ გაწინაურებენ. აბა ისე ვინ დაუწინაურებიათ? განცხადება კი არა სახსენებელია? არც იესო ქრისტეს დაუწერია განცხადება, კუარტე გამაყარითო, მაგრამ გააკრეს და მას აქვთ მთელ ქვეყნიურებას მასზე ალოცებენ.

— დამეჩინო, ბატონო სიმონ?

— როგორ გეკადრება, ანთიმოზ ჩემო, როგორ გეკადრება! დავინება რა შუაშია, მაგრამ ამდენი ხნის მოსამართლე ვარ და ჯერ ასეთი საჩივარი არ შემომსვლია. — არიქა, მიშველეთ, მაწინაურებენ, ჯამაგირს მიმატებენ და გადამარჩინებთო. მე, როგორც მოსამართლე, შენ განცხადების დაწერას ვერ აგიკრძალავ, მაგრამ... სიმართლე უნდა გითხრა, ბევრს ვერაფერს დაგპირდები.

— ვერა?

— ვერა. ნამდვილად. წადი ძმავო და იმუშავე. წინდაწინვე შეცდომებზე და უბედურებაზე კი ნუ იფიქრებ, საქმეზე იფიქრე და შეცდომაც ნაკლები მოგივია.

ანთიმოზი წელმოწყვეტილი წამოვიდა. ყოველგვარი იმედი გადაეწურა, მთელი დამე დარდისაგან თვალი არ მოუხუჭავს.

სულ ამას ფიქრობდა, კახაბერსა და გუდუნს როგორმე თავი უნდა მოეშვენიო, იქნებ შემობრალონ და ამ ხათაბალას გადამარჩინონო. მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.

...მემახტეთაგან ანთიმოზს არავინ თანაუგრძნობდა. მის უბანზე გადასვლა ფიქრადაც არავის მოსვლია. შეიძლებოდა უბანი მუშებით ვერ დაეკომპლექტებინათ და ანთიმოზი ისევე ძველ თანამდებობაზე დარჩენილიყო, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, ახალ უბანზე გადასვლა ირავლი შუბითიძემ ისურვა.

ანთიმოზ ჩახუნაშვილის „ხამთო-მოსამზადებელმა უბანმა“ ერთი კვირასაც ძლივს იბოგინა.

ანთიმოზმა თითქმის ტირილით სთხოვა, კახაბერს, ამ საქმეს მე ვერ გაგუძღვები და სიბერეს სულ ნუ გამიმწარებთ, სადმე მშვიდ ადგილზე გადამიყვანეთო. კახაბერმა მეექვსე უბნის გახსნის ბრძანება გააუქმა და გერონტი ჩაფინაფის შვებულებიდან დაბრუნებამდე ანთიმოზი მის თანამდებობაზე დანიშნა.

— ის ბიჭი დღეს-სვალ დაბრუნდება, კახაბერ ბატონო?

— მაშინ რამეს გამოგინახავ. ახლა კი გამშორდი!

თამი ბიჭებს

მიტუმა კაიმაშიშვილს და მისიანებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, შახტის სასადილოში ჯიბრაილს ნეტორ ბუბაშვილი რომ შეახვედრეს. მეორე დღეს ჯიბრაილი ზედა სანგრევეს ამაგრებდა. თანაშემწე ადრე გაუშვა და თვითონაც მალე უნდა წამოსულიყო. სანამ უკანასკნელ ბიგას ჩადგამდა, სულის მოსათქმელად ტრანსპორტიორზე ჩამოჯდა. სწორედ ამ დროს ბნელით მოცულ სანგრევეში ქვევიდან, შუათანა შტრევიდან ვიღაც შემოვიდა, ნათურა მოიმარჯვა და სანგრევეს აურქარებელი ნაბიჯით ამოჰყვა. გზადაგზა ბიგებს ნათურას უშვერდა და

გულდასმით ათვალევებდა. ერთიორჯერ ნათურა სანგრევის ჭერსაც მიუშვირა. ჯიბრაილს თითქოს გულმა უგრძნო, ის კაცო ვინც უნდა ყოფილიყო, და, მართლაც, სუთი წუთიც კი არ გასულა, რომ ჯიბრაილს თავზე მიტუმა კაიმაშიშვილი დაადგა.

— კარგი გამარჯობა, ბატონო ჯიბრაილი!

— გადმარჯოს! — ჯიბრაილმა ახადგიმად წამოიწია.

— იყავი, იყავი. ნეც ჩამოგვადები. სულს მოგივთქვამ. — მიტუმა ბიგის გადანაჭერზე ჩამოჯდა. — სადმე გეჩქარება?

— არსად?

— ძალიან კარგი. შენთან სალაპარაკო მაქვს. მაგრამ... ნეტავი, ეს სანერვეი კარგად ნიავდება? დღისით რამდენჯერაც შეხვალ, იმდენჯერ სძინავთ. — შიტუშამ თავი ასწია და შიხხედ-მოიხხედა, თითქოს ამ გზით უნდოდა, გაეყო, სანერვეი კარგად ნიავდებოდა, თუ არა. — დილას აქეთთა შახტში ვგდივარ, მოწვევა ისე მომინდა, რომ — რაღა გითხრა! ყველაფერს ახლა ის აჯობებს, რომ ზევით ავიდე და ჩემს გემოზე გავაბოლო. მაგრამ ზევით შენთან დალაპარაკებას ვეღარ მოვახერხებ. იქ ეს საქმე ძალიან ჭირს, — შიტუშამ ჯიბრაილს აღმაცერად გამოხედა. — აქ მოწვევა კი საშისია. მეთანს, იმ ოხერს. მკვებსენება, სუნი არა აქვს, ფერი და გემო. ისე შემოგეპარება, რომ ვერც კი გაიგებ. ა? რას იტყვი?

— არაფერს.

— გავაბოლო?

— გააბოლოე. მაინც ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

— სიკვდილამდე ვერ შორსაა. ისე, ჰაერის ჭავლი კი იგრძნობა. — შიტუშამ უკან გადაიხარა და ქვანახშირის ფუნას ხელი მიადო. — კი, აი, იქიდან, ზევიდან, სუფთა ჰაერის ნაკადი შემოდის. ა? ეპ! რაც იქნება, იქნება! — მან ბრუხუნტის კურტკა გაიხსნა, გულის ჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოიღო, სიგარეტს თავი მოუსრისა და, სანამ ასანთს მოუკიდებდა, ერთხელაც მიმოიხედა. — აბა ერთი, ორი, სამი! — ასანთი გაკერა, სიგარეტს მოუკიდა და გამარჯვებული დიმილით მიმოიხედა. — გადაფრჩით. ახლა თუ გინდა, შენც გააბოლოე.

— გაქვს კი?

— მომეტებნება. აპა! — შიტუშამ ჯიბრაილს სიგარეტი მიაწოდა და კიდევ მოაკიდებინა. — შენ, გეტყობა, უკაპიტოსოდ დიდხანს ძლებ. ა?

— რამდენიც გინდა.

— ჰო... მე კი, არ იქნა და, უკაპიტოსობას ვერ მივეჩვიე. შახტში რა გადაუდებელი საქმეც არ უნდა მქონდეს, ყოველ ერთ საათში ზევით გავრბივარ და... ან კიდევ ასე, უხიფათო ადგილას შე-

ვიყუევები ხოლმე... მაგრამ რა იცი, ამ უუნეთში რომელი ადგილია უხიფათო და — რომელი უხიფათიანი? მომხდარა, მე თანის შემმოწმებლებს ჩამოუვლიათ და ვერაფერი შეუნიშნავთ, სანერვეი კი მაგ ოხრით გამოტენილი ყოფილა. არ შეგიმჩნევია?

— ბევრჯერ.

— ჰო... მე თუ შეგამჩნიე, შენც შეამჩნევდი. ა?

— ნამდვილად.

— ახლა, ჩემო ჯიბრაილ, ეს მითხარი: ნესტორია ბუბაშვილმა — რაო?

— არაფერიო.

— შენს გვერდით მთელი საათი ტყუილად იჯდა?!

— სხვა საქმეებზე ვლაპარაკობდით.

— მაინც — რაზე?

— დაკითხვას მიწყობ?

— რაც გინდა, ის დაარქვი.

— ნეტავი, ომი არ იქნებოდესო.

— მაგ უდღვეურისთვის სულერთი არაა, ომი იქნება, თუ არ იქნება? ცოლი მაგას არ ჰყავს, შვილი და ძირი.

— აწი შეირთავს.

— ალბათ.

— რატომ, რა!.. პატიოსანი, მშრომელი კაცია... ერთი დედაკაცი აღარ ეკუთვნის?

— ეგ თვითონ დედაკაცებმა გადაწყვიტონ. შენ კი, ჩემო ჯიბრაილ, იქნება, უკეთესი ძმაკაცები შეგერჩია? ნესტორია ლენჩი რა შენი ამხანაგია?!

— რატომ?

— ისე. მოდი, რას გეტყვი, იცი? მაგას მოემგი და ისევე ჩემთან იამხანაგე.

— მაგაზე... ცოტა ადრე უნდა გეფიქრა.

— იმ კრებაზე რომ გაგლანძლეთ? იმაზე ამბობ? იპ! ნეტავი შენ! მაინც ყველამ იცის, რომ ჩვენ მტყუანები ვიყავით. ხალხს არაფერი გამოეპარება.

— ოღონდაც!

— აბა, რაღა გინდა?!

— შე კაცო...

— მოიცა, დალაგებით ჩამოვთვალთ: კრებაზე გაგლანძლეთ — ეს ერთი. ჩვენში დარჩეს და, მაშინ მართლაც მეტისმეტი მოგვივიდა. მაგდენი მეც არ მინ-

დოდა, მაგრამ რაღა მექნა? მაგ ძალღ-
თაპირებმა ხისა თუ დააფრინეს, მერე ვე-
ლარ გაჩუმებ. პო... მერე არჩაიძემ გამო-
ვიძახა და — უბნიდან წადიო. ეს ორი.
მერე იასონ ვაშაყმაძემ „დაწინაურება“
შემოგთავაზა. რატომ. შენც კარგად იცი.
ეს სამი. მერე ქუთაისში რომ სიმაზრი გი-
კვდებოდა, ჩვენ უდისციპლინო ხარო და—
საყვედური გამოგიცხადეთ, ეს ოთხი. მე-
ტი?

— ეგ ცოტაა?

— ცოტა როგორ არის, მაგრამ... არც
ერთი ეს „ლონისძიება“ გახვერტილ კა-
პიკადაც კი არ ღირს. ყველაფერი ნაძა-
ლაღვევი და მოგონილია. ხალხს ჩვენი არ
სჯურა.

— არ ვიცი...

— როგორ არ იცი. იცი ახლა მოიხე-
დე: შენ რომ მაჯობო და შენი გაიტანო,
მე საბოლოოდ დავიღუბები. ეს თავი კი
მომეჭრება და თავმოჭირილი კაცა გინდა
ყოფილა და გინდა არა.

— მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა.

— ვიფიქრე.

— მერე?

— აღარ დამაცალეს. იმ საჭმეში ძა-
ლიან ბევრნი ვართ.

— არც ისე.

— ოცი, ოცდახუთი კაცი — ცოტაა?!

— არც ბევრია.

— მოგვერევით?

— ალბათ.

— ნესტორიას იმედითა ხარ?

— ნესტორიას, გოგისვანიძის, საკუთა-
რი თავის, კიდევ ვილაცებების...

— მაინც — როგორ მოგვერევი?

— თქვენ მტყუნები ხართ, ჩვენ კი
მართლები.

— მერე რა?

— ეს ცოტაა?

— ჩვენ ბევრნი ვართ, თქვენ ცოტანი.

— პირიქით.

— ბევრნი თქვინა ხართ?

— ბევრნი ჩვეინა ვართ.

— საიდან იცი?

— ვიცი.

— კმა!

— ასეა.

მითუმამ კარგა ხანს იყავი მემრეხი-
გარეტი ორი მოქარვით ნათესავს, ძირს
დააგდო და ქუსლით გასრისა.

— ბოდიში რომ მოგიხადო? აქ, ამ მი-
ვარდნილ სანგრევში კი არა, საჯაროდ?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ?..

— ბუბაშვილი გეცოდება?

— ბუბაშვილიც მეცოდება.

— აწი აღარაფერს დაგაკლებთ.

— ეჰ! იმ ბიჭს რაღას უზამთ?

— რომელ ბიჭს?!

— ჯარიდან რომ დაბრუნდა. მუშაო-
ბა უნდოდა და ხელეები დაიკაპიწა. თქვენ
კი უბნიდან გააჭყიეთ და ქვეყნიერება შეა-
ძულეთ.

— ვგეც იცი?

— როგორც ხედავ.

— ახლა იმას რაღა ეშველება?

— რა ადვილად ლაპარაკობ!

— სადმე მოეწყობოდა... ყველგან ჩვე-
ნისთანები ხომ არ არიან. პატიოსან ხა-
ლხში გაერიოს და იმუშაოს. ალბათ, უკ-
ვე მუშაობს კიდევ. აბა, ამდენ ხანს უმუ-
შეგარი ხომ ვერ გაჩერდებოდა.

— ამდენ ხანს უმუშევრად რა გააჩე-
რებდა! ალბათ, მართლაც მუშაობს.

— პო... ჩვენთვის კი უკან დახევა გვი-
ანდა, ჯობრაილ!

— რატომ?

— ისე. შენ თვითონ დაუკვირდი. უკვე
ექვსი-შვიდი წელიწადია, უბანზე რე-
კორდსმენები მყავს ამას ყველა მიერვია.
შახტის უფროსმაც ასე იცის, ტრესტმაც,
რაიკომმამ... მთელმა ქალაქმა... ახლა ეს
რეკორდსმენები საპნის ბუმტებივით რომ
გაჭრებიან. არ მოითხავენ, რა იქნენო?
არადა. რეკორდსმენები ყველგან ჰყავთ.

ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ?

— ასეთი რეკორდსმენები?

— ასეთია თუ ისეთია, ასეა. შენ კი
შენი სიჯიუტით, შახტის უფროსიც შეგი-
ძლებს და სხვებიც.

— არაა... თუ ვიფიქრებ. მაგას ყვე-
სძულს. აუ... უფი კაცია.

— ან რას მოიგებ? ერთი მითხარი, რას მოიგებ?

— არაფერს. მე მოგებაზე არ დავდივარ.

— ხარდიონ რაჭველიშვილის იმედი გაქვს? ახლა ტრესტში ბრძანდება.

— მე ჩემი თავის იმედი მაქვს.

— ესე იგი, არა, ხომ?

— რა — არა?! მაგ მაიმუნობას მოეშვით, მე საჯაროდ ბოღიში მომიხადეთ და — თქვენ თქვენთვის, მე კი ჩემთვის.

— მაიმუნობას შენ რას ეძახი?

— რასაც თქვენ აკეთებთ, იმას...

— ესე იგი, გამოვაცხადოთ, ხალხო, აქამდე რომ რევორდსმენი გვყავდა, სულ

ტყუილია, აქამდე თვალეში ნაცარს გაურიდითო? ხალხს ასე ვუთხრა?

— ხალხმა ისედაც ყველაფერი იცის.

— მაინც ვისი იმედი გაქვს?

— არავისი.

— ნუ ყვირიხარ!

— მიტემა! წადი, შენს გზას ეწიე.

— მე კი წავალ, მაგრამ...

— ნუ მემუქრები!

— არა, მე შენ არ გემუქრები, მაგრამ...

— გეუბნებიან, ნუ მემუქრები! — ჯიბრაილი ნელა წამოდგა. კაცის ფერი აღარ ედო.

— ეხხ!..

მიტემა წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით ქვევით დაეშვა.

□ ფასსარული იმეზა □

06041006 კაქვარაძე

ვალნოსდილი

ლიტერატურული მოთხრობა

1905 წელს რევოლუციის დასაწყისშივე ხალხმა ზურგი შეაქცია მეფის სასამართლოსა და ადმინისტრაციულ დაწესებულებებს, თვითონვე აირჩია მოსამართლეები, ათისთავები და ასისტენტები. ახლად არჩეულ მოსამართლეებს უწოდა სახალხო მოსამართლეები.

ბათუმის ნავსადგურის მუშებმა სახალხო მოსამართლედ მე ამირჩიეს, ამ მოვალეობას უხელფასოდ ვასრულებდი. რეაქციის გაძლიერების ჰორივლ ხანებში ფარხშალი არ დამიყრია და მოსამართლედ მუშაობას განვაგრძობდი.

როგორც მოსამართლე, განვიხილავდი დაქირავებულსა და დამქირავებულ შორის წამოჭრილ საღაო საკითხებს, კონფლიქტებს, ვებრძოდი შტრეიკბრესერობას და სხვ. ვცდილობდი მუშათა ინტერესები დამეცვა, განსაკუთრებით უმუშევრად დარჩენილ მუშებს ვუქმავებოდი.

1905 წლის დასაწყისში ადგილობრივი მთავრობის მითითებით, ცალკეული აქარევი ბეგების მეთაურობით, დაარსდა ე.წ. „აჭარელ მუშათა არტელი“. ოფიციალურად ამ არტელის მიზანი იყო უმუშევრად დარჩენილი მუშებისათვის სამუშაოს გამოძებნა, ფაქტიურად კი „არტელს“ სულ სხვა რამ ჰქონდა დაკისრებული, საქმე ის

იყო, რომ ამ ახალი „არტელის“ დაარსებამდე უკვე არსებობდა შავი ზღვის სანაპიროს მუშათა არტელი, რომლის წევრებად რევოლუციურად განწყობილი მუშები იყვნენ. თუმცა მეფის მთავრობამ რევოლუცია ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო, ამ არტელში დარაზმული მუშები ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ბრძოლას, ამა თუ იმ სახით, მაინც განაგრძობდნენ. გაფიცებისა და სხვა გამოსვლების დროს ისინი ერთსულოვნად, ხელისხელჩაკიდებულად მოქმედებდნენ.

ბათუმის ეს არტელი ნავსადგურის სამმართველოს თვითნებობას წინ ეღობოდა. მთავრობამ ეს გაითვალისწინა და ე.წ. „აჭარელ მუშათა არტელს“ დააკისრა ასეთი შემთხვევების დროს მუშების გამოყვანა. ამ არტელს დავალებული ჰქონდა შტრეიკბეხერთა სამარცხვინო როლის შეზრულება. არტელის მეთაურებმაც ეს საზიზღარი დავალება სიამოვნებით იკისრეს. არტელში თავმოყრილ მუშებს კი სინამდვილეს უმაღლედნენ.

მოწინავე მუშებმა, რომლებიც ზღვის სანაპიროზე მუშაობდნენ, გადაწყვიტეს ამ „არტელის“ წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მოწინავე მუშებს ხათავეში ჩავედგეკი და დაიფყვე მუშაობა შტრეიკბეხერთა გამოსამყვანებლად. ამ საქმეში ზია აბაშიძე მუხმარებოდა.

მოკლე ხანში ბათუმელმა მუშებმა გამარჯვების, რომ „არტელის“ მეთაურები ფარეხა-ქარხნების პატრონებისაგან თითოეულ მუშაზე 1 მანეთსა და 80 კაპ. დაულობდნენ, მუშებს კი მხოლოდ 50 კაპიეს აძლევდნენ.

ეს ქურდები საბუთებით ხელში ამხილეს და მუშათა დეპუტაციის მეშვეობით ველაფერი მამინდელ გუბერნატორს შეატყობინეს. მთავრობა იძულებული გახდა, ეს სახელგატყობილი „არტელი“ გაეუქმებინა.

1904 წელს ბათუმში სოციალ-დემოკრატიის პარტიის ბიურო ჩამოყალიბდა: იმ ხანებში მე და ვუხანლოვდი ამ პარტიას და 1906 წლამდე მის ერთ-ერთ აქტიურ წევრად ვითვლებოდი.

შემდეგ კი მე ჩამოვეშორდი ამ პარტიას, და მოხდა ისე, რომ ყოველგვარი პარტიის გარეშე დავრჩი. მიუხედავად ამისა, მე თანავეგრძნობდი და ხელს ვუწყოფდი ყველა მებრძოლს, რომელიც თავისი აქტიური მოქმედებით ძირს უთხრიდა მეფის დროშოვულ რეჟიმს.

ფხიზლად მოაზროვნე ადამიანისათვის უკვე მანინვე ნათელი იყო, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც ხალხის ნათელი მომავლისათვის იბრძოდა — ეს იყო ბოლშევიკების პარტია, ლენინის პარტია. ეს პარტია ედგა სათავეში ბათუმის მუშათა ბრძოლასაც და მეც, როგორც უკვე ვთქვი, თანავეგრძნობდი მათს კეთილშობილურ საქმეს. მათთან ერთად მოვეუროდებდი ბათუმის ოლქის მშრომელ მოსახლეობას მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ სამუსლიმანო საჭარათველოს ხალხი ყოველთვის დიდი ნდობით და პატივისცემით მეპყრობოდა. ეს გარემოება მთავრობას აიძულებდა ჩემთვის ანგარიში გაეწია. ერთხანად არაერთარ საშუალებას არ ზოგავდნენ, რათა ჩემი გული მოეგოთ: მეფის ბოძოლა მოხელენი მოფერებოდნენ, შელაქუცებოდნენ, მაგრამ, როდესაც ამ ხერხმა არ გაკრა, მაშინ რეპრესიების გზით დამიწყეს ბრძოლა.

1904-1905 წლებში სასტიკი შევიწროვ-

ბას განვიცდიდი; ბათუმის გუბერნატორის ფონ-პარკუს და მისი თანაშემწის, ქრთმაცხლე ნოვსკის მოხსენებაში, რომელსაც შეტყობინებდა მოადგილესაც გადაეცა, დიდი აზბით აღნიშნულია, რომ მე, მემედ აბაშიძე ვარ მანვე, საშინი კაცი, ქვეყნის დამტყვევი, ამომგდები, ხელისუფლების მტერი...

მეფის მთავრობამ განმათავისუფლებელი მოძრაობის დასასუსტებლად და ჩასახშობად მთავარ ამოცანად დაისახა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთა შორის მტრობა-შუღლი დაეთესა და არავითარ ბინდურ საშუალებას არ თავილობდა თავისი მიზნის მისაღწევად.

შინა ვარ. ადრე დილით გამაღვიძეს და მითხრეს, — სომხებს თქვენი ნახვა უნდათო. შინაურებს დაევალო, სასტუმრო ოთახში შემოეყვანათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასამდე სტუმარი მოსულიყო: მამაკაცები, ქალები, ბავშვები... ეზოში მელოდებოდნენ.

სასწრაფოდ ტანთ ჩავიცვი და სტუმრებისკენ გავიშურე, ამ შეწუხებულ ხალხს გაოგნებული შევცქეროდი, მისალმებაც კი დამავიწყდა. ჯგუფს ჭაღარა მოხუცი გამოეყო. აკანკალებული ხმით ძლიერს გასაგონად ლაპარაკობდა:

— მემედ-ბეგ, გვიშველე, გვიშველე... დასოცვას გვიბირებენ.

— ბრძანეთ, რა მოხდა?

— წუხელ სომხების სახლები შავი ჯვრებით აღუნინავთ. მაჰმადიანები გაყლტვას გვიპირებენ... თურქეთში ასე იქცევინ, როცა სომხების დახოცვა უნდათ. გვიშველეთ, შენი შუსლების ჭირიმი!

მოსუცმა ლაპარაკი ვეღარ შეძლო. ხველებმა აუტყდა. ქალები, ბავშვები გულმოსაკლავად შულქუნებდნენ.

აღელვებულმა, აღშფოთებულმა სათქმელი სიტყვა ვერ ვიპოვე... შემინებული ხალხი შემომცქეროდა.

— მეზობლებო! — ძალა მოვიკრიბე და ვთქვი, — აქ თურქეთი არ არის და სანამ ჩვენ სული გვიდგას, ასეთი საზიზღრობა აქ არ მოხდება. გთხოვთ, თქვენს სახლკარს დაუბრუნდეთ. ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრება განაგრძეთ, პრო-

ვაკატორებს ყურს ნუ უგდებთ...

დაიმედებულმა პომხებმა თავიანთ ბინებს ზიაშურეს.

მე მაშინვე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლების სანახავად წავედი. გამოირკვა, რომ ეს პროვოკაცია მთავრობის მოწყობილი იყო. სომეხთა ბინებზე ჯვრები მართლაც დაესხათ. მეთვალყურე კომისია შეიქმნა, თავმჯდომარეობა მე დამაკისრეს. საჭირო იყო ამ უბედურების თავიდან აცილება. საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობას სათავეში ჩაუდგა რსდმპ ბათუმის კომიტეტი. ბოლშევიკებს გვერდში ამოუდგა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. ენერგიულ მუშაობას ვეწეოდით ხოცველტის თავიდან ასაცილებლად. ვმონაწილეობდი იმ გრანდიოზულ მიტინგში, რომელიც 18 თებერვალს გაიმართა. მუშებს ვარდა, ამ მიტინგს ბევრი სხვა მშრომელიც ესწრებოდა. ორატორებმა დაგმეს მეფის მთავრობის ეს ვერაგული მოქმედება. მ. ფედოროვთან და სხვა ბოლშევიკებთან ერთად სიტყვით მეც გამოვედი. ყველა ერთგების მშრომელებს მოვუწოდებდით ძმობა-ერთობის განსამტკიცებლად და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

20 თებერვალს მუშების მიტინგი და დემონსტრაცია მოეწყო. სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით პოლიციელები და ჯარისკაცები თავს დაესხნენ მუშებს. ამ შეტაკებაში, რომელიც ერთ საათზე მეტს გაგრძელდა, ორმოცამდე მუშა მოკლეს და დაჭრეს.

1905 წლის 10 ივნისს თბილისის საადგილ-მამულო ბანკში გამართა ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლობითი კრება. თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე აირჩიეს, მის მოადგილეებად — ბაქოდან გაზეთ „კასპიის“ რედაქტორი თოფჩიბაშვილი და მე; მდივნად — ვასილ ყიფიანი. კრებას უნდა განეხილა მთავრობისათვის წარსადგენად პეტციციები და დაესახა საერთო მოქმედების გეგმა.

აქვე ვითათბირეთ ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობისა და, კერძოდ, სო-

მებ-თათართა კონფლიქტის მოგვარების საკითხზე.

ამ კრებაზე მეც წარმოვთქვი სიტყვა.

ჩემი გამოსვლის თაობაზე გაზეთი „ივერია“ წერდა: „ბ-ნ აბამიძის სიტყვას საზოგადოება ვაშას ძახილით და ხანგრძლივი ტაშის კვრით მიეგება“.

ჩემთვის კი ყველაზე დიდი ჯილდო იყო ილია ჭავჭავაძის ღიმილი, რომლითაც იგი შემზავდა სიტყვის დამთავრების შემდეგ.

თბილისში ჩემი ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად გამართულ ნადიმს დავესწარი. აქ იყვნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკენი...

ილია საპატიო ადგილას დაებრძანებინათ. ყველას ყურადღება მისკენ იყო. პირველი სასმისი ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელებლად მე შემომთავაზეს, როგორც სანუსლიმანი საქართველოს წარმომადგენელს, ქართველ პატრიოტს.

ამ დავალებამ ანაღლევა, მაგრამ არ შევიძინე და წამოვდექი. აზარაფემა მომამწოდეს. სუფრა სმენად გადაიჭვა, გაინაბა... შორიდებით დიასახლისი მოვახმე და ეთხოვე აზარაფემა ღვინის ნაცელად ბუნებრივი წყლით ივსო. დიასახლისი გაოცდა, დაინაბა... არაფერი მკადრა, თხოვნის შესასრულებლად დარბაზიდან გავიდა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

ყველა, გაკვირვებული, მოწიწებით ილიას შესტყუროდა: მას სახე შეუწითლდა, მოედრუბლა.

რალაც უჩვეულოს მოელოდნენ...

შემდეგ ჩემმა მეგობარმა გერონტი ქიქოძემ მითხრა: ამ არაჩვეულებრივ, დაძაბულ ვითარებაში გაისმა შენი ხმა, დიწხი, მთამგაონებელი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდაო.

— მე უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს, ღვინით — ამ ხელოვნური სითხით დავლიო სადღეგრძელო იმ ადამიანისა, რომელსაც სავსებით სამართლიანად საქართველოს გონიერებას ვუწოდებთ.

ბოდისს ჯიხდი თანამესუფრეებთან. ნავრამ უნდა გაგაშენოთ, ღვინო საწინახელში

როგორ წარმოიშობა... მას ხელოვნურობა თან ახლავს.

მე ამ დიდებუებოვანი ადამიანის, ჩვენი ერის მოძღვრის სადღვერძელო ბუნების წყლით მსურს დავლით, რადგან ეს უფრო შეესაბამება მის უანგარო და ფაქიზ ბუნებას.

არაბთა ბრძნული თქმისა არ იყოს „წყლით ხელდგმულობს დედამიწაზე ყოველი“. ჩვენ, ყველას, განგვიცდია წყურვილის ძალა, რამდენჯერ დავწაფებივართ წყალს და ბუნების ამ მაცოცხლებელი სასმელით დაგვანამავს ჯერ მხურვალებისაგან შემშრალი ბავენი, ხოლო შემდეგ რა აუწერელი სიამით გვიგრძენია მთელი მისი სიგრძლე. აღმოსავლეთის გამოჩენილი მეოსნების პოეზიაში წყალს საპატიო ადგილი ეთმობოდა. ისინი საყვარელი ადამიანის სისპეტაკეს წყლის სიწმინდეს ადარებდნენ და წყლის დინების საამო ხმას აიგივებდნენ მიჯნურის ბუტბუტთან.

და მეც, როგორც თქვენს თანამეფურეს, ხრული შედნებით მსურს შეფხვა ჩვენი ერის სასიქადულო შვილის, ჩვენი ილიას სადღვერძელო, როგორც უსაყვარლესი და უსპეტაკესი ადამიანისა...

ილია წამოდგა და შუბლზე მაკოცა. მერე ჩვეულებრივად განვაგრძეთ მოლხენა.

რეაქციის შავბნელი ძალები არ ცხრებოდნენ და ერთა შორის შხამის თესვას განაგრძობდნენ. ამ მიზნით ვათ მოკლეს მოლა. პოლიციამ ეს ხელზე დაიხვია და სომხების მიმართ ცილისმწამებლური აგიტაცია გააჩაღა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით გაზაფხულის მიწურულს ქალაქის გამაგეობის ეზოში დიდი მიტინგი გაიმართა, რაც ამ მკვლელობით გამოწვეული მდგომარეობის განხილვას მიეძღვნა. ნუშაორატორებთან ერთად სიტყვებით გამოვიდნენ მშრომელთა სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები.

ყველა ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყველა ეროვნების შეკავშირება, მშრომელთა საერთო ბრძოლა თვით-

მყრობელობის წინააღმდეგ. ბერძენმა მწიგნურმა მარკ მეტაქსამ და სხვა ორატორებმა სიტყვები დაამთავრეს მგზნებარე მოწოდებით: „ძირს თვითმყრობეობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“

მეც წარმოვთქვი სიტყვა, როგორც ინტელიგენციის წარმომადგენელმა.

პოლიციას ამჯერადაც ჩაეფუშა ვერაგული გეგმა. მიტინგმა გადაწყვიტა საყოველთაო გაფიცვის მოწყობა.

900-იანი წლების დამდეგს მიმიწვიეს მასწავლებლად ბათუმის ქართულ სკოლაში, სადაც თურქულ ენასა, მუსლიმანურ საღვთო რჯულს და ხატვას ვასწავლიდი. ამას გარდა, ვმასწავლებლობდი ბათუმის მედრესებშიც.

ამ სკოლებში სოჯა-მოლები საღვთო სჯულს არაბულ ენაზე აზეპირებინებდნენ მოწაფეებს, ახსნა-განმარტებისათვის კი თურქულ ენას იყენებდნენ. რაც შეეხება ქართულ ენას, თურქული ენის სწავლების დროსაც კი გაურბოდნენ და უფრო ე. წ. „მუნჯურ მეთოდს“ იყენებდნენ.

ასეთი სწავლებით მოწაფეები ქართულ ეროვნულ ნიადაგს სცილდებოდნენ. ახსნა-განმარტებისთვის საჭირო იყო ქართულის — მშობლიური ენის გამოყენება და ამგვარად ქართული ენის შენარჩუნებისათვის ხელის შეწყობა.

სწავლების მეთოდი ძირფესვიანად შეცვალა. ქართულ სკოლაში შემოვიღე თურქული ენისა და საღვთო სჯულის სწავლება ქართულ ენის მეშვეობით. ასე მოვიქცევი მედრესებშიც.

სწავლების პროცესში მოწაფეებს შიგა და შიგ ვაწვდიდი ცნობებს მათ ეროვნულ ვინაობაზე, ქართველი ხალხის წარსულზე, ლიტერატურაზე, მათ ახლანდელ მდგომარეობაზე და სხვ. გამოვიყენე ჩემი სათაყვანებელი მოსე მასწავლებლის პრაქტიკა. ამიტომაც პედაგოგიურ მუშაობას დიდი ხალხით და ენერგიით ვეწეოდი, მაგრამ ჩემი ასეთი მოღვაწეობა ბევრს არ მოსწონდა. ეს არ სიამოვნებდა მეფის მთავრობის წარმომადგენლებსაც. ჩემი სწავლების მე-

თოდი ხოჯა-მოლებსა და თურქოფილებს შორისაც უკმაყოფილებას იწყვედა. იბინი მეფის მთავრობას ერთგულებას ეფიცებოდნენ, მაგრამ ამავე დროს ცალი თვალი ოსმალეთისაკენ ეჭირათ. მეფის მთავრობასთან იბინი მასმენდნენ.

ქართულ სკოლაში ოთხ-ხუთ წელიწადს ვასწავლიდი. ამ სკოლის შემდეგ მედრესეებსაც გამოვეთხოვე.

მასწავლებლობის დროს აზრად მომივიდა „ყურანის“ ქართულ ენაზე გამოცემა; ქართულ ენაზე თარგმნილ „ყურანს“ მუსლიმანი ქართველები მშობლიურ ენაზე გაეცნობოდნენ. მაშინ ამას მნიშვნელობა ჰქონდა — უცხო ენას ქართული ენა შეეცვლებოდა.

„ყურანის“ თარგმნა ვთხოვე ჩემ დიდ მეგობარს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს პეტრე მირიანაშვილს. დამეთანხმა.

ეს მნიშვნელოვან საქმედ მიიჩინეს და აქტიურად მხარი დაუჭირეს წერა-კითხვის საზოგადოებამ და თბილისის გუბერნიის სათავადაწნაურო საკრებულომ, საამისოდ საჭირო თანხაც გაიღეს.

„ყურანის“ თარგმანს რედაქცია მე გავუკეთე. წიგნად ათასობასი ცალი გამოცემა. ხუთასი ცალი უფასოდ დაგურჩევ ხალხს.

პოლიცია „ყურანის“ გამოცემით დაინტერესდა, ვიღაცამ დაგვასმინა, თითქოს ეს წიგნი მე და ზია აბაშიძეს გვეთარგმნოს.

მაგრამ მთავარი ეს რთვი იყო. პოლიციას შეუმჩნეველად არ დარჩა, რომ „ყურანის“ ტექსტში გამოვეტოვეთ ერთი ფრაზა:

„ყოველი მართლმორწმუნე მუსლიმანი ვალდებულია დაემორჩილოს იმ მთავრობას, რომლის ქვეშევრდომიც არის“.

„ყურანიდან“ ამის გამოტოვება საჭიროდ ჩავთვალეთ იმ განზრახვით, რომ ხალხს შეეგონო: მაჰმადის სარწმუნოება არ გვიშლის ცარიზმის უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ავიმადლოთ, მას ურჩობა გავუწიოთ და ჩვენი ინტერესები დავი-

ცვათ. თუ მოსახლეობის ფართო მასები ამას შეიგნებდნენ, მაშინ ატიტუტა-პროპაგანდა გაგვიადვილებოდა, და ეს შეტანაყოფსაც მოიტანდა.

1906 წლის დამდეგს, ღამით, კოკისპირულ წვიმაში ნიკოლოზ ქილიფთარი მეწვია. წინკარში გაჩერდა.

— ერთი წუთით შემოვირბინე, — მითხრა მისალმების შემდეგ, — ასლან-ბეგ აბაშიძის დაპატიმრება ვადაუწყვეტიათ — ქალაქი გადმოშვა და მითხრა: — აი, აქ გადმოვიწერე განკარგულება, — თქვა ეს და იშრასვე გაქრა.

ქალაქში წაგიკითხე: „ასლან-ბეგ აბაშიძე რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილეა, ჰყავს ბერძანის თოფებით შეიარაღებული რაზმი. რაზმელებს ჩაქურა აცვიათ, მკლავზე წითელი ლენტია აქვთ...“

მუშათა გამოსვლების დროს კაზაკთა პატრულები პეტერბურგის ქურაზე წესრიგს აწყობდნენ; ასლან-ბეგის რაზმი თავს დაესხა კაზაკთა პატრულებს და მიმოფანტა. ქალაქის ცენტრში აღმართული ბარიკადების დაცვა იკისრა...

ამ გაუგონარ თავხედობას, მეფის მთავრობის ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევას ბოლო უნდა მოეღოს.

გზრძანებ ასლან-ბეგ აბაშიძე შეგრობილი იქნას, თუ არ დაგნებდებათ, ადგილობრივ გაუსწორდით. მისი რაზმი გაანადგურეთ“.

იმ დამესვე მივიღე ზომები ასლანის გასაფრთხილებლად. მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი. ამ თემბაში მთელი თვე გავიდა. იგივე ქილიფთარი მოიტრა ჩემთან სადამოს და მაცნობა:

— პოლიციამ ალყა შემოარტყა სახლს, სადაც ასლან-ბეგი ცხოვრობს. პოლიციელები თავს არ ზოგავენ ასლანის შესაპყრობად. როგორც ნანს, ასლანი შინ არის.

რა ზომები მიმეღო ძმის გადასარჩენად, თვითონ დასატყუარად მქონდა საქმე. ადგილს ვერ ვპოულობდი... თავი ველარ შევიკავე და წასახლეულად მოვემზადე... სეფურე

წინ გადამიდგა. ასეთი მრისხანე და მტკიცე არასოდეს მინახავს.

— გინდა ოჯახი დაღუპო და პოლიცია გაასარო, თავი სასაცილოდ გაიხადო... მგლებს ორივე ძმა ჩაბარდეთ?! ბევ, გთხოვ, დაფიქრე... თორემ მეც თან წამოგვყვები... ძალა აღარ იყო... უცბად მოვიყვა და გულმოსკენილად ატირდა...

მეორე დღეს გავრგე, რა მოხდა: თურმე პოლიციამ უბრძანა მობინადრეებს დაცვალათ სახლი. სულ ბოლოს სახლიდან გამოსულა რამდენიმე ჩადროსანი ქალი... ისინი ყოფილან ასლან-ბეგი და მისი რაზმელები...

სანამ პოლიცია ამას მიხედებოდა, რაზმელებს ქალაქიდან გახვლა მოუხწრიათ.



1907 წლის აგვისტოში არაერთი უბედურება შემემთხვა. ჯერ იყო და ქუჩაში ვიღაც არამზადა თავს დამეხსა, შეუმჩნევლად მომეპარა და რამდენიმე ადგილას ბებუთით მძიმედ დამჭრა. ამის შემდეგ თავდამსხმელი რევოლვერით სამ ადგილას მსუბუქად დაგჭერი, დაეცა. მე საავადმყოფოში წამიყვანეს.

ამ კაცს თურმე ბევრი იცნობდა, როგორც არცთუ სახეებით ნორმალურს. მამინე, ჭრილობის შეხვევის შემდეგ, შემატყობინეს, რომ უკვე გაიცა საიდუმლო განკარგულება — მუსილმან ქართველებს აცნობონ — მემედ-ბეგ აბაშიძე მოკლესო. აშკარა იყო, პოლიცია რაღაც პროვოკაციას ამზადებდა. მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად, გალაქტიონ ასათიანის მშვეობით დაუყოვნებლივ გამოვიძახე ჩემი ძმა ასლანი. ვერ გაეთვალისწინე, რომ იგი მთავრობას ემალებოდა. მისი გაფრთხილება მინდოდა, ზომები მიეღო ამ ახალი პროვოკაციის წინააღმდეგ. ჩემთან მოსული ასლანი დააპატიმრეს...

იმავე ხანებში შევიტყე — გუბერნატორი ფონ-პარკაუ ცდილობს თურმე, ჩემი დაპატიმრებისა და გადასახლების ნებართვა მიიღოს თბილისიდან.

ამას კიდევ უფრო თავზარდამცემი ამბავი დაერთო, ილია ჭავჭავაძე მოკლეს ბნე-9. „მთაბი“, № 10.

ლი რეაქციის შესვეურებმა. სამიძიარის დეპუტა გავგზავნე:

„ქართველი მაჰმადიანები, აღმოუბნეულნი, ნიჭიერი მგოსნის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ერთგული მწუხარებისა. ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტმოქმედების გამოსა-ვლევად, რომ ამით მაინც შეიშაბუქონ ეს დიდი სახალხო მწუხარება.“

მოსვენებას ვერ ვპოულობდი ამ დიდი აღაშაანის, ქართველი ხალხის პატრონის — ილიას დაღუპვის გამო. თუმცა ჯერ კიდევ სუსტად ვყავი, თბილისს გავემგზავრე და ქართველთა მამას მის წმინდა საფლავთან გამოვეთხოვე...

რეაქციის თარეში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამის გამო ჩემი გულისტკივილი გამოეტჭი, გამოვაქვეყნე წერილი „ქართველი მაჰმადიანების გამოხმაურება“. მოვიყვან ცალკე ადგილებს ამ წერილიდან:

„მართალია, ჩვენ, მცირე ჯგუფს, გვჯერა, რომ თვითმპყრობელი ბიუროკრატის მიერ შექმნილი უნიადაგო და წარმატალი ძალმომრეობა, რომელიც ეგვიპტელთა, მალე თუ გვიან, მათის დამარცხებით უნდა გათავდეს, — რადგან შემოქმედი ნიჭით სახეე ჩვენის მზარის ათასობით მცხოვრებნი მხოლოდ თვითმპყრობელი ბიუროკრატის სურვილ-ნებას რომ დაემორჩილონ და თავი მას ამსხვერპლონ, ამის შესრულებას თვით ბუნების კანონებიც არ დაანებებს. ესეუ არ იყოს, ამდენის განუსაზღვრელი უსამართლობით, ათასნაირი უბედურებით, თავისუფალი აზრების მიღევწმოდურებით, შეცნების სინათლის ჩაქრობით და ერთი დიდი წყვდიადის გამეფებით საბრალეო ჩვენს ოლქზე, თვითმპყრობელობამ ავტორიტეტი, იბტიბარი დაკარგა და, საბედუნდეროდ, ჯერ კიდევ სრულებით განადგურებულა არა ვარს და თან დღევანდელი ჩვენი უიმედობა მომავლის იმედებს ვერ შეგვიფრებებს. აწმყო თუ ვერას გვაძლევს, მომავალი არ ჩაგვჭრობია და, ცოტად თუ ბევრად, სამოქმედო ნიდაავს არ გვიკარგავს...“

სიმართლის აღსადგენად და უსამართლობის საწინააღმდეგოდ ნურავის ნუ კტონია ჩვენი შემოქმედებითი, მღვლვარე ნიჭი სრულებით გამჭრალი იყოს. საჭიროა მხოლოდ სწავლა-განათლების შტატით ერთმანეთი დავინახოთ, მტრები და მოყვრები გავარჩიოთ... და აი, სწორედ ამ სწავლა-განათლების საქმეში, ეურნალ-გაზეთების და ბეჭდური სიტყვის გავრცელებით, ლეგციებისა და რეფერატების საჯარო ციხვა-მოსმენით, ჩვენ სიმომე ქართველებს დიდი სამსახურის გაწვევა შეუძლია ჩვენთვის. და მაშინ, რაც კერძოდ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, გვიძნელდება და (ქრისტიანი) ქართველებს ეხერხებათ, დიასაც ადვილი შეიქმნება, რადგან ძალასაც და პროგრესული წინსვლელობაც ერთობაში და ერთმანეთის გაგებასა და სოლიდარობაშია. ეს თანხმობა თუ გვიხსნის ჩვენ განადგურებისაგან, მით უფრო ესლა, როცა ისე აირია ქვეყანა, რომ ძალდი პატრონს ვვლარ სცნობს... სხვა ყოველივე ამო და უნაყოფია!..“

1908 წლის თებერვალში სოსიკო მდივანმა ვვაცნობა, რომ შტაბში გუბერნატორის სახელსე მდებულება დამიფრული ღებემა — განკარგულება მემედ-ბევის, ზია-ბევისა და რიზა-ბეგ აბაშიძეების დასაპატრიმრებლად.

იმ დღეებში ზია-ბეგს დედა გარდაეცვალა. განსვენებული სასწრაფოდ დაკრძალეთ და შინ გავეშურეთ, უცხოეთში გასაქცევად რომ მოვმზადებულიყავით.

ეზოში შევედი. სეჟურე ფანჯარაში იცქირებოდა, მგლოდებოდა.

— ბეგ, არ ვიგვიანებთ?

— მომიტევე... — ვუთხარი და სახლს მივაშურე.

დავიბენი, რა წავიღოთ?... ჩემს სამონადირეო საქურველს შევაღვლე თვლი. მქონდა ცნობილ ფირმათა თოქების იშვიათი ნიმუშები: ოციანი, თექვსმეტანი, თორმეტანი კალიბრისა, ერთი რვაკალიბრიანი, დატენილი ნახევარ ფუთამდე იწონიდა. ბოლოს ჩემს ძვირფას წიგნებს მივაღვექი... როდის დაბრუნდები?... დამხვდება?...

სეჟურე ფუსფუსებდა, სამგზავრად ნიეთებს აქუჩებდა, გადავებდე და ვუთხარი: — ყველაფერი აქ დაჩნებდა წიგნიდთ მხოლოდ ბავშვებისა და ჩვენი ტანისამოსი, საგზალი. აგრქარდეთ, აბაშიძეები, საცა ცხენებით მოგვაკითხავენ...

სეჟურემ შემომხვდა და ცრემლები მოერია...

• • •

სახლვარი გადავლახეთ. ხოფაში თურქებმა დავვაპატრიმრეს, ტრაპიზონის ციხეში მოგვთავსეს. ვაის გავყვართ, ვუის შევეყართ.

როგორც შემდეგ გამოვარკვეით, დავვაპატრიმრეს როგორც აქტიური რევოლუციონერები. ბათუმში მყოფ თურქეთის კონსულს დავუსმენივართ. ცოლმეილი ნათყავების საპატრონოდ დამრჩა.

თურქეთის მთავრობის ასეთი „მასპინძლობა“ არ გამკვირვებია. გამახსენდა ბაბუაჩემი — ბათუმის უკანასკნელი სანჯაყბეგი იუსუფ აბაშიძე, ნამდვილი ქართველი პატრიოტი, რასაც არ მალავდა, და ეს სულთანმაც გაიგო. მას აშინებდა სანჯაყბეგის ასეთი განწყობილება და გადაწყვიტა მისი მოშორება. დიდი პატივით მიიპატივა და თავისი ვერავული განზრახვა შეისრულა — მოწამლა.

„ახალგაზრდა თურქების“ მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად, აბაშიძეებიც გაგვანთავისუფლეს. ციხეში თურთმეტ თვეს დაყავით. ჯერ სტამბოლში ვცხოვრობდით, მერე ტრაპიზონში.

თურქეთში, როგორც ემიგრანტი, ვიყავი 1913 წლამდე ყოველმხრით საშინელ შევიწროებას განვიცდიდი. უსახსრობის გამო დამეღუპა ორი ვაჭი: ქემალი და ბექირი, როდესაც მესამე ვაჭი ჰამიდი მძიმე ავად გამიხდა, და არც მატერიალური, არც სხვა საშუალება აღარ გამაჩნდა შვილის სამკურნალოდ, გადავწყვიტე უვიზოდ ბათუმში დაბრუნება.

ოსმალეთში ორ ცეცხლს შუა ვიყავი: ადგილობრივი ხელისუფლება გვდევნიდა, როგორც ქართველოფილებს, ხოლო რუსეთის საკონსული თურქეთში, როგორც რე-

ვოლუციონერებს და სოციალისტებს. თუმცა ჩვენ ემიგრანტები ვიყავით, მაინც რუსეთის იმპერიის მოქალაქეებად ვითვლებოდით. რუსეთის საკონსულო ჩვენს მიმართ მეტად მტრულად იყო განწყობილი. 1909 წლიდან მისი მუშევრობით არა ერთხელ გავეზავენ განცხადება მეფის მოადგილის სახელზე, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა არ მომცეს.

1913 წელს დეპეშით ვაცნობე ბათუმის გუბერნატორს აჭარაში ვბრუნდები-მეთქი.



სეფურემ მთხოვა გამგზავრებამდე ჩვენი ქემალისა და ბექირის საფლავები ვინახულოთო. ამის სურვილი მეც მქონდა, მაგრამ ვერ ვუძეოდავინებდი.

ტრაპიზონში ქემალის საფლავს მივაკითხეთ, რისეში — ბექირისას. სეფურე გულდათუთქული უზმოდ ტიროდა, ქემალის საფლავს ელოლიავებოდა, ასუფთავებდა... ბოლოს ყვავილებს თესლი მოაბნია. საფლავს ჩაუხუტა. დიდხანს იყო ასე გარინდებული. ცრემლს ვერ ვიკავებდი, გაებედე სეფურეს წამოყენება. დამემორჩილა. გულის უბიდან მოქსოვილი ვარდისფერი ქისა ამოიღო, ზედ „ქემალი“ — ამოქარაგა, იის ყვავილებით შეეშკო. სათუთად აიღო მიწა ქემალის საფლავიდან და ქისაში ჩაიღო, უბეში შეინახა.

— ჩემო ქემალ, — ჩაიჩურჩულა, — სულ ჩემთან იქნები, საფლავშიაც...

რისეში ბექირის საფლავსაც ასე გამოვვითხოვეთ...

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

ჩემო შვილებო, ქემალ, ბექირ! ქვეყნის მამობა ვიკისრე, თქვენ კი მამობა ვერ გავცივით...

გაიგო თუ არა ჯანდარმთა სამმართველომ ჩემი დაბრუნება, მაშინვე დამატუსადა. მცირე ხნით ბათუმის ციხეში მამყოფეს, მერე კი ნოვოჩერკასკში გადასახლეს, სადაც ექვსი-შვიდი თვე დაჰყავი. დიდი ვაი-ვაგლახით მოვახერხე ადგილობრივი მთავრობისაგან ერთი თვით შევებულების აღება და ბათუმში მოვი-ნახულე გაჭირვებაში მყოფი ცოლ-შვილი.

ჩემი შევებულების მიწურულს თბილისს

გავემგზავრე, რომ როგორმე ამეცილებინა ნოვოჩერკასკში დაბრუნება, მაგრამ თბილისში დამატუსაღეს და პოლიციის სამმართველოში მომათავსეს. ცოტა ხნის შემდეგ შევებულ თავის დახსნა თავდებობით იმ პირობით, რომ ყოველდღე პოლიციის სამმართველოში გამოეცხადებოდი. ორ-სამ თვეს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, მერე თავდებობით გამათავისუფლეს და ბათუმს გავემგზავრე.

მსოფლიო ომის დაწყებისას, 1914 წლის შემოდგომაზე აჭარლებს ლალატი დაგვწამეს და, შრავალთან ერთად, მეც დამატუსაღეს, ენისეის გუბერნიაში გადასახლება მომისაჯეს.

მთავრობას ნებართვა ვთხოვე სოფელ ურეხში გამგზავრებისა, სადაც ერთი პატარა მამული მქონდა. ბადრაგმა ეტლით სოფელ ურეხში ჩამიყვანა. გულუბნამ ჩემი ჩასვლა გაიგო და ჩემს ხანახავად თავი მოიყარა. ხალხს მივესალმე და ვუთხარი:

— ჩემო მეზობლებო, გაიგებდით, ციხეში მასახლებენ, როგორც რევოლუციონერს. მინდა გადმოგცეთ ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება ურეხში. ამიერიდან ყოველივე ეს თქვენს საკუთრებას შეადგენს.

თავი ვერ შეიკავეს. დიდი თუ პატარა ქალი თუ მამაკაცი, ყველა ტიროდა.



მეტეხის ციხეში გამგზავნეს. ჩემს ოჯახს მთელი შემადგენლობით კიევიში ასახლებდნენ. ჩემი მეგობრების დახმარებით ეს უზედურება ასცდათ და თბილისში გადმოასახლეს. მეტეხში ერთ წელზე მეტ ხანს დაჰყავი. თხოვნით, მეგობრების დახმარებით ნება დამრთეს შვიდი დღით ციხიდან გამოეუსულიყავი და ცოლ-შვილი შენახა.

კვლავ მეგობრების დიდი დახმარებით მოვახერხე მეტეხიდან თავის დაღწევა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ თბილისში დარჩენა.

აი ამ მდგომარეობაში მომისწრო თებერვლის რევოლუციამ. ჩემს წამებასაც ამიერიდან თითქოს ბოლო უნდა მოღებოდა, მაგრამ იმედი ნადარევი გამოდგა.

* * *

როგორც კი მეტეხის ციხის კედლებს თავი დავადვიე, ისევ აქტიურად ჩავები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვცდილობდი ამენაზღაურებინა ის დაკარგული დრო, რაც გადასასლებასა თუ პატიმრობაში გავატარე.

ვეცნობოდი ყველაფერს, რაც გაკეთდა საქართველოში ჩემი არყოფნის დროს მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დასახლოებლად. ამ საქმეში დიდად მუხმარებოდა ჩემი მეგობარი მწერალი და დაუღალაე საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი.

ჩემი ყურადღება მიიპყრო საქართველოს ერთიანობისთვის ახალგაზრდა მებრძოლთა შორის ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ. მას ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდას გამოუქვეყნებია „ბათუმის გაზეთის“ 1913 წლის 17 თებერვლის ნომერში პირველი წერილი „ხმა ქრისტიან მოძმეებს“, სადაც ავტორი მკითხველს აცნობდა, ოსმალებმა როგორ დაიპყრეს თანდათან სამუსლიმანო საქართველო ტრაპიზონიდან დაწყებული აჭარა-ქობულეთამდე და შემდეგ აჭარა-ქობულეთიც ხელში ჩაიგდეს. როგორ დანერგეს ბარბაროსული რეჟიმი, გამაჰმადიანეს მოსახლეობა, დააქვეითეს ეკონომიურად და კულტურულად.

ამ წერილით ჰაიდარ აბაშიძე უფრო მჭიდრო კავშირს აბამდა ძმებთან — ქრისტიან ქართველებთან, მოუწოდებდა მათ იცნონ ღვიძლი ძმები და გაუწიონ ყოველგვარი დახმარება. „ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სიძველესივითაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ“.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, კ. აბაშიძე სასტიკად შეებრძოლა პანისლანისტების აგენტების პროვოკაციულ პროპაგანდას — „საღეთო ომის მედროშეს“ — ოსმალეთს მხარი დაუჭირეთო; მუსლიმან ქართველებს ჰაიდარი მოუწოდებდა, არ აყოლოდნენ პანისლანისტების ფეხსხმას და სამშობლო ომის სარბიელად არ გაეხადათ

1915 წლის 10 მარტს პრესაში გამოქვეყნებულ წერილში იგი წერდა:

„დღეს ოსმალეთის წყალობით კვლავ განადგურდა ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო, კიდევ დაინთხა ჩვენი ქვეყნის უდანაშაულო სისხლი. როგორც ხედავთ, დღეს აჭარის მხარე გათელილია, საუკეთესო ძალა მოისპო, ვინც დარჩნენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს ითვლიან.“

საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება, როგორც ნივთიერი, ისევე ზნეობრივით. ამ მოწოდებამ შესძრა მთელი საქართველო — დიდი თუ პატარა, ქალი თუ მამაკაცი. მთელმა ქართველმა ხალხმა, შინ თუ გარეთ მყოფმა, დახმარების ხელი გაუწოდა აწიოკებულ სამუსლიმანო საქართველოს...

ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ჩვენი მწერლობა, პრესა და მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

ახალგაზრდა ჰაიდარი სულ მალე უკვე პოპულარული და პატივსაცემი პიროვნება გახდა. მის სურათს აქვეყნებენ საზოგადო მოღვაწეების სურათთან ერთად, უძღვნიან წერილებს, ლექსებსა და პოემებს.

ჰაიდარ აბაშიძემ ერთხელ და სამუდამოდ განაცხადა:

„მე ქართველი ვარ და საქართველოს შევიწირავ ჩემს პატარა ძალღრეს.“

აბა, ჩემო ჰაიდარ, საქართველოს შენ შესწირე დიდი სულიერი ძალა და სიყვარულით აღსავსე გული.

* * *

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია ომით დაზარალებული აჭარლების დასახმარებლად. მისი თაოსნობით, 1915 წელს, საქართველოს ყველა ქალაქსა და სამაზრო ცენტრში ჩამოყალიბდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებები და თვით ცალკეულ რაიონებში შეიქმნა მრავალი ე. წ. ხარუგისტრაციო პუნქტი.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე იყო მიხეილ მაჩაბელი, თავმჯდომარის ამხანაგი — პართენ გოთუა, საზოგადოების ხაზინადარი — ვასალ ყიფიანი, საზოგადოების მდივანი — პავლე საყვარელიძე; წევრები: იოსებ ბარა-

ბიბლიოგრაფია

თაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი ცინცაძე, მიხეილ ლალიძე, ივანე გომართელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გერონტი ჭიჭიძე, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს ქართველი მაქამადიანებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

ამავე მიზნით ბათუმში ჩამოვიდნენ ექვთიმე თაყაიშვილი. კონსტანტინე აფხაზი, დავით ნიჭარაძე, მიხეილ სუმბათაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, გიორგი ლახხიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სხვები.



1916 წლის 8 მარტს გამოვაქვეყნე მისალმება:

ბატონო რედაქტორო!
ვთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით შევეუერთო ჩემი სმა ჩვენი თანამემამულე ქართველების ხმასა, რომლებიც მოიგონებენ „დროების“ დაარსების 50 წლისთავს.

თქმა არ უნდა, ჩვენი თანამომე ქართველი შეგნებული პირების ერთადერთი მიზანი იყო გაზეთ „დროების“ გამოცემით გავრცელება სამშობლოს შეილებაში, ეროვნულ-კულტურული შეგნებისა, რომ შიტი გამდიდრებინა ის ეროვნული სალარო, საიდანაც ხალხი როგორც ზნეობრივს, ისე სულიერს აღზრდას მიიღებს.

და სწორედ უნაყოფოდაც არ ჩაიარა გაზეთ „დროების“ დაწყებულმა დეკლამა და აამტყვევლა თავისი ქვეყნის ის კუნთეც კი, რომელიც დროთა გარემოებისა გამო დიდხანს იყო მოწყვეტილი სამშობლოს დანარჩენ ნაწილებს.

მე, ერთი საქართველოს შვილი, მაქამადიანი ქართველი, ვთხოვ დემეტოს, რომ მიანიჭოს თავისი სასუფეველი ამ ეროვნული შემეცნების საქმეში მორიდებულ და თავდაუზოგველ მოღვაწეებს — ს. მესხს, გ. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს, აკაკის, ივ. მაჩაბელს და სხვ., რომელთაც ჩვენს ეროვნულ მეტყველებას ასპარეზი აუმაღლეს და გაუფართოვეს.



1916 წლის მარტში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დიდ ნადიმს დავესწარი

თბილისში, სადაც სიტყვის წარმოთქმა დამჭირდა; მომყავს ერთი ადგილი!

„ყვეელი რომ მოსწყდება ღეროს, დასჭენება, გაყვითლდება... როდესაც ყვეელი მოსწყდება, მიიკარით იგი გულზე, დაიჭირეთ ზელში, ვალერსეთ და იქმნება იგივე ყვეელი, რაც რომ იყო... სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბედმა მოსწყვიტა საუკუნეობით სამშობლოს გულს, და გიკვირთ, გეუცნაურებათ, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცენიხართ, — მოჰკიდეთ ზელი და ისევ თქვენთან იქნება“.

ამ ნადიმს თამადობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, სამხრეთ საქართველოს დიდი მოამაგე გიორგი ყაზბეგი. ეს ჩვეულებრივი ნადიმი კი არა, ნამდვილი ეროვნული, მრავალ ათეულ წლობით მიძინებული ქართული სულის გაღვიძების დღესასწაული იყო.



ქაიდარ აბაშიძე დაუღალავად იბრძვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართული სკოლების გახსნისათვის. მისი ინიციატივით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით, აჭარაში რამდენიმე სკოლა გაიხსნა. 1916 წელს ქაიდარმა, სოფელ ყოროლისთავში, გახსნა სკოლა თავისი დედის სახელში, უფასოდ. სკოლის გახსნაზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვით გამოვიდა. ჩვენი ქვეყნის მესვეურებს მიმართავდა:

„გაგვიძებნით წინ და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც, თქვენთან ერთად, გაეწიოთ საერთო ტანჯული ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, ტურფა სამშობლოსათვის წამებულებს. მამ ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს — დღევანდელ ეროვნულ სკოლას!“

ქაიდარი, როგორც მე ახალგაზრდობისას, ზედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით თურქულ ენას ასწავლიდა. თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებდა. მას მიაჩნდა, რომ ბათუმის

სკოლაში თურქულ ენის სწავლება შეიძლება მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით, რასაც მშობლიური ქართული ენის სწავლების შესუსტება არ უნდა გამოეწვიოს. თურქოფილებს კი ბათუმში თურქული ენის სწავლება თურქული გავლენის გაძლიერებისთვის სჭირდებოდათ.

1916 წელს ქ. გორში მოწვეულ იქნა თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა, სადაც „ყურანის“ სწავლების საკითხი იდგა. ბათუმის დელეგაციის სახელით სიტყვა ჰაიდარმა წარმოთქვა:

„ეს ყრილობა ჩვენ არ გვეხება. ჩვენ პართელები ვართ და, თუ მაინცადაშინებ გინდათ „ყურანი“ ვასწავლოთ, შეიძლება იგი თარგმნილი ვასწავლოთ, ქართულ ენაზე“.

ასეთი გამოსვლა არ სიამოვნებდათ მეფის წინაიწინებებს, რომლებიც საქართველოში ქართულ ენაზე სწავლებას სდევნიონენ. ჰაიდარს საყვედური გამოუცხადეს და მისი „თხოვნა“ მასწავლებლობიდან განთავისუფლების თაობაზე დააკმაყოფილეს.

ამ ამბავმა პრესაში მწვავე კამათი გამოიწვია, ჰაიდარ აბაშიძემ კი საქვეყნოდ განაცხადა:

„ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები, არავის მიეცემთ ნებას ჩვენს საყვარელ დედაენაზე იერიში მოიტანოს.“

ქართულ ენაზე სწავლებას ბევრი ქომავი გაუჩინდა: ქობულეთელმა გულო-აღა კაიკაციშვილმა ქობულეთში სკოლის გახსნისათვის უფასოდ დათმო ორნახევარი ჰექტარი მიწა იმ მიზნით, რომ სკოლაში ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენის შესწავლის საშუალება მიეცემოდათ. მაგრამ მეფის წინაიწინებმა ქართული ენის სწავლებაზე უარი უთხრეს.

ჩვენი ჯგუფის ასეთი ენერგიული მოღვაწეობა, რაც ქართველი მაჰმადიანების გათვითცნობიერების საქმეში დიდ როლს ასრულებდა და თავის მომხრეებს ამრავლებდა, პანისლამიზმის მედროშეებს არ ასვენებდა. ისინი მოუწოდებდნენ ბაქოს

„საქველმოქმედო საზოგადოებას! — თავისი მოქმედება აჭარამიც გაეცვლებინა და ბათუმში განყოფილება შექმნიან.“ ეს საზოგადოება, რომლის ბოროტ საქმიანობაში სულთანის აგენტების ხელი ერია, აჭარაში თურქული გავლენის გაძლიერებას ლამობდა, მაგრამ ჩვენ დაეარაზმეთ ამ ორგანიზაციის ამოქმედების წინააღმდეგ.

ჰაიდარ აბაშიძემ 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ სასტიკად ამხილა ბაქოს „საქველმოქმედო საზოგადოების“ საქმიანობა. 1917 წელს ჟურნალ „ცხოვრებაში“ მან გამოაქვეყნა „ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს“. ქართველმა საზოგადოებამ აიძულა თურქოფილთა აგენტი რიზა-ბეგი საქართველოდან წასულიყო. მაგრამ მან მაინც მოასწრო ბოროტების ჩადენა — მოახერხა ბათუმიდან წაყვანა ბაქოს თურქულ სკოლაში რამდენიმე მოწაფე. ამ ფაქტის თაობაზე ჰაიდარი მწუხარებით წერდა:

„როგორც ეტყობა, ბ-ნი რიზა-ბეგი მართო არ ყოფილა: ნისი წყალობით ორი თვის წინათ ბათუმის ქალაქის პირველი დაწვებითი ქართული სკოლის მეორე განყოფილებიდან გავიდა ქართველი მაჰმადიანი სამი და წულუკიძეები, ბავშვები სიცოცხლით სავსენი, ზედმიწევნით ბეჯითები, ქართული ენის მოტრფიალენი, და გაგზავნილ იქნენ ბაქოში, ტავივის მუსლიმანთა სკოლაში. გზადან ისინი ქართულ ენაზე დაწერილ წერილებს გზავნიდნენ მშობლებთან, ხოლო შემდეგ მათ აუკმაძალეს ქართული წერილების წერა. მშობლებს წერდნენ, ქართულად წერილი არ მოგვწეროთო. მშობლები ღებულობდნენ თურქულ ენაზე დაწერილ წერილებს და სხვას აკითხებდნენ. ქალიშვილები ბაქოში გათხოვდნენ. აჭარაში აღარ დაბრუნებულან.“

ჰაიდარ აბაშიძე ამავე „ღია წერილში“ ილაშქრებდა იმ ჭორების წინააღმდეგ, რომლებსაც თურქები ავრცელებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლებში ქართული სკოლების გახსნასთან დაკავშირებით: „თუ თურქული სკოლები არ

გაეხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებო!"

ამაზე ჰაიდარმა მოსწრებულად უპასუხა:

„აბა, თქვენ გვიპასუხეთ. ერთმორწმუნენო, თუ თურქულ სკოლას გახსნით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გათურქდებო.“

პ. აბაშიძე თავის წერილს ასეთი მგზნებარე სიტყვებით ამთავრებს:

„სამასი წელია, რაც მოფწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბობებს... როგორც იქნა, ჩვენს გულში იფეთქა დღემდე მიძინებულმა ეროვნული გრძნობის პატარა ნაპერწყალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას და ამიტომ გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერითოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია, როგორც მთელ კაცობრიობას, ეროვნულნი სული, და ვინც გადაედობება ამ ჩვენს; ქართველ მაჰმადიანთა წმინდათაწმინდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება.“

ამ წერილმა პრესაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

ჰაიდარ აბაშიძის ეროვნული მოღვაწეობის გამო აჭარის რეაქციონერებმა და ბათუმის გუბერნატორმა გადაწყვიტეს ბათუმიდან მისი გაძევება. გაზეთში გამოქვეყნდა: „ბათუმის კომენდანტის ბრძანება ქართველ მაჰმადიან ჰაიდარ აბაშიძის ბათუმში ცხოვრების აკრძალვის შესახებ.“

• • •

1916 წლის მაისში „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში ვარ, გაზეთის ხელმძღვანელ სამსონ ფირცხალავასთან. მასთან შემოვიდა სანდომიანი სახის კაცი. სამსონმა დაინახა თუ არა ახალმოსული, მითხრა:

— იცნობდეთ, ეს არის ჩვენი ზარმაცი კორესპონდენტი სერგო გერსამია. აი სწორედ ახლა ვლაპარაკობდით მეშვენი და მე სამაჰმადიანო სპარტელოზე. მინდოდა, თქვენ ერთმანეთს შეხვედროდით. სერგო, შენ ბათუმში მიდიხარ საცხოვრებლად; ჩვენი მეშვენი ამ კუთხის დიდი გულ-

შემატკივარი და მოამაგეა. მეშვენი რჩევა დაგეხმარება მუშაობაში.

— ძალიან მესიამოვნა ის, რომ ბათუმში გადმოდინხართ საცხოვრებლად. ცუდი დრო კი არის, ომია, მაგრამ სწორედ ამჟამად ერთი ინტელიგენტური ძალის მომატებაც კარგი ანბავია. ბათუმში ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გამკეთებელი კი ცოტაა.

— თუ რაიმეს გააკეთებას შევძლებ, ბატონო მეშვე, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, — მიპასუხა.

— აი ახლა ვგუზნებოდი ბატონ სამსონს, — განვაგრძე, — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფრთხილად უნდა მუშაობა. იქ თხუთმეტამდე კაცი თუ ერკვევა კარგად იმავი, რომ სარწმუნოება სხვაა და ეროვნება კიდევ სხვა. ჩვენი ხალხის დიდი ნაწილი ფანატიკური მორწმუნეა, ქართველი ხარო, რომ უთხრა, ეწყინება, რადგან ქართველობა ქრისტიანობის სინონიმი ჰგონია, მაგრამ კიდევ უფრო ეწყინება, რომ უთხრა თათარი ხარო, და გეტყვის—მე თათარი კი არა, გურჯი ვარო. ხალხს კარგად ესმის, რომ ისლამის სარწმუნოებას, თათრების, თურქებისა და სპარსელების გარდა, სხვებიც აღიარებენ, ქართველი მაჰმადიანები გურჯის სახელწოდებით ამ ერთაგან იმოჯნებიან. ისინი გურჯობით ამაყობენ. ასეთი შეხედულება ქართველ მაჰმადიანთა შორის რამდენიმე ასეული წლის მანძილზე იკიდებდა ფეხს და ბოლოს მტკიცედ დამკვიდრდა.

ახლა ერთბაშად რომ მოვთხოვთ, თავი დაანებეთ ყველაფერს, რაც საუკუნეთა მანძილზე შეგითვისებიათ, მიზანს ვერ მივაღწევთ. პირიქით, „ჩატეხილი ხიდი“ აღდგენას დიდ ზიანს მივაყენებთ. საჭიროა შორიდან მოვლა, ფრთხილი პროპაგანდის გაწევა: უნდა შევაცნებინოთ, რომ გურჯობა იგივე ქართველობაა.

თუ მაჰმადიანობა არ ნიშნავს მანძილ-მანძილ თათრობას, ან თურქობას, ან კიდევ სპარსელობას, ისე ქრისტიანობაც არ ნიშნავს მხოლოდ ქართველობას, ქრისტიანები სხვებიც არიან: ბერძნები, რუსები,

ფრანგები და სხვ. აი ასეთი შეგნება უნდა შევტანოთ სამაჰმადიანო საქართველოში.

ჩვენს მხარეში მომუშავეს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ ბლომად არიან ისეთი პირნი, რომელთაც სამუსლიმანო საქართველოში ეროვნული შეგნების შეტანა მოსვენებას არ აძლევს და ხალხში პროვოკაციული ხასიათის ქსელს ფართოდ აბამს.

არ უნდა დავევიწყოთ ისიც, რომ ქართველთა გაერთიანებას სხვადასხვა მაქინაციებით ცარიზმიც ებრძვის და პროვოკატორებს ერთგვარ მფარველობას უწევს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სწავლა-განათლება და კულტურა უნდა შევიტანოთ და თანაც ფრთხილი აგიტაცია-პროპაგანდა ვაწარმოოთ. შეცდომების დაშვებას უნდა ვერიდოთ, თორემ შეცდომებს მტრები გააზვიადებენ და მოსურხებულად გამოიყენებენ ჩვენს წინააღმდეგ...

მერე სამსონ ფირცხალავას მივმართე:

— რას იტყვი, ბატონო სამსონ, ვართუ არა მართალი?

— ყველაფერი მართალია, ჩემო მემდე... აი, ძმაო, კარგი ლექცია წაგვიკითხა ორივეს. ყველაფერი ხომ გაიგონე? პრაქტიკულ მუშაობაში შენც ასე მოიქეცი და, როცა წერილებს მოგვაწვდი, მემუდბეგის მიერ გამოთქმული მოსაზრებით ისარგებლე...

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ჩვენ ერთმანეთს, ალბათ, კვლავ ხშირად შევხვდებით.

* * *

ერთმა სასიხარულო ამბავმა გაზეთში წერილი დამაბეჭდინა: „მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა“. ჩანს, უქმად არ ჩაუვლია ჩვენს მუშაობას მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის სულიერი ერთობის დასამყარებლად.

„დღეს ის აღარ ვართ, რაც წარსულში ვიყავით. ერთმანეთს ვჭამდით, ვაწიოკებდით და ერთიმორისაგან ძალმომრეობით გამოინაგლეჯი ქონება ალალად მიგვაჩნდა. და თუ კიდევ უმიზეზოდ ვინმე თანამემამულეს საიქიოს გავისტუმრებდით, ის ხომ დიდი ცხოვნება იყო ჩვენი... ამგვარი მაგა-

ლითებით სავსეა მთელი ჩვენი წარსული. პელაგია გურიელი ეუბნებოდა ნ. შანავის ხალხს: ვინც ქობულეთელისა და სჯარტელის თავს მომიტანს, დიდად დაჯილდოებული იქნება ჩემგანაო, ასე აქვსებდნენ აჭარის მთავარი და ქობულეთის ბეგები თავდგირიძენიც თავისიანებს: ვინც გურულისა და მეგრელოს თავს მოგვითანს, უხვად დავასაჩუქრებთო და სხვ.

დღეს გარეშობა შეიცვალა. შეუენებლობის მძლავრი კედელი, რომელიც ჩვენს შორის იყო აგებული, ეროვნული შემეცნების დიადი ისრით იქნა დაცხრილული. ჩვენც იმ დაცხრილული კედლიდან ერთიმეორის მშობლიური სახის ჭვრეტა დავიწყეთ. ეროვნული შემეცნების ანდამატმა მიგვიზიდა. ერთმანეთს ვიყვარებთ და დროთა განმავლობაში გამეფებულ უკუდმართობას ნაადაგი ესპობა. დიდსანს შეგუბებულმა მშობლიურმა მისწრაფებამ გადალახა დამბარკოლებელი წრეზღუდე და თავის კალაპოტში ჩავარდა, ესლა, ნაცვლად მტრობისა და სიძულვილისა, სიყვარულსა და ნუგეშს ვუცხადებთ და ვუძღვნით ერთიმორის. გვინდა დიდი ხნის მტრად ნაგულისხმევი ჩვენი ღვიძლი ძმანი და თანამემამულენი სულითა და გულით ჩავიკრათ მშობლიურ მკერდში, ნაღველი ამოვიცალოთ და ამქვეყნად ნათესაური ბედნიერებით დავტკბეთ, გავაცნოთ და დავეუწყვიდროთ ერთმანეთს ჩვენი გული. ასეთია დღეს ჩვენი სულიერი ვითარება. ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, რანაირი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე სოფელ ქაქუთის (ოზურგეთის მაზრა) საზოგადოების დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენდნენ: მღვდელი ს. შავიშვილი, მჭეეთის მოლა ალი-ყვენდი ვარშანიძე, გერასიმე რამიშვილი და დამსახურებული და მეტად პატივცემული მემედ-ალა მეგრელიძე.

დეპუტაცია ჩამოვიდა, რომ თხოვოს ქართულ დაწესებულებებს დახმარება ქართული სკოლის შენობის გასაფართოებლად და დედა ენის გასავრცელებლად, და შემთხვევით ჩემთანაც მობრძანდა...

ამ მოვლენამ დაჩლუნებული ტვინის ნივთიერება თითქოს განმიახლა, გული გა-

მიხსნა და საქვეყნო ედემში მომაქცია. დიას, დიდი ბედნიერებაა, როცა ადამიანი სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარ მოძვეებს ერთი გრძობითა და ერთი აზრით გამსჭვალულებს დაინახავს.

და რანაირის სულისა და გულის პატრონი უნდა იყოს კაცი, რომ საუკუნეობით დაშორებულს, და მხოლოდ ესლა შეერთებულ თანამემამულეს, საერთო სამშობლოს ფიქრებით გამსჭვალულს, შეხედეს და მას, როგორც თანამოდარდე ძმას, ნუგეშით არ მიეგვბოს? ეს არავის შეუძლია. გარდა უკუდმართი გზით აღზრდილებისა, რომლებიც ეროვნულ მტყვევლებასა და საუნჯეს არიან მოკლებულნი...

მიუხედავად სარწმუნოებრივის სიმტკიცისა და შეურყევლობისა, ეროვნული ნათესაობის სათნოებას, ბუნებრიობასა და სულიერობას მაინც თავი გააქვს და ამ სხვა სარწმუნოების მიმდევრებს თავის სამაშვილიშვილო ფარგალში, წრეში ათავსებს და აკავშირებს.

სწორედ ასეთი მაღალი და მშობლიური გრძობების შეერთებისაგან დაბადებული წმინდა საქმე იყო, რომ, მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებულობისა, საერთო უბედურების დროს, თავისი დედა-ქვეყნის შეილება, მაჰმადიან ძმებს, დიდიდან პატარამდე, ქრისტიანმა ქართველობამ ძმური ნუგეშის ხელი გაუწოდა და შესაძლებლობისდაგვარად შესაფერისი დახმარება აღმოუჩინა.

ქართულ პრესასა და განსაკუთრებით ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უანგარო შრომა და ღვაწლი მიუძღვის, სამაჰმადიანო საქართველოში მშობლიური სკოლების გახსნისა და მაჰმადის მორწმუნე თანამემამულეთა დაცვის საქმეში. ჩვენდამი მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების. განა შეიძლება დააფასოს შობილია მშობლის ამაგი და მზრუნველობა? შეუძლებელია. შეილი მშობლის ამაგი და მზრუნველობას ვერ დააფასებს, ვერ გაღაიბდის იმ დრომდე, ვიდრე ის თავის შვილს არ გაუწევს მსგავს მზრუნველობას. ასე, ჩვენც მხოლოდ ამისთანა პირობებით შევიძლებთ დაფასებას, როცა ჩვენს მომავალ თაობას გავუწევთ იმგვარ

ამაგსა და მზრუნველობას, როგორც გაგვიწიეს ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა.

აი, ასეთმა მშობლიურმა დამოკიდებულებამ და წმინდა კავშირმა, განურჩევლად სარწმუნოებისა, დაამყარა ჩვენ შორის წრფელის გულით სიყვარული, მხურვალე თანაგრძობა, პატივისცემა და ნდობა, რაც სასწაულმოქმედ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში და ოქროს ასობით უნდა აღნიშნულ იქნას ჩვენი ისტორიის ფურცლებზე...

ამგვარი სულიერი ვითარებით გამსჭვალული ქაქუთის ერთი წარმომადგენელი ბ-ნი მემედ-ალა მეგრელიძე თავისი ერთი გურული მეზობლით, ითხოვდა: მიმიყვანე გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციამი, რათა მივმართოთ გაზეთის სამუშაოებით ჩვენს თანამომხმეთ, ქართველ ქრისტიანებს, რომ სოფელ ქაქუთში დაძველებული მჭერთი განგვიახლონ და გავგიკეთოთ. ასე სასოებით სავსე ეს სიტყვები თამამად გადასცა რედაქციას, როცა ეს თრი მეზობელი მე იქ მივიყვანე...

ასე, ჩემო მეიტხველო, თანამემამულეთა მიმართ თანაბარი პატივისცემა და სიყვარული, ნდობა და გულახდილობა ერთადერთი დედაბოძია სამშობლოს ბედნიერებისათვის, და ამ სამშობლოს სახელით შეერთებულნი სხვადასხვა კუთხის და სარწმუნოების შეილები ჩვენს ეროვნულ სალაროს მრავალს სიმდიდრეს შემატებენ, და დეე, გამოვიყენოთ ეს ერთობა ჩვენდა სანუგეშოდ, მამულის საბედნიეროდ.

1917 წელი... თებერვლის რევოლუცია... ჩემს წამება სამიერიდან თითქოს საზღვარი უნდა დასდებოდა, მაგრამ ეს იმედი ნაადრევი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია უკვე მომხდარი ფაქტი იყო, ადგილობრივი ხელისუფლება მაინც არ მიაძლედა ბათუმში დაბრუნების ნებართვას. რამდენიმე თვის ბრძოლა დამჭირდა იმისათვის, რომ დამემტკიცებინა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის — მეფის

რეგიმის მიერ ჩემთვის დაწესებულ სასჯელს ძალა აღარა ქმონდა.

1917 წელს ამიერკავკასიის სეიმიდან, როგორც იქნა, მივიღე ნებართვა ბათუმში ჩავსულიყავი და შეეხოვრა.

იმავე წელს ირგვლივ შემოვიკრიბე ქართველ მუსლიმანთა მოწინავე ახალგაზრდობა: სულიმან დიასამიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზეკერია შერვაშიძე, ხასან ვარშანიძე, ჯემალ ქიქავა და სხვები, დაეიარსე ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი.

კომიტეტი მრავალ მიზანს ისახავდა, უმთავრესი კი იყო, გაგვეგრძელებინა საქართველოს მოსახლეობაში თვითშეგნების შეტანა, ფართოდ გავეშუქებინა მასებისათვის სამუსლიმანო საქართველოს იტორიული წარსული, გაგვეშტკიცებინა მოსახლეობაში საქართველოს მთლიანობის იდეა, და საზოგადოდ მზად ვყოფილიყავით ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად.

იმავე წელს, ბათუმში, მეჩეთ აზიზიეში, მოვიწყვიეთ ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების კრება, ჩემი თავმჯდომარეობით დამტკიცდა აღნიშნული კომიტეტი.

ამავე დროს ბათუმში არსებობდა „მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების“ განყოფილება, რომელიც მიზნად ისახავდა ფართო მასებში თურქოფილური იდეების გაგრძელებას. ამისათვის ეს განყოფილება იარაღად იყენებდა რელიგიურ მოტივებს. ამის საწინააღმდეგოდ დაეიარსეთ საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც დაეიარსა თურქოფილებთან იდეური ბრძოლა. თანდათანობით შეგვეციეთ თურქოფილური საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გავლენა.

1917 წელსვე, კერენსკის ხელისუფლების დროს, ბათუმში, სრულიად მოულოდნელად მე, ზეკერია შერვაშიძე და ჯემალ ქიქავა დაგვაპატიმრა სეფასტოპოლის საზღვაო კონტრდაზვერვამ და ჩაგვსვეს ბათუმის ციხეში. მეორე დღეს ამხანაგები გაანათვისუფლეს, მე კი ერთი თვით დამ-

ტოვეს. ადგილობრივმა მთავრობამ ძლიერ შეიძო ჩემი გამოხსნა.

აკვლავ განვაგრძე მუშაობა საქველმოქმედო საზოგადოებასა და კომიტეტში. ეს ორგანიზაციები მტკიცე კონტაქტით მუშაობდნენ.

ამავე წელს ქობულეთში ჩასვლა მომიხდა ადგილობრივი საქმეების მოსაგვარებლად. მე, სერგო გერსამია და რამდენიმე ნაცნობი, მეჩეთთან დამორბებით, ყავახანაში ვსხედვართ და ყავას შევჭვწვევით.

უეცრად გარეთ ყვირილი გაისმა. ყავახანის პატრონი ქუჩაში გავიდა და ამავეი მოგვიტანა, ჯამესთან ჩხუბიანო, ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენ საუბარი განვაგრძეთ. ერთი ცნახოთ, ჩვენთან შემოვიარდა ადელ-ვებული ჭაბუკი, მიიჭრა ყავახანის პატრონთან და სხაპასხუპით მიაყარა:

— ყავახანაში არისო წარმოსადგეი ვაჟაკი, კრაველის ქუდი ახურავს, ვეროპული ტანისამოსი აცვია... ასეთი კაცი მინდა...

— გვარი არ გითხრეს, შვილო? — გაიკვირვა ყავახანის პატრონმა.

— გვარი არ მოთქვამს?! რამ გამოიმამტერა?! მემედ-ბეგ აბაშიძე...

ჩემი გვარი რომ გავიგონე, ყმაწვილი მოვიხმე.

— მე მეძებ, ბიძია?

— ბოდიშ ვიხდი, ბატონო მემედ-ბეგ!... ქობულეთელები ჩხუბობენ... ერთმანეთს ხანჯლით დასდევენ... გამომგზავნეს, გვიშველეთო...

სწრაფად წამოვდექი, მოჩხუბრებისკენ გავიშურე, ქუჩა სავსეა ხალხით. წივილ-კივილი ისმის. მივიჩქარი. სერგო და სხვები თან მომყვებიან. ვილაცამ შორიდან დამინახა და წამოიძახა:

— ჭოო!... მემედ-ბეგი მობრძანდება...

უცბად ხალხი მიწყნარდა. ახლოს მივედი, ვიკითხე:

— რა მოხდა?

ერთი მოხუცი მომიახლოვდა. მომესალმა. ჩხუბის მიზეზი მიაშპო. აქეთ-იქით მივიხედე და ხმამაღლა ვთქვი:

— მოჩხუბრები მომიყვანეთ.

მომიყვანეს. ორივე მშვენიერი თვალტანადი ვაჟაკი, 32-35 წლისანი. ადელ-

ვბული იყვნენ, მაგრამ თავდაჭერით მომცეს სალამი, ქედმოხრილი იდგნენ.

— თქვენა ხართ, ბიჭებო, რომ ჩხუბობთ? — მშვიდად შევეკითხე, — რა გაქვთ საჩხუბარი?! საჩხუბარი კიდევ რომ გქონდეთ, ერთმანეთი სასიკვდილოდ უნდა გაიმეტოთ?! აღამიანები ხართ, ქათმები ხომ არა?! მითხარით, რა განხუბობთ?

თავ-თავისი მიამბეს.

— სულ ეს არის?! მერე ერთმანეთი ამისთვის უნდა დახოცოთ?! ხომ ხედავთ, ახლა რევოლუციაა, მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, ახალი მთავრობა, შეიქმნა. ახალი ცხოვრება იწყება. ამისთვის თქვენისთანა ვაჟაკებია საჭირო. რევოლუციას მხარი უნდა დაუჭიროთ და მის მტრებს შეებრძოლოთ. ამ დროს კი ერთმანეთს მისდევთ მოსაკლავად. თუ სადავო გაქვთ, აირჩიეთ თავკაცები, მოაწყვეთ სამხანაგო ხასამართლო და, რასაც გადაწყვეტს, ორივე მხარემ დაუჯერეთ. ხანჯლების ტრიალსა და ჩხუბს თავი დაანებეთ... რას იტყვით, თანახმა ხართ?

თანხმობის ნიშნად ორივემ მორცხვად თავი დახარა. მე უფრო მტკიცედ ვთქვი:

— ძალიან კარგი... ასე სჯობია. ახლა ერთმანეთს ხელი ჩამოართვით და წაგოცდით.

ასეც მოიქცნენ.

— ახლა ორივე წამომყვევით! — მათ შუაში ჩავეუდექი და ყავახანისკენ წავიყვანე. მარჯვნივ და მარცხნივ დავისვი, ყველაასათვის ყავა მოვითხოვე. დარიგება ისევე განვაგრძე, ყავის სმას მოვრჩით, წამოდგნენ. თავი დაგვიკრეს და წახვლა დააპირეს. მათ ისევე გავესაუბრე:

— როგორც გითხარით, ისე მოიქეცით. თქვენი ჩხუბი მეტი არ გავიგონო. ისევე გადაკოცნეთ ერთმანეთი.

დავალემა შემისრულეს.

— იცოდეთ, ჭკვიანად იყავით. მაცნობეთ, თქვენი საქმე როგორ დამთავრდება.

— სერგო, ხომ ხედავ, ჩვენი ხალხი ცუდი არ არის, პატოსანი და კეთილშობილია, მაგრამ სწავლა-განათლება აკლია. მიეცით ყველაფერი ეს, და ხანჯლის ტრიალიც მოისპობა. ახლა კი რა უნდა მოვთხოვოთ. ჩვენც დღემდე არ გვქონდა საშუალება, მათთვის მეტი ყურადღება მიგვექცია. ახლა ვნახოთ, რევოლუცია რას მოგვიტანს...

□დასასრული იქნება□

ალექსანდრე გარამიძე

„შეშანიკის წამების“ ახლებური ბაზების გარშემო

„შეშანიკის წამების“ თაობაზე ბოლო დროს გამოქვეყნდა საყურადღებო ნაშრომები, რომელთაგან ჩვენ ზოგიერთს დავასახელებთ: 1. რევაზ ბარამიძე, ქართული მწერლობის დრამატული პროლოგი („განთიადი“, 1976, № 6, გვ. 111-116); 2. ნიკოლოზ ჟანაშია, „შეშანიკის წამების“ ანთონისეული რედაქცია („მრავალთავი“, IV, 1975, გვ. 73-99); 3. მისივე, „შეშანიკის წამების“ სომხური რედაქციების ურთიერთდამოკიდებულებასათვის („მრავალთავი“, V, 1975, გვ. 108-118); 4. თამაზ ჭილაძე, იაკობ ცურტაველის „შეშანიკის წამება“ („ციხეკარი“, 1977, № 5, გვ. 109-125). „შეშანიკის წამების“ ზოგიერთ საკითხს ეხება ვახტანგ ქვიციანიძის ნარკვევი „ჩარხები“ („ლიტერატურული საქართველო“, 4. VII. 76).

დამოწმებული ყველა ნაშრომი მიზნად ისახავს ახალი კუთხით განიხილოს და თანამედროვე თვალსაზრისით გააშუქოს ქართული მწერლობის ეს უძველესი და უბრწყინველესი მხატვრული ძეგლი. მიზანი ბევრ წილად მიღწეულია, გულმოდგინე დაცვივებისა და კვლევითების შედეგად მიღებულია მთელი რიგი ვასაზარებელი დასკვნები, წარმოდგენილია ახალი, საინტერესო და დამაფიქრებელი, თუმცა სადაო მოსაზრებებაც. „შეშანიკის წამების“ ახლებური წაკითხვისა და მისი იდეური შინაარსის ახლებური გვგების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა თამაზ ჭილაძის ნარკვევი. ჩვენი შენიშვნებიც უმთავრესად ამ ნარკვევს ვძღვნება.

თ. ჭილაძის საკმაოდ ვრცელი წერილი არსებითად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ის საბუთიანად ამტკიცებს, რომ იაკობ

ცურტაველის უნიკალური ნაწარმოები (მკვლევარი მას „რომანს“, „დიდი რომანს“ უწოდებს) უნდა განეკუთვნოს აგიოგრაფიულ (მხატვროლოგიურ) ტანს. „შეშანიკის წამება“, ასევე ის თ. ჭილაძე, „ამჟამად ამ ტანის ნაწარმოებია“ (გვ. 116). ამასთან იგი სავანეებოდ ხაზს უსვამს, რომ: „ქართული აგიოგრაფიული მწერლობა თვისობრივად განსხვავებულია, ვოქვათ, ბერძნული აგიოგრაფიისაგან, ასევე, აღმათ, სომხური აგიოგრაფიისაგანაც, თუმცა ამოთ სრულებითაც არ მინდა უარყოვით ვთქვას ან მეორის უმეველი ღირსებები“ (გვ. 113-114).

ნაშრომის მეორე ნაწილში თ. ჭილაძე გვთავაზობს „შეშანიკის წამების“ ისტორიულ-ტერატურულ ინტერპრეტაციის ახალ კონცეფციას.

თ. ჭილაძის სიტყვით, „შეშანიკის რომანი“ (როგორც ბერსონაეს, — ა. ბ.) ორი ტექსტი აქვს, ერთი — ამჟამად, წმინდანისათვის დედობა და ამდენად სტერეოტიპული, მეორე კი დღევანდელი, „დამიანური“ (გვ. 117, აქაც და ქვემოთაც დაყოფა ჩემია, — ა. ბ.). და იგი, ახლა, „თხუთმეტი საუკუნის შემდეგ, ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარებას წყალობით, შესაძლებელი გახდა წაგვეთხოვა მეორე ტექსტი, უფრო სწორად — გულისხმობა იაკობისა, ენებანი იაკობისა, „შინიგანი სახე“ იაკობისა“ (გვ. 118).

ამრიგად, თ. ჭილაძის თვალსაზრისით, „შეშანიკის წამება“ შეიცავს ორ ტექსტს. მეორე ტექსტის შინაარსს იაკობი „მალავს“, ისტორიას ანდობს მისი ამოკითხვის, გაშიფრვის შესაძლებლობის პატივს. ამ ჭეჭელში „ყველა (თითქმის ყველა) ერთს ამბობს და მეორეს

თა ფიქრობს, ყველა ნათქვამს ქვაბისტი აქტს“ (გვ. 120).

შეფარებით წერა, თ. ჭილაძის დაყვირების თანხმად, იაკობ ცურტაველის ნიშნდობლივად დამახასიათებელი სტილებრივი თვისებაა. ამის ავალბახე აკრიტიკებს ის „ზოგიერთ ჩვენს თვალსაჩინო მკვლევარს“, რომელთა მოსაზრებით „შეშანიკის წამებას“ დასაწყისში რაღაც აკლია. ცნობილია, რომ იაკობის თხზულება იწყება განცხადებით: „და აწ (ახლა) დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შეშანიკისი. შეშანიკის წამების“ აკელი (და არა ზოგიერთი) აღნიშნული „თვალსაჩინო“ მკვლევარის ფიქრით, ტექსტი მოულოდნელი ფრახით იწყება. ძველში ისიც აღნიშნულია, რომ შეშანიკი იყო „მომიში დღმრთისაი, ვითარცა იგი ვოჭეთ, სიყრმითგან თვისით“. ნიშნდობა კი წამების ჩვენ დროში მის მოღწეულ ტექსტში შეშანიკის ყრბობაზე არაფერია თქმული. ამან იფიქრებინა ი. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს და ილია აბულაძეს, რომ ცურტაველის თხზულება თავდაჯერდა. მათი მოსაზრება ჩვენ დამარწმუნებლად გვეჩვენება. თ. ჭილაძე ამბობს, არა, ტექსტს არაფერი აკლიათ: „თუ ტექსტს კარგად დავაკვირდებით (ვითომ დასაბუღებელი შეცნაერება ტექსტს კარგად არ აკვირდებოდნენ?), თუ გავითვალისწინებთ იაკობის სტილის თავისებურებას, მისი წერის მანერას, დავრწმუნდებით, რომ ისეთი დასაწყისი ბუნებრივია წამებისათვის“ (გვ. 110). სხვა საქმეა, განაგრძობს მკვლევარი, „ცხოვრების“ ენარი, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს რომ „შეშანიკი“ წამება“ და არა „ცხოვრება“ (იქვე). ანტონ კათალიკოსს, რომელმაც შეადგინა საგანგებო კრებული „მარტირიკა“, ვერაინ დასწამებ, რომ ის ვერ არწვედა ერთმანეთისაგან „წამებასა“ და „ცხოვრებას“. ანტონ კათალიკოსაც ჩაუთვლია, რომ იაკობის „შეშანიკის წამება“ თავდაჯერდა და ამ ძველის მისეულ რედაქციაში შესაფერისი ცვლილებები მოუხდენია. თავის სპეციალურ გამოკვლევაში („შეშანიკის წამების“ ანტიმისეული რედაქცია) ნ. ჯანაშია ამბობს: „...შეშანიკის წამების“ აღწერას ანტონმა წარმომდგარა ვერ შეცვლია, განყენებული და ძველდასაბუთი შესავალი, შედგე კი საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები შეშანიკის წარმომადგობაზე და ცხოვრების აღრიხედულ პერიოდზე. ამით მან თითქოს შეავსო „წამების“ დასაწყისი ნაწილის შესაძლებელი დასავლასა“

(მრავალთვი IV, 80-81). ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ, მაგალითად, ამო ტრეფლენის წამებაში მოთხრობილია ამოს ყრბობის ამბები უმართებულო ბუნებრივად ანგარიში არ გაგვეწია აქტორის პირდაპირი მოწმობისათვის და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობა „სტორიის თავისებურებით“ აგვეხსნა. თ. ჭილაძე მეორეგანაც შენიშნავს, რომ იაკობ ცურტაველი მკითხველს აგრძნობინებსო „თუ რა ძალით უყვარდით ერთმანეთი ვარსკენსა და შეშანიკს. ვეც კიდევ ვერბულ ამტკიცებს, რომ ამ ნაწარმოებში არაფერი აკლია, სრულად არის მოღწეული, რომ ეს სავსითად აქტორის სტილია, უფრო სწორად — განსაკუთრებული უნარი მოგვიყვებს ერთი ამბავი და პარალელურად, ანდა უფრო ხესტად — ამ ამბის მიღმა დავაგნობს მეორე, გაცოცხლებით უფრო მძაფრი, ხშირად მოყოლილი ამბის კონტრასტული „ცხოვრება“ (გვ. 124).

მაინც რა არის ის პირველი „ამბის მიღმა“ მოქცეული, „გაცოცხლებით უფრო მძაფრი, იღონდ ამოსაცნობი მეორე პარალელური ამბავი, თანამედროვე პოეტმა და მკვლევარმა რომ ამოვიკითხა?

შეშანიკისა და ვარსკენს ერთმანეთი უზომოდ უყვარდითო, მათ შორის განხეთქილება მოხდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნიადაგზე. საქმე იქამდის მივიდა, რომ „მოთმინებადკარგულმა, გონებისგადმოდარმა (ვარსკენმა) შეშანიკს პირველად ხელი შემოკრა“ (გვ. 124). კაცმა რომ თქვას, გაცოცხლებულმა ვარსკენმა ხელი შემოკრა კი არა, მხეცვით პევემა და სიყვდილის პირამდის მიიყვანა დედოფალი. „წამებაში“ ვკითხულობთ: „მამის იწყო უჭარბისა გინებლ ვარსკენ და ფერხითა თვისისა დასთავუნებდა მას; და აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჭაიითა სევემა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრედა; ვითარცა მზეცი მჭინავარე ყიოდა და იხსადა ვითარცა ცოფი... და უბრძანა შვერკავი მისი და ბორკლთა შესხმაი ფერხთა მისთა“. ასე ვეღურად მოგუყრო ვარსკენი თოვის შეუღელს. ნაკვეთი შეშანიკი ვარსკენის ბრძანებით ერთ სენაკში შეაწყვედეს. რა დამეს გაატარებდა ტბელური ქალი? მეორე დღეს, უთენია (ვითარცა ცისკარ ოდენ იყო) ვარსკენს უკითხავს დედოფლის ამბავი. რ. ბარამიძე თავის საინტერესო ნაშრომში „ქართული მწერლობის დრამატული პაროდიკი“ („გათმობილი“, 1976, № 6, გვ. 111-116) ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქო უმსავსეს საქციელმა შეამწოთა ვარსკენი, თორემ ეს წებებიერა ფეო-

1 „შეშანიკის წამებას“ თავდაჯერულად თვლის მისი პირველი მეცნიერი გამოცემული სერგი გორგაძეც და პავლე ინგოროვიც.

1 ასტამი — ციცილინის მსაღვმე რკინის იორალი, kocherga (ილ. აბულაძე).

დადი უთენია არ მიაშვრებდა შემანიყის სე-
ნასს, ვარსკენი „გამოფიზლდა“, ის უკვე
შწარულ „განიცდის ისტორიულ მდგომარეობა-
ში ჩაღვნილ დანაშაულს“ (გვ. 114). მკვლე-
ვარი იყრყებს, რომ ვარსკენი უთენია იმიტომ
ამტვარა, რომ სანადროლ წასვლას აპირებდა.
იაკობი მოგვიხბრობს, ვარსკენმა იყთხა დე-
ლოფლის აბბავი და რომ გაიგო სასიცოცხლო
ბირი არ უჩანდა, „თითი წადირობულ წაჩე-
და“. თ. ჭილაძის სიტყვითაც ვარსკენმა „ღამე
უთორად გაათენა“. დილთა, „წადირობულ რომ
წაიდა“, თითქო ამით ის „გაიქცა, გაერიღა,
საყუთარ თავს დაეშალა“ (გვ. 124). ცხადია,
ვარსკენს თუ სინდისი კენწხიდა (ჩაც ახსათ-
დან ჩანს), ჭილაძისეული გავება ფსიქოლოგი-
ურად უფრო მართებული იქნებოდა.

ვარსკენმა შემდეგაც ქოჯბუთური ტარწვა
შიაყენა შემანიყს. მოვარგოთ თუ გინდ ის
გზახოლად, ვარსკენის განკარგულებით რომ შე-
შანიყო „თრევით მოთორია თიხათი შვიან
და ეკალთა ზედა ეკლესიით ეიღრე ტარძაღმდე-
„ეთორცა მკედარა“ მისსვენეს დედოფალი
მავრამ უნდო არ აყარა მის მტარვალში, „შებრ-
ძანა შეკრავი მისი და ცეშაი“. სამისი რახვი
დაპკრეს დედოფლის ნახ სხეულს („სიყვ
ეუერობითა სამას ოღენ“). იგი განმაცვიფრე-
ბელი სულეარი მხნობით იტანდა უმძიმეს
ფიზიკურ გვემას („არა რა აღმოხდა პირსა
მისსა ევებათ, არცა ეუენსია“).

ვარსკენის ერთგვარ რეაბილიტაციას ცდი-
ლობს ნ. ჭანშიათ. მას უწერია: „ვარსკენის
ქცევასა თუ სიტყვასში ხანდახან ჩანს საყვებით
აღმანიერი გრძნობები, სიბრალულიც თუ შე-
შანიყის მიმართ“ („მრავალთაჲ“, IV, 89). რა
ოქმა უნდა, დავტყუებელი არაფერია, რომ
ვარსკენს პეკარებოდა ოთხი შვილის დედა,
მეუღლე და სიბრალულიც ჰქონოდა მისდამი.
მავრამ თუ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ნია-
დაგზე მომხდარი კონფლიქტის შემდეგაც ვარს-
კენი დაეინებთ მოითხოვდა დედოფლის შინ
დაბრუნებას, სამთაგრო სახლს შეღახული
სახელის აღდგენას და სარწმუნოების გამოცე-
ლზე თითქო სიტყვასაც არ ჰმავდა, ეს ფყო
მხოლოდ მზავრული ხეჩბი, ავბაყური
თვალშიმქცობა, „არმუთუ მავთ საბით ვმუ-
ღებოდა შეტყუვილი (ფ. ი. მტყუებმა მისთ, —
ა. ბ.) ...და მას სხუაი ზრახვი გულსა მოეხადა
სიბოროტისაი“. შემანიყის „სიბრალულს
ვარსკენის მიმართ საფუძლად ელო ქრისტიან-
ურად-აღმსარებლობითი მორალი. ამიტომაც
უთქვამს სულგრძელ შემანიყს მტარვალს ქმრი-
სათვის საშინველი ვარსკენის შეძლევ: „უბა-
ლო, შენდა თავი თვისი არა შეიწყალე და
განსლევ ღმრთისაგან, შენ მეცოა შემოწყალე“?

თ. ჭილაძის შეხედულებით, „შემანიყის წა-
შეხას“ ჰყავს ერთი, „მართალია, უჩინარი, მავ-

რამ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გმირი“.
რომლის სახე თხზულების მეორე ტომშიც თუ
ქვეტექსტის ეკალობაზე თანდათანობით გამო-
იზრდება“ „წყვიდიდიდან“ და საცნაური გახ-
დება მისი „მეტალ ჭყიანი, გამპრიახი, ძლიე-
რი და... მისისხანე არსება“. ესაა „პართველთა
დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი (გვ. 121).
თუჩმე დიდი ხანია ვახტანგი „მზადებდა დიდ
შეთქმულებას საერთო მტრის წინააღმდეგ“ და,
მამსადადამე, ამ საერთო მტრის მხარეზე გა-
დსული ვარსკენ პატივამის წინააღმდეგ (იქვე)
თ. ჭილაძის მოსახზებით, „ვარსკენი იმდენად
სპარსეთის მეფის მომხრე არ არის, რამდენა-
დაც ვახტანგის მოწინააღმდეგეა. ეს დიდი ფე-
ოდალი თავისი სუვერენის წინააღმდეგაა აშ-
ხებდებელი. ანდა აპირებს ამხედრებას“ (გვ.
118). სხვაგან მკვლევარი იმასაც ამბობს, თით-
ქო დიდხანია თუთონ ვარსკენი „აშხაფებს
შეთქმულებას“ (გვ. 121). გამპრიახი პოლიტი-
კოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქ-
მისათვის დაუცხრომელი მეტროდი ვახტანგ
გორგასალი ნიადგან აშხადებოდა ვარსკენის
პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოსაშორებლად
და მის სიკვდილით დასასჯელად. „დიდი საქმე
დიდ მსხვერპლს მოითხოვდა“ (გვ. 123). ეს
მსხვერპლი უნდა გახდეს შემანიყი, დედო-
ფალი უნდა გარდაიქცეს წმინდანად. ის უნდა
დაიღუპოს, მოკლეს, რომ ვახტანგს მორა-
ღურ-პოლიტიკური საფუძველი ჰქონდეს ვარს-
კენის განსაქრობად. თ, ეს დიდი იდეაა ჩაკსო-
ვილი შემანიყის წამებაში, ამტკიცებს თ. ჭი-
ლაძე. იაკობ ცურტაველის პერსონაჟთა ერთი
რავი ვახტანგის მომხრეაო, მეორე კი მის
მოწინააღმდეგეთა დას ეუთუნვისო. ვახტანგის
უერთგულები მომხრეები არიან შემანიყი და
იაკობი, უჩინარეს ყოელისა, იაკობი. იგი იშ-
თავითვე წერთნიდა და ამზადებდა შემანიყს
დიდი ღვაწლისათვისო. შემანიყი გულით იყო
ვახტანგ გორგასალის მიმდევარი, ანტიპარსუ-
ლი სული ტრიალებდა მისი მამის ვარდის
მამიკონიანის ოქახში. ვახტანგი და ვარდანი
ერთ პოლიტიკურ მრწამსს აღიარებდნენ და
ერთი საქმისათვის იღწეოდნენ. ვარდანის ასუ-
ლი, ვარსკენის მეუღლე შემანიყი ორ ცუცხლს
შეა მოეცო. იგი ანტიპარსული დასის უერთ-
გულებს წევრია, მაგრამ ძლიერი გრძნობათ
უყვარსო განდგომილი ვარსკენი. ეს არისო
შემანიყის ტრავედია. იაკობ ცურტაველს თით-
ქო ეშინია ვარდამწყვეტ მომენტში შემანიყმა
სისუსტე არ გამოიჩინოს, სიყვარულში არ დაქ-
ლოს, ვარსკენის გავლენის ქვეშ არ მოექცეს,
საყვეყიო ხაქმეს არ უღალატოს. არა, შემანიყი
უდრეყიო და ეკომპრომისო პოლიტიკური
ბრძოლის საჩბილზე. იგი მზადაა თავი გა-
წიროს სქულისა და ქვეყნისათვის (სქულის
ერთგულება ქვეყნის ერთგულებას ნიშნავს),

ოლონ მასთან ერთად უნდა მოკვდეს ვარსკენიც, ისინი ერთად უნდა გამოეთხოვონ წუთსაფულს. „შეშანიკა ვარსკისა, — წერს თ. ჭილაძე, — თუ მოკვდება, ვარსკენიც დაეხოზა. ამიტომაც აირჩია სიკვდილის გზა. თანაც, მისთვის უფროდ მომზადებული იღება ერთად საყვდილისა“ (გვ. 119).

ჭილაძისეული კონცეფცია მწყობრი და მომზადებულია. ეს უდარე. მაგრამ ჩემთვის ისიც ცხადია, რომ თავისთავად შეცდენებელი მოზიზილავი კონცეფცია ავტორის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია, ინტრიგით ამოკითხული და შექმნილი მეორე დრამატული რეჟისა. თამაშ ჭილაძეს, როგორც შესანიშნავ პოეტსა და ბელეტრისტს, უფლება აქვს ასე იფიქროს, მეორეი შეცდენებული გონება კი ვერ გაიზიარებს მის ნაფიქრ-ნაზარტს. შემთხვევითი არ არის, რომ თ. ჭილაძე „შეშანიკის წამებაში“ ზედვს ორ ტექსტს, მთავარი ამირი მას წარმოუდგენია უჩინრად, ხოლო რეალური პერსონაჟები, უფროსი (ან თითქმის უცვლელი) ერთს ამზობენ და მეორეს კი ფიქრობენ. თუ ამ თვალსაზრისს დაედგებოთ, მაშინ აღარ გაინდობება თხოვრებელი მკითხველები აზრის ამოკითხვას.

ამ საერთო შემთხვევების შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია კრიტიკულად განვიხილო ზოგიერთი ცალკეული საკითხი.

თ. ჭილაძე წერს: „ვარსკენმა ვებტანგის ინტრიგის ერთი სვლა სწორად ამოხსნა — მის მოწინააღმდეგეებს პირდებოდათ დიდი დანაშაულებრივი ფაქტი: ვარსკენმა უნდა მოკლას შეშანიკი, ქმარმა უნდა მოკლას ცოლი... დედოფალი“ (გვ. 119). ჯერ ერთი, შეუფერებლად არის აქ მოხმობილი სიტყვა „ინტრიგა“. მეორე, თუ ვარსკენი მიუხედავ ვებტანგ ვარსკენასლის განზარტებს, რატომ არ შეეცადა შეშანიკის გადარჩენას? რასაკვირველია, მკვლელობის შეუძლია თქვას: — „ვარსკენს არ უნდა შეშანიკი რომ მოკვდეს“ (გვ. 118), „ვარსკენს შეშანიკის საყვდილი არ უნდა იმიტომ, რომ ეშინია (თუ ეარგად დაეკვირდებოდა, ვარსკენი კი არ კლავს შეშანიკს, შეშანიკი იკლავს თავს)“ (გვ. 119). საუკეთესო არ არის, რომ ვარსკენს თავიდანვე არ უნდოდა შეშანიკის სიკვდილი, ის ცდილობდა შეშანიკის თავის მხარეზე გადაბრუნებას. როდესაც ეს არ მოხერხდა, მაშინ კი სისიკვდილოდ გამოეცა, გაწირა დედოფალი, საყვრობილება გამოაღპო. შეშანიკს თავი არ მოუკლავს, ბოლოსა და ბოლოს მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა მძიმე სნეულება. „წამებაში“ ვკითხვლობთ: „და ვითარცა აღივსებოდა შექმნილი იგი წელი საყვრობილება მის შინა... სენი სნეულებებისა იმ მოიწია მის ზედა“ იაკობს სავანებოდ აღნიშნავს, რომ ზაფხულშით ცერტავის მხარეში ყოფილია ჟღერელი პეა, რის შედეგადაც იქაური მცხო-

ვრებნი ადრე იხოებოდნენ და მოხუცებამდის ვერ აღწევდნენ. სწორედ ასეთა მძიმე მკაცრის პირობებში შეშანიკი „მას ციხესა შინს“ ექცეა წელ პურობილიყო.“ ნესტიან საკანში გამოაწყვდელულმა შეშანიკმა ვერ გაუძლო ამ ვებტანგულ პავსს, დასნეულდა, „აღდა ვითარცა ავლი“ „და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა, მოიწია შეშანიკის ზედა წულუღებაც ხორცთა მისთა... დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხარალი აღმოსადიოდა ადგილ-ადგილ...“ ასე მოწამებრივად აღესრულა დედოფალი. მისი ნაადრევი სიკვდილის პირველ-მიზეზი იყო ვარსკენის უკაცური საქციელი და, რასაკვირველია, წამებულის პირსიკვდილი, უკომპრომისო სიკვარბე მამაპაეული სწულის, ქვეყნის ინტერესებისა და ადამიანური ღირსების დაცვის საქმეში. ქმრისაგან ამქვეყნიად ვაწირულ შეშანიკს იმედი აქვს, რომ ღმერთი იმ ქვეყნიად სამაგერის მიუზღავს უღმობელ მტარველს: „გაწივისაწნეთ მე და ვარსკენ პიტიაში მუნ, სადა იგი არა არს თუალდები (პირფერობა, პირმოთინება) წინაშე მსაყელისა მის მსაყელთათსა და მეუფისა მის მეუფეთათსა. სადა არა არს რჩევი მამაკაცისა და დედაყვისა, სადა მე და მან სწორი სიტყვა ეთქვამ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა; მაგოს მას უფალმან, ვითარ მან უფამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა...“ თ. ჭილაძის რწმენით, ეს მზღვეველი უფალი არის ვებტანგ გორგასალი, „ჩვენ დღეს უკვე ვიცით ამ უფლისა“ სახელი“ იგი ვებტანგ გორგასალია (გვ. 119). რა თქმა უნდა, თუ „წამების“ ნაანდერბე ტექსტს არ ვენდობით და მხოლოდ თითქო მისში ჩაქსოვილ მიფარულ აზრს გამოვდევნებთ, მაშინ უნდა ვერწმუნოთ თ. ჭილაძეს. ტექსტში კი პირდაპირ არის თქმული, ვარსკენის უფეთი საქმეთა სამაგეროს მზღვეველი არის „მსაყელი მსაყელთა“ და „მეუფე მეუფეთა“ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე.

თუ თ. ჭილაძის შეხედულებას დაედგებოთ, უცნაური აღმოჩნდება იაკობ ცერტაველის როლი. იაკობი იყო საპიტიაში კარის მღვდელი, კერძოდ, სხუცესა დედოფლისა შეშანიკისა, ე.ი. შეშანიკის პირადი მოძღვარი. მკვლეობი მას ჩვეულებრივ უწოდებს შეშანიკის აღმზრდელს, ზოგჯერ შეშანიკი იაკობს მოწიფელად არის სახელუებელი თ. ჭილაძის ნაწერევეში. რასაკვირველია, ძველსი მიზეზით შეშანიკი იყო იაკობის სულიერი მოწიფე, ასევე იაკობს შეძლება მიეწეროს დედოფლის სულიერი აღმზრდელის პატივი.

სავსებით ეეთამშვებით თ. ჭილაძეს, რომ იაკობ ცერტაველი არ არის შეშანიკის მზრდელი ბიოგრაფი (გვ. 123), ან აშკარად მხოლოდ ობობტური აღმწერი (გვ. 120). იაკობ ცერტაველი დიდი პატრიოტი მწერალი მოაზროვნეა, დიდი „პროგრესულ-სახელმწიფეობრივი

იდეებით შთაგონებული შემოქმედი. თ. ჭილაძე გვარწმუნებს, რომ იაკობი „ამჟამად ვახტანგის კაცია“ (გვ. 123), იგი „დადისხანა ჰყავდა მთენილი ვახტანგისგან შემანიის“ (გვ. 121), დიდი ხანა აწაღებდაო სულიერ შეილს თავის გასაწირავად. იაკობმა მიახვედრა, თუ რას მოითხოვდნენ შემანიისგან, „ღედოფალმაჲ ეს მოთხოვნა ზუსტად გაიგო“ (გვ. 123). იგი უნდა გახდეს მსხვერპლი დიდი საქმისა. ღედოფალს ყოფიანის შესაძლებლობა გამოცდილი აქვს, „იაკობმა შემანიას უკან დასახვევს გზა მოუტარა“ (გვ. 122). ვახტანგი ვტლუბურჯიელი კაცი არ ყოფილა, იმას კარგად ესმოდა იაკობის როლი, ისიც „თავის მხრივ მახეს აცხებს“, უკეთ, ვახტანგი მახეს უყვებს იაკობს, ეს თერძე ცოტაა, ავერაგი ვახტანგი იაკობს თავის სასარგებლოდ იყენებს. ეს შეიძლება იაკობმა არც კი იცის, ანდა უარესი — იცის, მაგრამ სხვა გზა არა აქვს“ (გვ. 123). ძველიდან არ ხანს, რომ დიდებული მწერალი ორ უღალს ემსახურებოდა, ეს არც შეეფერებოდა მის უღალესად პრინციპულ იდეურ პოზიციას. შეუძლებელია იაკობს არ სცოდნოდა, რომ ავერაგის ზღაპრების მონებათ ორთა უფალია“. მართალია, თ. ჭილაძე იმასაც ამბობს, რომ „დაპრობილ ქვეყანაში მორალური თუ ზნეობრივი ნორმების დონე ყოველთვის დაბალია“ (გვ. 123). ეს ძალზე საოთო დებულებაა. ყოველ შემთხვევაში შემანიას უნდა იცოდეს იგი ვერ გავრცელებდა. „იაკობი, უბირველეს ყოვლისა, პოეტია, ქმნის ამგორე სინამდვილეს, „ლიტერატურისო“ (იქვე). იაკობის პოეტური ბუნების საწინააღმდეგოდ არაფერი გვეთქვამს, ჩვენ მხოლოდ გვემოძრაობს, პოეტში და მკვლევარში თ. ჭილაძემ ზედმეტად ხომ არ გამოიყენა პოეტის უფლება იაკობ ცენტრალის „ამგორე სინამდვილის“ წარმოსაჩენად. ვერასხვით ვერ გავიხიარებთ მოსაზრებას თითქო შემანიის მარტვილობას რაიმე თეატრალური იერა დაქარაუღეს, ანდა შემანიას პოზიტიონი გტურობოდა. მოვლსინით მკვლევარს: „შემანიის მარტვილობას, მართლაც, თეატრალური იერი დაქარაუღეს. შემანიის ამჟამად უყვარს უღრადლები შიპკობა ნიტუვითა თუ ქვეყით, ანდა თუნდაც პოზიტი“ (გვ. 120).

უთუოდ დამოუკიდებელი მოსაზრებანი ვახტანგის მეორე ცოლის თაობაზე. „წამების ტექსტით, ცეცხლთაყვანისცემლობაზე მიტყუული ვახტანგი სპარსეთის შაჰს პირდებოდა, რომ მის რეალზე გადაიყვანდა აგრეთვე აბუნებით ცოლს“, ვ. ი. შემანიის. ამასთან იგი კიდევ „ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან“. მსხვერპლია (თუ ზარბაზთისგან) მისი უფლებას ატლავდა ქრისტიანობის უარსყოფილ ვახტანგს. შაჰს დაუკმაყოფილებია მისი თხო-

ვნა: „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი“. ნ. ჭანაშია შემანიას: „ფრანკურ მწერთაგან“ გვეუბნება. ვისი ასული „ბრძანა ცეცხლთაყვანისცემით თუ საკეთარი, უნდა ყოფილიყო ასული თვისი“. თუ სხვა მეფისა, უნდა დასახელებული ყოფილიყო ეს მეფე. ასეთი უზუსტობა იქმნისა სრულიად მოულოდნელია მრწამსიველ სტატისტიკისა და მოქართულ იაკობისაგან, რაც გვეუფრებინებს, რომ იგი იაკობს არც უნდა გვეთვინოდეს და მერმინდელი ხანამატი უნდა იყოს“ („მარავალთავი“, IV, 86).

ნ. ჭანაშია უფრო შორს მიდის და ასკვნის: „ვახტანგის მეორე ცოლი, ყოველ შემთხვევაში შემანიის წამების პერიოდში, არ ჰყოლია“ (იქვე). საბოლოო მკვლევარი სხვაგან გვთავაზობს. საბედისწერო პერიოდაზე კონფლიქტის შეიძლება ვახტანგი დარწმუნებულია, რომ შემანიის მას აღარ დაუტრუნებოდა (თუმცა შემოიფიქრების ცდის ატლავ განავრცობდა), ამიტომ მოთხოვდა საღედოფლო სამაყლები, ამერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“. ნ. ჭანაშიას ვარაუდით, ვახტანგს მეორე ცოლი არ ჰყოლია, თორემ სამაყლის ხამერმისოდ გამოყენებაზე არაფერს იტყობოდა („მარავალთავი“, IV, 95). თ. ჭილაძე მთლიანად იზიარებს ნ. ჭანაშიას მოსაზრებას და თავის მხრივ ურთავს: „თუ მას (ვ. ი. ვახტანგს, — ა. ბ.) მეორე ცოლი ჰყავს, ვილა უნდა აბოუნის სხვა, რომელსაც ეს სამაყლები დამამწვენებდა“ (გვ. 119). ჩვენ გვგონია, რომ ვახტანგი როგორმე მოუვლიდა თავის სამაყლებს და მათი გამოყენების საშუალებასაც გამოცხებინდა. ეს სხვათა შორის ვახტანგს, ყოველ შემთხვევაში, შემანიის წამების პერიოდში მეორე ცოლი არ ჰყოლია, ამბობდა ნ. ჭანაშია და თ. ჭილაძე. შემანიის წამება შვიდ წელს გაგრძელდა, ვითომ გადაჭრულებულმა პეტიაშმა აძლენი ითმინა და „ბუნებით ცოლის“ სიყვდილს უცადა? ძველი დასაქარებელია. მთავარი მთინე სხვაა. ამჟამად ცნობილია „შემანიის წამების“ ოთხი ვერსია, ორი ქართული და ორი სომხური. ოთხივე ვერსია დაუფიქრებლად უსვამს ხაზს ვახტანგის მხრივ ახალი ცოლის შერთვას. მართალია, ვერსიებში სხვაობები ამ ცოლის ვინაობის საყვარებია. ჰყვოდ სომხური ვერსიით, რომელიც ქართულს ემყარება და VIII-IX საუკუნის გვეთვინის, შაჰს ვახტანგისათვის ცოლად მიუცია „ღედოფალითა თვისისაჲ“, ვ. ი. სიღვდრი. ქართული იგი ყოფილა „ასული მეფისაჲ“. ეს „ასული მეფისაჲ“ შეიძლებადა ყოფილიყო შაჰის ასული და სიღვდრიც. საკულისაშია მეორე სომხური და მეორე ქართული ვერსიების შეთანხმებული მოწმობა (ეს ვერსიები IX-X საუკუნისაა): ვახტანგს განზრახული ჰქონდაო ცოლად შეერთო საკეთარი ასული, ამის გამო „შეგარ-



და მოგუბებსა და აღიარა ზრადმეტანი შეუ-
 ლა. ეროვნული ზნეობის აბუჩად ამკვდები
 ვადარქულებული კაცისაგან არც მსგავსი რა-
 მია მოუღოღნელი. ე. წ. ინცესტი (ვახლოეს
 სისხლით ნათესავებზე, მათ შორის და-ძმაზე და
 მამა-შვილზე დაქორწინება) „ოფიციალურად
 დაშვებული იყო სასაინტო ირანში“¹. საიდან
 განნდა სომხურ ვერსიაში ვარსკენის მერზე
 ცოლის ამბავი, თუ კი იმას ქართული ღეღანი
 არ იცნობდა? ასე და ამგვარად, თათქო ვარს-
 კენს ქართველთა წმინდათაწმინდა ზნეობის შე-
 ლბეული სამარცხენო ნაბიჯი ვადუდგამს და
 ამო კიდევ უფრო შეურაცხელი გაუხდია
 ზნეუბიზე შეშინიქ დელოფალი. პირველ-
 წყაროების დაქონებითი მოწმობის უგულვე-
 ბელოდა უმართებელი იქნებოდა.

ორორედ სიტყვა აფოციის შესახებ. იგი იყო
 ქართლის საბიტიაშო კარის ეპისკოპოსი, შე-
 შინათან დაახლოებული პირი. თ. კილიპის
 თვალსაზრისით, აფოცი გუთთნოდა ვახტანგ
 გორგასალის მოწინააღმდეგეთა, ანუ ვარსკენის
 მომხრეთა ბანაკს (გვ. 118). მაშასადამე, ის
 უნდა ყოფილიყო შეშინიკისა და იაკობის
 მტერი. წამების ტექსტის მიხედვით ეს ასე
 არ არის. პირიქით, „წამებულან“ ზამს, რომ
 აფოცი მფარველობდა შეშინიკს. პონთა ბრძო-
 ლიდან დაბრუნებულ ვარსკენს ვინებითა და
 ვმობით მოუთხოვია აფოცისაგან ველესიანი
 თუშეუბარებელი შეშინიკის გაცემა. ამის მომხ-
 წიქ ვილაქ ზუცესს შეუბედდას განრისხებული
 პიტაბშისათვის: „რაისა ვგრძ იქმ და იტყვი
 ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ემისკოპოსსა და
 წმინდასა შეშინიკს რისხილთ ეტყუი?“ ეპის-
 კოპოს აფოცისა და შეშინიკის ამ უცნობ ქო-
 მავს ვარსკენმა თურმე „უხუთქნი კერამბი-
 თა ზურგსა“ და დაადამა. უფრო სიყურად-
 ლებო ისაა, რომ სიკვდილს მიახლოებულ შე-
 შინიკს სწორედ აფოცი უხმია თავისთან, მად-
 ლობა უთქვამს თანაგრძნობის გამო, როგორც
 მამისა და მამა-მძუძისათვის, მისთვის შეუვედ-
 რებია თვითონ იაკობი, უთხოვია ზრუნვა მისი

(შეშინიკის) ნეშტისათვის და ნეშტის დასაყრ-
 ძალავი ადგილიც ზუსტად განუწინებდა „ქრთთ
 სიტყვით, იაკობის თანდასწრებით“ მღვდელმთავრის
 შეშინიკს ნების აღსრულება ანდერძით მიუ-
 ღვია აფოცისათვის. ვიმოწმებთ თბზულების
 შესაფერისს ტექსტს: „და მოიწია დღე იგი წო-
 ღებისა მისისაი. და მოეწოდა ეპისკოპოსსა
 მისისიი სახლისასა აფოცი და მადლსა მისცემდა
 მისა მიმართ მოწულობისა (გუღმემატკობო-
 ბისა) მისისათვის ეთარცა მამასა და მამა-მძუ-
 ძესა. შეუვედრა მე, კაცი ცოღელი და გლა-
 ხავი ესე, და შეუვედრებდა ნეშტთა მათ ძულ-
 თა მისთასა და უბრანებდა დასმად აფილსა
 მას, ვინაიცა იგი პირველად გამოითრის“.
 ეპისკოპოსს თიანეს დაბმარებით აფოცს უნა-
 ლოდ სრულეუვია შეშინიკის ანდერძი. მგონი
 უნდა ვენდოთ იაკობს. იაკობთან ერთად ეპის-
 კოპოსი აფოცი ყოფილა შეშინიკის შესაიდუმ-
 ლე, მისი ჭირისუფალი, მისი ნების შესრუ-
 ლებელი. დიდი უსაბართლობა იქნებოდა ამ
 კაცის შეშინიკის მოწინააღმდეგეთა ბანაკის წვე-
 რად მიწინევა.

დასასრულ „შეშინიკის წამების“ სასწაუ-
 ლების შესახებ. „სასწაულები, რომელთაც შე-
 შინიკი აბდენს, აშკარად ჩამატებუ-
 ლია: ხალხური აგიოგრაფიის კავლენით, ანდა
 თანრის მოთხოვნილებისა და უბრალო ხალხის
 ესბატოლოფიერი მისწრაფებების გათვალისწი-
 ნებით“, — ამბობს თ. კილიპე (გვ. 123). სავ-
 სებით სწორია მოსაზრება, რომ მარტივოლო-
 ვიური თანრის თბზულებისათვის სასწაულები
 ბუნებრივი ელემენტია. მაშ, რატომ უნდა ვი-
 დიქროთ, რომ „შეშინიკის წამებაში“ თვიდან-
 ვე არ იყო ამ თანრისათვის ბუნებრივად დამ-
 ხასიათებელი ეს ელემენტი? მერვეც იაკობის
 თბზულებით შემონაბული ყველა სასწაულის
 შემთხვევა აღბეჭდილია და განმეორებულია
 „წამების“ ძველ სომხურ ვერსიაში. საიდან
 განნდა ისინი სომხურში, თუ მათ არ იცნობდა
 ტექსტის ქართული დედანა? მით უფრო სა-
 ჩოთიროდ გვეჩვენება მველევარის კატეგორი-
 ული კილო „აშკარად ჩამატებულიათ“.

1 მ. შამაღვილი, გურგანის ეფისო რა-
 მის“ და ქართული ვისრამიანი, თბ. 1977, გვ. 18.

1 ილია აბულაძე. მარტილობა შეშინიკისი,
 თბ. 1938, გვ. 34-35.



ნუგზარ შავჭავჭავაძე

მოთხოვნის ლეგატი და შესაძლებლობა რკალი

კავშირების გადარღვევა განვიხილავთ უკანონო სტალიანო, იმპერიალიზმში, თანმხლები ეკონომიური ცვლილებებით, განაპირობა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი ცხოვრების, ელტურის ღრმა კრიზისი. ამგვარა, თავისი შედეგებით შორს მიშვალა ცვლილებებმა, თავისი დალით აღბეჭდეს სელოგრი ცხოვრების ყოველი სფერო. საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ახალი ფორმების დამკვიდრებამ, შესაბამისად ახალი განწყობილებებიც გააჩინა; წინა პლანზე გამოვიდა წინააღმდეგობა პიროვნულ მოთხოვნებსა და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის. ასეთმა გამწვავებულმა, წინააღმდეგობრივმა ელემენტმა მოიცვა და ახლებურად გარდაქმნა საზოგადოების ყოველი ფენის ცხოვრება. თვითდაკმაყოფილების ინსტიტუტმა ნაირგვარ ფილოსოფიურ სისტემებში (მტირინერი, შოპენჰაუერი, ნიქსე და სხვ.) ჰყოვა გამოხატულება, რომლებიც „ამსუბუქებდნენ“ სამყაროს კატასტროფული დასასრულის, უიმედობის, გონებისაღმი, აღმშინისაღმი რწმენის დაკარგვის მტკიცებელ განცდას, „სახაფინენ“ ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზებს. ამგვარმა განწყობილებებმა თავი იჩინეს პ. იბსენის, გ. მოპსანის, კ. პამსენის, და სხვათა შემოქმედებაში. იდეალურობისაკენ სწრაფვის სურვილი გაქრა, დაშლილ სამყაროში თვითგადარჩენის სურვილი გაბატონდა.

ასეთი იყო საუკუნის დასასრულის მარქსიზმი, რომელმაც რევოლუციამდე ჭარბულ ლიტერატურაშიც ჰყოვა თავისი გამოხატულება (ა. ფილოსოფილი, შ. არაგვისპირელი, ნ.

ლორთქიფანიძე, შ. ჯავახიშვილი და სხვ.). დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების პერსონაჟთა შორის გაღრმავებული უშუალო პრობლემა იმ საზოგადოებრივი განწყობილებებისა, რომლებმაც განსაზღვრეს ეპოქის ხასიათი.

მეოთხეულთან წინასწარი შეთანხმება იმაზე, რომ პლატონ სამანიშვილი და „მშანი მისნი“ რაიმე, გამსაკეთებელი ინტელექტუალური ტიპით, რეაგირებდნენ მათ სამყაროში მომხდარ ცვლილებებზე, ვფიქრობთ ზედმეტია. გარემოსთან დამაკავშირებელი, უკვე მტკიცე ტრადიციად ჩამოყალიბებულ ქვეყანათა და ქვეყნებისათვის სისტემაში მხოლოდ მაშინ ამოტივტივდა მათი უჩიურესად გამაფრებელი ეგოიზმი, როცა მოთხოვნილებათა და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობათა მათთვის საბედისწერო შეუთავსებლობამ, მანამდე საუფარელი და ნაცნობი სამყარო ერთბაშად აღბეჭდა შეუცნობლობითა და მტრობით. სამადაის „ნათლული“ ტრაგიკომიკური თავგადასაცვლებში ამ საბედისწერო კომპლექსის (მოთხოვნილება და შესაძლებლობა) ანაზღვეული ამოტივტივება ერთბაშად აფერხკრათალებს კოორდინირების ელემენტს და მტკიცედ შემოსაზღვრავს იმ სივრცეს, საიდანაც დანახული სამყარო უკვე აღარ აღიქმება, როგორც ტრადიციული, ყოთილმოსურნეობით გამსჭვალული ღირებულებების ერთობლიობა. ძველი ყოთილი ქვეყანა მათთვის უკვე აღარ არსებობს.

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იმპულსით მოქმედ დ. კლდიაშვილისეულ აღმშინებზე ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შეუძლებლობათა ფაქტორმა დაიწყო შემოქმედ-

ბა და მათი ეთარებებს შესაბამისი განწყობილებაც გააჩნია. თავისთავად ცხადია, რომ ამ სტრასკეობებით მოქმედი ადამიანები სიტუაციას შესაბამის ქმედობებს აწარმოებენ და ბუნებრივია ისიც, რომ გარკვეული მიზნისკენ მიმართული აქტიობა, ყოველ მოცემულ მომენტში, მხოლოდ და მხოლოდ მათი განწყობის რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს, რომელიც თავის მხრივ სამყაროსადმი დადებით ან უარყოფითი ემოციებით, გაქვრებულ დამოკიდებულებაში ვლინდება; სამყაროსადმი, რომელშიც ეს ადამიანები თავად ცხოვრობენ და არიზებისადმი წინაშე დედამამდე თავიანთი არსებობას ღიად არ ანსხვებენ მათ ირგვლივ არსებული საგნების არსებობის ობიექტური წესისაგან; ხოლო — ა) ადამიანთა ურთიერთობა, ბ) ირაციონალური განხილვება (— დროითი და გ) მატერიალური დასაყრდენი — ბუნება, დ. კლდისაშენიანად ადამიანთა საზოგადოებას ჩაეკრული მრუდის ფორმას აძლევს, მათა ვენებლის ზუსტ ორიენტირებას ახდენს დროსა და სივრცეში.

1. ადამიანთა ურთიერთობა — დ. კლდისაშენილის მიერ შექმნილი ქვეყნის მწირი ბედნიერება გრძელდება მანამდე, სანამ მის მკვიდრთათვის ზოლოდვ. გაუცნობიერებელი, მაგრამ ყოველმომცველი და შემშვერელი ძალა მათი სამყაროს სმანებს წაღვეთი არ დაემუქრება. ამ სამყაროში კი დასასრული კატეგორიული აღტრინატივითაა გამოკლენილი: — ან მოულოდნელი აფეთქება (ელისიკური ნიშნითა „სამანნიშვილის დედინაცვალა“, ბეკნა სამანნიშვილის ანაზღველი ახირება) ან შემშარავი კოროზია („როსტომ მანველიძის“ მთავარი გმირის ნახევრად მინერალური მდგომარეობა).

აღსასრულამდე კი ამ ადამიანებისათვის უველაფერი მოსაწყენად წაენობი რიტმით მიდის. ნატიოსნური ყოველღიერება, იმპულსებისაგან დაღლილ, გამოძეწევილი ჩევეები — გონებას მონოტონური ცხოვრების უაზრო დანამატად აქევენ. უაზრო დანამატად აქევენ იმიტომ, რომ ჩვეულებრივ დროულ მდინარეებაში ნაპირული ადამიანი ამ მონოტონრობის გველენით ასათიამია ჩავარდნილი და ამ შემთხვევაში კი მისთვის გონება, როგორც საბრძოლო ან შრომის იარაღი — ზედმეტი ფუფუნებაა. გათხენეთ როსტომ მანველიძე: „ათ ვინმე საქვეყნო საქმეზე ჩამოავდებს მასთან სიტყვას — ერთი გაქვრებით ხელს ჩიქვინებს, გესილანად კარგად შეუვრთხებს და უველაზე გულგატხილი, უველაფერზე გულდაწყვეტილი, უველას და უველაფერს ჭანდაბამდის გზას დაულოცავს, მოუქნდება და ისევ თავისთვის იფრგდება („როსტომ მანველიძე“). შედარებით უფრო ამაღლებული განწყობილებაა ბეკნას სამანნიშვილის ოჯახში, მაგრამ ეს გარგვრულად მოსატყუარი ბედნიერება პრინციპულად არა-

ფერს არ ცვლის, — „როცა შინაურობაშიც ლამაზაკს ვაბამდა ბეკნა თავის განხილველს სარჩოზე, ღონიერ ლექმაზე, მიხილველს ცოლ-შვილიანი ვაგიშვილი პლატონი, თუმცა ტრამაზობდა მიჩინდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც არას ეუბნებოდა საჩინააღმდეგოს და მხოლოდ პირვერის გამოსახეთი იტყოდა ხოლმე:

— ამაზეც ვამდობ. უფალო! ამაზეც ვამდობ, უფალო!

ამ წამობილით პლატონი თავის გულითად მდლობას უცხადებდა ზეცურ მამას, რომ შემოკლებული არაინ გაუჩინა მის ღარიბულ ლექმაში, თავის ცოტაზეც ეპაყოფილი. თავის მცირედთავე ბედნიერი. იგი გულმოდგინებით ურტყამდა თხის მიწას და ოჯახში სრული ბედნიერება, სუფევად („სამანნიშვილის დედინაცვალა“). ეს არის თიხსახეთი რუხი და ბლატი ბედნიერება, რომელიც სავეა გათავისებული საგნებით, წაყნობი ადამიანებით, მოვლენებით და რომლებთანაც დ. კლდისაშენიანი ადამიანები ესრერიად არიან შენივთებულნი. ასე გაუცნობიერებულად შეთვისებულ საგნებზე, ადამიანებზე და მოვლენებზე დაყრდნობით ასხნილი სამყარო კი შიშისმოშვერელი აღარ არის. ეს გრინობა კი შერ-ნაყლები სრულყოფილებით აღბეჭდას მათ საცხოვრებელ და სამოქმედო სივრცეს.

როგორც უვე ვახსენეთ, დ. კლდისაშენილის მიერ მოვლერიებულ სამყაროში ადამიანური ტრავგება ორი ფორმით, მოულოდნელი აფეთქებისა და შემშარავი კოროზიის სახით ვლინდება. ამ ორთაგან გასაცნობიერებულ პირველი უფრო მტრეველია იმდენად, რამდენადაც საკეთარი მწირი ბედნიერების ნამსხვრევების ქვეშ მოულოდნელად. მოყოლილი ადამიანი ერთბაშად შეიგრძნობს სიკვდილის სუნთქვას, რომელიც სასიკვდილო აგონიაში გადაზრდილი, ცხოვრების დასასრულამდე მისი ერთადერთი თანამგზავრია. ასეთ ეთარებაში, ნელ-ნელა კდომი უფრო ადვილია, რადგანაც მწელი, ერთბაშად შეამჩნაო მინაჩქარის გავერმართლება შეტარებულ ასეთი შეუმჩვენელი გაჭრობის ნიშნითა როსტომ მანველიძე („როსტომ მანველიძე“), ადამიანი, რომლის ცხოვრებაც განრიღებელია გარემომცველი სამყაროსაგან, რადგანაც მისი, გარემომყოფებთან და მკაცრიზებული მრავალიცხოვანი ცდები ჩასაფრებადა განწირული და მარტოობისაგან სასოწრკვეთილი ადამიანის უსიტუეო გოდება გულგრილობასა და სიუქმის ყრუ კედელს წააწყდა... ერთი ვაჟი ჰყავდა როსტომს და მისი ასავალ-დასავალი არაინ იცოდა, ისე ვადა-ეყარა საღვაც. შეველუ. იყო მისი, მარიაში, და როგორც ის, ისე როსტომმა შეურცხვინელ შეველუბაში ნაყოფი ოთხი ქალიშვილი ოჯახს სრულად ველს არ უდებდნენ, სრულად



არ დაეძებდნენ, მედამ საკუთარ ოჯახს გარეთ
 იყვნენ, გურბოდნენ თავიანთ უხალისო ბე-
 დს, მისელ-მოსელს უნდებოდნენ; ხან ნა-
 თესაგებში იყვნენ, ხან კეთილებში, ხან ნაცო-
 ზებში, თვითონაც ღრის ატარებდნენ და სხვებ-
 საც ეხმარებოდნენ ღრის ტარებაში. ამასი კი
 ზედმიწევნით დახელოვდნენ; ზოგმა დაირა იყო-
 და, ზოგმა ცეკვა — ლეკური, უზუნდარა, ზელ-
 დადური, და ხანდახან მახლობლებთან, კე-
 ურუკიც, ქალიშვილები თამაშნი, ღამაშნი და მოს-
 დენილნი შეხედულებისა იყვნენ.

როსტომი ხმას არ იღებდა ქალებისაგან
 ოჯახის ამგვარ მივიწყებაზე, შეიძლება იმ მო-
 საზრებთათა, რომ წლიდან წლამდე მათი შინ
 ყოფნა უფრო გაუძირებდა ისედაც გაპირვე-
 ბულ ცხოვრებას. სრულად არ ეწინააღმდეგე-
 ბოდა როსტომი ქალებს ასე მათ წაწაღზე და
 ესენიც შემოისიდავდნენ თუ არა ოჯახში, იქვე
 იმის ფეხსა და დარდს ეძლეოდნენ, თუ სად
 და როდის წასულავდნენ“ („როსტომი მანველი-
 ტე“) ადამიანი მარტოდ დარჩა უცხოელ ქვეყ-
 ნი თავისი ოჯახის წევრებისათვის და ამდენად
 იგი თავის თავთანაცაა განშორებული. (როს-
 ტომი მანველითისა და მისი ოჯახის წევრების
 ურთიერთამბეჭენის, და არა მხოლოდ მათი,
 და კლიმაშვილის თათქმის ყველა თხზულების
 პერსონაჟთა ურთერთდაპირისპირების, კონ-
 ფლიქტური სიტუაციების ფესვები უფრო
 ღრმად მიდის და კვლევის სხვა დამატებით ას-
 პექტებშია მოთხოვის, რომლის განხორციელებ-
 ბაც საკუთარი საკუთრივით შეზღუდული
 სტატიის ფარგლებში შეუძლებელია). როსტო-
 მი განსაკუთრებული ტანჯვის გარეშე და შეუმ-
 ნნევლად ქრება ამ ქვეყნიდან. ასეთი ტრაგე-
 დია არის ტრაგედია უგმიროდ, რადგანაც ამ
 შემთხვევაში მხოლოდ ერთი, უფნებო ორგანი-
 ზიშია ტრაგიკული და არა შემბოროლი ადამიანი.

ასეთი საყოველთაო გულგრალობისა და მხო-
 ლოდ საკუთარი პიროვნებით დაინტერესების
 გარემოში, როგორღა იქცევიან ის ადამიანები,
 რომლებიც ყოველგვარი საშუალებით ცდი-
 ლობენ სარსებოდ სეკულურული კონტაქტების
 შენარჩუნებას ვარშემომყოფებთან, თუნდაც სა-
 კუთარი ნების დათრგუნვის ხარჯზე? ვაიისხე-
 ნით საკუთარი სადღენიაცელის მშენებელი თავ-
 მოშორე იმერტლი „აზნოეშვილი“ პლატონ სა-
 მანიშვილი, მისი მოგზაურობა. ეს დ. კლიმაშ-
 ვილისეული ირონიის პირობებში კი არ არის,
 მწერლის მიერ მახვილგონივრული კომპოზიცი-
 ის შესაყვრლად გამოყენებული, არამედ ეს
 არა, მარტოდ დარჩენილი ადამიანის ტრაგედია,
 რომელიც შემზარავია თავისი უსისოობით, უსა-
 სოობით იმტომ, რომ უკვე თავს ზემოთ ძალა
 იღარაა და არა მხოლოდ შიშვილთ საცდელს
 ურბენია საკუთარ თავს განერიდოს და აღიმი-
 ანებთან (იმ შემთხვევაში შამსადყვილსა და ციცი-
 ს

ლოდ ავტორებმა ერთიერთობა შეიქმარე-
 ნოს.

...ვერ გადათქმევინა, პლატონისა და ბუკინას
 მისი სურვილი და ამან შეტანა აუბნებია გე-
 ლი, სხვაც მიუგზავნა შამს ამის თაობაზე, მაგ-
 რამ ბუკინა ვაჟიუბებაში ართმედა მის საქცი-
 ელს და არ იშლიდა თავის განზრახულობას“
 („სამანიშვილის დედინაცვალი“). კონფლიქ-
 ტური სიტუაცია შამსა და შვილს შორის გა-
 მოწვეულია არა იმდენად, მოხუცი კაცის მიერ,
 ვითარების არარეალურად შეფასებით (რომე-
 ლიც თავისთავად ერთი ეზნიშენლოვანისა
 ფაქტორია ამ სიტუაციის გაჩენისა), არამედ
 ქვეცნობიერიდან ამოზიდული ინსტიტუტების
 საშუაროზე გაბატონებით. „ბუკინას ამ ქვაო-
 ფილებაში და განცხრობაში“ შვილების სიყვარ-
 ლთან ერთად, სხვადასხვაგვარი ნატურაც
 გულში ენარებოდა და ღრითა განმეალობაში
 ეკრებოდა... იმ სასიამოვნო მდგომარეობაში
 შამს რომ ეღრისა უფრო საამოვნებით, უფრო
 ტკბილად იგრძნობდა თავს, თვისი შესაფერა-
 სი ამხანაგად რომ ჰყაროდა ვინმე... ასე
 ფიქრობდა გუნებაში ბუკინა და ეს აზრი, შეშ-
 დებ სურვილად გადაცევილი, ბოლოს ავტო-
 მურად წაიღოდა გადაეცა; მის გუნებაში,
 ასე რომ მოაგვაროს, ბედნიერთა უბედურე-
 სი კაცი იქნებოდა. მისი აზრით, ეგ მისი წაღ-
 ლი მის მოსიყვარულე შვილშს არც კი უნდა
 სწყენოდათ.

— განა ჩემს კარგად ყოფნაზე არ მეცადი-
 ნებენ?!. რასაკვირველია, არ ეწყინებთ —
 ავირება თავის თავს ბუკინა. — ან კი რაზე
 უნდა ეწყინოთ?... ცუდი შამა ვიყავი მათთვის
 თუ?... სახეოვრებული არა აქვთ ჩემგან ჩამო-
 რებული თუ?... სულ მათ ხომ ვერ შევირავ
 სიციცხლეს, ჩემს თავს, თუმცა ღმერთთა მო-
 წამე რაღოვად მივინ მიყვარან... არც ეწყი-
 ნებთ, არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!...
 მე რომ იმით ვუყვარვარ?!“.

ასე ფიქრობდა ბუკინა და იმით ვაათავა რომ
 ერთ დღეს კაცი სურზავნა შვილს და გამო-
 უცხადა თავისი სურვილი ცოლის თხოვნისა
 („სამანიშვილის დედინაცვალი“). საკუთარი
 „შეს“ ვარშემო მობრიალე ბუკინასათვის უან-
 ტერესო და მიუღებელია შვილის შინაგან სა-
 ხარბო მომხდარი ცვლილებები, (რომელიც
 პლატონისათვის საპირდაპირ ლემის შეტარე-
 ბით გამოიყვარება შემპირწებულ შინში ვაჟ-
 დანდა), ასეთი ინდივიდუალობა, მხოლოდ
 საკუთარი ინტერესებით შემოფარვლა იქვეეს
 „ჩვენ“ კომპლექსის (ოჯახის, საზოგადოების)
 რღვევას, მხოლოდ „შე“-თი შემოსახლრული
 შიკრისაშუაროების გაჩენას. ეს უკვე ჯამეური
 ტეკციის საწყისია, რომელსაც მიყვარათ იქ-
 ამდე, რომ მარტოდ დარჩენილი ადამიანი შორ-
 ელება არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ გა-
 ნერიღბა საკუთარ თავსაც.

მოთხოვნებიდან გაზრდისა და გარემოცველ სამყაროსთან კონტაქტების გართულებით, პლატონ სამინიშვილის, კაცია საგუნაშვილის, სოლომონ შორბელაძის და სხვათა და სხვათა ჯერ ჩამოუყალიბებულ მღვდლმართობაში მყოფმა ცნობიანებმა ევოლუცია მარტივიდან რთული-სკენ განაცადა, მაგრამ აშკარად გართულებაც პირობითია; ცნობიერება დ. კლდიაშვილის გმირებისათვის, რომელიც შემდგომ გონებისა და აღქმის გამოშლინარე, ვააზრებული არსებობის ფაქტორად უნდა იქცეს, მიუწვდომელი სიმბოლურა, რადგანაც აზროვნება უკვე ვაცნობიერებულა არსებობის ფაქტია, ხოლო, როგორც უკვე ითქვა, ეს აღმანიშნები თავიანთ არსებობას დიდდ არ ანსხვავებენ მატერიალურ საგანთა არსებობის ობიექტური წესისაგან. გ. ი. მათთვის აღმანიშნურ ურთიერთობათა ლაბირინთებში წვდომა და გონების მეშვეობით ამ ურთიერთობათა რეგულირება შეუძლებელია, შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც მათ სამყაროში იდითაგანვე არსებული მოუყასისადმი დამოკიდებულებას ტრადიციული ფორმები ზედმეტი აღმოჩნდა და ეს აღმოჩენა მათში, აღმანიშნურ ურთიერთობების დამშლბრუებელ მოვლენად იქცა.

11. ღმერთი — კი აღარ მოქმედებს როგორც აღმანიშნურ სურვილებს, მისწრაფებებს, სამყაროსთან პარაზიტული დამოკიდებულებას ცენტრს. დ. კლდიაშვილისეულ იმერეთში მას (ღმერთს) მხოლოდ აღმანიშნვი ევლური ინსტიტუტების ამოწმველის ფუნქცია აქვს დაკისრებული... ამოხუცებული კაცია დარწმუნებული იყო, რომ ანდრიას თავზე ღვთის რისხვას მოყვანდა... მისი სახის გამოშველევება, რომელიც ისე აშკარად, ნათლად ეუბნებოდათ, რომ ამ კაცის დამორჩილება ადვილი არ არისო, რომ თავის შეურაცხყოფას არავის შეარჩენს, ვინც უნდა იყოლო, — მისი სახის გამოშველევება ახლა თითქოს გეუბნებოდათ ეჭვი არა შექცევა, რომ წმინდა გიორგი დასჯის ანდრიასო... ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა დონისძიებას არ დაერიდებოდა, თღონდ რითიმე თავისი ჯაგრი ამოუარა, განსაყუთრებით იმ გაიძვერა მოტყატავი ანდრიაში, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეებს შორის. კაცის ერთი გზა და რჩენიდა თავის შემეწრობელებთა მოთავის დასასჯელად და კიდევაც გადამსწვდითა, მიგმართო ხატისათვის. გადაწყვეტილება აღსრულებაში მოყვანა და კიდევაც ხუჯღობა ხატს ხელში — გადასცა წმ. გიორგის ხატს ანდრია. სადა წაუვიღოდა წმ. გიორგის ანდრია? ეჭვი არ უნდოდა, წმ. გიორგი უსათუოდ დასჯდა ანდრიასაც და მის მოსამართლე ამხანაგებსაც — ეს მტკიცედ სწამდა კაცისა. („შერისხვა“). სწამდა იმით, რომ უკვე დანაწევრებული საზოგადოების თაყოფული წევრისათვის ღმერთი, თუ ადრე

უზოგადეს ღირებულებათა ამტკიცებაში განიხილებოდა, ახლა უკვე ფიზიკურად დამოკიდებულების ობიექტი გახდა და მისი მტკიცებულებით ცალკეული გეოცენტრისტული პრინციპებით აგებული სამყარო გადარჩენასა და დაცვას მოითხოვდა. მაგრამ... „ღორო და ხანი ვადიოდა, მაგრამ წმინდანის რისხვის ნიშნები კი არსად ჩანდა. კაცის მოუთმენლობა დაეტყო, ნეტა რად ატარებს წმ. გიორგი ამდენ ხანს უფლებლად ანდრიას და არაფრით არ იჩენს იმაზე თავის სასწაულს?!... კაცია სულ ერთიანად აამღვრა ანდრიას ამგვარმა უღმრთობამ უოფაქტუვამ. ახლა ის გუნებაში წმ. გიორგის ემღერებოდა შეგვიანებისათვის. ბერმა კაცამ იმ ზომამდისაც შეაღწია, რომ ხმამაღლა დაუწყო წმინდანს მღერება“. მოხუცი მღვდლის ნათქვამიდან: „ერთობ უნდაური ხასიათისა ვართ... ბუნს არ ვაღვიფრებთ ხანდისან თავზე... გულისწურამას ზომ სახლგარი არა აქვს ხშირად... თუ რამ დავიჭინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც, რომ მტუქანი იყუთ... უთუოდ ჩვენს ნებაზე უნდა იყოს უფლადუარი და თუ ისე არ იქნა, სიხლადუარსაც აღარ ვგვარჩევთ, თღონდ კი სურვილი ავისრულოთ... დამენა რა არის... — ხშირად არც კი ვვინდა ვიცოდეთ. აი სადამდე მიყუარათ ამნარი ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც კი ვებრძვით... კაცე წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე არ აასრულო...“ („შერისხვა“). პრიმიტიული, პირადად განაწყენების საფუძველზე გაჩენილი სექტაციებში კი გონების გაღვივების პიჭველი ნიშანია, რომელიც ამდენ ხანს იგნორირებული იყო ქვეცნობიერი მართვისა და ბრძოლა რწმენის წინაშე. გავლიებულია გონებამ თავისი საარსებო სივრცე მოიპოვა და მყის გადაიქცა რწმენის დაკარგვისა და ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლის მიზეზად. ღვთაებრივ სუბსტანციის დაცვებიდან აშკარა ამოხაზილ მტერს მანაილიდა... „ჯერ კიდევ არ ჰქონდა მღვდელს გათავებული ვედრების სიტყვა, რომ მოშორებით მდგარი კაცია საგუნაშვილი წამოტყრა წინ, მისწი-მოსწია დაიოქილი ხალხი და ერთ წამს წმ. გიორგის ხატთან განაწდა:

— ესმის ეითომ მავს რამე?... ძალი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მავს? საწინელი ხმით წამოიძახა აცაცხებულმა ბებერმა კაცმა („შერისხვა“). ეს ანაზღუდილი აფეთქება, რომელიც უკან დასახვე უკანასკნელ გზას უტრის, ძვირად უჯდებათ ამ აღმანიშნებს, ძვირად უჯდებათ იმით, რომ ისინი არ არიან ისეთი ძლიერები, რათა ამ იმპულსურად გავლიებული გონების მეშვეობით გაიპარონ თავიანთი არსებობა დროსა და სივრცეში და მიიღონ ლაზმარებით ახსნან მათთვის მოულოდნელად გაუცხოებული სამყარო, მართონ იგი. ასეთი „აზოზიკონერობა“ მათთვის მხოლოდ ახალი

მწუხარების მოპტანია... ამ სამახსოვრო დღი-
დან საკვირვლად გამოიკვალა კაცთა ძვირად
უნახავი, რომ ვისმეს დასაპარაკებოდა. თავის
ოჯახშიაც ცალკე უოფნას ცდილობდა ყოველ-
თვის. ხანდახან დოღო რომ მისთან ლამაზს
დააბიჯებდა, კაცთა წამოღებოდა, იღებდა
ქოხს და საღლაც მიეშურებოდა. ბოლოს უწყი-
ნარ შეშლის დაემსგავსა.

მოტყუა, უცნურად მალე მოტყუა, სრული-
ად დაბერდა და მოიკეშმა ამას წინათ წარმო-
სადგო კაცთა ზედვე ეტყობოდა, იგი სწუხდა,
სწუხდა გადატეხებით, მაგრამ ხმას არ იღებ-
და" („შოლისხევა"). დამილია სამყაროს გო-
ნების ძალით გაერთიანება შეუძლებელი აღ-
მოჩნდა, ღმერთისაკენ ე. ი. მარადიული პარმო-
ნიისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ ღამაში იღუ-
ზია გამოდგა და დარჩა ამ აუნაზღაურებელი
ღანაკარგის კომპენსირების უკანასკნელი სა-
შუალებები.

III. ბუნება — „ჩემს შვილს, ჩემო პლატონ,
უშველებელი კალამი უქირავს ხელში... ისე
მშვენივრად ურტყამს მიწას, რომ მოვიანდებმა
რომ უყურო. არ ეკადრება მართალია, თხიხი
ბნობეშვილს, მარა პეტე გზა არაა. თვითონაც
ეცო!" („სოლომონ მორბელაძე"). სოლომონ
მორბელაძის მიერ სიმწარენარევი ირონიით
ნაოქვამ სიტყვებში („მეტე გზა არაა თვითონ-
აც ეცო") ბუნებასთან თავშესაფრის პოვნას
მოწოდებულად აღმზინის მთელი უსასოობაა
განდენილი. ოღონდ აქამდე თბილი და ალურ-
სიანი ბუნება ნელ-ნელა ძუნწდება („უწინაც
ყოფილა ამ იდელებში პორტოჩი, გადაუხედავს
აქედან, მაგრამ ასეთი ხშირი მოსახლეობა და
გადამბით მიყოლებული სოფლები არ ყოფი-
ლა მაშინ. თვით ეს პატარა სოფელი თამარნა-
შენი, რომელიც მის თვალწინ გადაშლილიყო,
თვალსაწინოდ გაზრდილიყო და შეეცვლიყო.
სადაც წინათ მინდვრები ახსოვდა, ახლა იქ
ყანები მოჩანდა და ბევრ იდეილას სიმინდუ-
ბიდან გამოაყურებოდა ისლათ დაბერული პა-
ტარა სახლებიც. ეტყობოდა მიწას ნაკლებო-
ბის გამო სავსოვედ ვეღარ იმეტებდა მცხოვრე-
ბი ადგილს" („ქამუშაძის გაკირვება"). და თ-
ვის შვილებს ძუნწი საჩუქრებით იშორებს თა-
ვიდან.

ეკვირინეს („ქამუშაძის გაკირვება") სევდიან-
ი მონოლოგი თავის ბოსტნის მოსავალ-მოუ-
საელიანობაზე გარკვეულ სიმბოლოდ გაიბი-
რება საერთო უბედურების ფონზე. მტკივნეუ-
ლი და მტანჯველი გრძობა შეიპარა ბუნებას-
თან დამოკიდებულებაშიც; უკანასკნელი ნათ-
საყუდელი, სამყარო, რომლის განუყოფელ ნა-
წილადაც საყუთარა თავის მინწვეა სურდათ

აღმზინებს, უხეშად იშორებს მათ თავიდან.
ბუნებასთან ურთიერთობაში სულ უფრო და
უფრო იკვეთება მათი ნებისყოფის გამტეხი,
ფიზიკურ ტკივილამდე მიმყვანი უხეში ძალა,
ძალა რომელიც ამდენს ხანს მოალერსე და ფა-
ქტზე შეხებას ქეის ღამის სელისშემშთოველ
გვეყვად აქევეს, ხვეყნად, რომელიც სიყვდილს
ხეათომზე სუნთქვასთან ერთად სინდისისა და
უსასრულობის კარიბჭეზე მიახლებული... —
იღარ არის, აღარ არის ის კაცი, შენ დაგენაცუ-
ლე! რა კაცი რომ გენახა! — ხმა დაშვებით
დითყო ვფაროსინემ, რომელსაც თვალები მი-
შტერა ღვედნმა. გაკირვებამ ფიქრის ჩააგდო,
სიტყვილიმა, ყველასთან დარცხვენილად რომ
გრძნობს თავისთავს, გული მოუხარჩა და რა-
ვარც ახლა ხედავ, ასე მოაქცია. ბევრი ვებრ-
ძოლდე სიღარიბეზე, ბევრი ვითმინეთ, ბევრი
ვიმეცადინეთ, მარა მაინც არაფერი გავაწუწო-
რაც დრო გადიოდა, უარესი და უარესი აშუ-
ბი მოდიოდა ჩვენს თავზე... უმეცადინო კაცი
არ ყოფილა. შენ კანაცეალე, მაგ კაცო... მო-
ვალეებმა რომ შეგეაწუხეს, ცოტა რაიანი სა-
ხლი გვედგა, ის გავვიღეთ, მოვალეებმა ცოტაზე
შეგაწყარეთ ვითომ და ჩვენ ამ ქობში შევიხიზ-
ნეთ დროებით, ჩვენას ფიქრით, მარა ამაში უნ-
და დავლით ჩვენი წუთისოფელი, ცხადია ა
შვილო შეხედე, რა საცოდავად ვურთვართ ჩვენ-
თვის არც სახურავია, არც საფარავი... თაქქო
გარეთ ვეუაროთ" („ქამუშაძის გაკირვება").

დ. კლდიაშვილისებური იდეაზინებისათვის სა-
ყუთარა უმწეობა საყუთარი ხდება მაშინ, რო-
ცა ისინი საყუთარი სუბსტანციიდან ამოღიან
ყველაზე მატერიალური ფორმით. მათთვის მხო-
ლოდ მაშინ ხდება ცხელი ბუნების შეუღწევა-
ლობა, შეუღწეობლობა, როცა ამას შიმშილი და
აქედან — იძულებითი სიყვდილი, სხეებისათ-
ვის სასიცოცხლოდ საჭირო სამყაროს განთავი-
სუფლების აუცილებლობა მიხვედრებთ. „შმა-
ვრი... შმეგრი მოკვდა, შიმშილმა მოკლა! —
ეუნებებოდა თავის თავს გზაში მიმსვალი სო-
ნია. — შიმშილმა მოკლა, უსადარობამ...
მშველელი კი არსათ, არსათათა!... ყველა გა-
კირვებულა, ყველა გაწყალბებული — ყველა
უბედურებაშია ჩაყარდინილი.. თა, ღმერთო,
ყველა ამას უნდა მოველოდეთ, ყველას ეს დღე
უნდა დაგვიდგეს!.. არა შვილებო, არა ვებრ-
ტებო!.. არა, არა, თქვენი ჰირიმეთ... არა!"
 („ქამუშაძის გაკირვება"). ჩანაფუნად წინას-
წარ განწირული ცდების შემდეგ დგება სიცოცხ-
ლის ყველაზე მტკივნეული წუთები; უკანასკ-
ნელი დასაყრდენი — ბუნება, აღარ დადის
აღმზინურ განზომილებამდე. ის ერთობა და
მთლიანობა, რომელშიც დ. კლდიაშვილისებურ
აღმზინს უნდოდა მოქცეულიყო, დარღვეულია
დარღვეულია სამუნდოდ...

პირველი ქართული სტამბა

ვახტანგ მეექვსის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით განხორციელებულ მრავალ დონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თბილისში 1709 წელს ქართველი ქართული სტამბის დაარსებას. ქართველმა ერმა ჯერ კიდევ უძველეს დროს წარმოუვა საყუთარი ორიგინალური ანბანი და შემოეტე საუკუნოვან მოყვარულს მრავალი შეხანიშნავე წერილობითი ძეგლი შექმნა. მაგრამ ბედველმართობის გამო დღემდე ვერ იყენებდა XV საუკუნის 40-იანი წლების გუტენბერგის მადლიან გამოგონებას. პირველი ქართული წიგნი სტამბური წესით მხოლოდ 1629 წელს გამოიცა და ისიც საქართველოს უარსებებს გარეთ. ეს იყო ქართული-იტალიური ლექსიკონი, რომელიც რომში დაიბეჭდა კათოლიკური სარწმუნოების გამავერცხლებელი კონგრეგაციის მიერ. ამ წიგნის თავფურცელზე იტალიურად ეწერა, რომ ლექსიკონი შედგენილი იყო „სტეფანე პაოლინის მიერ ქართველს, წმინდა ბასილის წიგნის ბერის ნიკოლოზ ირბახის დახმარებით სახმარებლად სარწმუნოების გამავერცხლებელ სასულიერო კონგრეგაციის მიხონერთითვის“. ნიკოლოზ ირბახის საბუღიოთი იტალიაში იცნობდნენ კახეთის მეფის თემურაზ პირველის ელჩს ნიკოლოზ ჩილდუსაშვილს, რომელიც 1628 წ. რომში ჩავიდა.

იმავე 1629 წელს რომშივე დაიბეჭდა მეორე წიგნიც — ქართული ანბანი ლოცვებითურთ, რომელითა შემდგენელი იგივე ნ. ჩილდუსაშვილი იყო.

შეუხედავად იმისა, რომ ამ პირველნაბეჭდულ ტექსტებში გაპარული იყო მრავალი შეცდომა, რაც მკვლევარ ქ. შარაშიძის დავაობებით იმით აიხსნება, რომ ქართული მასალის დაბეჭდვის დროს თემურაზ პირველის ელჩი რომიდან უკვე წასული იყო, აღნიშნული ტექსტების სტამბურად გამოქვეყნებას მანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

